

როგორც აღვნიშნე ნ.კ.გ. საზოგადოება წლების განმავლობაში ცდილობდა შემოერთებულ ტერიტორიებზე თბილი, მშვიდობიანი, ერთმანეთის პატივისცემით გაჯერებული ურთიერთობის, აჭარელი ქართველების გათვითცნობიერებისათვის და ყველა ქართველისათვის სასურველი ურთიერთობის დამყარებას. საზოგადოების წევრები, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები მათი დიდი გულშემატკივარები იყვნენ და თბილისიდან ბათუმში ხშირად ჩადიოდნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი და სხვები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა შევაჩერო ამ დიდი საქმის წარამატებით დაინტერესებულ და უანგარო ადამიანზე, ცნობილ მწიგნობარსა და საზოგადო მოღვაწეზე ზაქარია ჭიჭინაძეზე, რომლის დაბადებიდან ნელს, დეკემბერში 170 წელი სრულდება.



თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს ფონდში
ზაქარია ჭიჭინაძის მონაცემები

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში ზაქარია ჭიჭინაძე ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ პირველი თანამოაზრე და მისი საქმის მიმდევარი იყო. მისი დიდი ღვაწლის პირველი შეფასებელი გაზეთი "ივერია" იყო: "ბატონი ზ. ჭიჭინაძე მოგზაურობს მარტო, ერთ ხელში ჯოხი უჭირავს და ილღიაში ქართული წიგნები, ანბანი, დედაენა, ლოცვები...არ ერიდება არავითარ დაბრკოლებას, ვით სახელოვანი პეტრე უდაბნოელი; საცა კი მივა, ყველგან ხალხს ესაუბრება, უკითხავს წიგნებს, ასწავლის ანაბანას, ასაჩუქ-

რებს ყრმათა წიგნაკებით.....ხალხი ღმობიერებაში მოდის ამ სურათით და აქეთ-იქით ეპატიჟება, ჩვენც გაგვაბედნიერე, გვანახე და წიგნი გვასწალო.." (ივერია", 1895, N 161).

ამ მხარეში პირველი მოგზაურობის დროს ჭიჭინაძე დარწმუნდა, რომ იქაურობა გაჩანაგებული და კულტურულად ჩამორჩენილი იყო, ამიტომ მათთან მუშაობა დაწყებითი განათლებით უნდა დაეწყო. 80-იანი წლებიდან მრავალი წლის განმავლობაში დროის უმეტეს ნაწილს მათთან ატარებდა. თავისი ნაბეჭდი, მცირე ზომის ქართული წიგნებით მოიარა აჭარის სოფლები. მათში მცირე განათლების შეტანის პარალელურად, სწავლობდა მათ ყოფა-ცხოვრებას, კულტურას და ისტორიას, ეცნობოდა მათ ფოლკლორს, აგროვებდა ხალხში შემორჩენილ საინტერესო ცნობებს, რადგან პრობლემების გადანყვება მათი ისტორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელი იყო. 1891-1893 წლებში, მნიგნობარმა პირველ რიგში მაჰმადიან ქართველთა ოსმალეთში გადასახლების შესახებ შეკრიბა ინფორმაცია, ადგილობრივი მოსახლეობის იმ ნაწილისაგან, რომელთაც ჯერ კიდევ მეხსიერებაში ჰქონდათ შემორჩენილი მნიშვნელოვანი ცნობები: *"ეს ცნობები მე შევკრიბე 1891-1893 წლებს, როცა იქ მრავლად ცხოვრობდნენ ისეთი პირნი, რომელთაც გადასახლების შესახებ ყოველივე კარგად ახსოვთ"*. **(ზ. ჭიჭინაძე, 1912, გ.128)**. მან ფეხით შემოიარა ქობულეთის, ზემო და ქვემო აჭარის სოფლები და აქ მოძიებული მასალის საფუძველზე, შეადგინა ინფორმაცია აჭარიდან გადასახლებული მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. 1893, 1894 წლებში ასევე ფეხით შემოიარა ჭოროხის, მურღულის, ლივანის და მაჭახელის ხეობები. მოძიებული მასალა შეაჯერა დედე ალა ნიჟარაძის მიერ 1890 წელს და ბათუმის მუფთის, ჰასან ეფენდი გვერდაძისაგან მიწოდებულ ინფორმაციებთან და ამის საფუძველზე შეძლო დაედგინა სამხრეთ დასავლეთ საქართველოდან გადასახლებული მოსახლეობის რაოდენობა, მის მიერ მოძიებული ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ამ მხარეში არც ოსმალეთის მთავრობას და არც მეფის რუსეთს აღწერა არ ჩაეტარებინათ. წიგნში მოცემულია ინფორმაცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყველა მხრი-

დან გასახლებული მოსახლეობის შესახებ: ბათუმიდან გადასახლდა – 5 ათასი სული, ქობულეთ – ჩაქვიდან 10-12 ათასი სული, ზემო აჭარიდან – 8 ათასი სული, ქვემო აჭარიდან 10 – ათასი სული, იმერხევიდან – 5 ათასი სული, შავშეთიდან 10 ათასი სული, მაჭახელიდან – 30 ათასი სული, მურღულიდან – 8 ათასი სული, იმერხევიდან – 5 ათასი სული, შავშეთიდან 10 – ათასი სული, ჩხალთიდან – 5 ათასი სული, არტაანიდან – 25 – ათასი სული, ართვინიდან 4 – ათასი სული, ოლთისიდან – 25 ათასი სული, ფოცხოვიდან – 10 ათასი სული, ჩრიდილიდან (ჩილდირიდან) 5 – ათასი სული". თუმცა ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა, რომ მუჰაჯირობაში წასული ადამიანების რაოდენობაზე ზუსტი ინფორმაციის დადგენა შეუძლებელი იყო, რადგან ეს ხალხში შემორჩენილი ზეპირი მონაცემები იყო (ზ. ჭიჭინაძე, 1912, ფ. 42).

გაზეთი "ივერია" პერიოდულად აქვეყნებდა ჭიჭინაძის მოგზაურობის მასალას, მოგზაურობის მცირე ისტორიას, ამით მთელი საქართველო ეცნობოდა ახლად შემოერთებული, გამუსლიმანებული ქართველების ყოფა – ცხოვრებას, მათ წეს ჩვეულებებს, განათლების, გამაჰმადიანების და ახალ ტრადიციებზე გადმოსვლის ფაქტებს. მისი ნაშრომების პრესაში გამოქვეყნების მიზანი იყო მნიშვნელოვანი თანაგრძნობა გამოეწვია ქართულ საზოგადოებაში და მათში სულიერი და მატერიალური დახმარების სურვილი გაეღვიძებინა. სტატიებში გადმოცემულია ამ მოგზაურობების მიზანი, დანიშნულება, მისი დიდი გულისტკივილი გამაჰმადიანებული სოფლების მოსახლეობის მიმართ. ზ. ჭიჭინაძე ყოველი მოგზაურობის შემდეგ მცირე ზომის მოხსენებას აკეთებდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიმართ. ციტატად მომყავს 1892 წლის 25 მაისის ქობულეთსა და კინტრიშის მხარეში მოგზაურობის შესახებ მოხსენების ვრცელი ნაწილი, სადაც კარგად ჩანს მისი დამოკიდებულება და მიდგომა გამაჰმადიანებულ ქართველებთან, მისი მუშაობის განსაკუთრებული სტილი:



**ზაქარია ჭიჭინაძე ქართველთა შორის წერა – კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოების წევრებთან**

"შარშან მე წავედი ქუბულეთში, აქედამ ვიმგზავრე კინტრიშის მხარის სოფლებში, სადაც ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. მე თან წავიღე 2500 მეტი წიგნი, 2000 მათებური ლექსები და დანარჩენი სხვა წიგნები. ქობულეთიდან ამ წიგნების დარიგება დავიწყე, ამ საქმეს ქართველმა მოლებმა ეჭვის თვალით შეხედეს, ამიტომ მე მათ უახლოვდები ყველა სოფელში,

ძმურს საუბარს ვმართავდი, თავმდავლათ. ვისწავლე მათებური ლოცვებიც... თვით მეც დავდიოდი მეჩეთებში და მათებურად ვლოცულობდი. ამ საქციელმა მე დიდი ნდობა გამიკეთა მათ წინაშე. იგინი პატივს მცემდნენ მე როგორც თათრებთან ახლოს მდგომს თავისუფლად მესაუბრებოდნენ ყოველ თავიანთ საქმეებზე, აქა იქ მეჩეთებში თავისუფლად მაძლევდნენ შესვლის ნებას. ყველა ამეებით ვისარგებლე მე და ქართული წიგნების დარიგება და კითხვა თავისუფლად დავიწყე. პარასკევ დღეს მივდიოდი დიდ სოფლებში, დილის ლოცვას ერთ სოფელში ვესწრებოდი, შუადღეს მეორეში, საღამოს ლოცვებზე მესამეში. ლოცვიდან გამოსვლის

შემდეგ მეჩეთის გალავანში ხაიმს ლექსების კითხვას ეუმართავდი და თან წიგნებს ვარიგებდი....მე ვისაც კი ვაძლევდი წიგნებს მაშინათვე ანბანსაც ვაკითხებდი. რამდენიმე ალაგას საქმე ისე წამივიდა რომ მარჯვენაც და მარცხენაც

მეხვეწებოდნენ და თან ანბანის წაკითხვას....ძრიელ კი ვილ-
ლებოდი. რამდენი წვალეა თრევა და შიში გავიარე, ამას არ
ავნერ. ჩემი საქმეები ნახა განსვენებულმა მ. გურიელმა¹ და
აღტაცებული იყო იმისგან, რომ პატარა მაჰმადიანებს ხელ-
ში ქართული წიგნები ეკავათ. დახმარებაც აღმითქვა, მაგრამ
სიკვდილმა უსწრო და კეთილი საქმე ჩაიშალა.

ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში თითქმის ყოველ ჯა-
მეს გვერდით 1 ცალი მედრესე აქვსთ, სკოლაში ორი ტახტი
ძევს, ზედ სხედან ქართველ მაჰმადიანთა პატარა ბავშვები,
თათრულს ანბანს სწავლობენ. მაგრამ ვაი მათ სწავლას,
სკოლიდამ გამოსვლის შემდეგ ამათ სიტყვა ასოც არ იცი-
ან...საცა კი მივედი, რაც კი ამ მოწაფეებს ქართული წიგნები
წაუკითხე, ამისაგან ივინი სუ აღტაცებაში მოვიდნენ და გა-
დირივდნენ, აღარ იცოდნენ რა ექმნათ, სულ ხელსა და პირში
მვარდებოდნენ და მთხოვდნენ, როგორც ლექსების წაკით-
ხვას, ასევე ქართული ანბანის შესწავლას. ბევრს სოფელში
ბევრს პატარა მოწაფეს დავანწყებინე ანბანის კითხვა და მათ
რამდენიმე წაკითხვის შემდეგ ქართული ასოები ისე დაის-
წავლეს, რომ "ქალვაჟიანის" კითხვაც

დაიწყეს.....როცა მე ქობულეთში დავბრუნდი 7,8 ვერ-
სის შიშორიდან პატარა ბავშვები მომდევდნენ და წიგნების
და ანბანის წაკითხვას მსთხოვდნენ. ეს ნახა ქობულეთში
ბატ. ექ. თაყაიშვილმაც. წელსაც შარშანდელის იმედით სავ-
სემ, მე განვაგრძე წიგნების დაბეჭვდა და მეორედ გამეზავ-
რება" (ფ. 481, ა.1, ს.318, ფ. 13).

ზ.ჭიჭინაძე უანგაროდ ემსახურებოდა ამ დიდ საქმეს.
საკუთარი დანაზოგით მოგროვილი თანხით ბეჭდავდა მცირე
ზომის წიგნებს თანდართული ანბანითა და ისეთი ფორ-
მით, რომელებიც ადვილად გავრცელდებოდა მაჰმადიან
ქართველებში. ეს წიგნები იყო: 1. არსენას ლექსი – 2400
წიგნი; 2. ალექსიანი – 2000 წიგნი; 3. ლოცვები – 2000 წიგნი;
4. თამარ მეფე – 24000 წიგნი 5. დავით აღმაშენებელი – 2400
წიგნი; 6. ქალ – ვაჟიანი – 2000 წიგნი; 7. მაჰმადას ცხოვრება
– 2400 წიგნი; (ფ.481, ა.1, ს. 318, ფ. 13).

პირველი ორი მოგზაურობის შემდეგ ნათელი გახდა, რომ მათთან ასეთ ურთიერთობით სასურველ შედეგს ნელა-ნელა აღწევდა, მაგრამ ასეულობით სოფელში მარტო სიარულით ძნელი იყო, თუნდაც მხოლოდ ანბანის შესწავლა. 1892 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ თხოვნით მიმართა წერა – კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ ამ კეთილშობილური საქმისათვის მისთვის დაეხმარებინათ ორი ენერგიული ახალგაზრდა, რომლებიც მასთან ერთად გაემგზავრებოდნენ შემოერთებული კინტრიშისა და ქობულეთის სოფლებში... "ორჯერ ქართველ მაჰმადიანებში წასვლამ და რამდენიმე ათასი წვრილი ქართული წიგნების წაღებამ და დარიგებამ საკამარისი ნაყოფი მოიტანა. ეს ყველასთვის ცხადად იქმნა, რადგანაც ამის შესახებ თვითო მათგანივე იწერებთან და აქ და ზოგი ერთ ცნობებს გვატყობინებენ.....დღეს იქ ყველა ითხოვს ჩვენს დახმარებას.....იხვეწებიან გვიშველეთ, გვიპატრონეთ, გაგვაგებინეთ რამე...თორემ ჩვენ ახალი ხალხი ვართ და არაფერი ვიცითო" (ფ.481, ა.1, ს. 279, ფ.11).

ათი წლის განმავლობაში კეთილი მისიით მოგზაურობდა შემოერთებულ ტერიტორიებზე, ზოგჯერ მიუვალ სოფლებშიც. 1894 წელს მის ერთ-ერთ მოხსენებაში ვკითხულობთ: "სამი წლის განმავლობაში მე დავიარე ქობულეთის სოფლები, აჭარის ლივანის, მაჭახელის და ზეგანის. ამ ადგილებში 350 მეტი სოფელი აღმოჩნდა, ყველგან ქართულს ენაზედ ლაპარაკობენ ქართველი მაჰმადიანები. მათი საჭირო სასარგებლო ენა ქართული ენა არის. სიმღერა ტირილი, თამაში და სხვანი სულ ქართულია. წელს მე მივდივარ შავშეთსა და იმერხევში. ეს ადგილები ქართველებისთვის უცნობი ადგილებია, ჩვენ არ ვიცით, თუ დღეს იქ ქართული ენის საქმე რა მდგომარეობაშია და არც ის ვიცით, თუ ამ ადგილებში რამდენი სოფელი ძევს, და სად როგორ სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები და ან იქ რა ადგილებია, რა შენობები და რა ძველი ისტორიული ძეგლ-ნაშთები. ჩვენდა სამწუხაროდ არამც თუ მარტოთ შავშეთია, ჩვენთვის უცნო-

ბი, არამედ ოსმალეთის ყოფილ საქართველოს უმეტეს ადგილებიც არ ვიცით" **(481, ა.1, ს. 398, ფ. 55).**¹

ზ. ჭიჭინაძეს კეთილად განწყობილი მაჰმადიანურ სოფლებში ბევრი მონინალმდეგეც ჰყავდა, იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ქართველ მაჰმადიანებს ქრისტიანი ქართველების წინააღმდეგ აქეზებდნენ, ან უარეს შემთხვევაში ოსმალეთში გადასახლებას ურჩევდნენ. მის ერთ-ერთნიგნში "ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში (მუჰაჯირთა ემიგრაცია)", წერდა: "გადმოსახლებულ ქართველ მაჰმადიანთა შორის, დღესაც არიან თითო ოროლა ისეთის ბოროტი პირები, რომელნიც თავიანთ გესლიანი ენით ქართველ მაჰმადიანებს ოსმალეთში გადასახლებას ურჩევენ, მით აბრეყებენ კიდეც მრავალთ, თავიანთ მამა – პაპეულ მიწას – მამულს აცილებენ და მით ჰლუპავენ სამუდამოთ, საყოველთაოდ. ასეთის საქმეებით ცხადათ მტკიცდება, ის რომ დღევანდელი ქართველთა მაჰმადიანთა უმეტესი ნაწილი ღრმა საღათას ფანატიკურის ძილით არის დაძინებული და ამ ძილს მათი მტრები უფრო ავრცელებენ, თავიანთ საძაგელს რჩევას სარწმუნოებისთვის" **(ზ. ჭიჭინაძე, 1912)**. ასეთი მიდგომა ზოგიერთ სოფელში მათთვის სასურველ შედეგს ვერ იღებდა. ამიტომ 1896 წლიდან 1905 წლამდე, ათი წლის განმავლობაში ჭიჭინაძემ შეწყვიტა აჭარაში მოგზაურობა:, „ქართველ მაჰმადიანთა შესახებ გულდანყვეტილი ვიყავით, მათში განათლების და ფანატიკოსობიდან განთავსებისას ვერაფერს ვხედავდით; ბევრი მგ ზავრობის და წერის შემდეგ, ხსენებულს კუთხეში მგ ზავრობას 1896 წლიდან თავი დავანებეთ, მიზეზი თავის დანებების გახლდათ, რომ ჩვენს რამდენიც უნდა სიკეთე გვეთქვა, იგინი მაინც ყველაფერზედ უარს ამბობდნენ; ჩვენი არაფერი სწამდათ, ჩვენი საუბარი უმნიშვნელოდ მიაჩნდათ, არ სწამდათ ეროვნება, შემცნებით თავისი ენა, მწიგნობრობა და სწავლის მი-

¹ მამია გურიელი – ქართველი პოეტი. არის ასზე მეტი ლექსის, ერთი პოემისა და რამდენიმე თარგმანის ავტორი. მისი ყველაზე ცნობილი ლექსია „ადამიანი“. გარდაიცვალა 1891 წლის 25 ივლისს. დაკრძალულია ქუთაისში, არქიელის მთაზე, წმინდა გიორგის ტაძრის ეზოში.

ლება. ყველაფერს ამღვრეულს თვალით უმზერენ, ყველა-
ფერს უარსჰყოფენ, არც ენა, არც სწავლა და არც სამშობლო
ქვეყანა. ჩვენ თათრები ვართ, ჩვენი ენა, წიგნი, ისტორია
სამშობლო თათრისა არის, ყველაფერი თათრულია და ჩვენც
თათრები ვართ. ეს იყო მათი პასუხი და ასეც ოცნებობდნენ,
ამან გული გაგვიტეხა, მიტომ გამოვეთხოვეთ მოგ ზაურობას
და მათთან საუბარს." (ფ.481, ა.1, ს.1004, ფ. 42).

ამ მოგზაურობებმა შედეგი გამოიღო, მოიპოვა
უმდიდრესი მასალა, რომელიც წლების განმავლობაში ჯერ
გაზეთ "ივერიაში" იბეჭდებოდა, ხოლო შემდეგ წიგნებად გა-
მოიცა. ეს არის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორი-
ის, ეთნოგრაფიის, განათლების, მოსახლეობის გამაჰმადია-
ნების, ოსმალთა ბატონობის და მის წინააღმდეგ აჯანყებე-
ბის შესახებ ფასდაუდებელი ინფორმაცია. ეს იყო ისტორიე-
ბი, რომელიც აცნობდა როგორც ადგილობრივ მოსახლეო-
ბას, ისე მთელს საქართველოს მათ მძიმე ყოფას. მისი ერთ-
ერთი წერილი "ოსმალეთის ყოფილი საქართველო" ინფორ-
მაციას იძლევა იმ დროისთვის მომზადებულ ყველა წიგნზე.
1892 წლისთვის უკვე დაბეჭდილი იყო 1. "სამცხე – საათაბა-
გოს გათათრება" და 2. "აჭარის, ლივანის, მაჭახელის, შავშე-
თის და ქობულეთის გათათრებ", 28 წიგნი კი გამზადებული
იყო დასაბეჭდად:

1. ისტორია ოსმალთა საქართველოსი;
2. ახმედ ფაშა ხიმშიაშვილი და მისგან სამცხის ავტონომიის
თხოვნა 1827 წ.;
3. ქართველ მაჰმადიანთა გვარის ფაშები 1639-1879;
4. ალი ფაშა თავდგირიძე და მისი გვარის ლალატი საქართვე-
ლოს წინაშე;
5. ქართველ მაჰმადიანთა თანამედროვე პირნი და ქართვე-
ლობის პატივისმცემელნი;
6. სასულიერო წოდება და ქართველ მაჰმადიანთა 1640-1905
წლამდის;
7. მედრესე და მექთეები, ანუ ქართველ მაჰმადიანთა თათ-
რული სკოლები 1670-წ;

8. გურჯისტანის ქალი და მრავალცოლიანობა ქართველ მაჰმადიანებში.
9. რა ენით უნდა განათლდნენ ქართველ მაჰმადიანთ შვილები;
10. თამარ დედოფალი და მასზედ დარჩენილი ძველი ამბები და ლეგენდები;
11. ერუშეთის (არტაანი, არდაგანი) გათათრება და ქართული ენის დაკარგვა;
12. ლაზისტანი და ჭანეთი, აღწერა ხალხის გათათრების და ლაზური ენის;
13. შავშეთი და იმერხევი და ქართული ენის ვითარება;
14. ცრუმორწმუნოება ქართველ მაჰმადიანთა და მათი ცხოვრების იარები;
15. კინტრიშის ხეობა და ბათუმის დაარსების ისტორია;
16. მურღულის ხეობა, იქაური მადნეულობა და ქართველი მაჰმადიანები;
17. ზეგანი და ქართველ მაჰმადიანთა სოფლების და ხალხის აღწერა;
18. აჭარა აღწერა სოფლების, ხალხის და ძველი გვარების, ბეგების და სხვანი.
19. მუჰაჯირი. ანუ გადასახლებულნი ოსმალეთში. სად რა ადგილებში ცხოვრობენ;
20. მაჭახელი. სოფლები, ხალხი და ძველად მაჭახლური იარაღის კეთება;
21. ლივანა, ანუ ლივანის ხევი. ესე იგი მთელი ჭოროხის ხეობა;
22. საფარ ფაშა ჯაყელი, როგორც პირველი გათათრებული და გამთათრებელი მათი;
23. ფუხარა, ანუ ხელმოკლენი და შეუძლონი ქართველ მაჰმადიანებში;
24. ხელოსნობა, ვაჭრობა და სხვადასხვა საქარხნო და სავაჭრო საქმეები მათში;
25. გემების, ნაგების და ხომალდების კეთება ლივანსა და ლაზისტანში;

26. დღეინდელი რიცხვი ქართველ მაჰმადიანების და მათში ქართული ენა;
27. სახალხო ლექსები, ანდაზები, შაირები და სიმღერები;
28. ძველებური ამბები, ლეგენდები, და გადმოცემანი მათ წინაპართ შესახებ; (ფ. 481, ა.1, ს.1004, 42).

მისმა ათწლიანმა დაულალავმა მუშაობამ სასიკეთო შედეგი გამოიღო, 1905 წელს ჩასულს სულ სხვა სურათი დახვდა: "1905 წ. ზაფხულს, განგებ წავედი აჭარაში, ამ წასვლას თავისი მიზეზი ჰქონდა. ჩემდა მოულოდნელად სურათი შეცვლილი დამხვდა, ცხოვრებას თურმე დიდად უმოქმედია მათზედ. ივინი მცირედ ფანატიკობიდან გამოსულან, თვალი გაუხელიათ, ქართული წიგნების კითხვა დაუწყიათ. წიგნებთ შორის მათში გავრცელებულა თვით ახალ დროის წიგნებიც ასეთი წიგნები გავრცელებულია უფრო ისეთ პირობებში, რომელთაც ოდესმე ბათუმის რომელიმე ქარხანაში უმუშავნიათ.....ყველა ამ საქმეთა მიხვედრის და აღორძინების დასაწყისის მიზეზი გახლავან ბათუმში მცხოვრებ ახალ საქმის მოღვაწე ქართლთ მამულის შვილები, რომელთაც ბათუმის მუშებს დიდი სამსახური გაუწიეს, მათში ბევრი რამ განავრცეს და თვალი აუხილეს"....(ფ.481,ა.1, ს.1004, ფ.42).

1908 წელს ესტუმრა ლაზეთს. იქაური მოსახლეობის ისტორიასა და ეთნოგრაფიაზე მის რამდენიმე წიგნშია მოთხრობილი, იმდროინდელ პრესაში არაერთხელ დაბეჭდილა სტატიები ლაზეთის მოსახლეობის გამაჰმადიანებასა და მათ ყოფაზე. მაგრამ ახლა ნ.კ.გ. საზოგადოებისადმი წარდგენილ მის ერთ-ერთ მოხსენებას შევეხები, რომელიც 1908 წლით არის დათარიღებული. მოხსენებაში ზოგადად არის აღწერილი იმდროინდელი ლაზეთის მდგომარეობა. ლაზ მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაციით, ოსმალეთის მთავრობას სასულიერო პირების დახმარებით 1855 წლიდან ლაზური ენის აეკრძალათ, ისე რომ ქალები სახლშიც აღარ ლაპარაკობდნენ ლაზურად. ყველგან ოსმალური ენა ისმოდა. მისთვის აქვე გახდა ცნობილი, რომ "რუსეთის ლაზისტანის" საზღვარზე მომუშავე ილია გვრამაძის მეუღლეს ალექსანდრა გვრამაძეს პატარა სკოლა ჰქონდა გახსნილი და 12 წლის განმავლობაში

ლაზურს ასწავლიდა. "ამ სათნო, პატარა ადამიანმა ბევრ ლაზს შეაწავლა ქართული. მისგან ბევს შეუწავლია ქართული, არა მხოლოდ "რუსეთის ლაზისტანში" არამედ "ოსმალის ლაზისტანშიც." ზაქარია ჭიჭინაძე ქ.შ.ნ.კ.გ. საზოგადოებას ალექსანდრა გვარამაძისათვის სთხოვდა დამხმარე პირისა და წიგნების გაგზავნას. ამავე მოხსენებაში ჭიჭინაძე ითხოვდა ოსმალის ლაზისტანში ვინმე ენერგიულ, ამ საქმეზე შეყვარებულ ახალგაზრდის გაგზავნას, რომელიც ადგილზე შეაგროვებდა ფოლკლორის და მათი ყოფა ცხოვრების ამსახველ საინტერესო მასალას, დაეხმარებოდა მათ ქართული და ლაზური ენების შესწავლა – აღდგენაში: "ასეთი პირის გაგზავნით დიდ საქმეს გავაკეთებთ, პირველი: ლაზთა შორის გავრცელებული ქართული წერა – კითხვა, მეორე შეიკრიბება აურაცხელი ძველებური ამბები, ლეგენდები, ზღაპრები და სხვა გადმოცემები" (ფ. 481, ან.1, ს.1004, ფ. 40).

დაუსრულებლად შეიძლება ზაქარია ჭიჭინაძის მუშაობაზე, მის ღვაწლზე ლაპარაკი, მაგრამ ისევ მივუბრუნდები მის ჩანაწერებს: "მადლობა ღმერთს, რომ ამას მოვესწარი, გულ დაწყვიტილთ მოგვეცა იმედი ჩვენის მოძმეთა დიდი ხნის დაძინების შემდეგ განღვიძებისა. ეხლა ჩვენს ზნეობრივს ვალს შეადგენს, რომ ვისარგებლოდ ქართველ მაჰმადიანთ თუნდ მცირე ნაწილის თვალთ გახილებით და რაც შეიძლება დროით მივანოდოთ ისეთი წიგნები, რაც კი მათ კარგად გააცნობს, როგორც ჩვენ წინაპართ ვითარებას და ცხოვრებას, ისე იმასაც თუ მათს მამა-პაპებს რა წვალებით და ტანჯვით მიუღიათ ისლამი, რა ბრძოლით და სისხლის ცრემლის ღვრით დაუთმიათ თავიანთი სამშობლო ისლამთათვის, თავიანთი ვინაობა, ენა მწიგნობრობა და მის ნაცვლად როგორ შეუყვარებიან და შეუთვისებიან თავის მოსისხარ მტერთ ენა, მწიგნობრობა და ზნეხასიათები. ვიტყვით იმასაც, რომ ეს წიგნები ქართველ მაჰმადიანთ მოზარდ თაობას მარტივად შეუწყობს ხელს. ეს წიგნები მათში უადვილესად გაარკვევს გზას, მერე სამშობლო ვინაობის ცნობებით აღსილნი პოლიტიკურსა და ეკონომიურს ასპარეზზედ ადვილად გამოვლენ" (ფ.481, ა.1, ს.1004, ფ.42).

ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობა, მისს მიერ გაკეთებული დიდი საშვილიშვილო საქმე ბევრმა შეაფასა, მაგრამ ამ შემთხვევაში მე გამოვიყენებ ეთერ ბერიძის შეფასებას: *ზ. ჭიჭინაძეს, სამშობლოსა და მშობლიურ ხალხზე უსაღვროდ შეყვარებულ კაცს, განსაკუთრებული ამაგი მიუძღვის აჭარისა და ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის დედა – საქართველოს მოსახლეობასთან დაახლოვებისა და ურთიერთობის აღდგენის რთული პროცესების დაძლევაში... ზაქარია ჭიჭინაძემ, ორივე მხარის გულში ჩაიხედა და კალმით, სიტყვით და საქმით ხელი შეუწყო, რომ ერთისხალხორც მოსახლეობას შორის ჰაერი გამთბარიყო და გამსუბუქებულიყო (ე.ბერიძე, 2013, 6).*

დიახ ასეა, ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების გაერთიანებაში, თავის დროზე ჩვენში რელიგიური დაყოფით გამოწვეული გაუცხოვების დაძლევაში და ამ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის დანერგვაში, უდავოდ დიდი წვლილი შეიტანეს ქართველთა შორის წერა – კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და მისმა ერთ-ერთმა საპატიო წევრმა, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა ქართველმა, ზაქარია ჭიჭინაძემ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სცსა, საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 481, ა.1, ს. NN 2, 33, 135, 279, 318, 328, 398, 1004, 1875;
 2. გაზეთი "ივერია", 1877წ., N 9; 1895წ., N 161;
 3. ზ. ჭიჭინაძე, "ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი – ემიგრაცია", 1912, ტფილისი;
 4. ე. ბერიძე, ნიგალი, თბილისი, 2009;
 5. გ. ნიორაძე, სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული, თბილისი, 1953.
- თემამი გამოყენებულია კინო ფოტო-ფონო ცენტრალურ არქივსა და თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს ფონდში დაცული ფოტო მასალა.

ჯემალ კარალიძე
Jemal Karalidze
მალხაზ ჩოხარაძე
Malkhaz Chokharadze

აფხაზთა პირველი დასახლებები აჭარაში
The first Abkhazian settlements in Ajara

აბსტრაქტი. კავკასია თავისი განსაკუთრებული გეო-პოლიტიკური მდებარეობის გამო ოდითგან იყო მსოფლიოში გავლენისათვის მეზრდოლ ძლიერ სახელმწიფოთა სამიზნე. XVI საუკუნიდან კავკასიაში გავლენის მოსაპოვებლად აქტიური პოლიტიკის გატარებას იწყებს რუსეთი. მისი მეტოქეობა კავკასიის მანამდელ ჰეგემონებთან – ოსმალეთთან და ირანთან გადამწყვეტ ფაზაში შევიდა XVIII საუკუნეში. რუსეთმა ისარგებლა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარებით, კავკასიელი ხალხების მდგომარეობით და რეგიონში გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია.

XIX საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიაში რუსეთის შემოღწევის შემდეგ დღის წესრიგში აქტიურად დადგა აფხაზეთის სამთავროს საკითხი. რუსეთისა და ოსმალეთის მძაფრმა დაპირისპირებამ განსაზღვრა XIX საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთის სამთავროს ბედიც. 1864 წლის 12 ივლისს აფხაზეთის სამთავრო გააუქმეს, ხოლო მისი უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე რუსეთში გადაასახლეს. მალე ცხადი გახდა რუსეთის მიზანი – აფხაზეთის, როგორც შავიზღვისპირეთის მეტად მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ნაწილის, იმპერიის ინტერესებისამებრ მოწყობა, რასაც 1867 წელს აფხაზთა იძულებითი მასობრივი მუჰაჯირობა მოჰყვა.

აფხაზეთიდან იძულებით მუჰაჯირად წამოსულთა მნიშვნელოვანი ნაწილი აჭარაში დამკვიდრდა. აჭარაში აფხაზთა გადმოსახლება სხვადასხვა მიზეზით მუჰაჯირობამდე გაცილებით ადრე, XVIII საუკუნის მიწურულიდან დაწყებული. თუმცა, დღეს აჭარაში დამკვიდრებულ აფხაზთა ძირი-

თადი ნაწილის წინაპრები სწორედ XIX საუკუნის 60-70 – წლებში გადმოსახლებულან. არაერთი გვარი მთლიანად აყრილა და წამოსულა აფხაზეთიდან. ზოგი ამ გვარის წარმომადგენელი დღეს აფხაზეთში აღარ ცხოვრობს. ამას ადასტურებენ აჭარაში მცხოვრები კუდებების, ატრუშების, ხოხბების შთამომავლები.

აფხაზთა აბსოლუტური უმრავლესობა ბათუმსა და მის შემოგარენში (დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი): ბარცხანა, „გოროდოკი“, ანგისა, მინდა, ადლია, ფერია, სალიბაური, სამება, კახაბერი, ჭარნალი.. დამკვიდრებულან. ადგილობრივმა მოსახლეობამ თბილად მიიღო გადმოსახლებულები. თითქმის საუკუნე ნახევარია აჭარაში ერთად ცხოვრობენ ქართველები და აფხაზები და დღემდე არ ყოფილა ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირების ფაქტიც კი.

საკვანძო სიტყვები: *აფხაზეთი, აჭარა, აფხაზები რუსეთი, ოსმალეთი, კავკასია*

Abstract. Due to its special geopolitical location, the Caucasus has always been a prominent target of powerful states fighting for influence in the world. From the 16th century, Russia began to pursue an active policy to gain influence in the Caucasus. Its rivalry with the previous hegemony of the Caucasus – Ottoman and Iran entered a decisive phase in the 18th century. Russia took advantage of the favorable international situation created at the turn of the 18th-19th centuries, the state and mood of the Caucasian peoples, and achieved a decisive advantage in the region.

At the beginning of the 19th century, after the penetration of Russia into Transcaucasia, the issue of the Principality of Abkhazia was actively on the agenda. In the first half of the 19th century, the intense conflict between Russia and the Ottoman Empire determined the fate of the principality of Abkhazia. On July 12, 1864, the principality of Abkhazia was abolished, and its last head, Mikheil Sharvashidze, was exiled to Russia. Russia's goal soon became clear – to arrange Abkhazia, as a very important and

strategic part of the Black Sea coast, according to the interests of the empire, which was followed by the forced mass emigration of Abkhazians in 1867.

A significant part of the forced emigrants from Abkhazia settled in Adjara. Migration of Abkhazians to Adjara for various reasons started long before the emigration, from the end of the 18th century. However, the ancestors of the main part of the Abkhazians who settled in Adjara today immigrated in the 60-70s of the 19th century. Several families were completely abandoned and left Abkhazia. Some representatives of this family no longer live in Abkhazia. This is confirmed by the descendants of Kudbes, Atrushbes, and Khokhbes living in Adjara.

The absolute majority of Abkhazians settled in Batumi and its surroundings (present-day Khelvachauri municipality): Bartskhana, "Gorodok", Angisa, Minda, Adlia, Feria, Salibauri, Sameba, Kakhaberi, Charnali... The local population warmly welcomed the emigrants. Georgians and Abkhazians have been living together in Adjara for almost a century and a half, and until now there has not even been a fact of confrontation on ethnic grounds.

Key words: *Abkhazia, Ajara, Abkhazians, Russia, Ottoman Empire, Caucasus*

კავკასია, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გეო-სტრატეგიული რეგიონი, უძველესი დროიდან იყო მსოფლიოში გაბატონების მოსურნე ახლო თუ შორეული ძლიერი სახელმწიფოების პირველხარისხოვანი სამიზნე.

XVIII საუკუნიდან კავკასიაში გაბატონებისათვის ბრძოლაში ირანსა და ოსმალეთთან ერთად აქტიურ ბრძოლას იწყებს გაძლიერებული რუსეთის სახელმწიფო. XVIII საუკუნის მანძილზე რუსეთმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია . „ამ პერიოდში რუსეთის იმპერია გახდა უდიდესი ევრაზიული სახელმწიფო , ძლიერი არმიითა და ფლოტით“ (Россия и Восток 2002:336) . რუსეთის პოზიციების განმტკიცება შავი და კასპიის ზღვების აუზში აუცილებლად მოითხოვდა საქართველოსთან ურთიერთობის განმტკიცება-გაღ-

რმავეებს. „რადგან საქართველო ამოდენა რეგიონში ერთადერთ ქრისტიანულ ქვეყანად რჩებოდა, რომელსაც სახელმწიფოებრიობა ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა და, შესაბამისად, პოლიტიკურ დასაყრდენად გამოდგებოდა. საქართველოს რუსეთისათვის სტრატეგიული პლაცდარმის ფუნქცია უნდა შეესრულებინა წინა აზიაში პოლიტიკურ-ეკონომიკური გაბატონების დასახული ამოცანის განხორციელების პროცესში. სხვა რეალური მოკავშირე, რეალური დასაყრდენი მას ამ რეგიონში არ გააჩნდა.“ (სამსონაძე 1988:26-27).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთი ძლიერდებოდა მაშინ, როცა მისი ძირითადი მეტოქეები კავკასიაში – ირანი და ოსმალეთი -სუსტდებოდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ძირითადი მეტოქის, ოსმალეთის დასუსტება.

რუსეთის წარმატებები კავკასიაში ფაქტიურად ევროპის სახელმწიფოების პასიურობის შედეგიც იყო. „დასავლეთის სახელმწიფოები XVIII საუკუნის 80-იან წლებშიც სათანადოდ ვერ აფასებდნენ რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის მოსალოდნელ შედეგებს. ამაზე მეტყველებს რუსეთის მიერ ყირიმის უმტკივნეულოდ მიერთება და გეორგიევსკის ტრაქტატის დადება“ (ჩხეიძე 2002 :223).

ამით რამდენიმე საუკუნოვანი დაპირისპირება კავკასიაში XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. სამწუხაროდ, კავკასიის პოლიტიკური ერთეულები უფრო დიდი პოლიტიკის ობიექტები აღმოჩნდნენ, ვიდრე სუბიექტები (Дегоев 2001 : 50). ოსმალეთისა და ირანის მცდელობა გამოესწორებინათ მდგომარეობა, უშედეგო აღმოჩნდა. 1804-1813, 1826-1828 წლების რუსეთ-ირანისა და 1806-1812, 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად რუსეთმა არათუ შეინარჩუნა, არამედ კიდევ უფრო გააფართოვა და განიმტკიცა პოზიციები კავკასიაში. იგი ენერგიულად შეუდგა სრული ბატონობის დამყარებას, რაშიც მოხერხებულად იყენებდა ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულთა შორის დაპირისპირებას.

XIX დასაწყისში რუსეთის პოზიციების გაძლიერებამ კავკასიაში აფხაზეთის მთავარს საგარეო ორიენტაციის შეცვლისაკენ უბიძგა. ქელემ ბეგ შარვაშიძე ხვდებოდა, რომ ადრე თუ გვიან აფხაზეთის ჯერიც დადგებოდა (ქორთუა 1964 : 109) . დაასწრო რა მოვლენებს, 1806 წ. მაისში მან რუსეთის ხელისუფლებას მფარველობაში მიღების თხოვნით მიმართა. იმავე დროს აფხაზეთის მთავარი დაუახლოვდა სამეგრელოს სამთავროს.

1806 წ. ივნისში ქელემ-ბეგმა რუსეთის მფარველობაში შესვლის საკითხის განსახილველად ლიხნში სახალხო ყრილობა მოიწვია. ყრილობამ რუსეთზე ორიენტაციის საკითხში მთავარს მხარი დაუჭირა. 1806 წ. დეკემბერში სულთანმა სელიმ III რუსეთს ომი გამოუცხადა, რამაც აფხაზეთში ვითარება დაძაბა. მთავრის ხელისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო ქელემ-ბეგის ვაჟმა ასლან-ბეგმა, რომელმაც 1808 წელს მამა მოკლა. პროცესებში რუსეთი ჩაერია და 1810 წელს ალექსანდრე I საფარ-ბეგ (გიორგი) შარვაშიძე დაამტკიცა აფხაზეთის მთავრად მემკვიდრეობის უფლებით, რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ (Дзидзария 1988:48-49) .

რუსეთის დესანტმა 1810 წლის 10 ივლისს დაამარცხა სოხუმში განლაგებული ოსმალური გარნიზონი და ქალაქს დაეუფლა. ოქტომბერში გიორგი შარვაშიძეს საზეიმოდ გადაეცა სამთავრო ნიშნები, მან დაიფიცა რუსეთის ერთგულებაზე, რითაც გაფორმდა აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლა (აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები 1960:140 ; დუმბაძე 1957: 215-223) .

ოსმალეთი დაჟინებით ცდილობდა აფხაზეთის დაბრუნებას, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ისედაც რთულ ვითარებას. 1821 წ. მთავარი გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა. რუსეთის მხარდაჭერით მთავრის ტახტი გიორგის არასრულწლოვანმა ვაჟმა დიმიტრიმ დაიკავა (1821-1822 წწ.), მაგრამ მცირე ხნით, იგი ბიძის, ასლან-ბეგის დავალებით მოწამლეს. რუსეთის აქტიური მხარდაჭერით მთავარი გახდა გარდაცვლილი დიმიტრის ძმა მიხეილ შარვაშიძე(1823-1864 წწ.). მას ბედმა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრობა არგუნა.

ყირიმის ომის პერიოდში აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ რუსეთს დიდი სამსახური გაუწია, რისთვისაც იმპერატორმა იგი თეთრი არწივის ორდენით დააჯილდოვა. ამის მიუხედავად, 1856 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ნ. მურავიოვმა ყირიმის ომის დროს თითქოს მიხეილ შარვაშიძის ღალატის გამო აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხზე შუამდგომლობა აღძრა, მაგრამ იმპერატორმა ეს შუამდგომლობა არ მიიღო. რადგან ომი ჩრდილოეთ კავკასიაში გრძელდებოდა, ამიტომ ცარიზმს მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ სჭირდებოდა. თუმცა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ ვითარება შეიცვალა, რამაც განსაზღვრა აფხაზეთის სამთავროს მომავალი. რუსეთის გეგმა, შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე კაზაკების დასახლებას ითვალისწინებდა. მისი განხორციელება მთავრის ხელისუფლებისა და მინისტრთა მრავალმა წევრმა მოსახლეობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა (Дзидзария 1982:250-252) ამიტომ ალექსანდრე II მიიღო აფხაზეთის მთავრის განთავისუფლებისა და აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღების გადაწყვეტილება (სცსსა, ფ. 416, ა. 3, ს. 177, ფურც. 48) . თუ რა მიზანი ჰქონდა ცარიზმს აფხაზეთში ცხადყოფს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის დ. სვიატოპოლსკ-მირსკის კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის კარცოვისადმი 1864 წ. გაგზავნილი წერილი: „თუ აფხაზების ნაწილი სამთავროს გაუქმების შემდეგ თურქეთში გადასახლებას მოისურვებს, ჩვენ ამას ხელი არ უნდა შეგუშალოთ“ (ჯანაშია 1988:7). რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთში (მისი სრული კოლონიზაცია – ჯ.კ. მ.ჩ.) არც შემდეგ შეცვლილა. სოხუმის ოკრუგის უფროსი 1900 წელს ქუთაისის გუბერნატორს მიმართავდა: „რუსეთის კოლონიზაციას მხარეში (აფხაზეთში – ჯ.კ., მ. ჩ.) პოლიტიკური თვალსაზრისით აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. მით უფრო, რომ აფხაზები, როგორც ოკრუგის ძირითადი მოსახლეობა, დღემდე რჩება უკიდურესად დაბალკულტურულ ეროვნებად განვითარების დონით, მერყევია რელიგიური რწმენით, არაერთხელ გამოავლინა თავისი პოლიტიკური არაკეთილსაიმედობა... ეს მოითხოვს გან-

საკუთრებულ ყურადღებას, საუკეთესო საშუალებად უნდა ვცნოთ მხარის კოლონიზაცია რუსი მოსახლეობით“ (ქცა, ფ. 186, ა. 1, ს. 69, ფურც. 11-12) .

1864 წ. 12 ივლისს აფხაზეთის სამთავრო გააუქმეს, ხოლო მთავარი მიხეილ შარვაშიძე, ვორონეჟში გადასახლეს. იგი 1866 წ. გარდაიცვალა, ანდერძისამებრ აფხაზეთში ჩამოასვენეს და მოქვის ტაძარში დაკრძალეს (ხორავა 2011:280-284) .

აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ შემოღებული მმართველობის სფეროში რუსეთის მოხელეთა მხრიდან ადგილობრივთა თავისებურებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლობამ აფხაზთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. აჯანყება 1866 წ. 26 ივლისს სოფ. ლიხნში დაიწყო. ხელისუფლებამ სასწრაფო ღონისძიებები მიიღო აჯანყების ჩასახშობად. აჯანყების ჩახშობის შემდეგ გაჩნდა აფხაზთა თურქეთში გადასახლების დასაბუთებაც. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მიუთითებდა: „არსებობს მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება სოხუმის განყოფილების მხრიდან ყოველგვარი სამიშროების აღმოსაფხვრელად. ესაა აფხაზეთის მოსახლეობის თურქეთში გასახლება“ (სცსსა, ფ. 545, ა. 1, ს. 91, ფურც. 23).

რუსეთისა და ოსმალეთის თანამშრომლობა აფხაზებისა და სხვა კავკასიელი ხალხების მუჰაჯირობის საქმეში შემთხვევითი არ ყოფილა. თუ რუსეთი აბორიგენი მოსახლეობის გასახლებით კოლონიზაციის საქმეს „ანესრიგებდა“, თურქეთს სურდა მთიელები დაებინავებინა დაუსახლებელ და ნაკლებად დასახლებულ ადგილებში, აგრეთვე რუსეთის საზღვრისპირა რაიონებში. რომელთაც სულთანი გამოიყენებდა როგორც იმპერიაში მიმდინარე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად, ისე რუსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში (აჩუგბა, 1988:15).

აფხაზთა გადასახლების პირველი ტალღა განხორციელდა 1867 წელს. მთავრობამ „გეგმა“ ბოლომდე ვერ შეასრულა – დაგეგმილი 4500 ოჯახის ნაცვლად ოსმალეთში გადასახლდა 3358 ოჯახი, 19.342 სული (სცსსა, ფ. 545, ა. 1, ს. 91, ფურც. 205-250; ხორავა 2011:73). სამწუხაროდ, აფხაზთა გა-

დასახლების პროცესი ამით არ დასრულებულა. რუსეთს სურდა ახლად შეერთებული მხარე ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისითაც აეთვისებინა, რათა იგი იმპერიის ორგანულ და განუყოფელ ნაწილად გადაექცია. რისთვისაც აუცილებელი იყო ფართომასშტაბიანი კოლონიზაცია, სწორედ ეს იყო კავკასიის არაერთი ერის, მათ შორის აფხაზთა მშობლიური ადგილებიდან აყრისა და ოსმალეთში გადასახლების – მუჰაჯირობის ძირითადი მიზეზი.

მშობლიური მიწიდან განდევნილი აფხაზები ძირითადად სახლდებოდნენ ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში, მათ შორის ამჟამინდელი სირიის, იორდანის, თურქეთის, ეგვიპტის და სხვა ტერიტორიებზე. მუჰაჯირთა გარკვეული ნაწილი სხვადასხვა მიზეზის გამო დამკვიდრდა აჭარაში. აფხაზთა პირველი დასახლებები აქ გაჩნდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ჭიჭინაძე 1912:169).

მკვლევართა აზრით, აფხაზთა პირველი დასახლებები აჭარაში XIX ს. პირველ ნახევარში დაწყებული (ზ. ჭიჭინაძე, თ. აჩუგბა...), ჩვენ მიერ შეკრებილი საველე მასალებით აშკარა ხდება, რომ აფხაზები აჭარაში უფრო ადრეც ყოფილან დასახლებული (მაგ., ცნობილი ბათუმელი ექიმის, თენგიზ შერვაშიძის მონათხრობით, შერვაშიძეები აჭარაში XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან დამკვიდრებულან. მაგრამ აშკარაა, რომ აჭარაში მცხოვრები აფხაზების ძირითადი ნაწილი ე.წ. დიდი მუჰაჯირობის დროს – XIX საუკუნის 60-70-იან წლებში გადმოსახლებულა. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ შეკრებილი საველე მასალებიც).

აჭარაში აფხაზთა პირველი დიდი ჯგუფი გამოჩნდა 1867 წელს, მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ ჩაახშო 1866 წლის აჯანყება და მოსთხოვა აფხაზეთის მოსახლეობას თურქეთში გადასახლება. მაშინ აჭარა ჯერ კიდევ შედიოდა ოსმალეთის შემადგენლობაში. აფხაზების ნაწილი დასახლდა რეგიონში, რომელიც კლიმატურ-გეოგრაფიულად ძალიან ჰგავს აფხაზეთს. მათ არჩევანს, ალბათ, ისიც განაპირობებდა, რომ აფხაზები ქართველ ხალხს მოძმე ერად აღიქვამდნენ და მანამდეც ჰქონდათ მათთან თანაცხოვრე-

ბის გამოცდილება (გვანცელაძე, ტაბიძე, გითოლენდია, ჭაავა 2011:61).

მეორე უფრო დიდი ჯგუფი აფხაზებისა აჭარაში დასახლდა 1878-1880 წლებში, როცა ახალი დამთავრებული იყო რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი. ამ ომში აფხაზთა ნაწილმა თურქებს დაუჭირა მხარი, რაც საბაბად გამოიყენა რუსეთმა.

აფხაზები აჭარაში თავიდანვე ქობულეთ-სარგის ზღვისპირა ზოლში სახლდებოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1878 წელს აჭარა რუსეთის ხელთ აღმოჩნდა, მათი ნაწილი აფხაზეთში დაბრუნდა, ნაწილი კი თურქეთის სიღრმეში გადავიდა საკუთარი ნებით, ან იძულებით განიდევენა რუსეთის ხელისუფლების მიერ. აფხაზთა ჯგუფები დარჩა ბათუმის სხვადასხვა უბანში (ბარცხანაში, „გარადოკში“, „პივზავოდის“ უბანში) და ბათუმის ახლომახლო მდებარე ქართულ სოფლებში: ფერიაში, ურეხში, მნათობში, სალიბაურში, ქვედა სამეხაში, ანგისაში, მინდაში, ადლიაში, კახაბერში, ჭარნალში... აქ დასახლებულ აფხაზებს დროდადრო ემატებოდნენ თურქეთის სიღრმიდან წამოსული სამშობლოში დაბრუნების მოსურნე აფხაზებიც.

ასე შეიქმნა პირველი აფხაზური დასახლებები აჭარაში: ნურიის უბანში, ანგისაზე, სოუქსუზე, სალიბაურში, ჩელტაში, ადლიაში, გონიოში, ჭარნალში, მახინჯაურში და ა.შ. ინგლისის კონსულის, ჯიფორდ პალგრევის ცნობით, 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ აჭარაში დაახლოებით 10000 აფხაზი და ჩერქეზი ცხოვრობდა. მიგრაციული პროცესები გრძელდებოდა და შესაბამისად სტატისტიკაც იცვლებოდა, მაგრამ აფხაზთა ძირითადი დასახლების ადგილი ბათუმი და მისი შემოგარენი იყო, ფაქტობრივად, ასე რჩება დღემდე.

2002 წლის აღწერის მონაცემებით, აჭარაში ცხოვრობდა 1558 აფხაზი, მათგან 800 – ბათუმში, 645 – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.

გადმოსახლებული აფხაზები ძალიან კარგად მიიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ. თითქმის 1,5 საუკუნის მან-

ძილზე ბათუმში არ ყოფილა აფხაზთა და ქართველთა შორის რაიმე არსებითი ინციდენტიც კი (აფხაზები აჭარაში 2018:27).

აფხაზები აქტიურად მონაწილეობდნენ და ამჟამადაც მონაწილეობენ ჩვენი რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში .

აფხაზურ საგვარეულოთა ცნობილი წარმომადგენლები რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი რეგიონის და არა მარტო მის განვითარებაში, არიან: ხაშიმ სმირბა, შერიფ აბდიბა, მემედ ბედი, ხალილ ფშანავა, ალი ჩამბა, ფერიდე აცამბა, ანზორ კუდბა, ნუნუ ჩაუშბა და ა.შ.

გადმოსახლების დროისა და სადაურობის მიხედვით, აჭარაში მცხოვრები აფხაზები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ა) რომელთაც ზუსტად არ იციან, როდის და საიდან გადმოსახლდნენ;

ბ) რომლებიც XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. I ნახევარში გადმოსახლდნენ – ამ შემთხვევაში გადმოსახლების მიზეზი პირადულ-ყოფითი ხასიათის იყო – მაგ. კონფლიქტი მეზობელთან (მკვლელობა, მაგ. ფერიელი ჩამბების შემთხვევაში), ან ქალის მოტაცება (მაგ. ჭარნალელი აკვაზების შემთხვევა);

გ) ვინც მუჰაჯირობის დროს XIX ს. 60-70 წლებში გადმოსახლდა აჭარაში (ასე მიიჩნევენ აჭარაში მცხოვრები აფხაზების ძირითადი ნაწილი);

დ) ვინც იცის გადმოსახლების კონკრეტული წელი, ადგილი, თუ უშუალოდ ვინ გადმოსახლდა და ა.შ. (მაგ., ანზორ კუდბას შემთხვევაში – 1864 წ. სოჭის მხარის კუდებსტადან რუსეთის წინააღმდეგობის გამო წამოვიდა სამი ძმა, მათგან ორი დამკვიდრდა აჭარაში, ფერიაში, ხოლო მესამე ძმა ქერიში თურქეთში წასულა; ზაურ ასაძბას შემთხვევაში- 1896 წ. აჭარაში გადმოსახლებულა ალი საძბა, ბზიფის ხეობიდან...), ჯამბულ კაშინბას შემთხვევაში აფხაზეთიდან დიდი მუჰაჯირობის დროს ოთხი ძმა, რომელთაგან ერთი XIX ს. 70-იან წლებში გადმოსახლდა აჭარაში, დასახლდა სოფ. ადლიაში.

აჭარაში დამკვიდრებული აფხაზების მდგომარეობა არ იყო მშვიდი – 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს არაერთ მათგანს მეორედ მოუხდა მუჰაჯირად წასვლა. ქალაქის განაშენიანების საბაბით, ხელისუფლება მოითხოვდა მათგან შეეცვალათ საცხოვრებელი ადგილი – სხვაგან გადასახლებულიყვნენ.

აფხაზებს ოდითგანვე ჰქონდათ კეთილმეზობლური დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც მჭიდრო მოყვრულ ურთიერთობებში გადადიოდა. მაგ. ჭარნალში მცხოვრებ აკვაზებს 20-მდე ქართულ გვართან ჰქონია მოყვრობა: კვირიტიძე, გოგიტიძე, ბექთაშვილი, რიჟვაძე, კაკაბაძე, ფევაძე, კახიძე, აფაქიძე, დუმბაძე, სურმანიძე, ლომაძე, მალაყმაძე, სირაბიძე, ხაჯიშვილი, ვარშანიძე, ჩერქეზიშვილი, ხალვაში, გორგილაძე (აფხაზები აჭარაში 2018:29)

სამშობლო ქვეყნიდან დევნილ აფხაზთა ერთი ნაწილი აჭარის ტერიტორიაზე გადმოსახლდა. შესწავლილი მასალების მიხედვით, მათი საგრძნობლად დიდი ჯგუფების დასახლება აჭარის ზღვისპირეთში XIX ს. 60-იან წლების დასაწყისიდან მიმდინარეობდა. გაზ. „დროების“ 1882 წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნებული აფხაზი მუჰაჯირების განცხადების მიხედვით, რომელიც ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მისამართით იყო დაწერილი, ირკვევა, რომ აფხაზების ერთი ჯგუფი ბათუმში 20 წლის წინათ, ე. ი. 1862 წლისათვის დასახლებულა. ამავე, 1862 წელს აფხაზების აჭარაში დასახლებაზე მიუთითებს გაზ. „ჩერნომორსკი ვესტნიკში“ 1900 წლის 12 იანვარს დაბეჭდილი წერილიც. პრესის მასალებს ადასტურებს საარქივო მონაცემებიც, რომელიც მიუთითებს, რომ აფხაზთა გარკვეული ჯგუფი 60-იანი წლების დასაწყისში დასახლებულა ბათუმში, ე. წ. „ნურიე გელის“ უბანში. ბათუმში მცხოვრები ერთ-ერთი მუჰაჯირი აფხაზი ხუსეინ ხასანის ძე გაბლია სტამბოლში რუსეთის გენერალურ კონსულს აცნობებდა, რომ იგი წარმოშობით სოხუმელია, სოფელ კელასურიდან, რომელიც თავის თანამოძმეთა სამი ათას ოჯახთან ერთად 15 წლის წინათ ჩამოსახ-

ლდა ბათუმში (სცსსა, ფ.545,ა.1, ს.2073, ფურც. 56). წერილი დაწერილია 1879 წელს. ჩანს, რომ აფხაზების საკმაოდ დიდი ჯგუფის ჩამოსახლება აჭარაში 1864 წელს მომხდარა. ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი მწერლის, გ. წერეთლის ცნობა, რომელიც გაზ. „გოლოსში“ დაიბეჭდა 1878 წლის 14 მაისს. წერილის ავტორს ქობულეთში დაუქირავებია იალქნიანი ნავი, რომლის მენიჩბეები აფხაზი ჭაბუკები ყოფილან, მათ მწერლისათვის უცნობებიათ, რომ ისინი, სხვა მუჰაჯირებთან ერთად, სოხუმიდან ბათუმში გადმოუსახლებიათ. ამ ცნობითაც ირკვევა, რომ აფხაზთა გარკვეული ჯგუფი იმავე 1864 წელს დასახლებულა აჭარაში.

მოპოვებული დოკუმენტები თუ საველე-ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფს, რომ აჭარაში არა მარტო უშუალოდ აფხაზეთიდან გადმოსახლების შემდეგ მკვიდრდებოდნენ საცხოვრებლად, არამედ ოსმალეთში გადასახლების შემდეგაც ბრუნდებოდნენ აჭარაში იმ იმედით, რომ აქედან ისევ მშობლიურ მიწა-წყალს დაუბრუნდებოდნენ. მაგრამ ჯერ ოსმალეთის, შემდეგ კი რუსეთის ხელისუფლება არ აძლევდა მათ სამშობლოში დაბრუნების ნებას, რის შემდეგაც მათი ნაწილი აჭარაში რჩებოდა საცხოვრებლად, ნაწილი კი უკან ოსმალეთში ბრუნდებოდა. მაგალითად, ჯერ კიდევ 1865 წლის 17 მაისს ტრაპიზონში რუსეთის გენერალური კონსული ა. მოშნინი იტყობინებოდა, რომ არტაანში გადასახლებული ჩერქეზები ბრუნდებიან ბათუმში და იმუქრებიან, რომ მოაწყობენ აჯანყებას, თუ ოსმალეთის ხელისუფალნი არ მიუჩენენ მათ დასასახლებლად უკეთეს ადგილს, ზოგიერთი მათგანი გაემართა მდ. ჩურუქ-სუსაკენ (მდ. ჩოლოქი), იმ განზრახვით, რო გაარღვევდნენ ოსმალეთ-რუსეთის სახელმწიფო საზღვარს წმ. ნიკოლოზის ფორტთან და გადავიდოდნენ რუსეთის სამფლობელოში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამ ფაქტით შეწუხებული რუსეთის კონსული თხოვდა ოსმალეთის ადგილობრივ ხელისუფალთ, არ დაეშვათ ჩერქეზების მიახლოება რუსეთის საზღვართან. მუჰაჯირთა განზრახვის ჩასაშლელად გამოყვანილ იქნა რეგულარული ჯარის ნაწილები (Дзидзария 1982:237).

აფხაზ ემიგრანტთა თურქეთიდან სამშობლოში დაბრუნების ამსახველი მასალები ხშირად იბეჭდებოდა XIX ს. 70-80-იანი წლების ქართულ პრესაში.

საარქივო მასალები და პრესის მონაცემები ცხადყოფენ იმ ტრაგიკულ მოვლენებს, რაც თან ახლდა აფხაზ მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნების მცდელობას. მოსახლეობა ბრუნდებოდა როგორც გემებით, ისე ფეხით. ორივე შემთხვევაში, ისინი ბათუმზე გავლით მოდიოდნენ, მაგრამ ბათუმის ხელისუფალთ ზემოდან მიღებული ჰქონდათ მითითება – არ დაეშვათ აფხაზების დაბრუნება სამშობლოში (Френкель 1879:81).

თურქეთიდან ბათუმში ჩამოსულ აფხაზებით დატვირთულ გემებს რუსეთის მთავრობა უკან აბრუნებდა, თურქეთის ხელისუფლება მათ ხელმეორედ აღარ ღებულობდა და ზარბაზნის სროლით ზღვაში ერეკებოდა. „აფხაზებს, – წერდა გაზეთი „დროება“, – ბურთივით ისვრიან ჩვენი პორტიდან ოსმალის პორტამდის, საიდანაც იმათ თოფის სროლით აბრუნებენ უკან და არიან ეს სანყლები გაჩერებული ორ მიწას შუა იმედმოღებულნი და სასონარკვეთილნი“. თოფის სროლითვე ეგებებოდა რუსეთის ხელისუფლება იმ მუჰაჯირებს, რომლებიც დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ აფხაზეთის ნაპირებს აღწევდნენ. გაზ. „დროება“, რომელიც აქტიურად ეხმაურებოდა აფხაზების მუჰაჯირობასთან დაკავშირებულ ყველა ფაქტს, იუწყებოდა: „სოხუმის სამხედრო რაზმის უფროსი პოლკოვნიკი არაკინი, როგორც რამდენჯერმე იყო გაზეთებში გამოცხადებული, თოფითა და ზარბაზნით ხვდებოდა ყველა აფხაზებსა და ჩერქეზებს, რომელნიც კი იმის მაზრაში შავი ზღვის ნაპირზე ფეხის გადმოდგმას ბედავდა“ („დროება“ N223:1880).

XX საუკუნეში, პირველი მსოფლიო ომის დროს ბათუმის ოლქში შექმნილმა რთულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა გარკვეული ნაწილი კვლავ მიეტოვებინა აქაურობა. ზოგი მათგანი აფხაზეთში გადასახლდა, ზოგიც თურქეთში. 1918 წლიდან მათი ნაწილი აჭარაში დაბრუნდა და დღემდე მათი შთამომავლებიც აქ ცხოვრობენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. **სცსსა, ფ. 416, ს.177** – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 416, საქმე 177.
2. **სცსსა, ფ. 545, ს. 91** – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 545, საქმე 91 .
3. **სცსსა, ფ. 545, ს. 314** – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 545, საქმე 314 .
4. **სცსსა, ფ. 545, ს. 2073** – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 545, საქმე 2073
5. **ქცა, ფ. 186, ს. 38** – ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 186, საქმე 38.
6. **აჩუგბა, 1988:** – აჩუგბა თ. , აფხაზთა დასახლება აჭარაში, ბათუმი.
7. **აფხაზები აჭარაში 2018:** აფხაზები აჭარაში წარსული და თანამედროვეობა, ბათუმი
8. **გვანცელაძე, ტაბიძე, გითოლენდია, ჩაავა, 2011 :** – გვანცელაძე, ტაბიძე, გითოლენდია, ჩაავა, აჭარაში მცხოვრები აფხაზების იდენტობის მთავარი ასპექტები (რუსულ ენაზე) თბილისი
9. **დუმბაძე, 1957 :** დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისი
10. **დროება N223, 1880:** – „დროება“, თბილისი
11. **სამსონაძე , 1988:** – სამსონაძე მ., საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, თბილისი
12. **ჩხეიძე, 2002:** – ჩხეიძე ა., საქართველოს რუსეთის, საფრანგეთისა და ინგლისის აღმოსავლურ პოლიტიკაში მე-18 საუკუნის დასასრულს, ქართული დიპლომატია, 9, თბილისი
13. **ჯანაშია, 1988 :** – ჯანაშია ს. , გიორგი შარვაშიძე, შრომები, VI, თბილისი.
14. **ჭიჭინაძე, 1912 :** – ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში., თბილისი

15. **Дегоев ,2001 :-** Дегоев В., Большая игра на Кавказе(история и современность) , Москва
16. **Дзидзария, 1988:** – Дзидзария Г. , присоединение Абхазии к России , Сухуми.
17. **Дзидзария , 1982:** – Дзидзария Г. , мохаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия , Сухуми.
18. **Россия и Восток , 2002:-** Россия и Восток, СПб
19. **Френкель 1879:** – Очерки Чурук-су и Батума, Тифлис

ციური ქათამაძე
Tsiuri Katamadze

იერუსალიმში ქართველთა უფლებების დაცვის ისტორიიდან (ოსმალური დოკუმენტური წყაროების მიხედვით)

From the history of protecting the rights of Georgians in Jerusalem
(according to Ottoman documentary sources)

აბსტრაქტი: საუკუნეების განმავლობაში „წმინდა ქალაქ“ იერუსალიმსა და მის შემოგარენში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები ქართული კულტურის განვითარების მძლავრ კერებსა და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დესპანებს წარმოადგენდნენ. იერუსალიმის ქართულ სამონასტრო თემს ჰქონდა აღმავლობის თუ დაქვეითების პერიოდები, რომელსაც საქართველოსა და პალესტინაში განვითარებული იდეოლოგიური და პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები განსაზღვრავდა. ნაშრომის მიზანია, სამეცნიერო მიმოქცევაში უკანასკნელ პერიოდში შემოსული ოსმალური დოკუმენტური წყაროების ანალიზის საფუძველზე იერუსალიმში ქართველთა უფლებების დაცვის ისტორია ახალი მასალებით გაამდიდროს.

საკვანძო სიტყვები: იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემი, ჯვრის მონასტერი, ოსმალური წყაროები, საეკლესიო ყმა-მამული, აღდგომის ტაძარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო.

Abstract: For centuries, the Georgian churches and monasteries in the "Holy City" of Jerusalem and its surroundings were the powerful hubs of the development of Georgian culture and ambassadors of Georgia on the international arena. The Georgian monastic community of Jerusalem had periods of growth and decline, which were determined by the ideological and political-economic processes developed in Georgia and Palestine. The aim of the paper is to enrich

the history of the protection of Georgian rights in Jerusalem with new materials based on the analysis of Ottoman documentary sources that came into scientific circulation in the last period.

Key words: Georgian monastic community of Jerusalem, Monastery of the Cross, Ottoman springs, church manor, Church of the Resurrection, Greek Patriarchate of Jerusalem.

ქართული სულიერი კულტურის, ლიტერატურულ-მნიგნობრული საქმიანობის განვითარების, საქართველოს პოლიტიკური პრესტიჟის წარმოჩენის ეროვნულ საქმეში განსაკუთრებულია იერუსალიმსა და მის ირგვლივ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრებში დავანებული ბერ-მონაზვნების მოღვაწეობის სიღრმისეულად შესწავლა, ახალი მასალებით გამდიდრება. მით უფრო აღსანიშნავია, რომ სამშობლოსგან შორს, უცხო, მეტწილად არაბელსაყრელ გარემოში ქართველებს უწევდათ საკუთარი უფლებების დაცვა და საქმიანობის გაგრძელება. საუკუნეების განმავლობაში იერუსალიმის ქართულ სამონასტრო თემს ჰქონდა აღმავლობის თუ დაქვეითების პერიოდები, რომელსაც საქართველოსა და პალესტინაში განვითარებული იდეოლოგიური და პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები განსაზღვრავდა.

„წმინდა მიწაზე“ ქართველთა მოღვაწეობის შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში ხანგრძლივი ისტორია და მდიდარი ტრადიციები გააჩნია. უკანასკნელ ათწლეულებში არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა განხორციელდა, მრავალფეროვანი მასალა გამოვლინდა, გაანალიზდა; დაინერა მონოგრაფიები, რომლებიც მკაფიოდ წარმოაჩენენ ქართველების როლსა და ადგილს, მოღვაწეობის მნიშვნელობას, მათი უფლებების დაცვისათვის ბრძოლის ისტორიას იერუსალიმსა და „წმინდა მიწაზე“. . სამეცნიერო მიმოქცევაში ფართოდ შემოდის თურქეთის რესპუბლიკის სიძველეთსაცავებში განთავსებული ოსმალური წყაროებიც (თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ (რეზიუმირებული კატალოგი), ტ.I,წ.1,თბ.,2022), რომელთა გათვალისწინება არა მარტო საქართველოს ისტორიის სხვადასხვა სა-

კითხის გასააზრებლადაა მნიშვნელოვანი, არამედ მათში დაცული ცნობები გარკვეულწილად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემის ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ „წმინდა ქალაქში“; ნათლად ასახავს ურთიერთობებს ოსმალეთის იმპერიის უმაღლეს მოხელეებთან, სხვა კონფესიების წარმომადგენლებთან, საკუთარი ეკლესია-მონასტრების და საერთო ქრისტიანული სინმინდეების შენარჩუნების მეტად აქტუალურ და რთულ საქმეში.

ოსმალთა მიერ 1517 წელს პალესტინა-იერუსალიმის დაპყრობამ უაღრესად გაართულა სხვადასხვა მიმდინარეობის ქრისტიანთა და , მათ შორის, ქართველთა მდგომარეობა. 1517 წ. 18 მარტს სელიმ I-ის (1515-1520) ბრძანებით ქრისტიანული სალოცავები, მათ შორის, ცალკეული ქართული ეკლესია-მონასტრები იერუსალიმის მელქიტ პატრიარქს დაუქვემდებარეს. ის და მისი მიმდევრები გაათავისუფლეს საბაჟო და ყველა იძულებითი გადასახადებისაგან (ჯაფარიძე, 2018:161), ხოლო მოგვიანებით იგივე დაადასტურა სულეიმან I-მა (1520-1566) . ოსმალთა გაბატონებამ ვერ გაანელა იერუსალიმში სხვადასხვა მიმდინარეობის ქრისტიანული თემების დაპირისპირება უმთავრესი ქრისტიანული სალოცავებისა და ზოგჯერ დაცარიელებული თუ ვალებში ჩაძირული ცალკეული ეკლესია-მონასტრების, მათ შორის, ქართულის, მისათვისებლად. ამის ნათელი მაგალითია ფრანცისკელთა (ფრანცისკანელთა) ორდენის მიერ ქართველთა კუთვნილი სვეტის (დაირ ალ-ამუდის) იგივე წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტრისათვის წარმოებული ბრძოლა (აბულაძე, 1986:125,132-136), რომელიც ჯერ 1561 წ. საბოლოოდ კი 1658 წ. იერუსალიმის შარიათის სასამართლოს გადაწყვეტილებით სვეტი (ლათინების მიერ san salvator-ად წოდებული) მართალია აღიარებულ იქნა ქართველთა საკუთრებად , მაგრამ 200 წლიანი იჯარით ფრანცისკელებს გადაეცათ (ჯაფარიძე, 2018:171-176). გასაგები მიზეზების გამო, ქართულმა სამონასტრო თემმა მისი დაბრუნება ვერ შეძლო. ანალოგიური დაპირისპირების მაგალითები მრავლადაა სხვა სალოცავების მიმართაც იმავე ფრანცისკელებთან, სომხებთან თუ

ბერძნებთანაც (უფრო ვრცლად ამ საკითხებზე ქვემოთ ვისაუბრებთ-ც.ქ.).

XVI ს.-ში იერუსალიმსა და პალესტინაში განვითარებული პროცესების პარალელურად მძიმე მდგომარეობაა საქართველოშიც. ქვეყანა დაშლილია სამეფო-სამთავროებად და ირან-ოსმალეთის საომარი დაპირისპირების ასპარეზადაა ქცეული. შესაბამისად, შემცირდა იერუსალიმში ქართველ მომლოცველთა რიცხვი, იკლო შეწირულობებმა, დაინგრა და დაცარიელდა ქართული ეკლესია-მონასტრები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოში ყოველთვის კარგად ესმოდათ იერუსალიმის ქართული სავანეების მნიშვნელობა და ცდილობდნენ მათ შენარჩუნებას. ამაზე მიუთითებს იმ პერიოდის შემწირველთა აღაპები, სიგელ-გუჯრები, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები (მეტრეველი, 1962). მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ნორმალური ფუნქციონირებისათვის იერუსალიმის ქართულ სამონასტრო თემს ესაჭიროებოდა მეტი მატერიალური რესურსი, რეგულარული შემოსავლის მისაღებად XVI ს. მეორე და, განსაკუთრებით, XVII ს. პირველ ნახევარში საერო და სასულიერო პირების ძალისხმევით საქართველოში ყალიბდება იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების და უმთავრესი ქრისტიანული სალოცავების კუთვნილი უძრავი ქონება- ყმა-მამული, მეტოქი ეკლესიები, „საჯვარისმამო საქონებელი“ (ხუციშვილი, 2007:13-83;123-141; ქათამაძე, 2013:65-114;134-188), რომელმაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იერუსალიმის ქართული საგანძურის მეტნაკლებად ხანგრძლივი დროით შენარჩუნებაში. ასევე უნდა აღინიშნოს იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს დაინტერესებაც. საპატრიარქოში XVI ს. მეორე ნახევრიდან ძლიერდება ბერძნული ელემენტი. ბერძნებმა კარგად უწყოდნენ, რომ იერუსალიმში დავალიანებული ქართული მონასტრების ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს უპირისპირდებიან ლათინები, სომხები და სხვები (ჟანენი, 1992:10-13), ამიტომ ბერძენმა პატრიარქებმა და მათმა რწმუნებულებმა ფართოდ გაშალეს საქმიანობა საქართველოში ყმა-მამულის მოსაპოვებლად იმ „კეთილშობილური“

საბაბით, რომ „...იმ მძიმე წლებში (იგულისხმება მამლუქთა ბატონობის ეპოქა-ც.ქ.) იერუსალიმში მცხოვრებმა იბერიელებმა დიდი დახმარება გაუწიეს ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს, რომელთანაც ისინი თანამშრომლობდნენ“ (ცაფერისი, 1993:102-105), ახლა კი ბერძნების ჯერია. ამ დაინტერესებამ XVII ს.-ში განაპირობა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს სამი უმაღლესი იერარქის ვიზიტი საქართველოში, რადგან მათთვის სულ ერთი არ იყო „ვინ დაიკავებდა ქართველთა ადგილს იერუსალიმში“ (მამისთვალისვილი, 1998:162-163; 2001:334-335; 2019:180-181; 228-236; ქათამაძე, 2013:124-133).

XVII ს. პირველ ნახევარში იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემის მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, რაც განპირობებული იყო საქართველოში უძრავი ქონების გაჩენასთან, ქართველი მომლოცველების და, შესაბამისად, შეწირულობების ზრდასა და მეტნაკლებად სტაბილური შემოსავლების მიღებასთან (ხუციშვილი, 2007; ქათამაძე, 2013), საერთოდ, XVII ს. 40-50-იან წლებში „საქართველოების“ ინტენსიურმა ძალისხმევამ ქართველთა რიცხვი მოამრავლა „წმინდა ქალაქში“ და უცხოელებმაც კიდევ ერთხელ დაინახეს, რომ „წმინდა ადგილისადმი პატივისცემის ნიშნად ბევრი (ქართველი) ცხოვრობს იერუსალიმში და ყოველწლიურად თურქეთის სამეფოს გავლით, უამრავი მოდიან საპილიგრიმოდ ჯვრებითა და დროშებით, ვერც ერთი თურქი ვერ ბედავს აწყენინოს მათ, ანდა მოთხოვოს ბაჟი“ (ფერაძე, 1995:77). თუმცა ეს არ გამორიცხავდა იერუსალიმში ოსმალთა ბატონობის შედეგად შექმნილი ვითარების გავლენას ქართველი ბერ-მონაზვნების საქმიანობაზე. თანაც პილიგრიმოზა პერიოდული და სეზონური იყო, შესაბამისად, ქართველი ბერ-მონაზვნების რიცხვი მაინც მცირე რჩებოდა (ჯაფარიძე, 2018:125). იერუსალიმის ქართული კოლონიის, სამონასტრო თემის საქმიანობის დროებითი გამოცოცხლება და აღმავლობა დაკავშირებულია ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ირბახის) საქმიანობასთან იერუსალიმში. 1643-1649 წლებში ის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი „ჯვარის მამა“ იყო და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქართული სამო-

ნასტრო კრებულის გასაძლიერებლად: თავისი და ლევან II (1611-1657) დადიანის სახსრებით ნაწილობრივ აღადგინა და მოახატვინა ჯვრის მონასტერი, დაიწყო დაფანტული და დაზიანებული ქართული ხელნაწერების „ტყვეობიდან“ დახსნა, ახლად „შემკობა“ და განახლება (Цагарели, 1888:70-79; მეტრეველი, 1962:38-40, 62-64). აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი საქართველოში ყოფნის დროსაც აქტიურად იყო ჩართული იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების ფინანსური უზრუნველყოფის საქმეში (მარდენი, 1975:199; ქათამაძე, 2013:109).

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მოღვაწეობამ მხოლოდ დროებით შეაჩერა ქართული სამონასტრო თემის დაქვეითების პროცესი. იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების ვალები იზრდება, ოსმალთა მოხელეების მადაც მატულობს, ბევრი ეკლესია დაცარიელებული ან დანგრეულია, ზოგან სხვები ჩასახლდნენ, შეწირულობები ნაკლებად ან სულ ვერ აღწევს იერუსალიმში. ამასთანავე სულთან იბრაჰიმ I-ის (1640-1648) ბრძანებით შეჩერდა ჯვრის მონასტრის განახლება, ვიდრე ქართველები დაგვიანებულ ვალებს არ გადაიხდიდნენ (ყანენი, 1992:19), ხოლო 1651 წ. ოსმალეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ჯვრის მონასტრის მეჩეთად გადაკეთება, მაგრამ მაშინ ეს საქმე ვერ განხორციელდა, რადგან საქართველოდან მოვიდა 120000 პიასტრი (გროში) (Цагарели, 1888:99), თუმცა ეს განზრახვა მოგვიანებით ნაწილობრივ მაინც აღსრულებულა და XVII ს. 80-იან წლებში აქ მაჰმადიანური სამლოცველო მოქმედებს (თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ..., 2022:193).

XVII ს. შუა წლებიდან იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემი, დროებითი აღმავლობის მიუხედავად, კვლავ მძიმე პირობებში აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში აქტიურად ამოქმედდა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო, რომელიც საკუთარი იდეოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე აქტიურად თანამშრომლობს ქართველ მეფე-მთავრებთან და სასულიერო პირებ-

თან, როგორც „საიერუსალიმო თეთრის“ უკლებლივ ამოსა-
 ლებად, ისე მაჰმადიანურ-კათოლიკური საფრთხის შესაკა-
 ვებლად და, რაც მთავარია, იერუსალიმის ბერძნული საპატ-
 რიარქოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ
 იერუსალიმის დაცარიელებულ- დავალინებული ქართული
 მონასტრები ლათინების, სომხების და სხვების ხელში არ
 გადასულიყო (ქათამაძე, 2013:124-127). XVII ს. განმავლობა-
 ში საქართველოში ჩამოსულ იერუსალიმის სამ უმაღლეს იე-
 რარქთაგან ყველაზე უფრო ენერგიულმა და მიზანსწრა-
 ფულმა დოსითეოს II -მ (1669-1707) შეძლო და ვალების გამო
 გაქირავებული თუ დაგირავებული იერუსალიმის ქართული
 მონასტრები ისევ ქართველთა ხელით და ფულით გამოისყი-
 და (მამისტვალიშვილი, 1998:162-163). ის პირადად ჩაუდგა
 სათავეში ამ საქმეს და 1681 წ.. საქართველოში ჩამოვიდა,
 დაუკავშირდა ქართლის სამეფოს უმაღლეს საერო და სასუ-
 ლიერო პირებს. იმავე წელს თბილისში მოწვეულმა კრებამ,
 რომელსაც გიორგი XI, ნიკოლოზ კათალიკოსი და სხვები ეს-
 წრებოდნენ, გადანიშნა საჭირო თანხების შეგროვება (ქსძ,
 1970:592). დოსითეოს II შემდეგ უკვე თავის მიმონერაში
 ადასტურებდა, რომ მან ქართველთაგან მიიღო სრული თან-
 ხა (ტივაძე, 1971:248-255), და ვალი 94 ათასი პიასტრი სრუ-
 ლად გადაიხადა. 1685 წ. კი „ყველა ტვირთისაგან თავისუფა-
 ლი ქართული მონასტრები იერუსალიმის ბერძნულ საპატ-
 რიარქოს გადაეცა“ (ცაფერისი, 1993:96-101). თუმცა დოსი-
 თეოს II (1669-1707) ვახტანგ VI-ს (1703-1724) აცნობებდა,
 რომ იერუსალიმის ქართული მონასტრების „ნამდვილი და
 სრული ბატონ-პატრონები ..(არიან) ქრისტესმოყვარული
 ივერიელები...ხოლო როცა...იბერიიდან მოვა ილუმენი მან
 ძველებურად ჩაიბაროს ყველა მონასტერი...“(მამისტვალიშ-
 ვილი, 2001:334; 2019:180-181, 228-237). აღსანიშნავია, რომ დო-
 სითეოს II იგულისხმება ყველა იმ ოსმალური დოკუმენტის
 „ბერძენ პატრიარქში“, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ .
 მიუხედავად იმისა, რომ იერუსალიმის ბერძნული საპატრი-
 არქო თვითონვე აღიარებდა ქართველთა იური

დიულ უფლებებს იერუსალიმის ქართულ ეკლესია-მონასტრებზე, ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და დაიწყეს ყოველივე ქართული კვალის მოშლა, ისედაც შემცირებული ბერ-მონაზვნები დაფანტეს სხვა ეკლესიებში, აიკრძალა ქართულ ენაზე ღვთისმსახურება...ამან კი XVIII-XIX საუკუნეების განმავლობაში ქართული ელემენტი ორიოდ გამო-ნაკლისის გარდა სრულიად გააქრო იერუსალიმში (Цагарელი.,1888:70,101; ჟანენი., 1992:19-21).

იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემის ამ პერიოდის ისტორიის სრულყოფილად შესაფასებლად და გასააზრებლად უაღრესად მნიშვნელოვანია ოსმალური დოკუმენტური წყაროების გათვალისწინება (თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ..., 2022:185,186,193,215,221). დოკუმენტები დაცულია სტამბოლის ოსმალური არქივის ბაბი ასაფის (დიდვეზირის სასახლე, „მაღალი კარი“) ფონდში. აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტები იერუსალიმის უმაღლესი მოხელეებისადმი გაცემული წარმოადგენს პასუხს დაწერილ საჩივრებზე, რომლებიც შეტანილი იყო ბერძენი და ქართველი სასულიერო პირების მიერ სახელმწიფო საბჭოში, რომელსაც ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირი ხელმძღვანელობდა. იმდენად, რამდენადაც იერუსალიმსა და მის შემოგარენში არსებული ეკლესია-მონასტრები დანგრეული ან დაზიანებული იყო, ხოლო ისლამური სამართლის მიხედვით მათი მხოლოდ აღდგენა შეიძლებოდა და არავითარ შემთხვევაში ახლის აშენება ან ცვლილებების შეტანა. ამისათვის საჭირო იყო ოსმალეთის უმაღლესი ხელისუფლების ნებართვა, აღდგენის პროცესს ესწრებოდა მუსლიმი ხუროთმოძღვარი, რომ რაიმე ცვლილება არ ყოფილიყო შეტანილი (ჯაფარიძე.,2018:126). ამ ვითარების გათვალისწინებით 1694 წლის 14 თებერვალს, წმინდა იერუსალიმის მმართველსა და ყადის ებრძანათ, რომ „მათ არ უნდა გაუწიონ წინააღმდეგობა ბერძენი (მართლმადიდებელი) პატრიარქისა, ბერძენი და ქართველი სასულიერო პირების მოთხოვნას იერუსალიმში, ბეთლემის მაცხოვრის შობისა და აღდგომის ტაძრების შეკეთების შესახებ“ (თურქეთის არქივებში..., 2022:185), ხოლო იმავე წლის 10 აპრილის ბრძანება

შეეხება „ბერძენი და ქართველი სასულიერო პირების საჩივრებს იერუსალიმსა და მის შემოგარენში არსებული ეკლესია-მონასტრების შეკეთების სხვადასხვა მიზეზებით ხელისშეშლასთან დაკავშირებით (თურქეთის არქივებში..., 2022:185). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ბერძნებთან ერთად ქართველები ყოველთვის გამოდიან უპირველესი ქრისტიანული სალოცავების დასაცავად, რომელთა ნაწილს, სხვათაშორის, საუკუნეების განმავლობაში ქართველებიც ფლობდნენ (მეტრეველი.,1962; ჯაფარიძე.,2018; ქართული ქრისტიანული თემი წმინდა მიწაზე., 2022) და ამასთანავე, დაზიანებულ მონასტრებში იგულისხმებოდა ქართული სავანეებიც, რომლებიც, იურიდიულად მაინც, ჯერ კიდევ ქართველთა საკუთრებაა. 1685 წლის 6 ოქტომბრის ერთ ოსმალურ დოკუმენტში ჩამოთვლილია ის ქართული ეკლესია- მონასტრები, რომლებიც უსახსრობის გამო დანგრევის პირას იყო მისული (ჯაფარიძე.,2018:127-128; ქართული ქრისტიანული თემი წმინდა მიწაზე.,2022). კერძოდ: წმ. ჯვრის მონასტერი, წმ. ნიკოლოზის, წმ. თევდორეს, წმ. ბასილის, წმ. გიორგის და დერთუფას მონასტრები. ჯვრის მონასტერში შექმნილი მდგომარეობა კარგად ჩანს 1696 წ. 3 აპრილს გაცემულ ბრძანებაში, რომლითაც იერუსალიმის ყადს უნდა აღეკვეთა მისი მოხელეების ძალმომრეობა, რადგან „დეირი მუსალლის? (დაირ ალ მუსალლაბა- ჯვრის მონასტრის არაბული სახელწოდება) მონასტერში ქართველ და ბერძენ სასულიერო პირებს უკრძალავდნენ ნირვას, სთხოვდნენ ფულს იმ მიზეზით, რომ ამ მონასტერში არის მუსლიმური სამლოცველო და მინარეთი. გიბრძანებთ აღიკვეთოს მათი ეს მოთხოვნა და არ ჩაერიონ მონასტრის საქმიანობაში“ (თურქეთის არქივებში..., 2022:193). ამ ცნობიდან ისიც ირკვევა, რომ თუ XVII ს. 50-იან წლებში ქართველებმა შეძლეს თავიდან აეცილებინათ ჯვრის მონასტრის მეჩეთად გადაკეთება, დროა განმავლობაში ჯვარში მაინც ამოქმედებულა მუსლიმური სამლოცველო; ასევე მოხელეებისა და მაჰმადიანური მოსახლეობის მხრიდან სასულიერო პირთა შევიწროება, ფულის მოთხოვნა და ა.შ. საკმაოდ ხშირია. რის გამოც ქართველებიც და ბერძნებიც იძულებული

არიან კვლავ იმპერიის უმაღლეს ხელისუფალს მიმართონ. ამ საჩივრების პასუხად გამოცემულ ბრძანებებში საყურადღებო ვითარება იკვეთება. ასე, მაგ., 1691 წ. 30 იანვრის ბრძანებით იერუსალიმის მმართველსა და ყადის უნდა უზრუნველყოთ იერუსალიმის გადაყენებული მმართველის ვინმე სალიჰ-ფაშას მიერ უკანონოდ აკრეფილი გადასახადების დაბრუნება, რადგან „იერუსალიმის ბერძენი (მართლმადიდებელი) პატრიარქი, ბერძენი და ქართველი სასულიერო პირები და ხარაჯას გადამხდელი ქრისტიანები, სულთან სელიმის (მიერ) იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ გათავისუფლებული იყვნენ გადასახადებისაგან“ (თურქეთის არქივებში..., 2022:186). თუმცა ერთი წლის შემდეგაც საკითხი მოუგვარებელია და განმეორებით 1692 წ.10 იანვარს გამოიცა ბრძანება ვითარების გამოსასწორებლად. სულთან სელიმ I-ის მიერ 1517 წ. 18 მარტის ბრძანებით ზოგიერთი გადასახადისაგან ქრისტიანთა გათავისუფლების შესახებ უკვე აღინიშნა, მაგრამ იერუსალიმში სხვადასხვა ქრისტიანულ თემს, მათ შორის, ქართველებსაც დაკისრებული ჰქონდათ გადასახადები, ასევე გარკვეული ვალდებულებებიც მაჰმადიანური მოსახლეობის მიმართ, ოსმალთა მოხელეებისათვის მისართმევი ძღვენი და სხვა, რაც ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა (ჯაფარიძე, 2018:132-138). ყოველ შემთხვევაში აღნიშნული ძალმომრეობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა და 1703 წელსაც კი იერუსალიმის ყადს უბრძანებენ, რომ იმავე „სალიჰ-ფაშას პერიოდიდან მოყოლებული უსამართლოდ სთხოვდნენ ზედმეტ გადასახადებს ქრისტიანებს და ქართველი და ბერძენი სასულიერო პირების საჩივრების საფუძველზე მიღებული უნდა ყოფილიყო შესაბამისი ზომები (თურქეთის არქივებში..., 2022:215).

ოსმალური დოკუმენტური წყაროები საინტერესო ცნობებს გვაწვდის იერუსალიმში სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანული თემების დაპირისპირების შესახებ. ფრანცისკელებთან სვეტიც (ამუდის) წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტრის გარშემო არსებული კონფლიქტის შესახებ უკვე აღინიშნა, მონასტერი საბოლოოდ ფრანცისკელი ბერების ხელში აღმოჩნდა (ჯაფარიძე, 2018: 172-178). ასევე

საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა დაპირისპირება გოლგოთას გამო. ცნობილია, რომ ქართველები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ წმინდა ადგილებს და უპირატესობითაც სარგებლობდნენ სხვა ქრისტიანულ თემებს შორის. მამლუქთა ეპოქაში დაპირისპირება ქართველებსა და ფრანცისკელებს შორის 1491 წ. გადაწყდა, როცა ქართველებს გოლგოთას ჩრდილოეთი, ხოლო ფრანცისკელებს -სამხრეთი ნაწილი ერგოთ. თუმცა 1493 წ. დავა განახლდა და რაკი ქართველებმა საბუთები ვერ წარმოადგინეს, გოლგოთას ჩრდილოეთიც დაკარგეს. სამლოცველოს დაბრუნება ბენა ჩოლოყაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. 1513 წ. შარიათის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაპირისპირება კომპრომისით დამთავრდა. ოსმალთა ეპოქაში კონფლიქტი მოჰყვა ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის გამყოფი თალის კუთვნილების საკითხს. 1541 წ. შარიათის სასამართლოს დადგენილებით დავა ქართველთა სასარგებლოდ გადაწყდა. თუმცა მომდევნო საუკუნეში 1646 წ. შემდეგ „წმინდა მიწაზე“ არსებული ვითარების გამო გოლგოთაზე ქართველები აღარ იხსენიებიან (ჯაფარიძე, 2018:171-172; ქართული ქრისტიანული თემი წმინდა მიწაზე, 2022: 89-96).

ოსმალური დოკუმენტური წყაროები საინტერესო მასალებს შეიცავს სომხებთან, კოპტებთან, ასირიელებთან დაპირისპირების შესახებ. 1697 წ. 13 დეკემბერს გამოცემული ორი ბრძანება იერუსალიმის ყადსა და პასუხისმგებელ პირებს ავალებს მოგვარდეს უთანხმოება ქართველების, ასირიელების, ჰიჯაზის (ჰაბეშის) და კოპტების მფლობელობაში არსებულ ეკლესიებზე, მონასტრებსა და საეკლესიო მიწებზე სომხებისა და სხვების ჩარევა (თურქეთის არქივები..., 2022:193). როგორც ჩანს სხვადასხვა ქრისტიანული თემის დაპირისპირება საკმაოდ ხშირი იყო და სულთნის ხელისუფლება ცდილობდა მის მოგვარებას. ყოველ შემთხვევაში 1698 წ. 12 მარტს სასულიერო პირებისა და მრევლის საჩივრის საფუძველზე იერუსალიმის მოლას უნდა მოეგვარებინა მაცხოვრის აღდგომის მონასტერში ღვთის მსახურების გამო ქართველებს, სომხებსა და ასირიელებს შორის წარმოქმნი-

ლი უთანხმოება (თურქეთის არქივებში..., 2022:193). საბოლოოდ ეს უთანხმოება და აღდგომის ტაძარში ღვთისმსახურებაში უპირატესობა ბერძნულმა საპატრიარქომ მოიპოვა, რასაც ადასტურებს 1719 წ. 12 დეკემბრის ბრძანება იერუსალიმის სანჯაყის მმართველსა და იერუსალიმის ყადისადმი (თურქეთის არქივებში..., 2022:229). ამ დროს იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ტახტზე უკვე დოსითეოს II-ის მემკვიდრე და დისწული ქრისანთოსი ზის. სწორედ დოსითეოს II (1669-1707) იგულისხმება ოსმალური დოკუმენტური წყაროების „ბერძენ პატრიარქში“, რომელმაც საპატრიარქო ტახტიც კი სტამბოლში გადაიტანა, რომ თავისი მიზნების განსახორციელებლად იმპერიის დედაქალაქში ყოფილიყო. რაც შეეხება ოსმალურ დოკუმენტურ წყაროებში ასახულ უთანხმოებას ქართველებსა და სომხებს შორის წმინდა ადგილებში უპირატესობის მოსაპოვებლად, ალბათ, ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია წმინდა იაკობის მონასტრის გარშემო არსებული დაპირისპირება. ამ საკითხმა ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, მით უფრო, რომ იერუსალიმში ამ სახელის მატარებელი ხუთი ეკლესია თუ მონასტერი არსებობდა. ქართული თემის საკუთრებაში სიონის მთაზე არსებული წმ. იაკობის (ზებედეს ძის) სახელობის ტაძარი ჯერ კიდევ XI ს.-დან იხსენიება. თუმცა საუკუნეთა განმავლობაში ის ხელიდან ხელში გადადიოდა. ოსმალთა ბატონობის ხანაშიც ცნობილი იყო ტაძრის ქართველებისადმი კუთვნილება, მის დაკავებას ბერძნებიც ცდილობდნენ, მაგრამ იერუსალიმში შექმნილი ვითარებით და ქართული თემის დასუსტებით ისარგებლეს სომხებმა და შეძლეს წმ იაკობის (ზებედეს ძის) ეკლესიის შენარჩუნება და ამჟამად იქ იერუსალიმის სომხური საპატრიარქოს რეზიდენციაა განთავსებული (ვრცლად: ჯაფარიძე., 2018:143-147).

ამრიგად, ოსმალური დოკუმენტური წყაროების ანალიზის საფუძველზე კარგად ჩანს, რომ მიუხედავად საქართველოსა და იერუსალიმში შექმნილი რთული ვითარებისა ქართველი საერო და სასულიერო პირები აქტიურად არიან ჩართული იერუსალიმის უმთავრესი ქრისტიანული სიწმინდეების თუ ჯერ კიდევ ქართველთა საკუთრებაში (იურიდიუ-

ლად მაინც) არსებული ეკლესია-მონასტრების დაცვის საქმეში, რადგან საქართველოში მშვენივრად ესმოდათ ამ სავანეების კულტურული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა; ქართველები მიზნის მისაღწევად ბერძნებთან ერთად მიმართავდნენ ოსმალეთის იმპერიის უმაღლეს ხელისუფლებას, თუმცა არსებულ არახელსაყრელ ვითარებაში იერუსალიმის ქართული საგანძურის შენარჩუნება ვერ მოხერხდა. ოსმალური დოკუმენტური წყაროების შემდგომი შესწავლა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა „წმინდა მიწაზე“ ქართველთა მოღვაწეობის ისტორიას ახალი ფურცლებით კიდევ უფრო გაამდიდრებს .

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აბულაძე ც., სულეიმან კანუნის ჰუკუმები იერუსალიმის ერთი ქართული მონასტრის ფრანცისკანელთათვის გადაცემის თაობაზე, „მაცნე“ (ისტორიის სერია), 2, თბ., 1986;

თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ (რეზიუმირებული კატალოგი), დოკუმენტები მოიძიეს, დაამუშავეს და ქართული რეზიუმეები დაურთეს მ. მახარაძემ, ზ. შაშიკაძემ, ა. კაშიამ, ტ. I, წ. 1, თბ., 2022;

მამისტვალიშვილი ელ., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. III, თბ., 2019;

მამისტვალიშვილი ელ., საქართველო და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998;

მამისტვალიშვილი ელ., ქართლის სამეფოსა და იერუსალიმის საპატრიარქოს ისტორიიდან (მე-17 ს. მე-2 ნახევარი), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, VIII, თბ., 2001;

მეტრეველი ელ., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962;

ჟანენი რ., ქართველები იერუსალიმში, ჟურნალი „რელიგია“, № 10, თბ., 1992;

ტივაძე თ., იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, თბ., 1971;

ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, ქართული ეკლესიის ისტორია, ტ. IV, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო გ. ჯაფარიძემ, თბ., 1995;

ქათამაძე ც., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა იერუსალიმის ქართულ კოლონიასთან (XVI-XVIII სს.), თბ., 2013;

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970;

ქართული ქრისტიანული თემი წმინდა მინაზე, შეადგინეს გ. გაგოშიძემ, ნ. კვირიკაშვილმა, თ. ცერაძემ, ლ. ხოფერიამ, მ. ჯანჯალიამ, თბ., 2022;

შარდენი ჟ., მოგზაურობა სპარსეთსა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მაგალობლიშვილმა, თბ., 1975;

Цагарели А., Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, ППС, т. IV, вып. I, СПб., 1888;

ცაფერისი ვ., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, ჟურნალი „რელიგია“, №6-7, თბ., 1993;

ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მინათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2007;

ჯაფარიძე გ., ქართული სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მინაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით), თბ., 2018.

ლევან ჯიქია
Levan Jikia

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის
გამოუქვეყნებელი ნაშრომი „აჭარისტანი“
*Academician Ivane Javakhishvili's
unpublished work „Ajaristani“*

აბსტრაქტი. აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ნაშრომზე „აჭარისტანი“ მუშაობა 1933 წლის 20 აპრილამდე დაასრულა. ნაშრომზე მუშაობისას მან გამოიყენა ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომების გარდა თავისი ექვსი ნაშრომი, რომელთაგან ნაწილი გამოქვეყნებული, ნაწილი კი გამოუქვეყნებელი იყო. ავტორი მიმოიხილავს ქართულ და ბერძნულ წყაროებს, სადაც ტერმინი „აჭარა“ ფიგურირებს და ცდილობს ქართული და ბერძნული წყაროების ანალიზის შედეგად აღადგინოს აჭარის პოლიტიკური ცხოვრება X საუკუნიდან 1878 წლამდე, ანუ აჭარის რუსეთის იმპერიასთან შეერთებამდე.

Abstract. Academician Ivane Javakhishvili completed his work on the work "Ajaristan" before April 20, 1933. In addition to the works of Beri Egnatashvili and Vakhushti Batonishvili, he used six of his works, some of which were published and some were unpublished. The author reviews Georgian and Greek sources where the term "Ajara" figures and tries to restore the political life of Ajara from the X century to 1878, i.e. before the joining of Ajara with the Russian Empire, as a result of the analysis of Georgian and Greek sources.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის სიმონ ჯანაშიას ფონდში¹ ინახება აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) გამოუქვეყნებელი ნაშრომი „აჭარისტანი“, რომელიც მოიცავს მანქანაზე ნაბეჭდ პატარა ფორმატის (19,5X13,5 სმ.) 25 გვერდს. ნაშრომის უკიდურეს ზედა მხარეს მეორე გვერდიდან ბოლო გვერ-

¹ ფონდი 2119, ანაწერი 1, საქმე 568.

დის ჩათვლით ფრჩხილებში მოცემულია ნაშრომის სათაური „აჭარისტანი“.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის „აჭარისტანის“ დედანი, ხელნაწერის სახით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში ინახება.¹ ხელნაწერი ძნელად იკითხება, ფურცლები კი გაცურეცილია. ხელნაწერში, მანქანაზე ნაბეჭდი ვერსიისგან განსხვავებით, გვერდებზე დასათაურება არ გვხვდება.

ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში ტერმინ „აჭარისტანს“ მხოლოდ ერთხელ იყენებს (სწორედ ამ ტერმინით იწყება თხრობა). ყველა სხვა შემთხვევაში ტერმინი „აჭარა“ არის გამოყენებული. ჩვენთვის უცნობია, ნაშრომის სათაური, „აჭარისტანი“ თავად ავტორს ეკუთვნის თუ ტექსტის რედაქტორს/რედაქტორებს.²

ნაშრომს (აქ და ქვემოთ ნაშრომის ბეჭდურ ვერსიას განვიხილავთ) პირველ გვერდზე ზედა მარცხენა კუთხეში აქვს ლურჯი ფერის კალმით მინაწერი: „შედარებულია ქ. ლომთათიძე“. აღნიშნული მინაწერი გვაფიქრებინებს, რომ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი გრამატიკულად ენათმეცნიერმა ქეთევან ლომთათიძემ გაასწორა, რადგან ნაშრომში მართლაც გვხვდება ცალკეული გრამატიკული ჩასწორებები ლურჯი და წითელი ფერის კალმებით. პირველ გვერდზე გვხვდება ჩასწორებები ლურჯი და წითელი ფერის კალმით, ხოლო დანარჩენ გვერდებზე მხოლოდ წითელი ფერის კალმით.

ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომის პირველ გვერდზე სიტყვა „აჭარისტანი“ გადახაზულია და ზედ ლურჯი ფერის კალმით აწერია „აჭარა“. აღნიშნული ჩასწორება ქ. ლომთათიძეს არ ეკუთვნის, რადგან მის კალიგრაფიას არ ემთხვევა. ლოგიკურად გაგვიჩნდა მოსაზრება, ეს სიტყვა ნაშრომში სიმონ ჯანაშიას ჩასწორებული ხომ არ იყო? ჩვენ შევადარეთ ეს კალიგრაფია სიმონ ჯანაშიას ხელნაწერებში ასოთა მოხაზულობას, რომლის შემდეგაც შეგვიძლია დავას-

¹ ეროვნული არქივი გამოსაცემად ამზადებს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომს „აჭარისტანი“.

² მიუხედავად ამისა, ჩვენ ვეყრდნობით ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის ბეჭდურ ვერსიაში მოცემულ დასათაურებას.

კვნათ, რომ ეს ჩასწორება ნამდვილად სიმონ ჯანაშიას ეკუთვნის.

ამდენად, შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომს „აჭარისტანი“ რედაქტირება გაუკეთეს ენათმეცნიერმა ქეთევან ლომთათიძემ და ისტორიკოსმა სიმონ ჯანაშიამ.

საინტერესოა, როდის დაასრულა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ნაშრომზე მუშაობა? მართალია, ნაშრომს თარიღი არ უზის, მაგრამ ნაშრომის ბოლო გვერდის უკანა მხარეს შტამპზე არის ჩანანერი, რომლითაც დასტურდება, რომ ნაშრომი 1933 წლის 20 აპრილს ჩაიბარა ვინმე თ. ანდლულაძემ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ივანე ჯავახიშვილმა ნაშრომზე მუშაობა 1933 წლის 20 აპრილამდე დაასრულა.

საინტერესოა ასევე ის, რომ ივანე ჯავახიშვილი ნაშრომის ბოლოს უთითებს გამოყენებულ ლიტერატურას, რომელთაგან ექვსი ნაშრომი თავად მას ეკუთვნის: „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“; „ქართველი ერის ისტორია, წიგნი I“; „ქართველი ერის ისტორია, წიგნი II“; „ქართველი ერის ისტორია, წიგნი III“; „ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV“; „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ (ავტორი ასე იყენებს ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომებს);

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: „ქართველი ერის ისტორიის შესავალი. ნ. 1., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“, რომელიც 1950 წელს გამოიცა და „ქართველი ერის ისტორიის შესავალი. ნ. 2., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, რომელიც 1937 წელს არის გამოქვეყნებული.

ამდენად, ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლეში გამოიცა „ქართველი ერის ისტორიის შესავლის“ მხოლოდ მეორე ნაწილი, თუმცა ამ ნაშრომში აჭარაზე საუბარი არ არის. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ივანე ჯავახიშვილი იმონებს „ქართველი ერის ისტორიის შესავლის“ გამოუქვეყნე-

ბელ ვერსიას (როგორც ვხედავთ, „ქართველი ერის ისტორიის მესაველს“ ის ნაწილებად არ ჰყოფს).

„ქართველი ერის ისტორიის“ წიგნი 1, 1908 წელს გამოიცა, წიგნი 2 – 1914 წელს, წიგნი 4 კი – 1924 წელს. რაც შეეხება „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე წიგნს, ის მეცნიერმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გამოსაცემად ჩააბარა და 1941 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოაქვეყნა (ამ დროს მეცნიერი გარდაცვლილი იყო).¹

ანუ, ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლეში „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე წიგნი არ გამოქვეყნებულა. შესაბამისად, მეცნიერი ნაშრომში „აჭარისტანი“, როგორც ჩანს, „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე წიგნის გამოუქვეყნებელ ვერსიას უთითებს.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილის ნაშრომს „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, ის 1912 წელს გამოქვეყნდა.

ამდენად, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მიერ ნაშრომში „აჭარისტანი“ მითითებული მისივე ნაშრომების გამოცემის წლების ანალიზი არ ეწინააღმდეგება იმ თვალსაზრისს, რომ მეცნიერმა ნაშრომ „აჭარისტანზე“ მუშაობა ნამდვილად 1933 წლის 20 აპრილამდე დაასრულა.

1933 წელს ენათმეცნიერი ქეთევან ლომთათიძე 22 წლის იყო, ამიტომ, ნაკლებად სავარაუდოა, ამ დროს მისთვის ისეთი საპატიო მისია დაეკისრებინათ, როგორიც აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის გრამატიკულად გასწორება იყო. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქ. ლომთათიძემ ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი გრამატიკულად მოგვიანებით გაასწორა და სავარაუდოდ გამოსაცემად მოამზადა, თუმცა, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, ნაშრომი არ გამოქვეყნებულა.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომებში არაერთხელ შეეხო აჭარის თემას („ქართველი ერის ისტორია“; „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით“; „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“; „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, XIII-XIV სს., თბილისი, 1941.

და ახლა (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა)“; „მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“; „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. I“; „ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები“ და სხვა). მიუხედავად ამისა, დღემდე არ გამოქვეყნებულა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი, რომელიც მხოლოდ აჭარაზე იქნებოდა კონცენტრირებული. ამ გარემოების გათვალისწინებით, აღნიშნული ნაშრომი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომთან მიმართებაში ლოგიკურად ჩნდება გარკვეული კითხვები:

1. რატომ არ გამოაქვეყნა მეცნიერმა ეს ნაშრომი?
2. რატომ ამთავრებს ის თხრობას 1878 წლით, ანუ აჭარის რუსეთთან შეერთებით?
3. ვინ გადასცა ეს ნაშრომი გასასწორებლად ქ. ლომთათიძეს და როდის?
4. როგორ აღმოჩნდა ეს ნაშრომი აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას პირად არქივში?

ამ კითხვებზე ცალსახა პასუხი, სამწუხაროდ, არ გვაქვს, შეიძლება მსჯელობა მხოლოდ ვარაუდის დონეზე.

ნაშრომში აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი თხრობას იწყებს ქართულ და ბერძნულ წყაროებში ტერმინ „აჭარის“ გამოყენების საკითხით. ტერმინი აჭარა პირველად იხსენიება სტეფანე მტევეარის მიერ დაწერილ ნაშრომში „ნამებაი წმიდისა მონამისა გობრონისი“, რომელიც 914-918 წლებით თარიღდება. რაც შეეხება ბერძნულ წყაროებს, X საუკუნის მოღვაწის კონსტანტინე პორფიროგენეტის ნაშრომში აჭარის წყალია ნახსენები. მიუხედავად ამისა, ივანე ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ ტერმინი აჭარა მეთავე საუკუნეზე გაცილებით ადრე არის დამკვიდრებული.

XI-XII საუკუნეების ქართულ საისტორიო თხზულებებში ტერმინი აჭარა არა ერთგან გვხვდება, თუმცა მხოლოდ გაკვრით.

ივანე ჯავახიშვილი ახასიათებს აჭარის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს და საუბრობს აჭარაში განვითარებული სოფლის მეურნეობის შესახებ. ავტორი საგანგებოდ უსვამს

ხაზს აჭარის ეკონომიკურ და სამხედრო მნიშვნელობას საქართველოსთვის.

როგორც ავტორი აცხადებს, წყაროებისა და ცნობების სიმცირის გამო აჭარის პოლიტიკური ისტორიის აღდგენა რთულია. ივანე ჯავახიშვილის აზრით აჭარა კოლხეთის სამეფოს ეკუთვნოდა, ხოლო მისი დაშლის შემდეგ კი – ლაზიკის სამეფოს.

VI ს-ში „დიდი ომიანობის“ დროს, როგორც ჩანს, აჭარა ლაზიკის სამეფოს ფარგლებში არ იყო მოქცეული.

იოანე საბანისძის ნაშრომიდან ირკვევა, რომ VIII ს-ში აჭარა აფხაზეთად სახელდებული დასავლეთ საქართველოს მომცველი სამეფოს ნაწილი იყო. მაგრამ უკვე IX ს-ის დამდეგიდან მდგომარეობა შეიცვალა და კლარჯეთი და შავშეთი ბიზანტიის კეისრის მფარველობის ქვეშ მყოფი ტაო-კლარჯეთის სამფლობელოდ იქცა (მთლიანად თუ არა, აჭარის წყლამდე მაინც).

XV ს-ში, როგორც ჩანს, შავშეთი, კლარჯეთი და ჭანეთის ერთი ნაწილი მესხეთის მთავრების სამფლობელოს წარმოადგენდა.

1460 წ. განსაცდელში ჩავარდნილი ყვარყვარე ათაბაგი იძულებული გახდა, მესხეთის ურჩ ერისთავთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის, აჭარა და სხვა თემები ჭანეთამდე კახაბერ გურიელისათვის დაეთმო. იერუსალიმელ-ანტიოქელი პატრიარქის მიხეილის მიერ შედგენილ სასჯულო მცნებით ირკვევა, რომ აჭარა აფხაზეთის კათალიკოზს ექვემდებარებოდა. ადმინისტრაციულად აჭარას გურიის ერისთავები განაგებდნენ.

XVI ს-ში ოსმალებთან დაზავების შემდეგ, მზეჭაბუკ ათაბაგი გურიელის სამთავროს თავს დაესხა და მას აჭარა და ჭანეთი წაართვა.

1535 წელს მურჯახეთის ბრძოლაში იმერეთის მეფე ბაგრატმა ყვარყვარე ათაბაგი დაატყვევა და აჭარა გურიელს დაუბრუნა.

მოგვიანებით აჭარა და ჭანეთი ოსმალებმა დაიპყრეს. ხონთქარმა აჭარა ადმინისტრაციულად ახალციხის ფაშას დაუქვემდებარა და აჭარის ბეგი მის ხელქვეითად აქცია. მესხეთსა და აჭარაში ქრისტიანობასა და ქართულ ეროვნულ სახეს საშუალო შეძლების გლეხები იცავდნენ, თუმცა მოგვი-

ანებით მაჰმადიანობამ გლეხთა შორისაც მოიკიდა ფეხი. მაჰმადიანობის გავრცელებას იმ გარემოებამ შეუწყო ხელი, რომ გამაჰმადიანებისთანავე გლეხის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდებოდა. თუ გამაჰმადიანებამდე ისინი ყმები იყვნენ, სჯულის შეცვლის შემდეგ, მათი მებატონეები და მოხელეები „ხარკთაგან კიდე ვერარას ავნებდენ გლეხთა“. ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად ბათომი (ბათუმი) ფაქტიურად დაბადაიქცა. 1878 წელს, როდესაც რუსეთ-ოსმალეთის ზავის შედეგად ბათუმის ოლქი რუსეთის ჯარმა დაიკავა, მისი მოსახლეობა 3000 არ აღემატებოდა.

ამდენად, შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ, რომ აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ნაშრომზე „აჭარისტანი“ მუშაობა 1933 წლის 20 აპრილამდე დაასრულა. ნაშრომზე მუშაობისას მან გამოიყენა ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომების გარდა თავისი ექვსი ნაშრომი, რომელთაგან ნაწილი გამოქვეყნებული, ნაწილი კი გამოუქვეყნებელი იყო. ავტორი მიმოიხილავს ქართულ და ბერძნულ წყაროებს, სადაც ტერმინი „აჭარა“ ფიგურირებს და ცდილობს ქართული და ბერძნული წყაროების ანალიზის შედეგად აღადგინოს აჭარის პოლიტიკური ცხოვრება X საუკუნიდან 1878 წლამდე, ანუ აჭარის რუსეთის იმპერიასთან შეერთებამდე.

მარიამ მარჯანიშვილი
Mariam Marjanishvili

„თეთრი გიორგის“ ლიდერის პოლიტიკური კრედო

The political credo of the leader of "White Giorgi"

Abstract. Youth is characterized by dreams and, therefore, it maintains faith in justice even in the most difficult situations. From an early age, Leo Kereselidze was well aware of the essence of the political life of an ideological political figure or a man fighting for an ideal: persecution, imprisonment, exile... But, as all this resistance was aimed at one goal, it gave Leo Kereselidze, the fighter for the independence of his homeland, a sense of joy and pride.

“I started my political activity in 1900 when I was just 16. The same year, I founded ‘The Georgian independence circle’ in Tbilisi, whose members were many young people, including V. Kartvelishvili, N. Maghalashvili, G. Kereselidze, Sh. Amirejibi and others. Our publication was a newspaper *Young Georgia*.

In 1904, I went to Geneva, where I attended an Engineering College. After finishing it, I intended to continue my studies in a European military Academy. I thoroughly studied the theory of military science”.

Being young, passionate, full of idealism, love for his homeland and belief in its liberation, Leo Kereselidze "was born to fight, and the fight would be the content of his whole life", wrote Mikhako Tsereteli. Turning out to be in emigration, Leo Kereselidze, together with Georgian national-political and scientific-cultural forces, started relentless struggle for Georgia's independence and freedom.

At the beginning of the XX century, when the Socialist-Federalists got actively involved in the ongoing political battles in Georgia, Leo Kereselidze performed the most difficult tasks, whether it was the importation of ships loaded with weapons into Georgia at the beginning of the 1905 revolution, or looting of the Dusheti treasury in May 1906 by order of the committee.

Due to the expropriation of the Dusheti treasury, the Geneva court acquitted him and his accomplices under international law. Soon, Leo Kereselidze graduated from the Law Faculty of Geneva University. He was well aware of the great power and importance of knowledge in the welfare of the homeland. Here, he defended his dissertation and was appointed a private associate professor at the Faculty of Law.

In 1911, under the chairmanship of Petre Surguladze, the "Committee of the Georgian Separatists' Party Abroad" was established in Geneva. The party had links with the underground "Separatists' League" in Georgia.

The "Committee of the Georgian Separatists' Party Abroad" was a large organisation, whose chair was Petre Surguladze, the secretary was Giorgi Kereselidze and the members were Leo Kereselidze, Nestor Maghalashvili and many others.

At their initiative, the magazine *Free Georgia* was founded in Germany. It was sent to Georgia illegally. "This group and its body prepared a 'Georgian opinion' to understand the future of the great cause and to act in the great war."

At the beginning of the 1914 war, Georgian separatists changed tactics and established a new, Georgian Independence Committee, instead of the old one. In the World War, Georgia's Independent Committee sided with Germany and the Ottoman Empire in order to overthrow the Russian colonial regime in Georgia and declare Georgia's independence. At the initiative of Leo Kereselidze, a Georgian legion was formed on the Ottoman territory, which would fight only on the Georgian border or on the territory of Georgia, and nowhere else.

The *Georgian Newspaper*, founded by the committee in Germany, aimed to work in captive camps to rid the Georgian nation of Russian space. The newspaper regularly published Leo Kereselidze's political, scientific, artistic and historical works and publications.

It is noteworthy that in 1918, Leo Kereselidze published a 45-page book "Fantasies Orientales" in French in Geneva. It contained several fantasies, and his Georgian translations – "Queen Tamar and her poet Shota Rustaveli" and "Lake Bazaleti" were published for the first time in the "*Georgian newspaper*" (N25, 1. IV. 1917). A

politician, colonel, creative figure Leo Kereselidze, with his talent, ability and knowledge, "did a lot" at the age of 33 – to make his pre-determined goal, which was called freedom and independence of the homeland, a bit more real.

Key words: *L. Kereselidze, "White Giorgi", "Georgian newspaper", "Bazleti Tba", Geneva.*

ახალგაზრდობას ოცნება ახასიათებს და ამიტომაც ცხოვრებაში მიყენებულ ტანჯვა-მწუხარების მიუხედავად, ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი მაინც ინარჩუნებენ სამართლიანობის რწმენას. ვინაიდან, ეს ტკივილი იძლევა, სწორედ, ძირითად ცოდნას იმის შესახებაც, თუ როგორი იქნება საბოლოოდ მისი ხვედრი.

ცნობილ პოლიტიკურ, სამხედრო და შემოქმედებით მოღვაწეს ლეო კერესელიძეს, ამიტომაც ჰქონდა ყმანვილკაცობიდანვე გათავისებული იდეალისათვის მებრძოლი ადამიანის პოლიტიკური ცხოვრების არსი: დევნილობა, ციხე, გადასახლება, გაძევება, ოჯახისა და თავისი სოციალური წრის დაშორება, არალეგალური ცხოვრება, შეუსაბამო მძიმე სოციალური მდგომარეობა, თავისიანებისა და სამშობლოს ნატვრა, შეზღუდული თავისუფლება...

ეს საფრთხეები სიხარულისა და სიამაყის შეგრძნებასაც აძლევდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ლეო კერესელიძეს, რადგან იგი მასში, ერთი შეხედვით, სხვათათვის, თითქოსდა უშედეგოდ დაკარგულ ცხოვრებას კი არა, მამულიშვილის მოღვაწეობის ნამდვილ ღირსებას ხედავდა: „პოლიტიკური მოღვაწეობა დავიწყე 1900 წლიდან, როდესაც ჯერ 16 წლისა ვიყავი. ამ წელს დავაარსე თბილისში „საქართველოს დამოუკიდებლობის წრე“, რომელშიც შედიოდა ახალგაზრდობა. მათ შორის: ვ. ქართველიშვილი, ნ. მაღალაშვილი, გ. კერესელიძე, შ. ამირეჯიბი და სხვები. ჩვენი ორგანო იყო ჟელვატინზე დაბეჭდილი გაზეთი „ახალგაზრდა საქართველო“.

1904 წელს ნავედი ჟენევაში და შევედი საინჟინრო სასწავლებელში. აზრათ მქონდა ამ სასწავლებლის გათავების

შემდეგ შევსულიყავი ევროპის რომელიმე სამხედრო სასწავლებელში. ამ დროიდანვე გულმოდგინეთ ვსწავლობდი სამხედრო მეცნიერებას თეორიულად“ (**მამულია (2007) „თანამემამულე“, N3 (24), გვ.14**).

ბუნებრივია, სამხედრო ხელოვნებითა და გენერლობაზე ოცნებობა თითქმის ყველა ყმაწვილის ბავშვური გატაცებაა. ლეო კერესელიძესთან ამ ოცნებას რეალური მოტივი ედო საფუძვლად, რადგან სახელი ლეო მისთვის ერთა თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის ლეონ გამბეტას პატივსაცემად დაურქმევიათ ნათლიებს ანტონ ფურცელაძესა და შერვაშიძის ასულს, რომელიც შემდეგ ყიფიანის მეუღლე გახდა.

„ლეო პატრიოტიზმით განთქმული დედ-მამის შვილი იყო და აგრეთვე ნათლული არამარტო მირქმნით, არამედ სულიერადაც, დიდი ქართველი პატრიოტის ანტონ ფურცელაძისა და ამ სულიერ ატმოსფეროში აღზრდილს, მაშინვე ეტყობოდა, რომ იგი ბრძოლისათვის იყო დაბადებული და ბრძოლა იქნებოდა შინაარსი მთელი მისი ცხოვრებისა.

... ლეო პირველად 1904 წელს გავიცანი ჟენევაში. ახალგაზრდა, იდეალიზმით აღსავსე, სამშობლოს სიყვარულით აღტკინებული და მისი განთავისუფლების რწმენით, იგი იმედის აღმძვრელი იყო ყოველი ეროვნულად განწყობილი ქართველისათვის, – რომ საქართველოს კარგი ახალი თაობა, მებრძოლი ახალი თაობა ჰყავდა“, – წერდა მიხაკო წერეთელი (**შარაძე, 2001, გვ. 383-384**).

პირადად კი, – თავისი ავტობიოგრაფიის თავფურცელს ლეო კერესელიძე ასე იწყებდა: „1905 წელს დავიწყე თანამშრომლობა სოციალისტ-ფედერალისტებთან...“

„საქართველოში მოქმედ სოციალისტურ პარტიებს შორის, სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტია თავის დროს, ერთ-ერთ გავლენიან და ძლიერ პარტიად ითვლებოდა. პარტიის მიზანი იყო ეროვნულისა და სოციალისტური იდეების შერწყმა, სამოქმედო პროგრამა კი – საქართველოს ეროვნულ – ტერიტორიული ავტონომიური სახელ-

მნიფოს შექმნა და დემოკრატიულ რუსეთის ფედერაციაში შესვლა.

პარტიის ისტორიას 1901 წლიდან ჩაეყარა საფუძველი. მაშინ, როცა არჩილ ჯორჯაძე და გიორგი ლასხიშვილი სათავეში ჩაუდგნენ გაზეთ „ცნობის ფურცელს“.

გაზეთს 1896-1900 წლებში რედაქტორობდნენ ვალერიან გუნია და ალექსანდრე ჭყონია, ხოლო 1901 წლიდან – ალექსანდრე ჯაბადარი.

მის გარშემო შემოკრებილი იყო ახალგაზრდების ჯგუფი: ვ. ლორთქიფანიძე, შ. ბილანიშვილი, გ. დეკანოზიშვილი, ა. დეკანოზიშვილი, კ. აბაშიძე, გრ. რცხილაძე, სამს. ფირცხალავა და სხვანი.

მათ მალე მიემატნენ გ. ზდანევიჩი – მაიაშვილი, ი. ფანცხავა, ფ. გოგიჩაიშვილი, ი. ბარათაშვილი, ვ. მუსხელიშვილი, თ. სახოკია, იას. ბაქრაძე, ი. ალლაძე და სხვები, უმთავრესად, „ივერიიდან“ გამოყოფილი რადიკალური ფრთა, აგრეთვე, შიო ჩიტაძე, ხოლო მოგვიანებით ამ პარტიის წევრები გახდნენ დავით კლდიაშვილი, შალვა ნუცუბიძე, ალექსანდრე ნერეთელი, შალვა მესხიშვილი, ვასილ ნერეთელი, სვიმონ მდივანი, მიხეილ ყაუხჩიშვილი, აკაკი პაპავა, ვახტანგ კოტეტიშვილი.

სოციალისტ-ფედერალისტები რომ სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდნენ, მაშინ საქართველოში ძირითადად ორი მიმდინარეობა ებრძოდა ერთმანეთს: ძველი თაობა (ილია ჭავჭავაძე და მისი მიმდევრები) – ეროვნული იდეის მატარებელი და ახალი – მესამე დასელები (ნოე ჟორდანიას და მისი მიმდევრები) – მარქსიზმის იდეოლოგიის მატარებლები“ (**შარაძე, 2001, გვ.16-20**).

ამ ორი მიმართულების იდეოლოგიისაგან განსხვავებით სრულიად ახალი მიმდინარეობის მატარებელი იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, რომელიც პირველს ეროვნული იდეალით უახლოვდებოდა, ხოლო მეორეს კი – სოციალური მისწრაფებით.

თავდაპირველად, ფედერალისტთა პოლიტიკური პარტიის კონსოლიდაცია, 1901 წელს, თავდაზნაურთა მიერ სა-

ქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავის იუბილის აღნიშვნამ დააჩქარა, რომელიც მკაცრად იქნა გაკრიტიკებული როგორც სოციალისტ-ფედერალისტების, ასევე სოციალ-დემოკრატების მიერაც.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია მტკიცედ იდგა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის ნიადაგზე, რადგანაც „ერი არ არსებობს ტერიტორიის გარეშე, ხოლო ტერიტორია ერის გარეშე“. პარტიის შექმნასთან ერთად, ბუნებრივია, დადგა მისი არალეგალური ორგანოს გამოცემის საკითხიც, რადგან იმ დროს „ცნობის ფურცელში“, რომელიც მხოლოდ ლიტერატურული და საზოგადოებრივი მიმართულების მატარებელი ორგანო იყო, მის ფურცლებზე მძიმე პოლიტიკური პირობების გამო დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ეროვნული პროგრამისა და პრობლემებზე ლაპარაკიც კი.

გამოსავლად, პარტიამ, თავისუფალი ორგანოს შექმნის ადგილად, მიზანშეწონილად, მისი მხოლოდ საზღვარგარეთ დაარსება მიიჩნია. კომიტეტის გადანაცვლებით, საფრანგეთში მიაღწინეს არჩილ ჯორჯაძე, როგორც თეორეტიკოსი და ორგანოს იდეური მხარის ხელმძღვანელი, ხოლო გიორგი დეკანოზიშვილი კი, როგორც ენერგიული ორგანიზატორი და დახელოვნებული პრაქტიკული მოღვაწე. მათ თან ახლდათ ასევე ასოთამწყობი მიხეილ კიკნაძე.

ამ ჯგუფმა, სულ მალე, პარიზში 1903 წლის პირველ მაისს უკვე გამოსცა გაზეთ „საქართველოს“ პირველი ნომერი, რომელიც უცხოეთში პირველი არალეგალური ორგანო იყო. თუ არ ჩავთვლით პირველ ქართულ არალეგალურ სოციალისტური მიმართულების ყოველდღიურ ჰექტოგრაფიულ გაზეთ „დროშას“, რომლის სულ 10 ნომერი 1873 წლის პირველი აპრილიდან ათ აპრილამდე გამოდიოდა. მისი თანამშრომლები იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, დავით მიქელაძე (მეველე) და პავლე იზმაილოვი.

გაზეთ „საქართველოს“ პარალელურად გამოდიოდა მისი ფრანგული დამატება -ორეული „la Georgie“, რომელმაც გაიტანა და დასვა ევროპაში ქართველი ხალხის ეროვნული

თავისუფლების საკითხი. ხოლო ფრანგული დამატება „la Georgie“ ქართული პრობლემის პოპულარიზაციასთან ერთად ეწეოდა ევროპის დემოკრატიული საზოგადოების ყურადღების მიპყრობის ფართო პროპაგანდას. მასში „საქართველოდან“ გადმობეჭდილ და ქართულიდან თარგმნილ მასალებთან ერთად ქვეყნდებოდა ფრანგი და სხვა დასავლეთ ევროპელი პოლიტიკური მოღვაწეების წერილები და გამოხმაურებანი.

„საქართველოს“ ფრანგული დამატება-ორეულის „la Georgie“-ს რედაქტორი იყო ქალბატონი რენო.

გაზეთი „საქართველო“ ორ კვირაში ერთხელ იბეჭდებოდა და თითოეული ნომრის ტირაჟი – 600 ეგზემპლარი გახლდათ. იგი საქართველოში არალეგალურად ვრცელდებოდა. „საქართველო“ და მისი ფრანგული დამატება-ორეული „la Georgie“ საქართველოდან შე მოწირული თანხებით ფინანსდებოდა და ამიტომაც ყველგან უფასოდ ვრცელდებოდა. ასევე პარტიის ძირითადი ბირთვის შენახვაც პარიზში დიდ თანხასთან იყო დაკავშირებული.

საქართველოში „ცნობის ფურცელმა“, ხოლო უცხოეთში „საქართველომ“ იდეურად შეამზადა ფედერალისტთა პარტია იმისათვის, რათა 1904 წლის აპრილში ჟენევაში გამართულ კონფერენციაზე იგი ოფიციალურად ჩამოყალიბებულიყო და გაფორმებულიყო სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიად.

გაზეთმა „საქართველომ“ უცხოეთში 1905 წლის 15 მაისამდე იარსება. პარიზში „საქართველოს“ დახურვის შემდეგ გაძლიერდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიული პრესა საქართველოშიც, განსაკუთრებით ქუთაისში, სადაც დავით მესხის რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთები: „კოლხიდა“, „იმერეთი“, „მეგობარი“ და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში სოციალისტ-ფედერალისტები აქტიურად ჩაებნენ საქართველოში მიმდინარე დიდ პოლიტიკურ ბატალიებში.

სწორედ, საქართველოში მიმდინარე რევოლუციური პროცესების გამო შეწყვიტეს პარიზში სოციალისტ-ფედერა-

ლისტებმა თავიანთი გაზეთის „საქართველოს გამოცემა“, ვინაიდან პარტიის თვალსაჩინო მოღვაწენი დაბრუნდნენ თბილისში და აქტიურად ჩაებნენ რევოლუციურ საქმიანობაში. მათ მიაჩნდათ, რომ თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობისათვის ბრძოლაში ყველა საზოგადოებრივი კლასი და ფენა უნდა გაერთიანებულიყო. და, არ უნდა მინიჭებოდა ჰეგემონია მხოლოდ პროლეტარიატს.

„ლეო კერესელიძე დაუკავშირდა 1904 წელშივე მაშინ პარიზში მოქმედ ქართველ მებრძოლ ნაციონალისტთა ჯგუფს, რომლის მეთაურიც იყო გიორგი დეკანოზიშვილი. როდესაც 1905 წელს რევოლუციის დასაწყისში გიორგი დეკანოზიშვილმა საქართველოს ნაპირებს იარაღით დატვირთული გემები მიაყენა, ლეო იყო ამ გემზედ სხვა ახალგაზრდა ქართველებთან ერთად და მათი ხელმძღვანელობით და ენერგიით ერთი ნაწილი მაინც ამ იარაღისა შემოვიდა საქართველოში“ (შარაძე, 2001, გვ. 383-384).

ამასვე აღნიშნავდა თავის ბიოგრაფიაში ლეო კერესელიძეც: „... ვთანამშრომლობდი ჯერ პირადად გ. დეკანოზიშვილთან პარიზში, რომელიც ძალიან მენდობოდა და იარაღის გატანის საქმეში შესამჩნევი როლი მაკისრა. ამსტერდამში მე დავეუდე იარაღი გემს, მე შევადგინე მეზღვაურთა დასი და სტამბოლში იარაღის გაშვების საქმე ოსმალეთის მთავრობასთან მე მოვახერხე“ (მამულია (2007) „თანამემამულე“, N3 (24), გვ.14).

ამ პერიოდის პოლიტიკურ მოვლენათა განვითარება ცხადყოფდა, რომ რუსეთი სახალხო რევოლუციის ზღურბლთან იდგა და ამიტომაც ვითარება რუსეთ-იაპონიის ომმა კიდევ უფრო გაამწვავა. 1904 წლის იანვარში დაწყებულმა ომმა სააშკარაო გახადა რუსეთის სამხედრო მოუმზადებლობა, რომლის შეიარაღებული ძალები მძიმე მარცხს განიცდიდნენ. ეს წარუმატებლობა საზოგადოების აღშფოთებას იწვევდა და დემოკრატიულ ძალებს ცარიზმის წინააღმდეგ კიდევ უფრო ამხედრებდა.

ზემოთ აღნიშნულ მოვლენებზე თავის მემუარებში გიორგი კერესელიძე შემდეგს მიუთითებდა: „1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის დროს, იაპონური სარდლობა, რუ-

სეთის იმპერიის დასუსტების მიზნით, ფინანსურ დახმარებას უწევდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველ პატრიოტებს. სწორედ, ტოკიოს მატერიალური დახმარებით იქნდნენ სოციალისტ-ფედერალისტები დასავლეთ ევროპაში იარაღს, რომლის საქართველოში გადმოგზავნისათვის მიიღო აქტიური მონაწილეობა ლეო კერესელიძემ“ **(მამულია (2007) „თანამემამულე“, N3 (24), გვ.14).**

იგივე ფაქტზე მოგვითხრობს 1914 წლის 29 აგვისტოთი დათარიღებულ შეტყობინებაში ჟენევის გენერალური კონსული გაისლერიც: „ხსენებულმა ქართველმა (იგულისხმება ლეო კერესელიძე) დღეს განაცხადა, რომ დაახლოებით ოცი ქართული წარმოშობის თურქი ოფიცერი და მოხელე მის პარტიას მიეკუთვნებიან და თურქული ხელისუფლების მოქრთამვის პირობებში იარაღის გადმოტვირთვა ადვილი იქნება რიზეში, ტრაპიზონთან ახლოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თურქეთი არ დაუჭერს მხარს აჯანყების მოძრაობას, რიზედან იარაღი საქართველოში გაიგზავნება. ის თავად, ან უკვე გარდაცვლილ დეკანოზთან (იგულისხმება გიორგი დეკანოზიშვილი), პარიზში გამომავალი ქართული გაზეთის რედაქტორთან ერთად, მოლაპარაკებებს აწარმოებდა იაპონიის წარმომადგენელთან, რომლისგანაც მათ მიიღეს 6 მილიონი ფრანკი საქართველოში 1905 წლის აჯანყების მხარდასაჭერად. მაშინ იარაღი ამსტერდამიდან გაგზავნილ იქნა ფოთში, შავ ზღვაზე“ **(მამულია და ასტამაძე, 2019, გვ.73).**

ამ დროს მთელ საქართველოში უკვე მძვინვარებდა აგრალური მოძრაობა. 1905 წლის დამდეგიდანვე გლეხობამ მასობრივად უარი თქვა მემამულეთა ვალდებულებებსა და ცარიზმის მორჩილებაზე. შეიარაღებული გლეხები სოფლებიდან ერეკებოდნენ მამასახლისებს და აწყობდნენ სახალხო მმართველობას. გლეხთა აგრალური მოძრაობის აქტივობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი გურიაში მიიღო, სადაც ადგილობრივი მმართველობა ძირითადად ხალხის ხელში გადავიდა. რევოლუციურად განწყობილი გლეხობა ქმნიდა თავის კომიტეტებს, რომელსაც ანდობდა ყველა საკითხის გადწყვეტას.

ცნობილია, ბახველ გლეხების მოთხოვნები, რომელიც ისტორიაში „ბახვის მანიფესტის“ სახელწოდებით შევიდა: „ჩვენ ვერ მოვათავებთ ჩვენი საშინელი მდგომარეობის აღწერას, ვის შეუძლია ჩვენ საჭიროებათა დაკმაყოფილება? ვინ გაიგონებს ჩვენ ხმას?“...

გურიის სოფლის გლეხები მოითხოვდნენ სახაზინო, საუფლისწულო და სამონასტრო მიწების კონფისკაციას და ხალხის განკარგულებაში გადაცემას, მემამულეთაგან სანადელო მიწის გადაცემას საკუთრებაში, წოდებრივ პრივილეგიათა გაუქმებას, არაპირდაპირი გადასახადების მოსპობას, სიტყვის, კრების, კავშირების და გაფიცვების თავისუფლებას...

1905 წლის თებერვალ-მარტიდან გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში მასობრივად ჩაებნენ თბილისის, გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის მაზრები. მათი საერთო მოთხოვნა იყო „ჩამონაჭრების“ დაბრუნება, საძოვრებითა და ტყეებით თავისუფალი სარგებლობა, წოდებრივი უთანასწორობის გაუქმება, ქართული სკოლების გახსნა და სხვ.

საქართველოში დაწყებულ გლეხთა აგრარულ მოძრაობას მალე ზედ დაერთო რუსეთში მიმდინარე პროცესები, რომელსაც ბიძგი მისცა 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში პუტინოვის ქარხნის გაფიცულ მუშებთან ერთად მღვდელ გაპონის ინიციატივით მოწყობილმა მშვიდობიანმა დემონსტრაციამ. იგი ცარიზმის ჟანდარმერიამ თავისი ვანდალური ქმედებით ჩააქრო. ზამთრის სასახლესთან ხატებითა და მეფის სურათებით მისულ 150 ათას მუშას მთავრობის ჯარებმა ჯერ გზა გადაუღობეს, შემდეგ კი სროლა აუტეხეს, სადაც ათასზე მეტი მოჰკლეს, ხუთი ათასამდე დაჭრეს. ეს დღე რუსეთის ისტორიაში „სისხლიანი კვირის“ სახელწოდებით შევიდა.

უიარაღო მუშათა წინააღმდეგ მიმართულმა აქტმა პოლიტიკური გაფიცვებითა და მანიფესტაციებით არა მარტო რუსეთი მოიცვა, არამედ მთელი ამიერკავკასიაც, რაც თავისთავად გახდა სახალხო რევოლუციის დაწყების მოტივი.

რევოლუციური აქტივობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბალტიისპირეთი და საქართველო, სადაც რევოლუციური მოძრაობა ეროვნული ნიშან-თვისებით ხასიათდებოდა. გაფიცვები და დემონსტრაციები ეწყობოდა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში და სამაზრო ქალაქებში. მუშებთან და გლეხებთან ერთად რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება ინტელიგენცია. სისტემატური ხასიათი მიეცა მოსწავლეთა გამოსვლებს.

შავრაზმელებმა გოლოვინის პროსპექტზე მოაწყო მანიფესტაცია, რომლებიც ვაჟთა პირველი გიმნაზიის ახლოს დაერივნენ მშვიდობიან მოსახლეობას, შეიჭრნენ გიმნაზიის შენობაში, მოჰკლეს რამდენიმე მოწაფე და გიმნაზიის პედაგოგი შიო ჩიტაძე.

1905-1907 წლების რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულმა ხოცვა-ჟლეტამ აღაშფოთა ქართული საზოგადოებრიობა.

იმ დროისათვის, საქართველოში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებში აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიები. განსაკუთრებით ფედერალისტთა პარტიას ქალაქისა და სოფლის ინტელიგენციაში თანამგრძნობთა ფართო წრე ჰყავდა. რევოლუციური სულისკვეთების გაღვივებაში ასევე დიდ როლს ასრულებდა ქართული თეატრი, ქართველი მხატვრები, მუსიკოსები, სასულიერო პირთა დაბალი ფენის წარმომადგენლები.

რევოლუციურმა პროცესებმა, აშკარად ცხადყო, ნაოდინიკული რევოლუციური მოძრაობის – „ნიჰილიზმის“ უპერსპექტივობა და „სეპარატიზმის“ – იმპერიის განაპირა კოლონიური ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერსპექტივები, რომელიც წითელ ხაზად გასდევდა სოციალისტ-ფედერალისტთა მოძრაობას.

სწორედ, 1905-1907 წლების რევოლუციურ პროცესებისას მოხდა საქართველოში არალეგალურად იარაღის შემოტანა სოციალისტ-ფედერალისტების მიერ, რათა იგი რევოლუციური რაზმებისათვის დაერიგებინათ: „ჰოლანდიაში ია-

რალით დატვირთეს ხომალდი „სირიუსი“ და საქართველოში გამოგზავნეს. სამშობლოში არალეგალურად გამოემგზავრა თ. სახოკია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ეხელმძღვანელა შავი ზღვის სანაპიროებზე ამ იარაღის გადმოტვირთვა-განაწილებისათვის, ხომალდმა მშვიდობით მოაღწია. იარაღის გადმოტვირთვაც ოსტატურად მიმდინარეობდა. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოინდომა იარაღის დასაკუთრება. ცნობა პოლიცია-ჟანდარმერიის ყურამდეც მივიდა, რის გამოც გადმოტვირთული იარაღის ნაწილი ხელში ჩაუვარდა მთავრობას“ (**„საქართველოს ისტორია 1783-1990“ გვ.153-154**).

იმთავითვე, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველ დემოკრატიულ ინტელიგენციის რევოლუციური თაობა აღზრდილი იყო დიდ 60-იანელთა ტრადიციებზე, რომელთათვისაც ცარისტული რეჟიმის დამხობა და კოლონიური ჩაგვრისაგან საქართველოს გათავისუფლება გახდათ უმთავრესი იდეალი.

აქედან გამომდინარე, ნიშანდობლივია ერთი ამონარიდი ლეო კერესელიძის ბიოგრაფიიდან: „1905-1906 წლებში ვილებდი მონაწილეობას რევოლუციაში, საქართველოში ვიყავი ფედერალისტების მებრძოლი კომიტეტის წევრათ და ფედერალისტების მებრძოლი რაზმი მე შევადგინე. 1906 წლის მაისში ამ კომიტეტის ბრძანებით დავეცი დუშეთის ხაზინას, საიდანაც 315. 000 მანეთი გამოვიტანე, რომლის ნაწილი მოიპარა ს. გედევანიშვილმა (25 000 მ) და 75. 000 მანეთი მოიპარა ა. ჯაბადარმა. დანარჩენი ფედერალისტებმა პარტიულ საქმეზე დახარჯეს“ (**მამულია (2007), „თანამემამულე“, N3 (24), გვ.14**).

დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციამ ბევრი მითქმამოთქმა გამოიწვია. მის შესახებ ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი მიხაკო წერეთელი აცხადებდა: „1905 წელს ლეო თბილისში ვნახე იარაღით ხელში მებრძოლი არა მარტო მოქალაქის თავისუფლებისა, არამედ სამშობლოს თავისუფლების მოპოვებისათვის. იგი დაკავშირებული იყო მაშინდელ მებრძოლ ნაციონალისტთა, ფედერალისტთა პარტიასათან და

მათი დავალებით ბევრ ბრძოლაში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა, ხოლო როდესაც ერთი ძლიერი ძნელად გასაბედავი რევოლუციური საქმე ვერავინ ვერ გაბედა, ან გაბედა და ვერ აღასრულა, ბოლოს ლეომ აიღო და საზღაპრო გმირობით შეასრულა იგი. ეს იყო ცნობილი დუშეთის საქმე, მაგრამ ბოროტ ადამიანთა ენამ მას საზიზღარი ცილი დასწამა, თითქოს იგი ამ საქმითგან წმიდად არ გამოსულიყოს. ხოლო ვაცხადებ აქ საჯაროდ, ვითარცა თანადამხდური მონამე იმ საქმისა, რომ ლეო კერესელიძეს მაშინ, გარდა გმირობისა, არ ჩაუდენია რამ. რასაც მას წამებდნენ, იგი სხვებმა ჩაიდინეს, ხოლო ლეო დევნილი რუსის მთავრობისაგან და ცილწამებული მათ მიერ, ვისი მოვალეობაც მისი დაცვა იყო, იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. იგი კვლავ ჟენევაში დაესახლა, სადაც მას შეუერთდნენ მალე ძმა გიორგი და მისი ნათესავი ნესტორ მაღალაშვილი“ **(შარაძე, 2001, გვ. 383-384).**

დუშეთის ხსენებული ოპერაციის მონაწილეებმა 1906 წლის აპრილის თვეში საქართველო დატოვეს და თავი შვეიცარიას შეაფარეს, რადგან საფრანგეთი რუსეთის მოკავშირედ ითვლებოდა და ამიტომაც შეიძლება მათ გადაცემაზე უარი არ ეთქვათ.

ჟენევაში დამკვიდრებულთ, მართლაც, ერთ დღეს პოლიცია ესტუმრათ და სამთავენი დააკავეს. ჟენევის სასამართლო პროცესზე დუშეთის საქმე საერთაშორისო სამართლის კანონის პოზიციიდან შეაფასა „საერთაშორისო უფლების უდავო ავტორიტეტმა ბელგიელმა პროფესორმა ნისმა: საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ სრულიად უკანონოა, რადგან ტრაქტატები ცალმხვრივ და ძალმომრეობით იყვნენ დარღვეულნი რუსეთის მიერ. ამდენად ლეო კერესელიძისა და მის თანამონაწილეთა ქმედება მხოლოდ და მხოლოდ პატრიოტული აქტია და სხვა არაფერი“-ო.

ამ პროცესმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთის პრესაში, ევროპასა თუ ამერიკაში. ეხებოდნენ საქართველოს ისტორიას, მის უფლებებს, რუსეთის მიერ „ტრაქტატების“ ვერაგულ დარღვევას და სხვა. „ყველა სცნობდა საქართვე-

ლოს უფლებას, რომ იარაღით და ყველა სხვა საშუალებებით ებრძოლოს რუსეთს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

უცხოეთში საქართველოს საკითხს ამ მოვლენამ ცოტად თუ ბევრად ნიადაგი განუწმინდა. იმ დროს, დასავლეთის ქვეყნებში, საქართველოს არსებობაც კი დავიწყებული იყო. ჩვენმა პროცესმა პრესა აამეტყველა. საგანგებო დაწესებულება გვიგზავნიდა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ იმ წერილებს, რომელნიც საქართველოს ან ჩვენ გვეხებოდნენ“ **(მამულია (2013) „ქართული ემიგრაცია“, N1, გვ.148-149).**

ამ ფაქტიდან გამომდინარე, არის რალაც საერთო და თანამდევი პერიპეტიები საფრანგეთის პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწის, ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა მემარცხენე ფრთის ერთ-ერთი ლიდერის ლეონ გამბეტასა და მის ქართველ სეხნიას ლეო კერესელიძეს შორის. თუ ლეონ გამბეტამ სახელი გაითქვა ლ. დელეკლუიზის პროცესზე, მეორე იმპერიის წინააღმდეგ მამხილებელი სიტყვით გამოსვლისას, ასევე ჟენევის სასამართლო პროცესზე მთელ ევროპასა და ამერიკას მოედო პატრიოტული აქტის ჩადენისათვის ლეო კერესელიძის სახელი.

საქართველოს ფედერალისტთა პარტიასა და საერთოდ, ლეო კერესელიძის სამშობლოს თვისუფლებისადმი თავშენირვას, იანუსივით ორი სახე ჰქონდა: ერთი ილიმებოდა, მეორე კი ტიროდა. ერთსა და იმავე დროს ერთი ცრემლების სამყაროსკენ იხედებოდა, მეორე კი სიხარულის სამფლობელოსაკენაც. ასე რომ, თემიდას სასწორს პინა ლეო კერესელიძის გმირობისაკენ, რომ არ გადაეხარა, ეს მთის არწივივით თავისუფლებისათვის გაჩენილი ჯერ კიდევ ისევ მართვე, ვინ იცის ფრთებს სამუდამოდ სად შეიმსხვრევდა.

მძიმე ემიგრანტულ პირობების მიუხედავად ლეო კერესელიძემ მაინც შეძლო და ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. მას კარგად ესმოდა ცოდნის დიდი როლი და დანიშნულება სამშობლოს წინსვლის საქმეში.

„1906 წლის გაზაფხულზე უკვე ემიგრანტის სახით დავსახლდი ჟენევაში. 1907 წელს შევედი იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1910 წელს დავამთავრე და მაშინვე გადავედი პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ისიც

1912 წელს გავათავე. 1913 წელს დავინიშნე ჟენევის იურიდიულ ფაკულტეტის პრივატ-დოცენტათ. დავწერე შემდეგი თხზულებანი: 1. Manuel du droit civil Suisse; 2. La Georgie et la domination Russe; 3. Fantaisies Orientales; 4. L'instruction et l'organisation de l'Armee; 5. თემა პოლიტიკური ფაკულტეტისათვის: Conquete de la Georgie par la Russie; 6. ოთხი მოხსენება სამხედრო საკითხებზე, რომელიც წარვუდგინე შვეიცარიის სამხედრო შტაბს; 7. ვთანამშრომლობდი ოთხ შვეიცარიულ გაზეთში.

ჩემი სამხედრო მოხსენებები უმეტესად შეეხებოდნენ ჩემს მიერ შექმნილ თეორიას: "Instruction individuelle de L'Armee" და „La Nation armee“, რომელიც ეხლა საფრანგეთის სამხედრო რეორგანიზაციისას გამართლდა და რომელიც მე 12 წლის წინათ ვინინასწარმეტყველე. (ჩემი თხზულების შესახებ იხ. La revue militaire Suisse).

სამხედრო მეცნიერებას განუწყვეტლივ ვსწავლობდი თეორიულად და პრაქტიკულად. 5 ზაფხულის განმავლობაში ვესწრებოდი შვეიცარიის სამხედრო კურსებს, როგორც თავისუფალი მსმენელი. გარდა მაგისა დავესწარი 4 დიდ მანოვრს“ **(მამულია (2007) „თანამემამულე“, N3 (24), გვ.16).**

1913 წელს ქუთაისში გამომავალი გაზეთი „იმერეთი“ თავის ფურცლებზე იტყობინებოდა: „ჟენევის საუნივერსიტეტო საბჭოს, ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საზოგადოებრივი უფლების კათედრაზე პრივატ-დოცენტათ ქართველი ლეო კერესელიძე დაუნიშნავთ. ეს პირველი მაგალითია ჟენევის უნივერსიტეტში, რომ კავკასიის მკვიდრი პრივატ-დოცენტათ ინიშნება“ **(„იმერეთი“ N106, 1913, გვ.2).**

ასე რომ, პიროვნებაზე უნდა ვიმსჯელოთ მისი ინდივიდუალური დამსახურების მიხედვით და არა ამა თუ იმ პარტიისადმი მისი სიმპათიებით. ამდენ ხიფათში გაბმული ლეო კერესელიძე თავის ხვედრს, დიდი ენერგიითა და მტკიცე ნებისყოფით, ვაჟკაცურად იტანდა. მან არ იცოდა სულიერი ნაბორძიკება და სასოწარკვეთილება. გაჭირვება ზრდიდა და ასალკლდევებდა მას.

ერთი სიტყვით, იგი არც ერთ მომენტში სულიერ ნონასწორობას არ კარგავდა. ლეო კერესელიძე იყო დასრულებული ტიპი მებრძოლისა, რომელიც მუდამ შემართული გახლდათ და ყოველ მომენტს საქართველოს საკეთილდღეოდ იყენებდა.

ამის მაგალითია დუშეთის საქმის გამო განხორციელებული სასამართლო პროცესი, რომელმაც ქართველი ხალხისადმი ევროპელთა თანაგრძნობა გამოიწვია. თან გააცოცხლა იმედი, რომ თვითეულ ერს, რაც გინდ პატარა იყოს ეს ერი, – სიცოცხლის და თავისუფალი განვითარების უფლება აქვს.

იმ დროს ჟენევაში მრავალრიცხოვანი ქართველობა მარტო ემიგრანტებით როდი შემოიფარგლებოდა. აქ იყვნენ თავისუფლად ჩასული სტუდენტები და არა სტუდენტებიც. „ჟენევის ქართველობა, პოლიტიკურად ორ ბანაკად ვიყოფოდი: სოციალ-დემოკრატები და ნაციონალისტები. პირველნი შედგებოდნენ „მენშევიკებისაგან“ და ბოლშევიკებისაგან“. მენშევიკები – წინააღმდეგ მისი სახელწოდებისა, – უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ბოლშევიკები კი – უმცირესობას.

ორივე ჯგუფს სოციალისტებისას ჰქონდათ თითოს თავისი დარაზმულობა, პარტიული დისციპლინა. ჩვენ, – „ნაციონალისტებს“ არც ერთი გაგვაჩნდა და არც მეორე. ჩვენს შორის იყვნენ მონარქისტები, სოციალისტ-ფედერალისტები, დემოკრატ-რესპუბლიკელები, ანარქისტები და სხვანი. გვაერთიანებდა ერთი საერთო იდეალი-მიზანი: საქართველოს სრული დამოუკიდებლობა“ **(მამულია (2013) „ქართული ემიგრაცია“, N1, გვ.148-149).**

უცხოეთში ქართველი ემიგრანტები, ყოველთვის აღნიშნავდნენ ტრადიციულ საერო თუ სასულიერო დღესასწაულებს, რომლის ძალისხმევით ევროპელები ფართოდ ეცნობოდნენ ქართულ ეთნოსსა და მის ადამ-წესებს. ამასთან ერთად ქართველები ასევე მონაწილეობდნენ იმ ქვეყნის დღესასწაულებშიც, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ასეთი იყო ჟენევაში „კალვინის ხსოვნის“ დღე: „1909 წელს, ჟენევის უნი-

ვერსიტეტი დაარსების 350 წლისთავს დღესასწაულობდა. დიდი მზადება იყო. ქართველ სტუდენტთა კორპორაცია „ივერიის“ თავმჯდომარემ ლეო კერესელიძემ დღესასწაულის მომწყობ საგანგებო კომისიას შემდეგი გეგმა წარუდგინა: ქართველები ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილნი და ეროვნული დროშით მივიღებთ მონაწილეობასო. ყველას მოენონა. ჩემი ნახატებით შევაკერვინეთ ქულაჯები. ერთი გურული ტანისამოსი ლეო კერესელიძესათვის. ქ. ბერნიდან ჩამოგვიყვანეს კავალერიის ცხენები. შევაკერვინეთ და მოვაქარგვინეთ ქართული დროშა: ორ-ფეროვანი-შვინდისფერი და შავი ოქრომკერდის არშიით და ფოჩებით. დღესასწაული ერთ კვირაზე მეტი გრძელდებოდა. დღესასწაული კორტეჟით გაიხსნა...

მთელი კაცობრიობის უნივერსიტეტებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა, კალვინისტთა მრევლების წარმომადგენლებმა, და რასაკვირველია, ჟურნალისტებმა, ფოტოგრაფებმა მოიყარეს თავი. კორტეჟის სათავეში ჩვენ, ქართველები ვიყავით, და რექტორს მხოლოდ ჩვენ ვაძლევდით სალამს ჩვენი დროშის ოდნავ დახრით. სადაც გავივლიდით – ხალხი აღფრთოვანებული ტაშისცემით გვხვდებოდა. და ათასგვარ ენაზე გაისმოდა: „გაუმარჯოს ქართველებს, საქართველოს!“ მხოლოდ ერთი ჯგუფიდან გაისმა: „ნაში კაზაკი!“. ნესტორ მაღალაშვილმა ერთი კარგად მოქნეული მათრახი გადაჰკრა და მისძახა: „ვოტ ვაში კაზაკი!“. შემდეგ, სადაც კი გამოვჩნდებოდით, კონცერტი იქნებოდა, ბანკეტი, ბალი თუ კონფერენცია, იგივე ტაში და „გაუმარჯოს საქართველოს!“, – ისმოდა. პრესა ალაპარაკდა, სინემა ამუშავდა. მრავალთა შეგნებაში საქართველოს სახელმა ფეხი მოიკიდა. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება, რომ ჟენევაში ჩვენს მიერ მოწყობილ წარმოდგენებს, ცოცხალ სურათებს, ცეკვებს, დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა ხოლმე“ **(მამულია (2013) „ქართული ემიგრაცია“, N1, გვ.150).**

ბუნებრივია, პრესა და მსგავსი ღონისძიებები დიდ როლს თამაშობდნენ საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, ზნეობრივი თანაგრძობისა თუ დახმარების მხრივაც.

დიდ მოთმინებაზე დამყარებულმა ქართველთა ასწლიანმა მონობამ და სიცოცხლისათვის შეურაცხყოფელმა მძიმე მდგომარეობამ, ერს ერთი რამ შეაგნებინა, რომ თავისუფლება ხელგაუწმრევლად არავის ენიჭება. სწორედ, ევროპაში ქართველ ახალგაზრდა პოლიტიკოსთა მისწრაფება იყო მოემზადებიათ ნიადაგი ქართული თავისუფალი პოლიტიკური აზრისა და თავისუფალი პოლიტიკური მოქმედებისათვის.

ამ დროისათვის, საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მოღვაწეობა მნიშვნელოვანი მოვლენას წარმოადგენდა.

1909-1910 წლებში შექმნილი საქართველოს დამოუკიდებლობის ჯგუფის წევრები იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სვიმონ ყიფიანი, ალექსანდრე ყიფშიძე, მიხეილ წერეთელი, გიორგი გვაზავა, ვალერიან გუნია, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვ. მისი თავმჯდომარე პეტრე სურგულაძე გახლდათ. „მათი ორგანო იყო „ერი“, რომელიც ცენზურისაგან დევნის გამო სხვა და სხვა სახელით გამოდიოდა და გაბედულად მოითხოვდა საქართველოს სუვერენობის აღდგენას. 1910 წელს ქართველი ნაციონალისტები დიდ დევნას განიცდიდნენ“ (სალია (1962) „ბედი ქართლისა“ N34-30, გვ.16).

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1905-1907 წლების რევოლუციამ და მისმა დამარცხებამ საქართველოშიც ცარისტული რეჟიმის წლები დაამკვიდრა.

ქართველ რევოლუციონერთა დიდი ნაწილი დააპატიმრეს, ზოგი კავკასიიდან გადაასახლეს, ხოლო ერთი ნაწილი კი იმპერიის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გასაგრძელებლად უცხოეთში გადაიხვეწა.

„1910 წლის აპრილში კავკასიის დამცავი განყოფილების მიერ განხორციელებული ოპერაციის შედეგად, სოციალისტ-ფედერალისტთა თბილისის და ქუთაისის ორგანიზაციების ლიდერთა უდიდესი ნაწილი დააპატიმრეს. შვიდთვიანი სასამართლო პროცესის შემდეგ, 15 კაცს კავკასიის მხარიდან 5 წლით გადასახლება მიესაჯა, რაც საქართველოს

ეროვნულ-გამანათავისუფლებელი მოძრაობის საბოლოო განადგურებას ისახავდა მიზნად“ **(მამულია და ასტამაძე, 2019, გვ.56).**

სოციალ-დემოკრატებს ერი ადამიანთა კულტურულ ერთობად, ხოლო ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მთავარ ფორმად კი კულტურულ-ნაციონალური ავტონომია მიაჩნდათ. ამ პერიოდისათვის, მათ საპირისპიროდ, საქართველოში ქართველ მოღვაწეთა ცალკე ჯგუფი შეიქმნა, რომლებიც ეროვნული საკითხის დაყენების ილია ჭავჭავაძისეულ ტრადიციებს აგრძელებდნენ.

ჯგუფის აქტიური მოღვაწენი იყვნენ ძმები ვ. და მ. წერეთლები, გ. გვაზავა, პ. სურგულაძე, მიხ. მაჩაბელი, რ. გაბაშვილი, ს.პ. კედია, ძმები ლ. და გ. კერესელიძეები და სხვები.

ეს მოღვაწენი, ქართველ საზოგადოებრიობას სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის ბრძოლისათვის მოუწოდებდნენ. მათ თეორიულ წერილებში დასაბუთებული იყო დამოუკიდებლობის კანონიერი უფლება, მისი სიკეთე ხალხის ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების აღორძინებისათვის. დამღუპველად იყო მიჩნეული სოციალურად განსხვავებული საზოგადოებრივი ფენების ურთიერთ დაპირისპირება და შინა ომი. 1913-14 წლებში ხსენებული ჯგუფი საზოგადოებრივ ასპარეზზე თავის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ.

აქვე, უნდა ითქვას ისიც, რომ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წიაღში ქართველი ინტელიგენციის ახალი თაობის ფრთა შეიქმნა, რომლებიც XX საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულსა და მეორე ათწლეულის დამდეგს გამოვიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. დაბალი ფენებიდან გამოსული ეს ახალი ინტელიგენცია ცდილობდა აღედგინათ და აეღორძინებინათ ეროვნულ-გამანათავისუფლებელი მოძრაობის ილიასეული იდეალები.

მათი ორგანო გახლდათ ჟურნალები „კლდე“, „ერი“ და „საქართველო“. შემდეგ, ამ ჯგუფმა, საზღვარგარეთაც სა-

კუთარი ჟურნალ-გაზეთებიც გაიჩინა. ჟენევაში, ლონდონში, ბერლინსა და კონსტანტინეპოლში.

მსოფლიო ომის დაწყებამ, რომელშიც ერთბაშად 33 ქვეყანა გახლდა ჩაბმული, ერთმანეთთან დაპირისპირებულ დაჯგუფებებად ჩამოყალიბდა. ერთის მხრივ: გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, თურქეთი და ბულგარეთი; მეორე მხარეს აღმოჩნდნენ ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვ. ეროვნულ პოზიციაზე მდგომმა ქართველობამ ომის დაწყებისთანავე ზრუნვა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისათვის დაიწყო. გარეშე ძალთა მოსამხრობად მათ ორიენტაცია გერმანიასა და თურქეთზე შეაჩერეს.

სწორედ, ამ პერიოდში, დაიბეჭდა კონსტანტინეპოლში პეტრე სურგულაძის წიგნები საქართველოს სუვერენიტეტზე, სადაც მოცემული იყო საქართველოს საერთაშორისო უფლებრივი და ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

ცნობილია, რომ 1910 წლის აპრილში, როცა ცარისტული ჟანდარმერიის მიერ განხორციელდა საქართველოში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ლიკვიდაცია, ამ დროს პარტიის ცენტრალური ფედერალური კომიტეტის მდივანი პეტრე სურგულაძეც დააპატიმრეს. მას ხუთი წლით კავკასიის მხარიდან გადასახლება მიესაჯა. იმავე წლის ოქტომბერში, იგი სოციალისტ-ფედერალისტთა მემარჯვენე ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელთა მიერ იატაკქვეშა „საქართველოს სეპარატისტთა ლიგის“ შექმნაში მონაწილეობდა. 1910 წლის დეკემბერში მან თურქეთში გადასვლა შეძლო, საიდანაც ევროპაში წავიდა“ (**მამულია და ასტამაძე, 2019, გვ.689-690**).

1911 წელს, ჟენევაში, სურგულაძის თავმჯდომარეობით დაარსდა „ქართველ სეპარატისტთა პარტიის უცხოეთში მოქმედი კომიტეტი“ (**მამულია და ასტამაძე, 2019, გვ. 56**).

უცხოეთში მოქმედ კომიტეტს, ბუნებრივია, კავშირი ჰქონდა დამყარებული საქართველოს იატაკქვეშა არსებულ „სეპარატისტთა ლიგასთან“.

ჟენევის „ქართველ სეპარატისტთა პარტიის უცხოეთში მოქმედი კომიტეტი“ დიდი წრე იყო. „ყველა „ნაციონალისტებმა“ თავი აქ მოვიყარეთ. ავირჩიეთ ხელმძღვანელი ორგანო შემდეგ პირთაგან: თავმჯდომარე – პეტრე სურგულაძე, მდივანი – გიორგი კერესელიძე, წევრები: ლეო კერესელიძე, ნესტორ მაღალაშვილი და სამი სხვ.

საჭირო იყო ბეჭდვითი ორგანოს დაარსება. ამისათვის სახსარი არ მოგვეპოვებოდა, – ყველა დიდი გაჭირვებით ვცხოვრობდით. მივმართეთ ერთ კარგ შეძლებულ ქართველს თხოვნით ხუთასი ფრანკი ესესხებინა. ცივი უარი მივიღეთ. პეტრემ გული არ გაიტეხა. თქვა: ლოზანაში ცხოვრობს ერთი ხნიერი პოლონელი მანდილოსანი ტბორჟევსკა, საქართველო უყვარს, მას მივწერ საჭირო თანხა გვასესხოსო. (ერთი ბაასიის დროს, რეზო გაბაშვილმა მომაგონა, რომ ეს მანდილოსანი და მისი მეუღლე იყვნენ „ივან და მარია“ მთარგმნელი ქართული ლექსებისა). მისწერა პეტრემ და რამდენიმე დღის შემდეგ მიიღო მისი ლოცვა-კურთხევა და ხუთასი ფრანკი არა სესხად, არამედ შემოწირულობად. თბილისში შევუკვეთეთ სტამბის ქართული ასოები, საჭირო ასაწყობი მასალით. მოკლე ხანში მივიღეთ. ბინად ერთი სამალაზიო დარბაზი ვიქირავეთ, სადაც ასაწყობი მასალა მოვათავსეთ და ბიბლიოთეკა დავაარსეთ. შევუდექით ჩვენი ჟურნალის „თავისუფალი საქართველოს“ გამოცემას (**მამულია (2013) „ქართული ემიგრაცია“, N1, გვ.151-152).**

ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ პაპიროსის ქალაქებზე იბეჭდებოდა და მისი ფორმატი წერილის ქალაქს არ აღემატებოდა, ამიტომ მისი კონვერტში ჩადება და საქართველოში ფოსტით გამოგზავნა მოსახერხებელი იყო. ახალგაზრდა სეპარატისტებს უცხოეთსა და საქართველოში უამრავი მომხრე ჰყავდა, რომლის ინტელექტუალურ ძალებს კარგად ესმოდათ ქართველი ხალხის გულისთქმა.

სამწუხაროდ, აქვე არსებობდა ის რუსოფილი ქართველები, რომელთაც ერის ბედი არ ანაღვლებდათ. ამიტომ ჟურნალს ისინი სააშკარაოზე გამოჰყავდა: „ქართველ ერს დღეს რომ გადაგვარებული ხალხი ყავს, ალბად შედარებით

იმდენი არც ერთს ერში არ მოიპოვება. ქართველ ერს აუტანელ პოლიტიკურ პირობების წყალობით ტერიტორიას ართმევენ, მას ერეკებიან ათასი წლობით დასახლებულ მიწა-წყლიდან.

არამც თუ ანმყოში სჩაგრავენ, მომავლის იმედის მოსპობასაც კი ცდილობენ. და თუ თქვენ ხმა აიმაღლეთ, თუ მოინდომეთ ხელი გაანძრიოთ თავდასაცველად, რუსის იმპერიალისტურ სოციალ-დემოკრატიის ფარაჯაში გახვეული „ქართველი“ მყისვე შემოგძახებს: ჩუმად იყავით, სული არ დაბეროთ, ხელი არ გაანძრიოთ, ეს ბუნებრივი მოვლენაა, ერთი ერი მეორეს ერეკება, ერთი ერი მეორეს ადგილს იჭერს.

... ქართველი ერი ღრმად იგნებს თავის სამწუხარო მდგომარეობას, იცის ბევრი მსხვერპლი დასჭირდება თავისი ვინაობის დასაცველად, მაგრამ უკან არ დაიხევს და თავის ეკლიან გზას გმირულად გაივლის თავისუფლებისა და კეთილდღეობისაკენ (**„თავისუფალი საქართველო“ N4, 1914, გვ.1).**

ყოველივე ეს „სეპარატისტებს“ აძლევდა ურყევ რწმენას, რომ ქართველი ერი, თავის გულის სიღრმეში მათთან იყო და დაინახავდა თუ არა განთავისუფლებისათვის ბრძოლას მტერს ძველებურად შეუტევდა. სწორედ, ამ რწმენით და მთელი ენერგიით, თავიანთი ნიჭითა და გრძნობებით შეუდგნენ კომიტეტის წევრები ეროვნული მოვალეობის შესრულებას. და როგორც მიხაკო წერეთელი აღნიშნავდა: „ამ ჯგუფმა და მისმა ორგანომ მოამზადეს „ქართული აზრი“ მომავალ დიდ საქმეთა გასაგებად და დიდ ომში სამოქმედოდ“ (**შარაძე, 2001, გვ. 65).**

ჟენევაში ლეო კერესელიძეს ყველა იცნობდა, როგორც წარმატებულ მეცნიერსა და მკვლევარს. მისი „სამოქალაქო უფლებების თეორიის დაბეჭდვის“ შემდეგ ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორმა პ. მორიომ შესთავაზა ამ კუთხით ლექციების კურსის წაკითხვა ბრაზილიის Santo Paolo-ს უნივერსიტეტში. ამასთან განძრახული იყო მისი უნივერსიტეტ-

ში სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორად დანიშნა.

ამ პერიოდში ლეო კერესელიძე უკვე ჩართული იყო ახალ და დიდ პოლიტიკურ ბატალიებში. სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად იგი ქართულ საქმესთან ყოველთვის მთელი არსებით იდგა. მას არასოდეს უღალატია იმ მიზნისათვის: – „რუსი საქართველოდან რომ უნდა წავიდეს“. 1912 წელს პეტრე სურგულაძის ხელმძღვანელობით, როცა ჟენევაში „ქართველ სეპარატისტთა წრე“ დაარსდა ლეო კერესელიძე მაშინვე გაერთიანდა ამ პოლიტიკურ მოძრაობაში მის ძმასთან გიორგი კერესელიძესა და დეიდაშვილთან ნესტორ მაღალაშვილთან ერთად. სეპარატისტთა წრეში შედიოდნენ ვ. ციციქიშვილი, გ. იშხნელი და სხვანი.

1914 წლის ომის გამო ქართველ სეპარატისტებმა ტაქტიკა შეიცვალეს და ძველი კომიტეტი დაშალეს. მის ადგილზე კი ახალი – „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ დაარსეს. შეიცვალა კომიტეტის შემადგენლობაც. თავმჯდომარედ კვლავ პეტრე სურგულაძე დარჩა, ხოლო წევრებად კი ლეო კერესელიძე, მიხეილ წერეთელი, ნესტორ მაღალაშვილი და გიორგი კერესელიძე გახდნენ, რომელთაც მალე გიორგი მაჩაბელი შეუერთდა.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის იმპერიალისტური ძალების ნაქეზებით თურქეთი ოქტომბერის თვიდან ჩაება. პანთურქისტული წრეების ომში წარმატებას უნდა მოჰყოლოდა ოტომანთა დიდი იმპერიის აღდგენა. მასში ამიერკავკასიის, ყირიმის, კავკასიელთა მთიელი ტომების, პოვოლოჟიეს, თვით შუა აზიის გაერთიანებით.

მსოფლიო ომში „საქართველოს დამოუკიდებელმა კომიტეტმა“ გერმანიისა და თურქეთის მხარე დაიჭირა, რადგან მათზე დაყრდნობით საქართველოში რუსეთის კოლონიური რეჟიმი დაემხოთ და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებია.

ზემოთ აღნიშნულ მოვლენებზე თავის მემუარებში გიორგი კერესელიძე წერდა: „ომის დაწყების პირველივე დღეს დავინწყეთ მოლაპარაკება გერმანიის წარმომადგენელთან. შევიმუშავეთ ჩვენი მოთხოვნები. მოლაპარაკების წარ-

მოება დავავალეთ ჩემს ძმას, – ლეო კერესელიძეს. მრჩევლებად გვყავდნენ ჟენევის ადვოკატები ადრიენ ლაშენალი, შვეიცარიის კონფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე და მისი თანამშრომელი ცეზარ ჰიუდრი. ეს ის ადვოკატები იყვნენ, ვინც ჩვენ დაგვიცვეს 1906-1907 წელს სასამართლო პროცესზე. ამიტომ ქართულ საკითხს კარგად იცნობდნენ.

სულ მოკლე ხანში შევთანხმდით და ხელშეკრულება დავდეთ, რომლითაც გერმანია წინასწარ ცნობდა საქართველოს სუვერენულ უფლებებს მთელ მის იმ ტერიტორიაზედ, რომელიც რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი.

გერმანია ასევე აღგვითქვამდა დიპლომატიურ და მატერიალურ დახმარებას ჩვენი სახელმწიფოს აღსადგენად. მისი სუვერენობისა და საზღვრების დასაცავად. ეს პუნქტი საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას უზრუნველყოფდა მაშინდელი ოსმალეთის შესაძლებელი ანექსისტური განზრახვებიდანაც.

შემდეგში თუ ომის მსვლელობა მოითხოვდა გერმანიის ჯარის გაგზავნას საქართველოში, ეს ჯარი შევიდოდა როგორც მოკავშირე მეგობარი. ჩვენს კომიტეტს ეძლეოდა სრული თავისუფლება მოქმედებისა გერმანიის ტერიტორიაზედ თავისი ეროვნული საქმეების საწარმოებლად: პროპაგანდა, პრესა, ტყვეების მოვლა და სხვა.

ესეთივე ხელშეკრულება დავდეთ, გერმანიის დახმარებით, ავსტრო-უნგრეთთან“ **(მამულია (2013) „ქართული ემიგრაცია“, N1, გვ.155).**

ახალი კომიტეტის ხელშეკრულება მარტო ორ იმპერიასთან ურთიერთობით როდი შემოიფარგლებოდა. პოლიტიკისა და დიპლომატიასთან ერთად კომიტეტის მიზანი იყო სამხედრო ასპარეზზე მოქმედება და ამიტომ მათ გეგმაში შედიოდა ოსმალეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონის, ქართული სამხედრო ფორმით, ქართული დროშით და ქართული შემადგენლობით ჩამოყალიბება. ოსმალეთის ტერიტორიაზე შექმნილი ლეგიონი მხოლოდ საქართველოს საზღვართან ან საქართველოს ტერიტორიაზე იბრძოლებდა და სხვაგან არსად.

ქართული კომიტეტისათვის ყველაზე ღირებული იყო გერმანიის დაპირება, რომ იგი საქართველოს დამოუკიდებლობასა და მის ტერიტორიულ მთლიანობას დაიცავდა. კომიტეტი ასევე მოითხოვდა ოსმალეთის წერილობით გარანტიასაც, რათა საქართველო რუსეთის ნაწილად არ მიეჩნიათ და იგი აქედანვე მეგობარ ერად ეცნოთ. ამის თაობაზე კომიტეტის დავალებით ლეო კერესელიძე სტამბოლში გაემურა. რამოდენიმე დღის შემდეგ შეტყობინება გამოგზავნა: „ვაჟი დაიბადა“, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ოსმალეთის მთავრობამ მომავალ ხელშეკრულების ფუძედ ქართული მხარის მოთხოვნილება მიიღო.

კომიტეტი გეგმის მიხედვით შეუდგა მუშაობას და უპირველესად, ოსმალეთში ქართული ლეგიონის დაარსება დაიწყო. ლეგიონის სამოქმედო ადგილად ჭანეთი (ლაზისტანი), სახელდობრ ვინე აირჩიეს, რომელიც ომის გამოცხადების დროს უახლოესი ადგილი იყო ფრონტიდან. ლეო კერესელიძემ ქართული ლეგიონი მაჰმადიან კავკასიელებით დააკომპლექტა: პირველი რაზმი 70 კაცისაგან შედგებოდა. ამ საქმეზე ლეოსთან ერთად მუშაობდა გერმანელი ოფიცერი კიშკე, ხოლო პოლიტიკურ ატაშეთ კი ბატონი მოზელი.

ჯერ კიდევ, ომიც არ იყო გამოცხადებული რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რომ ეს ახლად დაარსებული პატარა ქართული ლეგიონი თურქებმა აითვალისწინეს.

მიზეზი მალე დადგინდა: თურქებს თავისი განსაკუთრებული მიზნები ჰქონდათ. გამარჯვების შემთხვევაში მათ სამუსლიმანო საქართველოს შეერთება სურდათ და ამიტომაც ქართული სამხედრო ძალის შექმნის წინააღმდეგნი აღმოჩნდნენ. მალე, გამოცხადდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი და ქართულ მოხალისეთა რაზმი თურქეთის ჯარის ნაწილებთან ერთად რუსეთის ტერიტორიაზე შეიჭრა.

დაიჭირა უმეტესი ნაწილი აჭარის და თან წამოიყვანა ტყვედ ართვინის ოლქის უფროსი და ასზე მეტი ყაზახი, რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა ქართულ კომიტეტსა და ოსმალეთის მხედრობას შორის დაძაბულობა.

ამას ნათელყოფს, 1914 წლის 3 სექტემბრით დათარიღებული, გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის

ვანგენ ჰაიმის კონსტანტინეპოლში გაგზავნილი ტელეგრამა: „ორმა ქართველმა კათოლიკე სასულიერო პირმა მიმართა ავსტრია-უნგრეთის და აქაურ საელჩოს, რათა ხაზი გაესვათ ქართველთა მზაობისთვის მოაწყონ შეიარაღებული აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ. ამავე დროს, მათ განაცხადეს, რომ ქართველები არასდროს შევლენ თურქეთის ბატონობის ქვეშ და აქედან გამომდინარე, მხოლოდ საკუთარი მომავალი ავტონომიისთვის იბრძოლებენ. ისინი გვთხოვენ, რათა გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა მათ ამის გარანტიები მისცენ **(მამულია და ასტამაძე, 2019, გვ.74).**

ქართული კომიტეტის მუშაობასთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტები მოჰყავს თავის ავტობიოგრაფიაში ლეო კერესელიძესაც: „1914 წელს აგვისტოს „სეპარატისტთა კომიტეტმა“ დამავალა ნასვლა სტამბოლში და იქ ხელშეკრულების დადება ოსმალეთის მთავრობასთან. დაუყოვნებლივ გავემგზავრე ოსმალეთში, სადაც ოსმალეთის მთავრობას და გერმანიის საელჩოს დავუდე ხელშეკრულება. ოსმალეთ-რუსეთის ომის დაწყებიდან დავინიშნე კაპიტნის ხარისხით 400 მოხალისე ლაზის და ერთ ასეულ ოსმალს რეგულარულ ჯარის უფროსად. ომის გამოცხადების დღესვე შევუტიე საქართველოს საზღვრებს და ათი დღის განმავლობაში დავიჭირე მურღული, ბორჩხა და მარადიდი, ვიდრე აჭარის წყლამდინ. ამის გამო წარდგენილ ვიყავ ოსმალს ნახევარმთვარის ორდენზე და გერმანულ რკინის ჯვარზე. ამ ბრძოლებში წამოვიყვანე 600 რუსი ტყვეთ, 8 ზარბაზანი, 14 ტყვიამფრქვეველი, 400 ცხენი და სხვა ბევრი დავლა“ **(მამულია (2007) „თანამემამულე“ N3 (24), გვ.16).**

გამოცდილი პოლიტიკოსი, საომარ ბრძოლებში განრთვნილი სამხედრო პირი, სამართალმცოდნე ლეო კერესელიძე, ბუნებრივია, ფრთხილობდა და კიდევ ერთხელ დამატებით გარანტიებს მოითხოვდა გერმანიის ელჩის ვანგენ ჰაიმისა და ოსმალეთის მთავრობისაგან: „კერელე (იგულისხმება ლეო კერესელიძე) ჩამოვიდა და თავისი გეგმები გადამიშალა. მან ასევე დააყენა პირობა, რომ საქართველოს მომავალი დამოუკიდებლობა გარანტირებული იყოს. ჩვენი

მხრიდან, მე მას ეს დავუდასტურე. თალაათ ბეი (იგულისხმება თალაათ ფაშა მეჰმედი) არ არის ამ მოთხოვნის წინააღმდეგი. კელერე, რომელიც საზღვარზე მიემგზავრება, ფიქრობს, რომ როგორც კი ზემოხსენებული პრინციპული საკითხი გადაწყვეტილი იქნება, მოითხოვოს შეძლებისდაგვარად დიდი რაოდენობის თანამედროვე მოდელის იარაღის დაუყოვნებლივ გამოგზავნა“ **(მამულია და ასტამაძე, 2019, გვ.75).**

ამ მხრივ, ასევე საინტერესოა, ერთი ამონარიდი ლეო კერესელიძის ბიოგრაფიიდანაც: „1915 წელს შესდგა „ქართული ლეგიონი“, როგორც რეგულარული ჯარი, რომლის სარდლათ დავინიშნე მე მაიორის ხარისხით. თუ რა ღირსებისა იყო ჩვენი მოქმედება როგორც ლეგიონის გამწვრთნელის, აგრევე ბრძოლის ველზე ტაქტიკური უნარის; – ამაზე ცნობები შეიძლება ეკითხოს ავნი ფაშა ლორთქიფანიძეს, რომელიც იყო ჩემი პირდაპირი უფროსი“ **(მამულია (2007), „თანამემამულე“, N3 (24), გვ.14).**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, საქართველოს კომიტეტს კარგად ესმოდა თავისი პასუხისმგებლობა ერის, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე. ამიტომ მათ საჭიროდ ჩათვალეს გაეცნოთ ქართველი ერისათვის მათ მიერ დადებულ ხელშეკრულებათა ტექსტები, მიზნები, ნამოქმედარი და მომავალი საქმიანობის გეგმები. ამ მიზნით კომიტეტმა გიორგი მაჩაბელი საქართველოში მიავლინა, რათა თანამებრძოლებისათვის კაიზერულ გერმანიის საელჩოსთან დადებული ყველა ხელშეკრულების დეტალები შეესწავლათ: „ხელისმომწერი, გერმანიის ელჩი კონსტანტინოპოლში, ამით უცხადებს ლეო კერესელიძეს, „ქართული სეპარატისტული პარტიის“ წარმომადგენელს, რომ გერმანიის მთავრობა, იმ შემთხვევაში თუკი ნამდვილი ომის დასასრულს საშუალება ექნება საკუთარი ნება უკარნახოს მეომარ მხარეებს, ვალდებულებას იღებს თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მხარი დაუჭიროს ქართველი ხალხის სურვილს, როგორც ის სიტყვიერად იქნა წარმოდგენილი ბატონ კერესელიძის მიერ და ეხება შემდეგ პუნქტებს:

1. საქართველო შეადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელზეც არც რუსეთმა და არც თურქეთმა არ უნდა განახორციელონ რაიმე სახის სუვერენული უფლებები.
2. საქართველოს ტერიტორია მოიცავს კავკასიის ქვეყნებს, რომლებიც მათი ისტორიით და ფაქტობრივი მდგომარეობით, სადღეისოდ უნდა ჩაითვალოს ქართულ ტერიტორიად, ანუ აფხაზეთი, რომელიც იწყება პუნქტიდან შავი ზღვის სანაპიროზე, განლაგებული დაახლოებით 60 კილომეტრით ნოვოროსიისკის სამხრეთით; სამეგრელო, სამურზაყანო, სვანეთი მთელი თავისი მოცულობით, რაჭა, ლეჩხუმი, ქუთაისის და ტფილისის გუბერნიები, ქართლი და კახეთი დაღესტნის საზღვრამდე, ზაქათალა;

ამ ტერიტორიის ფარგლები აღმოსავლეთით და სამხრეთით განისაზღვრება ხაზის მიერ, რომელიც მოდის ზაქათალიდან, ეხება გოგჩის ტბას (ქალაქი ელიზავეტპოლი ამ ხაზის გარეთ რჩება) და სრულდება შავი ზღვის სანაპიროზე, თანამედროვე თურქეთის საზღვარზე. ბათუმის პორტი, ისევე როგორც აჭარა, უნდა შეადგენდნენ საქართველოს ნაწილს. აგრეთვე შეთანხმებულია, რომ ქართველ მუსულმანთა მიერ დასახლებული რეგიონები ასევე შევლენ ახალი სახელმწიფოს ფარგლებში **(მამულია და ასტამაძე, 2019, გვ.77).**

საქართველოში გიორგი მაჩაბელი შეხვდა ყველა პარტიების ხელმძღვანელებს, გავლენიან პირებს, გაზეთის რედაქტორებს, რომლებთანაც გააცნო კომიტეტის მიერ გერმანიასა და ოსმალეთს შორის დადებულ ხელშეკრულებათა ტექსტები.

მაშინ, ნოე ჟორდანიამ თურმე გიორგი მაჩაბელს განუცხადა: „დაბრუნდით გერმანიაში, თქვენმა კომიტეტმა იქ იმოქმედოს იმ ხაზით და პროგრამით, რომელიც თქვენ გაქვთ;

ჩვენ კი აქ ვიმუშავებთ, ვნახოთ რა იქნება“-ო“ (შარაძე, 2001, გვ. 72).

საქართველოდან ნაციონალ-დემოკრატიების თანადგომამ და თანაპარტიულობამ კომიტეტი მეტი პასუხისმგებლობის წინაშე დააყენა. ბერლინში კომიტეტის მუშაობა ორ საქმეზე მიმდინარეობდა: ქართველ ტყვეთა გამოყოფა რუსის ტყვეთა ლაგერებიდან და მათზე ზრუნვა, მეორე – პროპაგანდა გერმანულ საზოგადოებაში და ქართული საკითხის გატანა გერმანიის გარდა, ყველგან სადაც კი ამის შესაძლებლობა იქნებოდა ბროშურებისა და გაზეთის მეშვეობით.

მიხაკო წერეთელს მინდობილი ჰქონდა პროპაგანდის საქმე, ხოლო გიორგი კერესელიძეს ტყვეთათვის განკუთვნილი „ქართული გაზეთის“ რედაქტორობა. გიორგი მაჩაბელი კვლავ კომიტეტის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელად რჩებოდა. ლეო კერესელიძე, ნესტორ მაღალაშვილი და პეტრე სურგულაძე ოსმალეთში მოღვაწეობდნენ.

1915 წლის ბოლოს გერმანიის თანადგომით ქართულმა კომიტეტმა ყოველკვირეული „ქართული გაზეთი“ დაარსა, რომლის მიზანი იყო ტყვეთა ბანაკებში მუშაობა, ქართველი ტყვე ჯარისკაცების გამოყოფა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება, გერმანელთა მიმართ სიყვარულის გაღვივება და ფართო პროპაგანდა ქართველი ერის რუსეთის სივრციდან გამოყოფის შესახებ.

„ქართული გაზეთი“ ცენზურის გარეშე გამოდიოდა და ტყვეთა ბანაკებში თავისუფლად ვრცელდებოდა. აქვე, უნდა ითქვას ისიც, რომ ევროპაში უწინაც გამოდიოდნენ ქართული გაზეთები: „საქართველო“ – პარიზში და „თავისუფალი საქართველო“ – ჟენევაში. მაგრამ ამ ორივე გაზეთს მკითხველები ჰყავდნენ მხოლოდ საქართველოში. ევროპაში კი მათი მკითხველები ათეულებით ითვლებოდნენ.

მათგან განსხვავებით „ქართული გაზეთი“ იყო ის პირველი ქართული გაზეთი ევროპაში, რომელსაც ევროპაშივე ჰყავდა ათასობით მკითხველი, რადგან მასში მასალები გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და ესპანურ ენებზე იბეჭდე-

ბოდა. იგი საქართველოში ჟენევის გავლით ან ნყალქევმა ნა-
ვების მეშვეობით ვრცელდებოდა.

გაზეთი აწოდებდა საინტერესო ცნობებს მკითხველებს
ჩვენი ეროვნული ცხოვრებიდან.

ყურადღებას იქცევს ქართული გაზეთის რედაქციის
ორი წლის მანძილზე განეული მუშაობის ანგარიში, რომლის
ავტორი ლეო კერესელიძე გახლდათ: „უკვე ორი წელი შეუს-
რულდა ჩვენს გაზეთს. ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი და
დიდ- მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. „ქართული გაზე-
თი“ უწევდა ანგარიშს ამ ცვლილებებს და შეუძლიან დაუტ-
რაბახებლად სთქვას, რომ უმეტესი და უთვალსაჩინესი
ცვლილებანი მან იზინასწარმეტყველა. ძნელ პირობებში მო-
უხდა ქვეყნად გამოსვლა „ქართულ გაზეთს“. ძნელი იყო გა-
საკაფი გზა, ეკლით სავსე“ (**„ქართული გაზეთი“ 1918**).

„დღიდან დაბადებისა „ქართული გაზეთის“ ერთადერ-
თი მიზანი იყო გაერთიანება ქართველი ერისა საერთო მშო-
ბელ ქვეყნის საკეთილდღეოდ. არც ერთ პარტიას არ ემსახუ-
რებოდა იგი, არც ერთ პარტიას არ ემტერებოდა. იგი პატივს
სცემდა ყოველ ნამდვილ ქართულ პარტიას, თუ კი საქარ-
თველოს დამოუკიდებელ არსებობას უარს არ ყოფდა“ (**შა-
რადე 200, გვ.124**).

„ქართულ გაზეთს“ სხვადასხვა რუბრიკები ჰქონდა.
განსაკუთრებულად საყურადღებოა ლეო კერესელიძის
(ფსევდონიმით „კ ...“) სტატია „ქართველების ეროვნული მო-
ვალეობა“: „ისტორია მარტო იმას კი არ გვასწავლის, თუ რა
იყო წარსულში, არამედ იმასაც, თუ წარსულის მიხედვით
რას უნდა მოველოდეთ მომავალში. რა იყო მიზეზი, რომ ერ-
თმა მუჟა ქართველმა ხალხმა ორი ათასი წლის გაჭირვებასა
და მტერთაგან მუსვრას გაუძლო და თავისი ეროვნება
დღემდის მოიტანა? ერთი უმთავრესის მიზეზი, სხვა ბევრ
მიზეზთა შორის, აგვიხსნის ამ საკვირველებას. ამის მიზეზი
არის ის ძალა, რომელსაც სახელად ეწოდება ეროვნული სუ-
ლი. ამ სულის კონკრეტული გამომხატველობა არის ენა,
ზნე-ჩვეულება, განსაკუთრებული წესი აზროვნებისა, ლიტე-

რატურა, ხელოვნება და დასასრულ ტიპიც, რომელიც სამართლიანად კაცობრიობას მიაჩნია იდეალად...

ქართველი ერის სულიერი ძალა უკვდავი შეიქმნა და მით დაცულ იქნა საქართველოშიც. ცხადია, ეს ძალა დიდი განძია და დაუფასებელი ჩვენი ერისათვის, მისი დაცვა ჩვენი მოვალეობაა...!“**(შარაძე, 2001, გვ.153).**

გაზეთის ფურცლებზე პროპაგანდისტული და ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის მასალების გარდა, ლიტერატურულ-პუბლიცისტური თუ კრიტიკულ-ესეისტური წერილებიც იბეჭდებოდა.

ცნობილია, რომ თავისი მსოფლმხედველობითა და სოციალური შეხედულებით ლეო კერესელიძე დიდი კლასიკოსების ილიასა და აკაკის მიმდევარი გახლდა. ლეო კერესელიძისათვის ეს მოაზროვნეები ცარიელი ავტორიტეტები არ იყვნენ. ამა თუ იმ აზრის დასასაბუთებლად იგი თვით იკლევდა ფაქტებს, როდესაც უკვე შემუშავებული აზრისათვის განზოგადოებული სახის მიცემა სურდა. ამას მის მიერ პროზად დაწერილი ფანტაზია „თამარ მეფე და მისი მგოსანი რუსთაველი“ და ქართულ ლეგენდაზე დაფუძნებული „ბაზალეთის ტბა“ წარმოადგენდა. ორივე ნაწარმოების გაზეთში დაბეჭდვის მიზანი კი გახლდათ, ტყვედ ჩავარდნილ ქართველთა პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება და ქვეყნად ბევრ კანონთა შორის არსებული კანონის თავისუფლებისა და სიყვარულის დაფუძნება.

ავტორი თამარ მეფის ხატების წარმოჩენით, ორივე ნაწარმოების მაგალითზე მხედველობიდან არ უშვებს ისტორიულად შექმნილ კონკრეტულ ვითარებას და ამ ნიადაგზე ცდილობს ლიტერატურული ფაქტების ახსნას.

ლეო კერესელიძემ თავის ფანტაზიაში „თამარ მეფე და მისი მგოსანი რუსთაველი“ აჟღერებული აქვს მგოსნისა და მეფე ქალის დიდი სიყვარული. მართალია, ისინი დიდი ხანია, რაც მიწას მიეპარნენ, მაგრამ მათი უმწიკლო გრძნობა დღემდე ცოცხალია, ვინაიდან ორთავეს მხოლოდ ერთადერთი სულიერების წყარო აერთიანებდათ, – ეს იყო ერის სიყვარული: „ჩვენი სიყვარული იცოცხლებს უკუნითი უკუნისამ-

დე, იგი არ მოკვდება, რადგან ერი ჩვენი შეგვიყვარებს ჩვენ და სიყვარული მისი საუკუნოდ შეგვაერთებს ჩვენ... მაშინ სიკვდილისაც ნუ გვეშინიან, იგი ვეღარ შესძლებს ჩვენს განშორებას!... რუსთაველო, აი, ჩვენი კავშირის უმაღლესი შემერთებელი ძალა“ (შარაძე, 2001, გვ. 157).

ლეო კერესელიძეს 1918 წელს ჟენევაში გამოცა 45 გვერდიანი წიგნაკი „Fantasies Orientales“, რომელიც რამდენიმე ფანტაზიას შეიცავს. პირველი გახლდათ – „თამარ მეფე და მისი მგოსანი შოთა რუსთაველი,“ რომელიც ავტორს თავდაპირველად ფრანგულ ენაზე დაუწერია და მისივე ქართულად თარგმანი პირველად „ქართულ გაზეთში“ (N25, 1. IV. 1917) დაბეჭდა.

ეს უკვდავი თემა ლეო კერესელიძეზე ადრე აახმიანა პოეტმა და მთარგმნელმა ელისაბედ ორბელიანმა.

ემიგრანტი ელისაბედ ორბელიანი ქართულ მწერლობაში „საზანდარის“ ფსევდონიმით იყო ცნობილი. იგი მხოლოდ ფრანგულ ენაზე წერდა. მისი ლექსი „თამარ მეფე და მისი მგოსანი“ ავტორის თხოვნით 1910 წელს პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა ფრანგულიდან თარგმნა:

„მარმარილოს სასახლეში
თამარ მეფე ბრწყინავს ნაზად
გაზაფხულის ტკბილი ეშხი
ბაღს ედება ფიანდაზად.
იადონი ვარდზე მღერის,
სიო ფოთლებს აშრიალებს
მოძახილი მშვენიერი
ახალისებს მთებს და ქალებს.
და მგზნებარე ახალგაზრდა
ზის თავისთვის გულჩაფლული,
წველ სევდას და ობოლ განცდას
შეუპყრია მისი სული.
ეუფლება შთაგონება, სწავას ცეცხლი და
წმინდა გრძნობა იმედი და დამონება
იმ ერთს ეხლა მიეძღვნება.
იმ ერთს, ვისი თვალთა სხივი
საიდუმლო ჭაბუკს უმზერს,

ვინც ოცნებობს ღვთაებრივად
მარადიულ სიყვარულზე“ (გრიშაშვილი, 1962, გვ.488).

პოეტი ქალი, რადგან ლეო კერესელიძის თანამედროვე იყო. ბუნებრივია, ავტორის შემოქმედებას იგი უეჭველად იცნობდა.

ზემოთ აღნიშნულ პატარა წიგნაკში ასევე შეტანილია ლეო კერესელიძის ქართული ლეგენდა – „ბაზალეთის ტბა“. ესეც ავტორს ფრანგულად დაუნერია და იგი მის ძმისშვილებს „მათე-ლულუს“ უთარგმნიათ.

„ბაზალეთის ტბა“ -ც „ქართული გაზეთის“ N5/45-ში (29.1.1918) გამოქვეყნდა.

ქართველი ერის მისტიური და საიდუმლო სივრცე „ბაზალეთის ტბა“, არა ერთ შემოქმედის არეალში მომხდარა. მათ შორის ცნობილია, 1883 წელს დაბეჭდილი ილიას უკანასკნელი ლექსი „ბაზალეთის ტბა“, სადაც სამშობლოს ბედ-ილბალით გულმოკლული პოეტი დამღერის ტბაში ჩასვენებულ აკვანს და მასში მწოლარე ყმას, რომელიც თამარ მეფეს ჩაუდგამს.

„ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო, წყლის ქვეშე,
უცხო წალკოტი ჰყვავისო“.

ბუნებრივია, ყველა შემოქმედი „ბაზალეთის ტბაზე“ შექმნილ თქმულებას თავისი ინტერპრეტაციით გამოხატავს, მაგრამ ყოველ ტექსტს ერთდაიგივე იდეურ-მხატვრული ფუნქცია აქვს. რომ მოვა დრო: „საქართველოს შავს ცაზე ცეცხლად აინთენ მთების წვეტნი. საშინელმა ქარიშხალმა დაჰბერა მის ველსა და მიაღწია მის ქალაქებს.

ეს არის ის კეთილშობილი მრისხანება საქართველოსი, რომელიც ამსხვრევს სულ შემხუთავ ჯაჭვებს. მისი ფრთა ხან მოედება მინდვრად, ააღელვებს, ხან დაეტაკება ბუმბერაზ მთათა სიმაგრეს.

და აგერ მან ამოაშრო ცრემლნი საუკუნეთა განმავლობაში ბაზალეთის ტბად დაგუბებულნი. ტბისა სიღრმიდან გა-

მოჩნდა რაინდი დიდი თამარის. მისი იარაღის ბრწყინვა და ხმა მისი ბუკისა მოუწოდებს საქართველოს გამარჯვებისკენ. იგი რაინდი, მძლავრი და ამაყი, არის წარსულის თავისუფალი სული. იგი აკლდა ანმყოს. დასრულდნენ დრონი ტანჯვისა“ (**შარაძე, 2001, გვ. 160**).

ლეო კერესელიძე ამ ლეგენდის მიხედვით თავის ნაწარმოებს „ბაზალეთის ტბას“ ოპტიმიზმით, რწმენითა და იმედით ასრულებს.

აშკარაა, „ბაზალეთის ტბის“ შესახებ დაწერილ ნაწარმოების ერთადერთი საფუძველი მხოლოდ სამშობლოს სიყვარლია. აქ წარსულ მოვლენათა განხილვისას ავტორი ისტორიულ, ე.ი. ნამდვილ მეცნიერულ თვალსაზრისზე დგას. ამით ლეო კერესელიძეს სურდა დაემტკიცებია, რომ სამშობლოს სიყვარულმა შეიძლება ლეგენდაში ადვილად გვიბიძგოს სინამდვილის დამახინჯებისაკენ, მაგრამ მკვლევარისა თუ ხელოვანის ამოცანა ისაა, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს მისდევდეს.

ასე რომ, ორივე შემოქმედის მიერ „ბაზალეთის ტბის“ ლეგენდის საფუძველზე დაწერილ ნაწარმოებებში ერთი და იგივე იდეა და აზრია გამოხატული, რომელსაც ტანჯული ერი დიდი იმედით შეჰყურებდა.

„ქართული გაზეთის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ნაწარმოებები: „თამარ მეფე და მისი მგოსანი რუსთაველი“ და „ბაზალეთის ტბა“, ბუნებრივია, ყველა დროსა და ეპოქაში აღაფრთოვანებდა ქართველ ერს და მათ შორის მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილ ქართველებს.

აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ ხსენებული მხატვრული ნაწარმოებების გარდა, „ქართულ გაზეთში“ (1918 წლის 23 ივლისს N14/45) დაიბეჭდა ნაწყვეტი ლეო კერესელიძის ფრანგულ ენაზე დაწერილი წიგნიდან „საქართველო და რუსეთის ბატონობა“, რომელიც მათე ლულუს ქართულად უთარგმნია.

„ქართულ გაზეთში“ მრავლად ვხვდებით ლეო კერესელიძის სხვა ისტორიულ ნარკვევებსა თუ პუბლიკაციებს: „წმინდა ნინო“ (N7/47), „საქართველოს კათალიკოსი კირიონ

მეორე“ (N8/48), „საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო“ (N3/ 1.V. 1916), „ქართველების ეროვნული მოვალეობა“ (N6, 15.VI. 1916), „თამარობა ჩვენში“ (N7, 30.VI. 1916) და სხვ.

გამოქვეყნებული ნარკვევები იმის ნათელი მაგალითია, თუ რამდენად ღრმა და ჭეშმარიტია ლეო კერესელიძის მსჯელობა-შეფასება. სადაც ავტორი თითქმის არასოდეს არ ტოვებს ისტორიზმის პოზიციას და ამ პრინციპით აშუქებს საქართველოს წარსულის ფაქტებსა და მოვლენებს.

ამდენად, ლეო კერესელიძე სახელმწიფოს არსებობას ფილოსოფიური, ისტორიული და იურიდიული მეთოდებით განსაზღვრავს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყოველ ერს რაც არ უნდა რიცხოვნობრივად მცირე იყოს აქვს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზ. „იმერეთი“ (1913), N106, 21 ივლისი, ქუთაისი.
2. გრიშაშვილი, ი. (1962), ტ. II, თბილისი.
3. მამულია, გ. ასტამაძე, გ. (2019), „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918 დოკუმენტები და მასალები, თბილისი.
4. მამულია, გ. (2013), ჟურ. „ქართული ემიგრაცია“, N1 „გიორგი კერესელიძე“, თბილისი.
5. მამულია, გ. (2007) ჟურ. „თანამემამულე“, N3 (24) ივნისი-ივლისი, „გენერალი ლეო კერესელიძე, თბილისი.
6. ჟურ. „თავისუფალი საქართველო“ (1914), N4, აპრილი, შენევა.
7. სალია, კ. (1962), ჟურ „ბედი ქართლისა“ N34-30, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს“, პარიზი.
8. „საქართველოს ისტორია 1783-1990“. თბილისი.
9. „ქართული გაზეთი“ 1918, 12 მაისი N10/50.
10. შარაძე, გ. (2001), „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“ ტ.I, თბილისი.

ია ლადუა
ნანი კიკნაძე
Ia Ghadua
Nani Kiknadze

**ფაქტები აჭარის სამშობლოში
დაბრუნების ისტორიიდან
(ლიტერატურის მუზეუმში დაცული
რამდენიმე ხელნაწერის მიხედვით)**
*Facts from the history of Ajara's return to its homeland
(according to several manuscripts preserved
in the Museum of Literature)*

აბსტრაქტი: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, ხელნაწერთა ფონდში, ზაქარია ჭიჭინაძის არქივში დაცულია ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორის, ივანე კერესელიძის, მოგზაურობას ზემო აჭარაში, კერძოდ, სხალთაში და სტუმრობას შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილთან. ხელნაწერი შეიცავს უაღრესად საინტერესო დეტალებს, თუმცა იგი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ ივანე კერესელიძის მოგზაურობა არ არის გამოქვეყნებული და ჩვენი ვარაუდით, ის ზაქარია ჭიჭინაძემ ჩაინერა ივანე კერესელიძისგან, მასზე წიგნის გამოსაცემად.

გარდა ამ ხელნაწერისა, საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის პირადი მიმოწერა, რომელთაგან გამოვარჩევთ რამდენიმე მათგანს – აბდულ ეფენდი მიქელაძისა და ხაფიზ ეფენდი სომანიძის წერილებს, რომლებიც, ასევე გამოუქვეყნებელია.

ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში საკმაოდ ბევრი საინტერესო და საყურადღებო მასალებია დაცული, მოხსენებისტვის ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანი შევარჩიეთ, რომლებიც უცნობია ფართო საზოგადოებისთვის და რომლებიც წარმოაჩენს 60-80-იანი წლებში აჭარაში მიმდინარე მოვლენებსა და მის ურთიერთობას ქართულ საზოგადოებასთან შემოერთების შემდეგ.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურის მუზეუმი, ზაქარია ჭიჭინაძე, ივანე კერესელიძე, მიხეილ მეფისაშვილი (მეფისოვი), შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, აბდულ ეფენდი მიქელაძე, ზემო აჯარა, სამუსლიმანო საქართველო, მაჰმადიანი ქართველები.

Abstract. In the State Museum of Georgian Literature named after Giorgi Leonidze, in the manuscript fund, in the archive of Zakaria Chichinadze, there is a manuscript that represents the journey of Ivane Kereselidze, the editor of "Ciskri" magazine, to Zemo Ajara, namely to Skhalta, and his visit to Sheriff-beg Khimshiashvili. The manuscript contains extremely interesting details, although it is also important in that Ivane Kereselidze's journey has not been published, and we assume that Zakaria Chichinadze wrote it down from Ivane Kereselidze to publish a book about it. Apart from this manuscript, Zakaria Chichinadze's personal correspondence is interesting, from which we will select a few of them – the letters of Abdul Efendi Mikeladze and Khafiz Efendi Somanidze, which are also unpublished.

There are quite a lot of interesting and noteworthy materials preserved in the manuscript fund of the Museum of Literature, for the report we have selected only a few of them, which are unknown to the general public and which present the events taking place in Ajara in the 60s-80s and its relationship after joining the Georgian society.

Keywords: *Museum of Literature, Zakaria Chichinadze, Ivane Kereselidze, Mikheil Mefisashvili (Mefisov), Sherif-Beg Khimshiashvili, Abdul Effendi Mikeladze, Zemo Ajara, Muslim Georgia, Muslim Georgians.*

შესავალი: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (ხელნაწერთა ფონდში) ზაქარია ჭიჭინაძის არქივში დაცულია ხელნაწერი¹, ავტოგრაფული ნუსხა, რომელსაც არა აქვს მითითებული თა-

¹ სსლმ 4843-ბ

რილი. ხელნაწერი შესრულებულია 5 ყვითელ ქაღალდზე (46X10სმ.), ყავისფერი მელნით. 5r-ზე ახლავს ავტორის ინიციალები ზ.ჭ. ჩასწორებულია იისფერი მელნით. ძირითად სათაურია ნასწორები. სათაური პირვანდელი ვარიანტი გახლავთ: ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორის ივანე კერესელიძის ყოფნა აჭარაში. შემდეგ იისფერი მელნით წაუშლია „ყოფნა აჭარაში“ და მიუწერია: მგზავრობა ქვედა აჭარაში. ამის შემდეგ ყავისფერი მელნით გადაუშლია სიტყვა „ქვედა“ და ზემოთ მიუწერია: ზედა. შედეგად, ჩანაწერის სათაურმა საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო: „ჟურნალ ცისკრის რედაქტორის ივანე კერესელიძის მგზავრობა ზედა აჭარაში“.

როგორც თავადვე აღნიშნავს, ეს არის ივანე კერესელიძის მონათხრობი, რომელიც ჩაუწერია ზაქარია ჭიჭინაძეს, დასაწყისში თხრობისას ზმნას ურთავს კიდევ მესამე პირის ნაწილაც, ო-ს.

ძირითადი ნაწილი: ჩანაწერი იწყება იმით, თუ როგორ განიცდიან ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ქართველ მაჰმადიანთა მდომარეობას აჭარაში: „ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომლებს ალექსანდრე ორბელიანს, მის თანამედროვე ქართველ ძველ მწერლებს: ლავრენტი არდაზიანს, გრიგოლ რჩეულოვს და სხვებსაც „ცისკრის“ თანამშრომლებს, 1860 წლიდან, ოსმალეთის საქართველოს შესახებ ქართული გული ეთანაღრებოდათ და სტკიოდათ. ყველა ესენი ქართველ მაჰმადიანთა გადაგვარებისაგან დალონებული და დადარდიანებულნი იყვნენ“; „...ძლივს როგორც იქნა. მხოლოდ აჭარლებმა შეინარჩუნეს ქართული ენა და დღეს ოსმალეთის მთავრობის მახვილით აქაც ისპობა ქართული ენაო. ამის შეტყობა თურმე ყველა ქართველს სურდა, მაგრამ საიდან ვინ რას გაიგებდაო, როცა ოსმალეთის მთავრობა ჩვენ, ქართველს კაცს იქ არავის აძლევდა შესვლის უფლებასაო“.

ივანე კერესელიძეს მოუხერხებია „რუსის შტაბის უფროსისაგან“ აჭარაში წასვლისა და მგზავრობის ნებართვის აღება. ნებართვა კი ჰქონდა, მაგრამ „ახლა საქმე ის იყო, თუ მე იქ რა საგნით და საქმით უნდა წავსულიყავი. ამაზედ და-

ფიქრებული ვიყავით და დაღონებულები, ამ, დროს, თფილისში ჩამოვიდა ახალციხელი ქართველი კათოლიკე მიხეილ მეფისოვი“. ალექსანდრე ორბელიანის ხარჯით მეფისოვი რედაქციაში სადილად მოიწვიეს. „მეფისოვს კითხვები მივეცით და დარიგება ვსთხოვეთ, რომ ესწავლებინა ჩვენთვის ის ოსტატობა, თუ ჩვენ როგორ შევსულიყავით აჭარაში, რომ ჩვენთვის ოსმალს მთავრობას დაბრკოლება არ აღმოეჩინათ, სადმე მგზავრი არ მოვეკალით“.

ივანე კერესელიძე ამ სადილობის დროს თარსა და ჭიანურზე უკრავდა თურმე, რაც ძალიან მოეწონა მეფისოვს და გეგმაც გაიჩარხა. „მიხეილ მეფისაშვილმა გვითხრა შემდეგი დარიგება: თქვენ ოსმალს მთავრობის არაფერი შიში არ გექნებათ, არც მათი ნება რთვა გინდათ და არც სხვა არასფერი, თუ ვისმეს გაგზავნით ისეთ კაცს, რომელსაც ამ თარი-სა და ჭიანურის დაკვრა ეცოდინებათ. იქ ამის მეტი სხვა არასფერი იქნება მისთვის საჭირო. მან მხოლოდ ეს საკრავები წაიღოს და ვითომ ამის დამკვრელი არის და ამის დაკვრით შევიდეს მათში, ეს საკრავები მათ ისე მოეწონებათ, რომ დაბრკოლების გარდა დახმარებასაც მისცემენ, ვისაც გაგზავნით იქ. მე კიდეც იმას წერილს გავატან ჩემს მეგობარს აჭარის ბეგს შერიფ ბეგ ხიმშიაშვილთან და ისიც დაეხმარება მას, რაც საჭირო იქნება მისთვის“.

მიხეილ მეფისოვის ამ სიტყვებით შეგულიანებული ალექსანდრე ორბელიანი მიუბრუნდა ივანე კერესელიძეს და მას დააკისრა მოგზაურობა აჭარაში: „ივანე ივანიჩ, აბა შენზე უკეთეს ვილას ვნახავთ, შენ თარის დაკვრაც კარგათ იცი და ჭიანურისაც“.

რადგან ოსმალეთის მთავრობისთვის საჩვენებელი მოგზაურობის „საგანი“ გამოიძებნა, ივანე კერესელიძემ გზის სწავლებისთვის უკვე თამამად მიმართა მიხ. სეფიაშვილს. მანაც დაარიგა, რომ ახალციხიდან გადასულიყო აჭარაში და გზად მისთვის გაეფლო. დააკვალინებდა კიდეც და წერილსაც გაატანდა შერიფ-ბეგთან.

მართლაც, 1865 წლის ზაფხულში ივანე კერესელიძე ჯერ ახალციხეში ჩადის, მიხეილ მეფისაშვილთან. ის დაპირე-

ბისამებრ ახვედრებს წერილს შერიფ-ბეგთან და მიჰყვება სოფელ ვალემდე, „სადაც მაშინ იყო რუსეთისა და ოსმალეთის საზღვრები“.

ივანე კერესელიძეს თან მხოლოდ ერთი კაცი ახლდა, რომელსაც მისი ბარგი მიჰქონდა, თავად კი თარისა და ჭიანურის დაკვრით მიუყვებოდა აჭარის გზას. სოფლელები აღტაცებით ხვდებოდნენ მის დაკვრას. ზოგ ხილი მოჰქონდა, ზოგს ცივი წყალი, ზოგი რუსულსა და ოსმალურ ფულსაც მაძლევდნენო. ასე მივიდა სოფელ სხალთაში. როდესაც სოფლის ცენტრში დაუკრა, სოფლელები აღტაცებული უსმენდნენ და უთხრეს, ჩვენს ბეგთანაც მიდი სახლში, მასაც ესიამოვნება მოსმენაო. მეც სწორედ ეს მინდოდაო, – ამბობს ივანე კერესელიძე.

საოცრად ემოციურია ჩანანერის ის მონაკვეთი, რომელშიც ივანე კერესელიძე აღწერს შერიფ-ბეგის რეაქციას მასთან შეხვედრისა და განსაკუთრებით მეფისაშვილის წერილის მიღებისას: „შევედით სახლის ეზოში, მე ჯერეთ ჭიანური მოვმართე და მერე თარი. ბეგი მალე გამოვიდა სახლიდან ბალკონზედ, ყურება დამიწყო, მერე დამიყვია ასე: -სადაური ხარ ძმაო ან რა ენის კაცი ხარ. მე მივუგე პასუხად ასე: -ბეგო, მე გახლავართ ქართველი, თფილისიდან. ბეგს ჩემი ცნობა დიდათ გაუხარდა და მაშინათვე დამიყვია: -აქ ამობძანდით და აქ ჩემის სახლის ბალკონზედ დაუკარით.

მეც მაშინათვე აველ იქ. მოვმართე თარი და იქ დაუკარი. ამ დროს მომართვეს ყავა, ამ დროს თარის დაკვრა გავათავე, ყავის შემდეგ სადილიც მომართვეს. მერე ბეგმა ვინაობა მკითხა და თფილისის ამბები.: მეც უამბე. ამ დროს ეზოდამ სოფლელები სულ წავიდნენ, მეც ჯიბიდან ამოვლე ქართულად დანერილი წერილი და გადავეცი ბეგს. მან მითხრა ეს წერილი ვინ გამოგატანა. მე მივუგე მიხეილ მეფისოვმა. ბეგს დიდათ გაუხარდა, წერილს აკოცა, გახსნა მალე და წაკითხა, საქმე სცნო და მეც ამხედ დამხედა, დამათვალიერა. ამის შემდეგ პატივისცემით დამიწყო მასპინძლობა“.

სამი დღე დარჩა ივანე კერესელიძე შერიფ-ბეგთან. შემდეგ კი ბეგმა უკან დაბრუნება ურჩია. ივანეც დასთანხმდა, რადგანაც, როგორც თვითონ ამბობს, მისი გეგმა და ამ მოგზაურობის მიზანი უკვე შესრულებული ჰქონდა: „მე დავალე-ბული მქონდა, რომ აჭარის გზები უნდა დამეთვალიერებინა შერიფ ბეგის სახლამდის. ეს მეც დავათვალიერე და ავწუხებ ყველაფერი“.

ჩანაწერის სრულდება შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის სიტყვებით, რომელიც მან ივანე კერესელიძეს უთხრა გამოთხოვებისას. ჩვენ ძალიან ბევრი რამ ვიცით შერიფ-ბეგის შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს პატარა ჩანაწერი კიდევ ერთ შტრიხს შემატებს სამშობლოს მოყვარული მოღვაწის სახელს, ამიტომაც გთავაზობთ ამ მონაკვეთს სრულად: „წასვლის დროს შერიფ ბეგმა მიაშო, რომ აჭარაში ქართული ენა არსად არის მოსპობილიო. ეს ენა ამას შემდეგ აჭარაში არც მოისპობაო, რაღაც მოისპო, ის მოხდა სიშორისაგანაო. ყარსი, არტაანი და ის ადგილები, სადაც ქართველ მაჰმადიანებმა ქართული ენა დაკარგეს, იგინი შორი ქვეყნებია და აჭარა კი საქრისტიანო საქართველოს ახლოს არის და იმედია ამიტომ აქ არაფერი არ დაიკარგება რაო.

და თუ ღმერთმა გვალირსა საქრისტიანო საქართველოსთან შეერთება, მაშინ ეს ენა იქაც კი აღორძინდება ისე-ვაო. ღმერთმა ქნას, რომ ჩვენი შეერთება დროით მოხდეს, მეც მეღირსოს ჩემის მამა პაპის სელიმ და ახმედ ფაშების ნატვრის შესრულება და თქვენში გადმოსვლა. ჩემს ნატვრას მხოლოდ ეს ნატვრალა შეადგენს“.

ხელნაწერი შესრულებულია მხოლოდ ერთ გვერდზე, თუმცა, 2v-ზე ზაქარია ჭიჭინაძეს დაუწყია კიდევ ერთი მოგზაურობის აღწერა, მაგრამ მხოლოდ ერთი აბზაცია დაწერილი. ეს გახლავთ „ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე აჭარაში“. აღნიშნავს მხოლოდ, რომ პეტროგრადის სამეცნიერო აკადემიის დანიშნულებით დიმიტრი ბაქრაძე უნდა გამგზავრებულიყო აჭარაში. თავდაპირველად ის ცხოვრობდა ბათუმში, მაგრამ სტამბულში არ გაუშვეს.

ზაქარია ჭიჭინაძის ეს ხელნაწერი, ივანე კერესელიძის მოგზაურობის აღწერითა და დიმიტრი ბაქრაძის მოგზაურობის მინაწერით, გვაფიქრებინებს, რომ ის არის ერთგვარი სამუშაო მასალა წიგნებისთვის. მოგეხსენებათ, ზაქარია ჭიჭინაძეს გამოცემული აქვს თავისი თანამედროვე საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერებისა თუ მწერლების ბიოგრაფიები სერიით: სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები. ამ სერიით 1891 წელს გამოსცა „დიმიტრი ბაქრაძე“, ხოლო 1902 წელს – „ივ. ივ. კერესელიძე“. თუმცა, არცერთ მათგანში არ გვხვდება დაწვრილებით ამ მოგზაურობების შესახებ.

ჩვენ მოვიძიეთ, იყო თუ არა გამოცემული ივანე კერესელიძის მოგზაურობა, თუმცა, ერთადერთ მცირე ინფორმაციას ისევ ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში ვაწყდებით: „მან [ივ. კერესელიძემ] გრიგოლ ორბელიანის მეოხებით მოახერხა და იგი რუსის მთავრობისგან აჭარაში, ხიმშიაშვილებთან იქნა გაგზავნილი... ივ. კერესელიძე იყო ზედა აჭარაში, სხალტას, ნახა ხიმშიაშვილები, ისაუბრა მათთან და მერე ტფილისში დაბრუნდა სხვა-და-სხვა ცნობებით. მთავრობას საიმედო ცნობები მოუტანა. აჭარაში იგი თარისა და ჭიანურის დაკვრის საშუალებით შევიდა, მის ოსტატობით შედგა იქ ფეხი, რადგანაც მან ძრიელ კარგათ იცოდა თარისა და ჭიანურის დაკვრა. თარი მას ბატონიშვილ თეკლესაგან ჰქონდა ნაჩუქებული“ (ჭიჭინაძე 1902: გვ. 36).

როგორც ვხედავთ, ეს არის მცირე და მშრალი ინფორმაცია, რომელიც წიგნში სხვა კონტექსტის ნაწილითაა წარმოდგენილი, კერძოდ, ამ მოგზაურობაში მთავრობისგან მიღებული თანხის უკმარისობასა და მატერიალური მდგომარეობის წარმოსაჩენად მოიყვანა ავტორმა. წიგნში ავტორი არაფერს ამბობს ამ მოგზაურობის ემოციური დეტალების შესახებ, რომლითაც სავსეა მისი ჩანაწერი.

ზაქარია ჭიჭინაძე ივანე კერესელიძეს არ ახსენებს არც ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1915 წლის 26-ე ნომერში (28 ივნისი), რომელიც მთლიანად ეძღვნება აჭარის ამბებს. ამ ნომრის მე-14-16 გვერდებზე დაბეჭდილია ზაქარია ჭიჭინაძის წერილი „ვინ სწერა ქართველ მაჰმადიანთა შესახებ?“,

რომელშიც არა მხოლოდ ჩამოთვლის მათ, არამედ მცირე ტექსტსაც ურთავს, კონკრეტულად რა გააკეთეს და დაწერეს მათ აჭარისთვის. ჩამოთვლილი ჰყავს პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი, ნიკო ნიკოლაძე, პეტრე უმიკაშვილი, სერგეი მესხი, ილია, აკაკი, გიორგი წერეთელი, ვალერიან გუნია, თედო სახოკია, ივანე გვარამაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო მარი, ალექსანდრე ყიფშიძე, ილია ფერაძე, სამსონ ფირცხალავა, გულო ალა კაიკაციშვილი, აბდულ ეფენდი მიქელაძე, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, ედუარდ ლიოზენი. აქ ჩამოთვლილ პიროვნებებში ჩვენ ვხედავთ ისეთებს, რომლებსაც არ უმოგზაურიან აჭარაში, მაგრამ წერდნენ მასზე. მაგალითად, ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი. ზ. ჭიჭინაძემ სათაურშივე მიგვანიშნა, რომ თავის სტატიაში ის ადამიანები წარმოაჩინა, რომლებმაც ქართველ მაჰმადიანთა, სამუსლიმანო საქართველოს შესახებ დაწერეს. რადგან აქაც არ ასახელებს ივანე კერესელიძეს, ვფიქრობთ, რომ ივანე კერესელიძის მოგზაურობა არ გამოქვეყნებულა, თუ არ ჩავთვლით ზემოაღნიშნულ ინფორმაციას ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში და ამდენად, ჩვენი ხელნაწერი უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა.

„თეატრი და ცხოვრების“ ამავე ნომერში გვხვდება ილია ფერაძის წერილი: „შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი“ (დაბეჭდილია ფსევდონიმით: ი. ფ-რაძე). შერიფ ბეგის აღწერისთვის ავტორი იმონმებს „დროების“ რედაქტორს, სერგეი მესხს, რომელმაც შერიფ-ბეგი აღწერა 1878 წლის შეხვედრის დროს. არც ამ წერილშია ნახსენები ივანე კერესელიძე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ილია ფერაძესაც და ზაქარია ჭიჭინაძესაც ზემოაღნიშნულ სტატიებში მოხსენიებული ჰყავთ აბდულ ეფენდი მიქელაძე. ილია ფერაძე იმონმებს მონაკვეთს გაზეთ „თანამედროვე აზრში“ „აჭარელი მიქელაძის“ სტატიიდან: „ჭირმა დაგვარწმუნა აჭარლები, რომ ჩვენ ქრისტიან ძმებს უზომოდ ვყვარებივართ...“ ზაქარია კი მასზე აღწერს, როგორც ქართული წერა-კითხვის კარგ მცოდნეს, საქართვე-

ლოს გულშემატკივარს, რომელიც ეხმარებოდა აჭარაში ქართული წიგნების გავრცელებაში.

ლიტერატურის მუზეუმში დაცულია აბდულ ეფენდი მიქელაძის ორი წერილი ზაქარია ჭიჭინაძისადმი.¹ სამწუხაროდ, წერილები დაუთარილებელია, თუმცა ორივე წერილში ჩანს ის დიდი სიყვარული, რომელიც აბდულ ეფენდის აკავშირებს არა მხოლოდ ზაქარია ჭიჭინაძესთან, არამედ იმდროინდელ ქართულ საზოგადოებასთან. განსაკუთრებული სიყვარულით მოიკითხავს პეტრე უმიკაშვილსა და ილია ჭავჭავაძეს.

უაღესად საინტერესოა აბდულ ეფენდის ის წერილი, რომელშიც აჭარის დეპუტაციის შესახებ სწერს ზაქარიას: „ჩვენი აჭარის დეპუტატები, რომლებიც ამას წინად იყვნენ ლესნიჩის თაობაზედ, დარწმუნებულნი თქვენს გულკეთილობაზედ და იმაზედაც, რა გულით და სულით მოწადინებული ბრძანებულხართ, როგორც თქვენ აგრეთვე თავადი ილია ჭავჭავაძე, და სხვა ქართველი ქრისტიანებული რომ მათი ე.ი. ჩვენი ყველა ქართველი, მახმადიანების თხოვნის და შესრულებაზედ. ეს დეპუტატები თუმცაღა გვიან კია, მაგრამ ეხლა სრულიათ აფასებენ თქვენს ღვაწლს ჩვენს ქვეყანაშიდ რომლებსაც თანაუგრძნობს მთელი ჩვენი აჭარა და ნატრულობენ თქვენს ნახვას – აჭარაშიდ ეს ამბავი დიდათ სასიამოვნოა ჩემთვის. რადგანაც სხვებმაც კი მიხვდენ რომ თქვენ ჩვენთვის ყოველთვის კარგს სცდილობთ. ის ოსმან ჩაუშიც რომელსაც თქვენ ლესნიჩი ეგონეთ და მაჭახელშიდ არ გიშვებდა, დღეს აღტაცებაში მოდის თქვენის ხსენებაზედ. რომელისთვისაც ფასუდებელი პატივი გიცემიათ ნაცვლათ იმისა, რომ მის ქვეყანაშიდ ფეხს არ გადგმევინებდათ – გემგზავრათ, მაგრამ როგორც თქვენ მოგეხსენებათ ჩვენი კაცი ჯერ ჯერობით ტყის კაცია და მიეტოვება დამნაშავეობა“.

ზაქარია ჭიჭინაზის არქივში გვხვდება, ასევე, ხაფიზ ეფენდი სომანიძის წერილი ზაქარიასადმი², რომელშიც იმავე

¹ სსლმ 5067-ბ, სსლმ 5069-ბ

² სსლმ 5068-ბ

სიყვარულსა და პატივისცემას ვხედავთ საქართველოსა და იმდროინდელი მოღვაწეებისადმი, როგორც აბდულ ეფენდი მიქელაძის წერილებში. აქაც განსაკუთრებულ სიყვარულს და ამავდროულად იმედს ვხედავთ ილია ჭავჭავაძისადმი.

მართალია, პირადი მიმონერა სუბიექტურია, მაგრამ უდავოა ისიც, რომ სწორედ ისინია ყველაზე საიმედო წყარო, რადგანაც პირად წერილში ავტორი არის გულწრფელი და შეუღამაზებლად წარმოაჩენს თავის დამოკიდებულებასა თუ მოსაზრებას. ამიტომაც ჩავთვალეთ მიზანშეწონილად მათი გამოქვეყნება.

კიდევ ერთი ხელნაწერი, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო, გახლავთ ბათუმის მაზრის მაჰმადიან ქართველ თავადაზნაურთა წერილი გაზეთ „დროების“ რედაქტორს. წერილი არის 4-გვერდიანი და შესრულებულია ყავისფერი მელნით.

წერილის დასაწყისში ისინი გამოთქვამენ თავიანთ პატივისცემას დიმიტრი ყიფიანისადმი, მისი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად არჩევის გამო. ამის შემდეგ კი ითხოვენ, რომ ისინიც მიაკუთვნონ ქუთაისის გუბერნიას: „ჩვენ, გამაჰმადიანებული ქართველნი კეთილ შობილნი ბათუმის მაზრისა, ვმადლობთ უზენაეს განგებას, რომელმაც ორასი წლის შემდეგ ისევ შეგვყარა საქართველოს სახელოვან კეთილშობილებთან, ჩვენს ღვიძლს ძმებთან. გულწრფელად ვაღვიარებთ, რომ გულით, სულით, მთლად ჩვენი არსებით ეკუთვნით აღნიშნულს წოდებას ჭირშიც, ლხინშიც, ავშიც და კარგშიც. ამ ზნეობრივს კავშირთა საჭიროა ფორმალურ-ოფიციალური კავშირიც, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: რათა ჩვენც მიწერილნი ვიყვნეთ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობასთან...“

წერილს განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს ბოლოს დართული 19 ხელმოწერა ქართულსა და ოსმალურ ენებზე.

ხელმოწერამდე მითითებულია წერილის შედგენის ადგილი და რიცხვი: *ქ. ბათუმი, ივნისის 8-ს*. სამწუხაროდ, არ არის მითითებული წელი, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ დიმიტრი ყიფინი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურ-

თა წინამძღოლი იყო 1885-86 წლებში, ხოლო გაზეთი „დროება“ დაიხურა 1885 წლის სექტემბერში, ადვილი მისახვედრია, რომ წერილი დაწერილია 1885 წლის ივნისში.

წერილი კიდევ ერთი ფაქტითაა საყურადღებო – ხელნაწერი ნასწორებია ყავისფერი მელნით. წერილის დასაწყისის: „მონყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო“ – თავზე ყავისფერი მელნით, განსხვავებული კალიგრაფიითაა მიწერილი: წერილი რედაქტორთან. იმავე კალიგრაფიითა და იმავე მელნით გვხვდება მინაწერი პირველი გვერდის მარცხენა ზედა კუთხეში: მოწინავე წერილის შემდეგ. ჩასწორებები გვხვდება ტექსტშიც, რამდენიმე ადგილას (გადახაზული, სიტყვები გადაწერილი). გადასწორებულია თარიღიც – ივნისი გადასწორებულია ივლისად. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1885 წელს „დროების“ რედაქტორი იყო ივანე მაჩაბელი, სავარაუდოდ, ეს მინაწერები და ჩასწორებებიც მას ეკუთვნის.

დასკვნა: ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში საკმაოდ ბევრი საინტერესო და საყურადღებო მასალეებია დაცული, რომლებიც ნათელს ჰფენს და სისრულით წარმოაჩენს XIX საუკუნის საქართველოს ლიტერატურულ, კულტურულ, პოლიტიკურსა თუ სოციალურ გარემოს. მოხსენებისტვის ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანი შევარჩიეთ, რომლებიც წარმოაჩენს 60-80-იანი წლებში აჭარაში მიმდინარე მოვლენებს, აჭარის სამშობლოში დაბრუნების ფაქტებსა და მის ურთიერთობას ქართულ საზოგადოებასთან შემოერთების შემდეგ. ამავდროულად ეს არის გამოუქვეყნებელი, უცნობი მასალა და ამიტომაც მიგვაჩნია ღირებულ წყაროდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სსლმ 4843-ბ – ზაქარია ჭიჭინაძე, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორის ივანე კერესელიძის მგზავრობა ზედა აჭარაში (ხელნაწერი)
2. სსლმ 5067-ბ – აბდულ ეფენდი მიქელაძის წერილი ზაქარია ჭიჭინაძეს (ხელნაწერი)

3. სსლმ 5068-ბ – ხაფიზ ეფენდი სომანიძის წერილი ზაქარია ჭიჭინაძეს *(ხელნაწერი)*
4. სსლმ 5069-ბ – აბდულ ეფენდი მიქელაძის წერილი ზაქარია ჭიჭინაძეს *(ხელნაწერი)*
5. სსლმ 14096-ბ – ბათუმის მაზრის მაჰმადიან ქართველ თავად-აზნაურთა წერილი გაზეთ „დროების“ რედაქციას *(ხელნაწერი)*
6. ჭიჭინაძე ზაქარია, დიმიტრი ბაქრაძე, თფილისი, 1891 წ.
7. ჭიჭინაძე ზაქარია, ივ. ივ. კერესელიძე, ტფილისი, 1902 წ.
8. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, №26, 1915 წ.

გიორგი ბაცिकाძე
George Batsikadze

**ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ და 1977-1978 წწ.
საკონსტიტუციო ცვლილებები**
*The struggle against the Georgian language and 1977-1978.
Constitutional amendments*

აბსტრაქტი. სამეცნიერო სტატია ეხება 1970-იან წლებში საბჭოთა სისტემის მხრიდან ქართული ენის წინააღმდეგ მიმართულ კონკრეტულ ღონისძიებებს. იგი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოებრივ დონეზე გადადგმული ანტიეროვნული ნაბიჯების არსზე, მიზანსა და მიმდინარეობაზე.

სტატია მიზნად ისახავს წარმოაჩინოს 1976 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და 1977 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტში ქართული ენის დისკრიმინაციის კონკრეტული მაგალითები, განიხილოს მათი წარმომავლობა და დანიშნულება საბჭოთა მმართველობის ქართულ ენასთან მიმართებით არსებული კურსის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: *კონსტიტუცია, დემონსტრაცია, შევარდნაძე, ქართული ენა, უნივერსიტეტი*

Abstract. The scientific article refers to specific measures directed against the Georgian language by the Soviet system in the 1970s. It focuses on the essence, purpose and course of anti-national steps taken at the state level.

The article aims to present specific examples of discrimination of the Georgian language in the 1976 Tbilisi State University and 1977 draft constitution of the Georgian Soviet Socialist Republic, to discuss their origin and purpose in the context of the current course of Soviet rule in relation to the Georgian language.

Key words: *constitution, demonstration, Shevardnadze, Georgian language, university*

რამდენადაც ერი შორდება ეროვნულ იდენტობას, იმდენად იმატებს მისი მართვის და გარდაქმნის შესაძლებლობა. შესაბამისად, ნებისმიერი დამპყრობელი თვითმყოფადობის დარღვევაშიც ეძებს ხელჩასაჭიდს.

არც საბჭოთა სისტემა ყოფილა გამონაკლისი, თავისი ნომენკლატურით. ყველასთვის ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის ფორმალურ სამოკავშირეო სახელმწიფოს რეალური მდგომარეობა რუსეთის მიერ 14 ქვეყნის დაპყრობით შემდგარი იმპერია იყო. რუსული ენა, მიუხედავად ყველა ენის თანაბრობის ნომინალური პრინციპისა, ერთმნიშვნელოვნად პრივილეგირებული იყო და გრძელდებოდა აქტიური მუშაობა თანდათან ყველა დონის დაწესებულებიდან სხვა ენების გამოსაძევებლად და რუსულის დასანერგად. ამის ერთ-ერთი გამოვლინება ენის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. მათ შორის აღსანიშნავია 1970-იანი წლების რამდენიმე მოვლენა.

უნივერსიტეტის მოვლენები. 1976 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისი რექტორის ორგანიზებით, როგორც ჩანს, ცენტრალური ხელისუფლებისგან მიღებული ინსტრუქციებით, დაიწყო მცდელობა სასწავლო პროცესში რუსული ენის დანერგვისთვის. ამ მოტივით რექტორმა დავით ჩხიკვიშვილმა სათითაოდ დაიბარა სხვადასხვა ფაკულტეტის დეკანი და აუწყა მათ ზოგიერთი საგნის ლექციების რუსულად წაკითხვის აუცილებლობის შესახებ, რუსული ენის უკეთ შესასწავლად. ზოგიერთმა ეს წინადადება მიიღო, თუმცა აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ამ უსაფუძვლო მოთხოვნას დაუპირისპირდნენ და უარი განაცხადეს რექტორის ამ დავალებაზე. ასეთები იყვნენ: ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი – ოთარ ბაქანიძე, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი – ლეკვეიშვილი, რომელმაც დაასაბუთა, რომ ეროვნულ უნივერსიტეტში რუსულ ენაზე ლექციების წაკითხვა მიუღებელი და დაუშვებელი იყო. მტკიცე უარი განაცხადეს მათემატიკის ფაკულტეტის დეკანმა – ლევან ჟიჟიაშვილმა, პოლიტეკონომიკის კათედრის გამგე ვასილ ჩანტლაძემ, ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა – ბორის ლომსაძემ. ზოგიერთი ლექტორი, რომელიც ამ დავალებას დათანხმდა, პრო-

ტესტს წააწყდა სტუდენტების მხრიდან. აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე დოცენტ ტიკაძის მიერ რუსულად წაკითხული ლექციის შემდეგ, მეორე დღეს, სტუდენტები აღარ მივიდნენ ლექციაზე. რა დაინახა ჩხიკვიშვილმა ამ ინსტრუქციის უნივერსიტეტში გატარების შეუძლებლობა, დაიბარა პროფესორ-მასწავლებლები და ამ საკითხის ცენტრალურ კომიტეტში გარკვევა შესთავაზა. როგორც ჩანს, ჩხიკვიშვილმა მიღებული დავალების ვერ შესრულების შემდეგ ეს საქმე ინსტრუქციის გამცემს მიაწოდო და პრობლემაც იქეთ გადაამისამართა. თუმცა, ცენტრალურმა კომიტეტმა განცვიფრებულმა განუცხადა პროფესორებს, რომ ამგვარი დავალება მათ არ გაუციათ და მათ ნებაყოფლობით შეეძლოთ წაეკითხათ ლექციები. საფიქრებელია, ცენტრალურმა კომიტეტმა რექტორ ჩხიკვიშვილის გამოყენებით შეაფასა მსგავს საკითხთან მიმართებაში არსებული ნიადაგი.

მიუხედავად გარკვეული უკან დახევისა, მსგავსი ნაბიჯები მაინც გადაიდგა. ყველა უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ საქართველოში, რომელსაც ჰქონდა ხარისხის მინიჭების უფლება, მიიღო 1975 წლის 29 დეკემბრის სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც აიკრძალა ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციების შედგენა მშობლიურ ენაზე და ის აუცილებლად შედგენილი უნდა ყოფილიყო რუსულ ენაზე. აგრეთვე, ახალი განკარგულებით ნებისმიერი საგნის სახელმძღვანელო რუსულ ენაზე უნდა შემდგარიყო და ჩაენაცვლებინა სხვა ენებზე არსებული ლიტერატურა (**საარქივო მოამბე, N13: 62-65**).

საკონსტიტუციო ცვლილებები. 1977 წელს შეიცვალა საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, შემდეგ დაიწყო საკავშირო რესპუბლიკების კონსტიტუციის ცვლილებაც. საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის საბოლოო ტექსტის მოსამზადებელი სარედაქციო კომისიის შექმნის შესახებ. სარედაქციო კომისიის თავმჯდომარედ დასახელდა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე (**ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 2408, გვ. 1-2**).

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტმა

დიდი მღელვარება გამოიწვია საზოგადოებაში. საქმე ეხებოდა ახალი კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლს, რომელშიც, განსხვავებით წინა კონსტიტუციისგან, ქართულ ენას არ ქონდა სახელმწიფო ენის სტატუსი.

1978 წლის 31 მარტს საბჭოთა პრესაში გამოვეყნა ახალი კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლი ენის შესახებ: „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის. საქართველოს სსრ რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“ **(კომუნისტი, N70 (17114), 1978: 2) .**

ედუარდ შევარდნაძე ახალ პროექტთან დაკავშირებით თავის მოხსენებაში სვამდა რიტორიკულ შეკითხვას, თუ რა პირობები არსებობდა იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს მოსახლეობა განსაკუთრებულ ატმოსფეროში ცხოვრობდა? იგი ხაზს უსვამდა, რომ არცერთ სსრ-ს არ გააჩნდა მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ. საქართველოს შემთხვევაში ასეთი მუხლი მოქმედებდა 1922 წლიდან, ახალ კონსტიტუციაში კი იგი აღარ იარსებებდა. ამავდროულად იგი დასძენდა, რომ ახალი ფორმულირება ენის თაობაზე უდიდესი მონაპოვარი იყო კონსტიტუციის დემოკრატიული ხასიათის მხრივ **(ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1165, ა. 8, ს. 2408, გვ. 54-61).**

ერთი შეხედვით მეტნაკლებად სამართლიანად შეიძლება ჩანდეს მრავალეროვან ქვეყანაში ენის საკითხის მსგავსი ფორმულირება, ახალი რედაქციის ეს შემოთავაზება ცალსახად ურთიერთგამომრიცხავი რომ არ იყოს. ასეთ საკითხში აბსოლუტური დემოკრატიის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელიცაა, თუ დავსვამთ კითხვას – აქვს თუ არა ეთნიკურ უმცირესობას გამოიყენოს მშობლიური ენა შეუზღუდავად ყველა მიმართულებით? პასუხი ცალსახად იქნება – დიახ, ამავდროულად – აქვს თუ არა იგივე უფლება ქვეყნის ეთნი-

კური უმრავლესობის წარმომადგენელს, რომელიც ცხოვრობს ძირითადად ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონში? პასუხი აქაც იგივეა – დიახ. სწორედ ამიტომ გაჩნდა საზოგადოებაში ცნება „სახელმწიფო ენა“, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს უმრავლესობის ენობრივ კუთვნილებას, დემოკრატიული პრინციპით კი ამ ტიპის სახელმწიფოებში მას ემატება დამატებითი განსაზღვრება კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობებისთვის კონკრეტულ რეგიონში, მათი ენის სხვადასხვა მიმართულებით შეუზღუდავი გამოყენების უფლებით სახელმწიფო ენასთან ერთად. ეს არის ერთ სახელმწიფოში მაცხოვრებელი ეთნიკური უმრავლესობის და უმცირესობების ენის საკითხის შედარებით სამართლიანი ფორმულირების პრინციპი. კონსტიტუციის ახალი პროექტის 75-ე მუხლი კი, რომელიც დაუშვებლად აცხადებდა პრივილეგიებს ან შეზღუდვებს რომელიმე ენის ხმარებაში, ფაქტობრივად, სრული ნონსენსი იყო, მისი პრაქტიკული განუხორციელებლობის სიცხადე ნათელს ხდიდა ამ პრინციპების დაკანონების შედეგს, რაც მდგომარეობდა მრავალეროვან ქვეყანაში ისედაც გაბატონებული რუსულის ინსტიტუციურად დამკვიდრებას.

გარდა ამისა, ახალი მუხლი დეკლარირებდა სახელმწიფოს მიერ ქართულ ენის განვითარებისთვის ყოველმხრივ ზრუნვას, მაშინ როდესაც მანამდე არსებული სახელმწიფო ენის სტატუსი უქმდებოდა და იკრძალებოდა რაიმე პრივილეგიების დაშვება რომელიმე ენის ხმარებაში. მაშინ რაღა იგულისხმებოდა ზრუნვაში?!

ეს უბრალო სიტყვების თამაში იყო, რაც ირიბად შევარდნაძემაც თქვა თავის მოხსენებაში ახალ პროექტზე, რომ თავდაპირველად მუხლი არასრულყოფილი იყო, შემდეგ კი გამდიდრდა უმნიშვნელოვანესი დებულებებით ენის განვითარებაზე ზრუნვის დაკანონების შესახებ და ზოგიერთი სხვა დეტალით, რითაც მიიღეს ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი (**ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1165, ა. 8, ს. 2408, გვ. 54**).

1978 წლის 14 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თავი მოიყარა ათასობით სტუდენტმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და ა.შ. მასობრივი დე-

მონსტრაცია უნივერსიტეტიდან მთავრობის სასახლისკენ დაიძრა, საპროტესტო აქციას თანდათან უერთდებოდნენ მოქალაქეები და მოითხოვდნენ ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის აღდგენას (**ჭუმბურიძე, 2016: 393**).

1978 წლის 15 აპრილს ამერიკულმა გაზეთმა New York Times-მა გამოაქვეყნა სტატია თბილისში მიმდინარე დემონსტრაციების შესახებ. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ დიდი და ხანგრძლივი ისტორიის მქონე საქართველოში, რომელიც მე-19 საუკუნიდან მოექცა რუსეთის მმართველობის ქვეშ და ოკუპირებულ იქნა ბოლშევიკების მიერ, 3.5 მილიონიან მოსახლეობაში, 3.1 მილიონი ქართველიდან მხოლოდ 13000 ასახელებდა რუსულ ენას პირველ ენად. ქართულის სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმების მცდელობამ კი მასობრივი დემონსტრაცია განაპირობა თბილისში (**New York Times, Soviet Georgians Take to Streets To Save Their State Language, April 15 1978: 3**). 14 აპრილის თბილისის დემონსტრაციები არ გაშუქებულია საბჭოთა პრესაში. საბჭოთა საქართველოს პრესაში დაიბეჭდა შევარდნაძის მოხსენების ტექსტი, სადაც ის ამბობდა, რომ კონსტიტუციის პროექტის განხილვის საყოველთაო პროცესი ამაღელვებელ დემონსტრაციად გადაიქცა, რომელმაც ცხადყო მოქალაქეთა მაღალი პოლიტიკური აქტივობა (**ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1165, ა. 8, ს. 2408, გვ. 43**).

პროტესტმა შედეგი გამოიღო. საბჭოთა ხელისუფლება დათმობაზე წავიდა. ახალ კონსტიტუციაში ეს მუხლი შემდეგნაირად დამტკიცდა: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. საქართველოს სს რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლების და სხვა დაწესებულებებში. საქართველოს სსრ რესპუბლიკის ამ ორგანოებსა და დაწესებულებებში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება (**კომუნისტი, N90 (17134), 1978, გვ. 3**).

საქართველოში არათუ არ იყო საკმარისი საფუძვლები ამგვარი ანტიეროვნული ცვლილებებისთვის, არამედ პირიქით, არსებობდა ეროვნული ინტერესების მატარებელი ახალგაზრდა საზოგადოება, რომლის ეროვნულ აზროვნებას ერთმნიშვნელოვნად აძლიერებდა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ნაჩქარევი და შეუსაბამო ნაბიჯები.

დღესდღეობით ბევრი ბუნდოვანი დეტალი არსებობს ამ თემის გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით. საბჭოთა სისტემის მიერ ყველა სფეროში და სხვადასხვა მეთოდით წარმოებული აქტიური იდეოლოგიური მუშაობის და ზოგადი შიდა პოლიტიკური ნიაღვრების ფონზე, ერთი შეხედვით, ეჭვს აღარ იწვევს ის, რომ ამ კონსტიტუციური ცვლილების ინიციატორი ცენტრალური ხელისუფლება იყო, რომლებმაც ედუარდ შევარდნაძე შემსრულებლად გამოიყენეს, ისევე როგორც რექტორი ჩხიკვიშვილი უნივერსიტეტში. თუმცა, არსებობს რამდენიმე საეჭვო და ურთიერთგამომრიცხავი გარემოება. 1937 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუცია (XIII თავის 156-ე მუხლი) და მასში წარმოდგენილი სახელმწიფო ენის საკითხი, ფაქტია, ზუსტად იგივე ფორმულირებითაა წარმოდგენილი ეს საკითხი აზერბაიჯანის იმავე წლის კონსტიტუციაში და ესეც ფაქტია, 1978 წელს საბოლოოდ მიღებულ ახალ კონსტიტუციებშიც, ორივე რესპუბლიკის შემთხვევაში, ერთი და იმავე ფორმითაა დამტკიცებული ენის საკითხი და მინიჭებული აქვს სახელმწიფო ენის სტატუსი ქართულს და აზერბაიჯანულს, შესაბამისად. ქართველებს რომ სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნებისთვის მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია დასჭირდათ ესეც ფაქტია, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა აზერბაიჯანში. ამ მოცემულობიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზერბაიჯანში სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმების ინიციატივა საერთოდ არ გაჩენილა და 1937 წლის კონსტიტუციის მუხლს ენის შესახებ, 1978 წელს ცვლილებები არ შეხებია, ან საზოგადოების პროტესტამდე შეძლო საბჭოთა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობამ მოსკოვიდან მიღებული დავალების მცდარობაში და შეუსაბამობაში ცენტრალური ხელმძღვანელობის დარწმუნება ისე, რომ ამ გეგმას საზოგადოების ყურამდე არ მიუღწე-

ვია. ეს უკანასკნელი ნაკლებად სარწმუნოა კომუნისტების უმკაცრესი საკადრო პოლიტიკის ფონზე, რაც პრაქტიკულად გამორიცხავდა მათი მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობას, მითუმეტეს ეროვნული დატვირთვის მქონე თემებზე. ისიც ნაკლებად სარწმუნოა, რომ ორივე რესპუბლიკის ეს საკითხი თბილისის დემონსტრაციებმა მოაგვარა. თუ ეს ყველაფერი ასეა, მაშინ საქართველოს შემთხვევაში ამ ცვლილების ინიციატორი ედუარდ შევარდნაძე იყო, რომელიც იკავებდა საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობას და თავმჯდომარეობდა კონსტიტუციის პროექტის სარედაქციო კომისიას. ამ ვერსიას აქვს არსებობის უფლება იმდენად, რამდენადაც ავანტიურებით და ჩახლართული ინტრიგებით კარგად ცნობილ პოლიტიკურ ფიგურას, როგორიც შევარდნაძე იყო, სავსებით რეალურია რომ მოსკოვის გულის მოსაგებად ჩაეფიქრებინა მსგავსი ნაბიჯები საბჭოთა კავშირისა და მათი იდეოლოგიისადმი ერთგულების საჩვენებლად, რაც მას კარიერულ სარგებელს მოუტანდა. ამ გეგმის ჩაშლის და მოსახლეობის პროტესტის შემთხვევაში, ისე როგორც მოხდა, ისევ შევარდნაძემ ითავა შუამავალი რგოლის შემსრულებელი როლი და წარმოსდგა, როგორც მოსახლეობის ინტერესების წარმომადგენელი და დამცველი სსრკ-ს ცენტრალური ხელისუფლების წინაშე. ამაზე მიუთითებდა თვითონვე, 20 წლის შემდეგ, ინტერვიუში ენის დღესთან დაკავშირებით, რომელშიც 1978 წლის დემონსტრაციებზე აღნიშნავდა: "... მე რომ წამეკითხა ის ტექსტი, რომელიც მომზადდა და დამტკიცდა აქაც და მოსკოვშიც, რომლის მიხედვითაც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი არ უნარჩუნდებოდა, თბილისის სისხლისღვრას ვერ გადაურჩებოდა. ამიტომაც მადლობელი ვარ იმ ძალის, რომელმაც შთამაგონა და მათქმევინა, რომ ვითათბირეთ (თუმცა არავისთან გვითათბირია) და გადავწყვიტეთ, რომ ქართული ენა ინარჩუნებს სახელმწიფო ენის სტატუსს (**საქართველოს რესპუბლიკა, N89 (2789), 1998: 2).**

დასკვნა. 1970-იანი წლების ეს კონკრეტული გამოვლინებები იმ ანტიეროვნული ბრძოლის ნაწილია, რომელიც ათ-

ნლეულების განმავლობაში წარმოებდა შიდა და გარე ძალების ძალისხმევით, მათ შორის ქართული ენის, როგორც ეროვნული იდენტობის და კულტურის ერთ-ერთი ქვაკუთხედის წინააღმდეგ.

ნებისმიერ უმაღლეს და განსაკუთრებით ისეთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, როგორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია, მისი სიმბოლური და პრაქტიკული დატვირთვით საქართველოს საზოგადოებისთვის, ქართული ენის შეზღუდვა დიდი დარტყმა იქნებოდა ეროვნული თვითმყოფადობის კუთხით. საკონსტიტუციო ცვლილებების განხილული პროექტი კი ნებისმიერ სახელმწიფო ინსტიტუციურ დონეზე შეუქმნიდა საფრთხეს ქართულ ენას.

თუმცა, საბჭოთა სისტემას, მიუხედავად იმ უდიდესი წნეხისა, რაც არსებობდა სოციალური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული მიმართულებით და მისი გავლენის შედეგები დღესაც საგრძნობია, არ აღმოაჩნდა ანტიეროვნული ვექტორის უმაღლესი მიზნების სრულყოფის რესურსი, სასარგებლო შეცდომებისა და საზოგადოების ფხიზელი სეგმენტის წყალობით. რაც ყველაზე მთავარია, 1978 წლის აპრილის მოვლენებმა წარმოაჩინა საქართველოს საზოგადოების მზაობა, დაეცვა მისი ეროვნული ინტერესები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1165, აღწერა 8, საქმე 2408
2. გაზეთი კომუნისტი, N70 (17114), 1978
3. გაზეთი კომუნისტი, N90 (17134), 1978
4. გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, N89 (2789), 1998
5. ჭუმბურიძე დოდო, კიკნაძე ვაჟა, ქოქრაშვილი ხათუნა, სარალიძე ლელა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურის და დოკუმენტების მიხედვით), წიგნი II, „მერიდიანი, თბილისი, 2016
6. New York Times, 15.03.1978
<https://www.nytimes.com/sitemap/1978/03/15/>

რუსუდან კობრავა
Rusudan Kobrava

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გომანი
(1865-1936)

Nikoloz Goman
(1865-1936)

აბსტრაქტი. ნიკოლოზ გომანი იყო სამუზეუმო საქმის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ბათუმში. ქალაქის თვითმმართველობის გადაწყვეტილებით, 1908 წლის 19 მარტს პუშკინის სახელობის საქალაქო სასწავლებელთან გაიხსნა მუზეუმი, რომლის ბაზაზეც შეიქმნა დღევანდელი ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი. მუზეუმის გამგედ 1 ოქტომბერს დაინიშნა ნიკოლოზ გომანი.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებას გააცნოს დღემდე უცნობი ინფორმაცია მუზეუმის დამაარსებლის ნიკოლოზ გომანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, წარმოაჩინოს მისი ღვაწლი და დამსახურება ბათუმის სამუზეუმო ცხოვრებაში.

საკვანძო სიტყვები: **საბავშვო მუზეუმი, კოლექცია, მუღლაჟები, ბიუსტი, ჩანახატი, ტიტესტერი.**


Abstract. Nikoloz Goman was the organizer and inspirer of museum work in Batumi. By the decision of the city self-government, on March 19, 1908, a museum was opened near the city school named after Pushkin, on the basis of which the present museum named after Khariton Akhvlediani was created. Nikoloz Goman was appointed to the board of the museum on October 1.

The aim of the work is to introduce the public to the hitherto unknown information about the life and work of the founder of the museum Nikoloz Goman, to present his achievements and merits in the museum life of Batumi.

Key words: **children's museum, collection, models, bust, sketch, teatester.**

ნიკოლოზ გომანი იყო სამუზეუმო საქმის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ბათუმში. მან თავის საყვარელ საქმეში ბევრი ძალა და ენერგია ჩადო. დააარსა საბავშვო მუზეუმი, რომლის ბაზაზე შეიქმნა დღევანდელი ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი.

ცნობები ნიკოლოზ გომანის შესახებ მწირია. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გომანი დაიბადა 1865 წელს თბილისში.



მისი მამა ნიკოლოზ გომანი იყო ჩერნიგოვის ოლქის არქიმანდრიტი, ინფანტერიის გენერალი. იგი XIX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოვიდა უკრაინიდან საქართველოში. მუშაობდა მცხეთის რაიონის სოფელ წინამძღვრიანთკარში. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საქმეში. ის დაქორწინდა ადგილობრივი თავადის ასულ კნეინა ქეთევან წინამძღვრიშვილზე. ნიკოლოზ გომანსა და ქეთევან წინამძღვრიშვილს ჰყავდათ 7 შვილი.


ნიკოლოზი (მუზეუმის დამაარსებელი) იყო გომანების მრავალშვილიან ოჯახში ყველაზე უმცროსი. უმაღლესი განათლება მიიღო სანკტ-პეტერბურგში. 1885 წელს სწავლა

დაინყო სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში. ლექციებს უკითხავდა სახელგანთქმული რუსი ქიმიკოსი, პერიოდულობის სისტემის შემქმნელი, პროფესორი დიმიტრი ივანეს ძე მენდელეევი. უნივერსიტეტი დაამთავრა 1890 წელს და მიიღო ბიოქიმიკოსის დიპლომი. სწავლის დამთავრების შემდეგ ნიკოლოზ გომანის ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში. 1906 წელს მან მუშაობა დაიწყო პუშკინის სახელობის საქალაქო სასწავლებელში შრომის მასწავლებლად (Ватуми: история в лицах XX век. Ватуми 2017:45)

იმ პერიოდში ქალაქის ყველა სასწავლებელთან არსებობდა საბავშვო მუზეუმი. ბათუმის იმდროინდელ საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებს: გიორგი ჟურულს, დავით კლდიაშვილს, გრიგოლ ვოლსკის, ივანე ანდრონიკაშვილს, ივანე მესხს, გრიგოლ ელიავას, პროგრესულ მასწავლებლებს – ნიკოლოზ გომანს, ნიკო ჯაყელს, ივანე ლლონტს, ლაზარიდის, მიხეილ შარაშიძესა და სხვებს გამოუთქვამთ სურვილი მათი გაერთიანებისა და საქალაქო მუზეუმის შექმნის შესახებ. ყველაზე მეტად ამ საქმეში აქტიურობდა ნიკოლოზ გომანი. საზოგადოების თხოვნით, ბათუმის პუშკინის სახელობის სასწავლებელთან საბავშვო მუზეუმის დაარსების თაობაზე ქალაქის გამგეობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ივანე კირპიჩი, პედაგოგები ივანე ლლონტი და ლაზარიდი. 1908 წელს 19 მარტს ბათუმის თვითმმართველობის გადაწყვეტილებით, პუშკინის სახელობის საქალაქო სასწავლებელთან გაიხსნა მუზეუმი, რომელსაც საბავშვო-სასწავლო მუზეუმის სახელი ეწოდა. მუზეუმი მდებარეობდა ვოზნესენსკისა და ოლღას ქუჩების კუთხეში (ამჟამად პეტრე მელიქიშვილისა და ვახტანგ გორგასალის ქუჩების კუთხე). მუზეუმის გამგედ 1908 წლის 1 ოქტომბრიდან დაინიშნა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გომანი (ახვლედიანი, 1957:7).

1910 წლის 9 მაისიდან მუზეუმი გაფართოების გამო გადაიტანეს საქალაქო საბჭოს შენობის პირველ სართულზე და ერთი ოთახი დაუთმეს. 1912 წლის 15 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით მან მიიღო საქალაქო მუზეუმის სტატუსი და დაუმატეს კიდევ ერთი ოთახი. 1916 წელს მუზე-


უმის განკარგულებაში უკვე 6 ოთახი იყო. 1924 წლამდე მუზეუმი შერეული ტიპისა იყო, 1925 წლიდან გადააკეთეს აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმად და გადაიტანეს **ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარში**, სადაც სინესტის გამო ბევრი ექსპონატი გაფუჭდა. 1930 წლის 25 იანვრიდან მუზეუმმა თავისი საქმიანობა გააგრძელა ხაზინის შენობაში, რომელიც ადრე ვაჭარ მდლიანცის საცხოვრებელ სახლს წარმოადგენდა (გურიის შესახვევი N4, ამჟამად ხარიტონ ახვლედიანის ქუჩა). მუზეუმი ახლაც ამ შენობაში განაგრძობს ფუნქციონირებას.



მუზეუმის დამაარსებელი, პედაგოგი ნიკოლოზ გომანი სპეციალობით ბიოქიმიკოსი იყო. მუზეუმის პირველი ექსპონატებიც ბუნებისმცოდნეობითი ხასიათის ყოფილა. მუზეუმის ფონდში არსებულ ექსპონატთა ქრონოლოგიის შემოწმებით ჩანს, რომ პირველ ექსპონატებს შორისაა მინერალები, გეოლოგიური ქანები, ზოოლოგიური ექსპონატები: სხვადასხვა სახის ექსპონატები ფორმალინში და სხვა. ეს ნივთები ძირითადად იყო ნაჩუქარი. ნიკოლოზმა თვითონაც ისწავლა ექსპონატების დასპირტვა. ნიკოლოზ გომანი დაინტერესებული იყო აჭარის ისტორიით. მოგზაურობდა აჭარის სოფლებში. სწავლობდა აქაური მოსახლეობის ადათ-წესებს, აგროვებდა ადგილობრივი ყოფის ამსახველ საგნებს, მინერალებისა და ფლორის ნიმუშებს, იღებდა ფოტოებს. თავის

შვილთან – ნიკოლოზთან ერთად ხშირად დადიოდა სანადიროდ. ისინი ერთად აკეთებდნენ შესანიშნავ ფიტულებსა და კომპოზიციებს და მოჰქონდათ მუზეუმში. ნიკოლოზის ძალისხმევით მუზეუმს შეემატა ეთნოგრაფიული, გეოლოგიური კოლექციები, უნიკალური ფოტოები. მზარდი კოლექციები მოითხოვდა დამატებით სივრცეს.

ნიკოლოზ გომანი ცდილობდა სხვადასხვა გზით შეეცხო მუზეუმი ახალი ნივთებით. მისი მონდომებით მუზეუმს საჩუქრად გადმოეცა აღმოსავლური და ეგვიპტური ნივთების მუღიაჟები.



მუღიაჟები დამზადებულია სანკტ-პეტერბურგის სამუღიაჟო სახელოსნოში. წარმოადგენს იმ ექსპონატების ასლებს, რომლებიც აღმოჩენილია ეგვიპტეში, ინდოეთში, ჩინეთში და დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში. ასლები ჩამოტანილია 1907-1916 წლებში და გამოფენილი იყო გომონის მიერ დაარსებულ სასკოლო მუზეუმში.

1924 წელს მუზეუმში გერმანიიდან შემოვიდა 200-მდე მინერალი მატყევიჩის კოლექციიდან. 1924 წელს მუზეუმმა შეისყიდა პროფესორ ფედოროვიჩის მხატვრული ტილოები. იმავე წელს შემოვიდა მუზეუმში ადგილობრივ და სხვა მხატვართა ნამუშევრები. მათ შორის ნეფედოვ-ერზიას ნამუშევრები – შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ვლადიმერ ლე-

ნინის, კარლ მარქსის, ფილიპე მახარაძის მარმარილოს ბიუსტები. მისივე შოთა რუსთაველის კაკლისგან დამზადებული ბიუსტი და სხვა (გაზეთი „აჭარა,” 2010: N 52:7).

ნიკოლოზ გომანის შესახებ აქამდე უცნობ და განსხვავებულ ინფორმაციას შეიცავს პროფესორ ო. გოგოლიშვილის გამოკვლევა, რომელშიც ვკითხულობთ: „გომან ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. ბათუმის ექვსკლასიანი საქალაქო დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, შეთავსებული აქვს მუზეუმის ხელმძღვანელის თანამდებობა ამავე სასწავლებელში ხელსაქმეებთან დაკავშირებით, 46 წლის, მართლმადიდებელი, მიიღო საოჯახო განათლება, ხელსაქმე ისწავლა ოდესაში და მოსკოვში, 1895 წელს მოეწყო ბათუმის ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებელში ხელსაქმის მასწავლებლად, 1906 წელს მოეწყო ბათუმის საქალაქო დაწყებით სასწავლებელში, 1909 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს ბრძანებით დაინიშნა ხელმძღვანელად ბათუმის ექვსკლასიან სასწავლებელთან არსებულ მუზეუმსა და სახელოსნოში, რომელიც ამ მუზეუმთან არსებობდა, დაოჯახებულია სევერინა კონსტანტინეს ასულ მერჟოვსკიზე („მუზეუმის მაცნე“, 2018: 10).

საზოგადოებისათვის უცნობია ინფორმაცია ნიკოლოზ გომანის მშობლების, ოჯახის სხვა წევრების, მათი საქმიანობის, იმდროინდელ ბათუმის ინტელიგენციასთან გომანების ურთიერთობის შესახებ. ამ მხრივ საინტერესოა ნიკოლოზ გომანის შვილთაშვილის ირა გომანის (1946-2016 წწ.) ინფორმაცია, რომელიც მომითხრო და ჩანაწერის სახით გადმომცა მასთან ვიზიტის დროს 2010 წლის 18-25 იანვარს. ირა გომანი პროფესიით იყო ინგლისური ენის სპეციალისტი. წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოსნოში. როგორც ამ ინფორმაციიდან ჩანს, ირა გომანმა განსაკუთრებით კარგად შემოინახა თავისი წინაპრის ხსოვნა.



ირა გომანის ინფორმაციით, გვარი გომანი არის გერმანული წარმოშობის. გომანები ცხოვრობდნენ უკრაინაში. შემდეგ დამკვიდრდნენ საქართველოში. გომანების ოჯახი გამოირჩეოდა განათლებით. როგორც ოჯახის სხვა წევრები, ნიკოლოზიც იყო ძალიან ჭკვიანი, ერუდირებული ინტელიგენტი. შესანიშნავად იცოდა ბიოლოგია. საზღვარგარეთიდან იწერდა ბიოლოგიურ წიგნებს და ამ წიგნებზე სისტემატურად მუშაობდა. ჰქონდა უნიკალური წიგნები და ალბომები ფრინველების, მცენარეების, ცხოველების, პეპლების, თევზების შესახებ. კარგად ეხერხებოდა ხელსაქმე. ამზადებდა სხვადასხვა ნივთებს. ერკვეოდა მედიცინაში. ახლობლებსა და მეზობლებს უწევდა სამედიცინო დახმარებას. ნიკოლოზი ასევე კარგად ხატავდა. შესრულებული აქვს სხვადასხვა მცენარეებისა და ცხოველების ჩანახატები, იუმორისტული შარჟები.

ნიკოლოზს ჰყავდა ორი ძმა და ოთხი და. უფროსი ძმა – ალექსანდრე იყო თეთრგვარდიელი, ცარიზმის არმიის ოფიცერი. ცხოვრობდა პეტერბურგში. დაამთავრა პეტერბურგის პაჟთა კორპუსი. დაიღუპა პირველ მსოფლიო ომში 1914 წელს. მისი ცოლი და ქალიშვილი 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლნენ. მეორე ძმა გიორგიც სამხედრო მოსამსახურე იყო – წმინდა გიორგის ორდენის კავალერი. I მსოფლიო ომში დაკარგა ფეხი და თავის დასთან სონია გომანთან ცხოვრობდა წყალტუბოში.

ნიკოლოზის და ქსენია ცხოვრობდა ჩაქვში. მისი მე-
 ულლე იყო ფრანგი დიდებული, მებაღე-დეკორატორი მორის
 დ'ალფონსი. მორის დ'ალფონსი შავი ზღვის სანაპიროზე
 XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩამოვიდა. შეიძინა მიწის ნაკვე-
 თი ჩაქვში. მან გადაწყვიტა კავკასიის შავი ზღვისპირეთში მე-
 ორე რივიერა შეექმნა. ამ მიზნით საფრანგეთიდან და სხვა
 ქვეყნებიდან მარადმწვანე მცენარეთა თესლები ჩამოიტანა.
 დ'ალფონსმა პირველმა მოახდინა მცენარეთა ინტროდუქ-
 ცია. მის სახელს უკავშირდება ბათუმის ზღვისპირა პარკის
 განაშენიანება. ზღვისპირა პარკისა და ბოტანიკური ბაღის
 გაშენებასა და დაგეგმარებაში შეტანილი უდიდესი წვლილის
 აღსანიშნავად ის „ბათუმის სანაპიროს კეთილ გენიად“ მო-
 ნათლეს. (ნიკოლოზ გომანს გაკეთებული აქვს მორის დ'ალ-
 ფონსის იუმორისტული შარჟი.). (სურ. 6)



ქსენიასა და მორის დ'ალფონსს ჰყავდათ ერთი ვაჟი
 ვლადიმერი, რომელიც მუშაობდა რკინიგზაში. მათი ქალიშ-
 ვილი ქსენია, პროფესიით მუსიკოსი თბილისში მოღვაწეობ-
 და.

როგორც ირა გომანი წერს, ქსენია გომანის მონვევით ჩამოვიდა ბათუმში ანდრია კრასნოვი, რუსი ბოტანიკოსი და გეოგრაფი, ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც პირველად ბათუმის მხარეს 1893 წელს გაეცნო. მან მიზნად დაისახა გადაექცია ეს მხარე სასარგებლო სუბტროპიკულ კულტურათა გავრცელების მეორე სამშობლოდ. ანდრია კრასნოვი შემდეგ გახდა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი. ქსენია გომანს უკავშირდება სერგეი გინკულის ბათუმში ჩამოსვლაც. სერგეი გინკულმა ბოტანიკურ ბაღში შექმნა იაპონური განყოფილება. იყო ბოტანიკური ბაღის ინტროდუქციის (მცენარეთა შემოტანის) განყოფილების უფროსი 1934 -1943 წლებში. სერგეი გრიგოლის ძე გინკულიც ბოტანიკურ ბაღშია დაკრძალული.

ნიკოლოზის მეორე და ნინა გომანი ცხოვრობდა ბათუმში. დაქორწინებული იყო გერმანელ ბლუზზე, პროფესიით ტიტესტერზე (ჩაის დეგუსტატორი), რომელიც ჩაის კულტურის განვითარების საკითხთან დაკავშირებით ჩამოვიდა ბათუმში XIX საუკუნის 80-იან წლებში. ისინი შემდეგ ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდნენ მოსკოვში. ნინა გომანისა და ბლუზეს ორი ვაჟი – ნიკოლოზი და ალექსანდრე პროფესიით იყვნენ ინჟინრები. ისინი 1937 წლის რეპრესიების დროს დახვრიტეს. ქალიშვილი ქეთევანი კი გარდაიცვალა 1942 წელს.

ნიკოლოზის მესამე და სონია გათხოვილი იყო წყალტუბოში ვინმე ივანოვზე, მეოთხე და ქრისტინე კი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ბათუმში.

რაც შეეხება ნიკოლოზ გომანის პირად ცხოვრებას, ის ორჯერ იყო დაქორწინებული. ნიკოლოზი პირველ ქორწინებაში იმყოფებოდა პოლონელ ქალთან. მასთან შეეძინათ ქალიშვილი ვალია. მეორე ცოლი იყო გენერალ სტროევის ქალიშვილი – ელენე სტროევა, რომელიც ბათუმში ქალთა გიმნაზიის დირექტორად მუშაობდა.

ნიკოლოზსა და ელენეს ჰყავდათ ორი შვილი: ვაჟი ნიკოლოზი და ქალიშვილი ქეთევანი. ნიკოლოზ გომანის ვაჟი ნიკოლოზი (1890-1962 წ.წ.) მუშაობდა ჩაქვის ბამბუკის ქარ-

ხანაში და მამასთან ერთად მუზეუმშიც. იყო კარგი მონადირე. ამზადებდა ფიტულებს. დაქორწინებული იყო მარია პეხარზე, ეროვნებით ჩეხზე, რომლის მამა მოწვეული იყო საქართველოში სამეფო სამხედრო ორკესტრის შესაქმნელად. ნიკოლოზსა და მარიას ჰყავდათ ორი ვაჟი: ნიკოლოზი (1920-1925 წ.წ.) და იგორი (1917-1999 წ.წ.). იგორი პროფესიით იყო ინჟინერი (იგორ გომანის ქალიშვილია ირა გომანი, რომელმაც მომანოდა ეს ინფორმაცია). მარიას და იულია პეხარი იყო სერგეი გინკულის მეუღლე. ძმა გუსტავ პეხარი, პროფესიით მუსიკოსი, სამი წელი ცხოვრობდა ბათუმში და მოღვაწეობდა მუსიკალურ ტექნიკუმში.

ნიკოლოზის ქალიშვილი ქეთევანი (1916-1991 წწ.) ცხოვრობდა თბილისში. მისი ქმარი არტურ პოლოსოვი იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოოპერატორი-დოკუმენტალისტი. ჰყავდათ ორი შვილი: ვალერი, პროფესიით ფიზიკოსი, ცხოვრობს თბილისში და იგორი, ცხოვრობდა აშშ-ში (გარდაიცვალა 1991 წელს).

გომანების გვარში იყო ასეთი ტრადიცია: მათ შთამომავლებში დაბადებულ ყველა ბიჭს სახელად არქმევდნენ ნიკოლოზს, ხოლო ყველა გოგოს ქეთევანს.

მუზეუმის დირექტორსა და უაღრესად განათლებულ ადამიანს ნიკოლოზ გომანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ პერიოდის ბათუმის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, რომლებიც ხშირად იკრიბებოდნენ მის ოჯახში. თვითონაც ხშირად სტუმრობდა მათ. ნიკოლოზი მეგობრობდა ბათუმის კომენდანტთან, პოლკოვნიკ ალექსანდრე გოგნიევთან. გოგნიევი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მისი ვაჟი ალექსანდრე ნიკოლოზის ოჯახში იზრდებოდა. დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში.

ნიკოლოზს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნავთობის მაგნატთან და ფილანტროპთან ალექსანდრე მანთაშევთან, რომელიც იყო მისი ქალიშვილის ქეთევანის ნათლია. ალექსანდრე მანთაშევმა დააფუძნა ნავთობმომპოვებელი და სავაჭრო საზოგადოება „ა.ი. მანთაშევი და კომპანია“. კომპანია

ენოდა ნავთობპროდუქტებით ვაჭრობას ძირითადად თურქეთთან და აზიაში.

ნიკოლოზის მრავალრიცხოვან მეგობართა შორის იყო ჩინელი ჩაის სპეციალისტი ლაო ჯონ ჯაო, რომელიც კომერსანტ კონსტანტინე პოპოვის მოწვევით 1893 წელს ჩამოვიდა აჭარაში 13 ჩინელ სპეციალისტთან ერთად. ლაო ჯონ ჯაოს დიდი წვლილი მიუძღვის აჭარაში ჩაის მეურნეობის განვითარების საქმეში. მას პირადად მუზეუმის დირექტორისთვის მოჰქონდა ბევრი საჩუქარი – ძვირფასი ნივთები, ჩაის სერვიზები, რომლებიც როგორც წესი, ბინას იღებდნენ მის საყვარელ მუზეუმში (Ватуми:история в лицах XX век.2017:15).


სიცოცხლის ბოლო წლებში ნიკოლოზი მუზეუმის შენობაში ცხოვრობდა. ნიკოლოზ გომანი გარდაიცვალა ბათუმში 1936 წლის 1 ოქტომბერს ბრმანანღავის ოპერაციის დროს. დასაფლავებულია ფერიის სასაფლაოზე (გომანი ი, 2010:25.01)

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში ინახება ნიკოლოზ გომანის ხელით დამზადებული საფანქრე ჩინური მინიატურებით, აბრეშუმის მარაო მოხატული პეპლებითა და ანგელოზებით, ღია ბარათები გომანის ჩანახატებით, მის მიერ შეგროვებული ღია ბარათების კოლექცია:





ეს ნივთები მუზეუმს საჩუქრად ირა გომანმა გადმოსცა. მუზეუმში ასევე დაცულია ნიკოლოზ გომანის მიერ გადაღებული ფოტოები.



ასეთი იყო ნიკოლოზ გომანის ცხოვრება და შემორჩენილი ის მწირი ინფორმაცია, რომელიც წარმოაჩენს მის ღვაწლს ბათუმის სამუზეუმო ცხოვრებაში.

ამრიგად, ნიკოლოზ გომანმა თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ბათუმის ისტორიაში. მან ქალაქში საფუძველი ჩაუყარა სამუზეუმო საქმიანობას. 28 წელი ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ მუზეუმს. გაამდიდრა იგი მნიშვნელოვანი გეოლოგიური, ეთნოგრაფიული კოლექციებით, უნიკალური ფოტოებით. ნიკოლოზ გომანის მიერ შექმნილი მუზეუმიდან ინყებს თავის ისტორიას დღევანდელი ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი, რომელიც ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო, კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა აჭარაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი ხ., აჭარის სახელმწიფო მუზეუმი. გზამკვლევი. ბათ. 1959
2. Ватули: история в лицах XX век. Ват. 2017
3. გაზეთი „აჭარა“, 2010 წლის N 52
4. გომანი ი., მონათხრობი. ჩაწერილია 2010 წლის 25 იანვარს
5. „მუზეუმი მაცნე“ N 10. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი. ბათ. 2018

მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირი ისტორიები
Oral Histories of the Descendants of the Muhajirs

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ქართველთა გადასახლება თურქეთის შავიზღვისპირა რეგიონში, კერძოდ კი ამასიის პროვინციაში, გადმოცემულია ამასიის ქართულ სოფლებში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირი ისტორიები, ზოგიერთი სოფლის დაარსების, გვარების, წარმომავლობის და გადასახლებასთან დაკავშირებული გადმოცემები.

საკვანძო სიტყვები: *მუჰაჯირი, ამასია, შავიზღვისპირეთი, თურქეთი, საქართველო, მაჭახელი.*

Abstract. The paper discusses the emigration of Georgians to the Black Sea region of Turkey after the Russo-Ottoman war of 1877-1878, specifically in the province of Amasya, oral histories of the descendants of the emigrants living in the Georgian villages of Amasya, the founding of some villages, their surnames, origin and emigration are presented.

Key words: *Muhajir, Amasya, Black Sea coast, Turkey, Georgia, Machakheli.*

„მუჰაჯირობა“ XIX ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენაა. 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომი და ომის შემდგომი მოვლენები კარგად არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. მუჰაჯირობის ისტორია ხშირად გამხდარა ქართველი მკვლევრების ინტერესის საგანი. დამუშავებული და შეჯერებულია მაშინდელი პერიოდისთვის თითქმის ყველა ხელმისაწვდომი საარქივო დოკუმენტი თუ გამოკვლევა რუსულ და ქართულ ენებზე.

XX ს-ის 90-იანი წლებიდან, თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპის დაწყების შემდეგ, შესაძლებელი გახდა ქართველ მეცნიერებს არაერთ, დღემდე უცნობ და საინტერესო საკითხზე ეწარმოებინათ კვლევა-ძიება, მაშინ, როდესაც, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, იმავე თურქეთშიც, ეთნიკური ერთეულების საკითხების ობიექტური განხილვა შეუძლებელი იყო. მათ შორისაა მუჰაჯირობის საკითხიც. ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები გვხვდება ანატოლიის ორ რეგიონში-შავი და მარმარილოს ზღვისპირეთში. შავიზღვისპირეთში დაახლოებით 280 ქართული სოფელია, მათ შორის უმრავლესობა მხოლოდ ქართველებითაა დასახლებული. არის შერეული სოფლებიც.

აღსანიშნავია, რომ მუჰაჯირობა და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია თაობიდან თაობამდე იმლება ადამიანთა მეხსიერებიდან და გადადის კულტურულ მეხსიერებაში. კერძოდ, თაობა, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვს წინაპრების გადმოცემები მუჰაჯირობის შესახებ ძალიან შემცირდა და ამ ცოდნის მოპოვება დროთა განმავლობაში უკვე შეუძლებელი იქნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ აუცილებელია ჯერ კიდევ გადარჩენილის აღწერა და შენახვა.

ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ თურქეთის შავი ზღვის რეგიონის ამასიის პროვინციაში მცხოვრები მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირი ისტორიები, მეხსიერების ცალკეული საკითხები, რომლებიც ძირითადად ჩვენს მიერ საველე მუშაობის დროს მოპოვებულ მასალებს ეყრდნობა.

ამასიაში სულ 11 სოფელია, სადაც მაჭახლიდან და ზემო აჭარიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ (**ჩოხარაძე, 2016:267**). ისინი ძირითადად აჭარისწყლის და მაჭახლის ხეობებიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები არიან. მათი ფუძე სოფლებია, ერთის მხრივ ბზუბზუ, ბელლეთი, ბოძავრი, ლურტა, რიყეთი, დანისპარაული, დიოკნისი, ტაბახმელა; მეორე მხრივ – ეფრატი, ზედვაკე, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, ცხემლარა (**ჩოხარაძე, 2016: 293**). ქართული მოსახლეობის უფროსი თაობა დღემდე საუბრობს წინაპართა ენაზე. ამასიის სოფლებში ძირითადად

მაჭახლელები ცხოვრობენ, თუმცა არის აჭარული დასახლებებიც.

ამასიის პროვინციის (ილის) თავშესაფარში ილჩეში მდებარეობს მაჭახლელთა სოფელი **თათლიფინარი** – ადგილობრივთა გადმოცემით სოფელს ადრე დარმადერესი ერქვა. აქ 70-80 კომლი ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალი ცხოვრობს. ადგილობრივ მცხოვრებლები ასახელებენ თავიანთი წინაპრების სოფლებს: „ზედვაკე, ეფრატი, ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ცხემლანა“ და მეორე მხრივ, ბზუბზუ, ბელეთი, ბოძავრი, ღურტა, რიყეთი, დანისპარაული, დიოკნისი, ტაბახმელა (**ჩოხარაძე, 2016: 293**). ცხოვრობენ: ქავთარაძე, ქობულაძე, მუთიოღლები (მუთიძე), ომბაშოლი, ვაცაძე, გუნდარიძე (კოსიოლი), მოლოღლები, ებიოღლები, შევქეთოღლები, ფეიზოღლები, ბეშიროღლები, მურადოღლები, ფეიზოღლები, ჩელებიოღლები (**ფუტყარაძე, საველე...2016:4**). სოფელში შემონახულია ტოპონიმები: თაფლიკლდე, წყლის ყანა, ქინძის ყანა (ბევრი ქინძი მოდის) ავჯიოღლების ყანა. 70 წლის ონათი ილმაზის თქმით: „1877-78 წლების ომის შემდეგ ლოცვა არ იგვიკრძალონო აქ წამოსულან, ბათუმიდან, მაჭახლიდან მოსულან. ბევრი წამოსულან და აქ გაფენილან, ბაბაი ფუხარა ყოფილა, გურჯიჯა ლაპარიკი არ გუუგდიან, სოფელში ყველაზე მეტი ფეიზოღლები მოსულან, მემრე მურადოღლები“ (**ფუტყარაძე, საველე...2016:5**). სოფელში უფროსი ასაკის თაობას ახსოვს ქართული.

ილიფინარი (ძვ. ჩერმუქი) – **მაჭახლელთა** სოფელია, 15-20 კომლი ცხოვრობს. მუსტაფა ჩეთინის (65 წლის) გადმოცემით: „ბათუმიდან მაჭახლიდან მოსულან ჩვენი დიდვანები ახლებმა გურჯულაი არ იციან, მეც რომ მოვკდები, თლათ დეიკარქვის გურჯულაი“ (**ფუტყარაძე, საველე...2016**).

იუვა – მაჭახლელთა სოფელია. 10-15 კომლი ქართველთა შთამომავალი ცხოვრობს. ოსმან ეინმაიას (68 წლის) გადმოცემით სოფელ იუვაში „1877-78 წლების ომის შემდეგ ზედა მაჭახლის სოფელ ეფრატიდან დედეს ბაბაი თოფალაჰმედი მოსულა. პირველად სოფ. დარმადერეში დასახლებულა, შემ-

დეგ მისი ერთი შვილი აქ (სოფ. იუვაში) გადმოსახლებულა და გაუშენებია სოფელი. იქავრობას გავსო და აქ იმითვინ დამჯდარან“. ადგილობრივები ასახელებენ გვარებს: ქეში-შოლლი (ძველი ზალიმოლლები), სელიმოლლები, ლონგი-როლლები (**ფუტკარაძე, საველე..2016:8**). შემონახულია ტოპონიმები ვაშლივაკე, გალმასერი, ჯამიკარი....

ბელდალი -აჭარელთა და მაჭახლელთა სოფელია. დაახ.90-100 ოჯახი. ასახელებენ წინაპართა სოფლებს: ცხემლანა, ჩხუტუნეთი, ზედვაკე და აჭარულ სოფლებს ღურტა და ბელლეთი. სულთან შაჰინის (61 წლის) გადმოცემით: „პირველად 5 კომლი გურჯი მოსულა სოფელ ცხემლანიდან. აქავრობა ტყე ყოფილა ბათუმ მუსლიმანობა უნევიან და აქ გამოქცევლან, ეს ადგილი მოწონებიან და დასახლებულან. მტრობა მომხდარა. ერმენებს (სომხებს) სოფლის დანვა უნდოდათ, მაგრამ გურჯებს გუუგდიან ერმენები. ცხოვრობენ: **ბაირახტაროლლები, ფაშალოლლები, ყარამანები, უსტაბექიროლლები, შიმბაირახტაროლლები, ნაზიმოლლები, ხოჯიოლლები, ჭირიანები, ნადიროლლები**. მათ შორის ყველაზე მეტი უსტაბექიროლია. სოფელში უფროსი ასაკის თაობა თითქმის ყველა ქართულად ლაპარაკობს. შემონახული აქვთ ტოპონიმები: ვაკიები, ზემო ყანები, ნისქვილის კარი, გალმა ჭალა. ბელდალში შედის შემდეგი მაჰალე: 1) გალმასირა, 2) ჯამიკარი, წიაპა მეჭელე, ყარანა მეჭელე, ყარაფუნყარის მეჭელე.

ჩათალჩამი-მაჭახლელთა სოფელია, 60 წლის აიშე უსტუნის (სადიყოლლი) გადმოცემით: „ბათუმიდან, მაჭახლიდან მოსულან“ სოფელში 15 კომლი და ოთხი გვარი ცხოვრობს: რეშიდოლლები, სადიყოლლები, კოტოხოლლები, სულიოლლები.

თენექე (ძველი ალთინლი – თაშოვას ილჩე) – ქედის რაიონის სოფელ ბზუბზუდან გადასახლებული მუჰაჯირთა შთამომავლების 28 კომლი ცხოვრობს. ნურდან თურანის (ხოჯიოლლი – 79 წლის) გადმოცემით ადგილობრივთა გვარებია: **მემიშოლლები, მუსოლლები, ხოჯიოლლები (იაჰიოლლები), ქოსიოლლები**.

აქიაზი-აჭარელთა, ხულოელთა სოფელია. ასახელებენ ფუძე სოფლებს: ბელლეთი, ტაბახმელა, ბოძავრი, პაქსაძეები. სოფელში 50-60 კომლი ცხოვრობს. გულსუნ ავჯის (80 წლის) გადმოცემით: „სოფელში დღეს მხოლოდ გურჯები ცხოვრობენ, პირველი მოსულებიც გურჯები არიან. 4 ძმა წამოსულა, ხულოდან 2 აქ აქიაზიში დასახლებულა, ორიც სხვაგან წასულა.“ სოფლის მკვიდრ გულსუნ ავჯის შენახული აქვს თავისი წინაპრების ნაქონი ყველა ნივთი-ვარია, სკივრი, აკვანი, რძის საწური, ლამბა, საცერი და მისი დიდი ბებიის პერანგი რომელიც თან წაუღია გადასახლების დროს, სოფლის ცენტრში დგას დიდი მუხის ხე, რომელიც გადმოცემით მათ წინაპრებს საქართველოდან ჩაუტანიათ და გაუხარებიათ. ადგილობრივთა გვარებია: **ხმალაძე**- ბელლეთიდან; **კახაძე** -ბელლეთი და ტაბახმელა, **შავაძე** – ბოძავრი, **შანთაძე** (ავჯიოღლები) (**ფუტკარაძე ნ, საველე...2016:13**)

ჩივი და თერზიქოი – ამ სოფლებში მცხოვრები ადგილობრივ მოსახლეობას არ ახსოვს თავის წინაპართა სოფელი და გვარები. სოფ. **ქაფლიჯაში** ტაბახმელადან მოსულთა შთამომავლები ცხოვრობენ. **ჩივიქოი** – ტაბახმელადან, ღორჯომიდან მოსულთა შთამომავლებით არის დასახლებული. გვარებია: ხოჯიენთები, ქელეშოღლები, პინოღლები, ღორჯუმელოღლები.

ზოღალიჩუქური (თაშოვას ილჩე) – მაჭახლელების სოფელია, 10 კომლია დარჩენილი. ესენია: ცვათიოღლები, ფასულოღლები, იბრაიმოღლები, მოლაჰასანოღლები. სოფლის მცხოვრები 71 წლის ხასან თანრივერდი (ცვათოღლი) გვიყვება: „ომი ქნिला, დიდვანები რომ წამოსულან ქვეით მინდორში დამჯდარან, იქ ტყე ყოფილა, კოლო ბუზიც ბევრი ყოფილა, აქ ამ ადგილას ამოსულან, წყალი ნახეს, პური დათესეს, გუუხარდენ, ყავარ თლიდენ სახლებ აკეთებდნენ. ადრე აქ 60 სახლი იყო, ახლა 9-10 დარჩა, ახალებმა ქართული არ იციან, გედვირეცხა გურჯული“ (**ფუტკარაძე ნ., საველე...2016:15**)

ქილიჩარსლანი – ძველი გურჯიაღილი. ქართულის მცოდნე არავინ აღარაა სოფელში. გვარებია: **ბასილოღლე-**

ბი, შირინოლეები, შალოლეები. ჩათმა – მაჭახლელთა სოფელია – ქართული არ იციან.

მუჰაჯირთა შთამომავლების მიერ გადმოცემული ისტორიები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მუჰაჯირებმა რთული პერიოდი გამოიარეს. მიდიოდნენ უმძიმეს პირობებში – გემებით, ურმებით, თან მიჰქონდათ მხოლოდ აუცილებელი რამ, რაც შეეძლოთ ეზიდათ. მათი მთავარი იმედი იყო ერთმანეთის თანადგომა და ტრადიციული გამოცდილება ყოფასა და მეურნეობაში (**შოშიტაშვილი, 2015:24**). ჩანს დიდი გაჭირვებით მიაღწიეს გადასახლებულებმა „აღქმულ მიწაზე“, ნაწილმა ვერც მიაღწია, გზაში დაიღუპა. ახალმოსულები პირველად დაბლობში დაასახლეს, სადაც ციება და კოლო-ბუზი ბატონობდა, ვერ გაძლეს მუჰაჯირებმა ზღვისპირეთში, ახალი მიწების ძიება დაიწყეს. ადგილმონაცვლეობა ეკონომიკური და ტრადიციული ფაქტორითაც იყო განპირობებული. მოახალშენები ახალ სამშობლოში ეძებდნენ ისტორიული სამშობლოს მსგავს მიწებს, სადაც შეეძლოთ მოეწყოთ მათთვის ტრადიციული მეურნეობა. მუჰაჯირები სამშობლოს მსგავსს ადგილებს არჩევდნენ სახლდებოდნენ და აშენებდნენ სოფლებს. მუჰაჯირები ცდილობდნენ ახალ სამშობლოში მშობლიური კუთხე მოეწყოთ: ახალ სოფლებს და სოფლის ადგილებს ქართული სახელები დაარქვეს. მუჰაჯირები ახალ სამშობლოში დასახლდნენ ხეობებისა და სოფლების მიხედვით. ასე შეიქმნა ოსმალეთის პროვინციებში ქობულეთელთა (ჩურუქსუელთა), აჭარელთა (აჭარისწყლის ხეობა), ბათუმელთა, შავშთა (და მაჭახელთა), კლარჯთა (იშვიათად შერეულიც) სოფლები (**ფაღავა, 2016:481**). უნდა აღვნიშნოთ, რომ ასიმილაციის პროცესმა მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებიდან ბოლომდე მაინც ვერ ამოშალა მათი ეროვნული იდენტობა და უმეტეს მათგანს კვლავაც ახსოვთ, რომ მათი წინაპრები ქართველები, „გურჯები“ იყვნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, თურქეთში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ასიმილაციის პროცესი და თანდათანობით იკარგება სხვადასხვა ეთნო-კულტურული ფასეულობანი. ამიტომ, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სა-

ქართველო-თურქეთს შორის დღეს არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობა მუჰაჯირთა შთამომავლების თანამედროვე ყოფითი კულტურის შესწავლის მიზნით. მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის, დღეისათვის ჯერ კიდევ არის მცირე თაობა, რომელსაც „ახსოვს“ ბებია-ბაბუების მოგონებები მუჰაჯირობის შესახებ, მაგრამ მათი რიცხვის შემცირებასთან ერთად ამ ცოდნის მოპოვებაც დროთა განმავლობაში შეუძლებელი იქნება.

ზეპირი ისტორიების კვლევა კვლავაც უნდა გაგრძელდეს. რესპოდენტებისაგან ჩანერილი ინფორმაციები შეიძლება შეიცავდეს უზუსტობებს, რადგან ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა მუჰაჯირთა შთამომავლებს აღარ ახსოვთ თავიანთი ძველი გვარი, ანდა სოფელი, საიდანაც გადასახლდა მათი წინაპარი და ასახელებენ რომ ზოგადად ბათუმიდან, აჭარიდან მოსულან, მაგრამ ასეთი გადმოცემები ფაქტებზე დაფუძნებულ ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია და ჯერ კიდევ ხალხის მეხსიერებაშია დალექილი

გამოყენებული ლიტერატურა:

- ფალავა მ.**, მუჰაჯირთა შთამომავლებთან, ბათუმი, 2016
- ფუტკარაძე ნ.**, საველე ექსპედიციის რვეული (ამასიის პროვინცია 2016 წელი 17-20 აგვისტო).
- ფუტკარაძე ნ.**, დისერტაცია „ქართველი მუჰაჯირები თურქეთის შავიზღვისპირეთში (ეთნომენტალური მარკერები და პოლიტიკურ-კულტურული მეხსიერების საკითხები, ბათუმი 2017.
- შოშიტაშვილი ნ.**, მოგზაური ეთნოლოგიის ჩანაწერები, ჟურნალი „ისტორიანი“, №3/51.
- ჩოხარაძე მ.**, კლარჯ მუჰაჯირთა სოფლები შავიზღვის რეგიონში, კლარჯეთი 2016, ბათუმი.
- ჩოხარაძე მ.**, მასალები ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებისათვის თურქეთის შავიზღვისპირეთში, კრ: სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები VI, 2016, თბილისი.

მარინა ჯინჭარაძე
Marina Djincharadze

**რენესანსული ეპოქის ჰუმანისტური მსოფლმხედველობა
და მისი როლი ახალი ესთეტიკური იდეალის
ჩამოყალიბების საქმეში**

***A new ideal of a person in painting and its connection with
humanism world view of Renaissance period***

Abstract. The essay talks about humanism world view of Renaissance period and the huge role it played in formation of a new aesthetic ideal. This process is explained through the examples of the works of the artists from the XV century.

ყოველი ეპოქა, რომელშიც თავისი დროის სულიერი კულტურაა ხორცშესხმული, ხელოვნების გარკვეულ ესთეტიკურ იდეალს ეფუძნება. ლიტერატურულ თუ გამომსახველობით ფორმაში ჩამოყალიბებული ეს იდეალი შესაბამისი ეპოქის ადამიანს ასახავს მისი მსოფლმხედველობისთვის დამახასიათებელი ყველა თავისებურებითა და სულიერი ღირებულებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რენესანსის ეპოქა, რომელიც ერთ-ერთი უნიკალური, ღირშესანიშნავი პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში. ეს არის ახალი საერო ხასიათის ხელოვნებისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ენის ჩამოყალიბების ეპოქა, რომელიც იქმნებოდა შუა საუკუნეების მხატვრულ კულტურასთან ბრძოლაში. ჩნდება ღრმა ინტერესი რეალური სამყაროსადმი, ცოცხალი, ხორციელი ადამიანისადმი. იწყება ბრძოლა პიროვნების თავისუფლებისათვის. ჰარმონიულად განვითარებული, ჰეროიზებული ადამიანი ეპოქის იდეალი ხდება. იწყება სრულიად ახალი ეტაპი პიროვნების ფერწერული იდეალის ჩამოყალიბებაში, რომელსაც საფუძვლად ჰუმანისტური მსოფლმხედველობა ედო.

როგორც ცნობილია, ჰუმანიზმმა უდიდესი როლი შეასრულა რენესანსის ეპოქის მსოფლმხედველობისა და ახალი ესთეტიკური იდეალის ჩამოყალიბების საქმეში. XVს-ში ჰუ-

მანიზმი იძენს ფართო კულტურული მოძრაობის ხასიათს. მისი პოლიტიკური და ეთიკურ-ესთეტიკური იდეალები ღრმად იჭრებიან იტალიის ნაციონალურ კულტურაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რენესანსული ჰუმანისტური ეთიკის მთავარი პრინციპი იყო მოძღვრება ადამიანის მაღალი დანიშნულების შესახებ. ამის თანახმად “ადამიანი, რომელიც დაჯილდოებულია გონებითა და უკვდავი სულით, რომელიც ფლობს განუსაზღვრულ შემოქმედებით ძალას, თავად ბუნების მიერ იყო დაყენებული მსოფლმხედველობის ცენტრში” (Грашенков В., 1975:133)

პეტრარკადან დაწყებული, მსჯელობა ადამიანის ღირსების შესახებ, საყვარელი საგანი ხდება ჰუმანისტებისათვის. ამ თემას სპეციალური ტრაქტატი მიუძღვნა მანეტიმ. აღსანიშნავია აგრეთვე, პიკო დელა მირანდოლას თხზულება “ადამიანის ღირსების შესახებ“, მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ახალი ჰუმანისტური ესთეტიკის ჩამოყალიბებაში ჰქონდა ალბერტის თხზულებებს, რომელმაც ანტიკური ლიტერატურული ტრადიციები ორგანულად დაუკავშირა რენესანსული ხელოვნების მოთხოვნებს. გამოჩენილ ჰუმანისტებს შორის უნდა გამოვყოთ ფრანჩესკო პეტრარკა, ჯოვანი ბოკაჩო, ლეონარდო და ვინჩი, მიშელ მონტენი, ფრანსუა რაბლე, უილიამ შექსპირი, ერაზმ როტერდამელი და სხვები. ისინი თვლიდნენ, რომ ადამიანში მთავარია არა მისი წარმოშობა ან სოციალური მდგომარეობა, არამედ პიროვნული თვისებები – ჭკუა, შემოქმედებითი ენერგია, საკუთარი ღირსების გრძნობა, ნებისყოფა, განათლება. იდეალურ ადამიანად აღიარებული იყო ძლიერი, ნიჭიერი, ყოველმხრივ განათლებული პიროვნება, საკუთარი თავისა და თავისი ბედის შემოქმედი ადამიანი. მათი აზრით, „ადამიანური ცნობიერების შესაძლებლობები განუსაზღვრელია, რომ „იდეალური ადამიანი“ ეს არის „უნივერსალური ადამიანი“, ადამიანი-შემოქმედი, ენციკლოპედისტი“ (კულტუროლოგია, 2009:174)

აღორძინების ეპოქაში ცხოვრებისადმი ჰუმანისტური მიდგომის უმნიშვნელოვანესი ნიშანი ხდება ინდივიდუალიზმი. ინდივიდუალიზმის გაგება XV-ის ხელოვნებაში მჭიდ-

როდ იყო დაკავშირებული ჰუმანისტური ეთიკის ნორმებთან. ჰუმანიზმის ეთიკურმა იდეებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ფლორენციელი ოსტატების შემოქმედებაზე. ჰუმანისტების მრავალფეროვანი მოღვაწეობიდან უნდა გამოიყოს ორი პრობლემა. პირველი პრობლემა ეს არის პიროვნების ახალი იდეალი, რომელიც წარმოიშვება ჰუმანისტური მსოფლმხედველობიდან, ხოლო მეორე პრობლემაა, ჰუმანიზმის კავშირი აღორძინების ხელოვნებასთან, მის თეორიასთან და პრაქტიკასთან.

პიროვნების ახალი ჰუმანისტურ იდეალსა და აღორძინების ხელოვნებას შორის კავშირის დადგენას მივყავართ ამ პრობლემის სოციოლოგიურ ასპექტთან. XV საუკუნეში ჰუმანიზმი თავის სხვადასხვა მიმართულებაში გამოდიოდა, როგორც ეპოქის სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც აერთიანებდა ორ პრინციპულად სხვადასხვა წოდებრივ იდეალს – ბიურგერულს და ფეოდალურს. სასახლის კარზე ის წარმოადგენდა მმართველის განდიდების საშუალებას. ქალაქის კომუნის სამოქალაქო ცხოვრებაში კი პირიქით ხდება. ფლორენციელები მტრულად იყვნენ განწყობილი ყოველივე იმისადმი, რომ რომელიმე მოქალაქე გამოეყოთ საერთო რიგებიდან. ამიტომ პიროვნების ახალი ფერწერული სახე დაიშვებოდა ან როგორც იდეალიზებული გამოსახვა ქალაქის „უდიდესი ადამიანის“, უმეტეს შემთხვევაში – უკვე გარდაცვლილისა, ან როგორც დამატება რელიგიური და საერო კომპოზიციისა. ამ მხრივ აღსანიშნავია მაზაჩოს მიერ შესრულებული ფრესკული პანო „სამება“, ფლორენციის სანტა მარია ნოველას ეკლესიიდან. „სამების“ კომპოზიცია წარმოადგენს ღრმა კასეტირებული თაღით გადახურულ ნიშას, რომლის ცენტრშიც გამოსახულია ჯვარცმული ქრისტესა და მამალმერთის ფიგურები. ამ ფიგურების ორივე მხარეს ნიშის სიღრმეში გამოსახულია მარიამისა და იოანეს ფიგურები, ხოლო ნიშის წინ, მის ორივე მხარეს, პილასტრების ფონზე გამოსახულია მუხლმოდრეკილი დონატორების ლენცისა და მისი მეუღლის პროფილური გამოსახულებები. ფრესკის ქვედა ნაწილში, სარკოფაგაზე, კომპოზიციის პორიზონტალურად გამოსახულია ადამის ჩონჩხი.

დონატორების ფიგურები „სამების“ კომპოზიციის შემადგენელი, ორგანული ნაწილია, რაც განპირობებულია საერთო კომპოზიციური გადაწყვეტით. დონატორებს, ქრისტესა და წმინდანებთან შედარებით, სახის უფრო დამახასიათებელი ნაკვთები აქვთ და მათთან შედარებით იმყოფებიან უფრო კონკრეტულ სივრცეში. ლენცისა და მისი მეუღლის ფერწერული სახის მეშვეობით მაზაჩო ქმნის რეალური ადამიანის განზოგადებულ სახეს.

საინტერესოდ აღწერს ამ ფრესკულ პანოს ერნსტ გომბრიხი თავის „ხელოვნების ამბავში“ და აღნიშნავს, რომ „შეგიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ გაოცდნენ ფლორენციელები ამ მოხატულობას ფარდა რომ ახადეს. ისინი იმედგაცრუებული დარჩებოდნენ. სინაზისა და მოხდენილობის ნაცვლად მათ მასიური, მძიმე ფიგურები იხილეს, ნატიფი დეტალების მაგივრად კი – შიშველი აკლდამა მასში ჩონჩხითურთ. შეიძლება მაზაჩოს ხელოვნება თვალისთვის მათთვის ჩვეულ მხატვრობაზე ნაკლებად საამო იყო, მაგრამ ამავედროულად, იგი გაცილებით გულწრფელი და ამაღელვებელიც იყო“ (გომბრიხი ე., 2012:229)

მაზაჩოს შემოქმედება, რომელიც ადრეული აღორძინების ხელოვნების ისტორიის ტრიუმფალურ ეპოქას მიეკუთვნება, თავისი მნიშვნელობით, უდიდესია სახვითი ხელოვნების განვითარებისთვის. მაზაჩომ პირველმა გადანყიტა აღორძინების მხატვრობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა – ხაზობრივი პერსპექტივის, სამგანზომილებიანი სივრცის და ადამიანის ანატომიური აგების საკითხი. მიზაჩოს გავლენას ამ ეპოქის თითქმის ყველა მხატვარი განიცდიდა – პაულო უჩელო, დომენიკო ვენეციანო, ანდრეა დელ კასტანიო და სხვები.

საერო სანყისების გაძლიერებასთან ერთად იქმნება ისტორიული გმირების, პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლებისა და უბრალო ადამიანების ფერწერული გამოსახულებები. როგორც ცნობილია, ფლორენციული სკოლის წარმომადგენლების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ადამიანის მოცულობითი ფიგურების სრულყოფილი გადმოცემა

სამგაზომილებიან სივრცეში, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფერწერის გამომსახველობით მხარეს.

XV ს-ის მხატვრულ-გამომსახველობითი ენის თავისებურება წარმოიჩენილია მხატვრულ მონუმენტალისტების შემოქმედებით. კერძოდ, სანტა მარია დელ ფიორეს ეკლესიაში უჩელოს მიერ შესრულებულ ფრესკაზე გამოსახულია ინგლისელი კონდოტიერის ჯონ ხოკვუდის ცხენიანი ქანდაკება, სადაც უჩელომ ფერწერის საშუალებით შეძლო შეექმნა სკულპტურული გამოსახულების ილუზია. ანტონიო პოლაიოლოს მიერ 1450-1460-იან წლებში შესრულებულია უცნობი ქალის პორტრეტი, ანდრეა დელ კასტანიოს ფრესკული დეკორაციები შესრულებულია პანდოლფინის ვილისთვის. აღსანაშნავია ანტონიო პიზანელის „ჯინევრა დესტეს პორტრეტი“, სადაც სურათის ნათელი, ცოცხალი კოლორიტი სულიერ სიღრმეს მოკლებულ ფერწერულ სახეს გარკვეულ სილამაზესა და პოეტურობას ანიჭებს. ასევე უნდა დავასახელოთ დომენიკო ვენეციანო, რომლის ფერწერაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კოლორიტს და სინათლის პრობლემას. ფერწერული სახეთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პიერო დელლა ფრანჩესკას წყვილი პორტრეტი ჰერცოგ ფედერიგო და მონტეფელტროს და მისი მეუღლის ბატისტა სფორცასი. ეს ფერწერული გამოსახულებები თითქმის გვერდითი ნაწილებია ტრიპტიქისა, რომლიდანაც ამოვარდნილია ცენტრალური, ყველაზე მთავარი ნაწილი. არაერთხელ მიაქცეის ყურადღება იმას, რომ პეიზაჟი ორივე პორტრეტზე წარმოადგენს ერთიანი პანორამის ნაწილს. როგორც თვლიან, ამით მხატვარმა ხაზი გაუსვა მათ სიუჟეტურ კავშირს. ამასთან ერთად, როგორც ვ. ლაზარევი აღნიშნავს „სწორედ პეიზაჟური ფონის ეს ერთიანობა ქმნის სივრცითი პაუზის არსებობის აუცილებლობას პორტრეტულ კომპოზიციებს შორის. ინტერვალს, რომელშიც რეალურად თუ არა, პოტენციურად მაინც უნდა არსებობდეს ნაგულისხმევი ნაწილი საერთო კომპოზიციისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე პროფილური გამოსახულება, მოთავსებული ერთმანეთის გვერდზე, მაყურებლის აღქმით ეჯახება ერთმანეთს (Лазарев В., 1966:79)

პიროვნების ფერწერული სახე სრულიად ახლებურად წარმოადგინა ანტონელა და მესინამ. „მამაკაცის პორტრეტში“ გამოსახულ ფიგურის სახეში მხატვარი შუქ-ჩრდილის მკვეთრი მოდელირებით ქმნის ფერწერული სახის პლასტიკურ მოცულობას. მიუხედავად იმისა, რომ ანტონელა და მესინას ფერთა გამა არ გამოირჩევა სიმდიდრით, სურათის კომპოზიციურ გადაწყვეტაში მას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ქუდის ხასხასა წითელი ფერი კონტრასტს ქმნის შავ ფონთან და კიდევ უფრო ამახვილებს ყურადღებას სახეზე, რომელსაც ენიჭება ძირითადი როლი ფერწერული სახის ხასიათის განხსნაში.

დასკვნის სახით კი შეიძლება აღვნიშნოთ, რომ რენესანსული ეპოქის წამყვანმა ოსტატებმა საფუძველი ჩაუყარეს თავისი ეპოქისა და ქვეყნის ტიპიური წარმომადგენლის ინდივიდუალური ესთეტიკური სახის გამოკვეთას, რომელიც გაუღენთილია ჰუმანიზმით და გამოირჩევა გამომსახველობითი ენის თავისებურებებით.

ნაილე მიქელაძე
Naile Mikeladze

ისტორიული რეალიები
ასლან მიქელაძის პირადი არქივიდან
Historical facts from the personal
archive of Aslan Mikeladze

აბსტრაქტი: აჭარა უძველესი დროიდან დღემდე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. მისი წარსული ორგანულად ერწყმოდა ზოგადქართულ ისტორიას. თუმცა აჭარის ისტორიაში გვექონდა ავადსახსენებელი საუკუნეები, როცა ეს მხარე ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა.

წყაროთა ცნობით, აჭარა მრავალი წელი ცდილობდა ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლებულიყო, მაგრამ ამოდ. ურიცხვ მტერთა ბრძოლებში დაუძლურებულ ქართველ ხალხს ძალა არ შესწევდა ჩაგრული აჭარა გამოეხსნა. საქართველოს მოსახლეობის ბრძოლა თურქთა წინააღმდეგ უშედეგოდ მთავრდებოდა. მე-19 საუკუნეში საომარ ასპარეზზე გამოჩნდა რუსეთი, რომლის შემწეობითაც აჭარა 1877-78 წლებში დედასაქართველოს დაუბრუნდა, მაგრამ აჭარა 1914-1918 წლებში ოკუპირებული იქნა ჯერ თურქების მიერ, შემდეგ კი ინგლისელების. 1921 წლის 18 მარტს ქალაქ ბათუმში წითელი დროშა აფრიალდა, რაც ცხადყოფდა, რომ აჭარა საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა...

საკონფერენციო თემა ეხება ისტორიულ ამბებს, რომელიც საარქივო მასალაშია დაცული. კერძოდ თუ როგორ შეხვდნენ ზემო აჭარაში ამ ისტორიულ ფაქტს და რა წინააღობები ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს ამ რეგიონში (ნაშრომს თან ერთვის საოჯახო არქივში დაცული დაბეჭდილი მასალა, რომელიც ჩაბარდება აჭარის არქივის ფონდთა საცავს).

საკვანძო სიტყვები: საარქივო მასალა, ზემო აჭარა, ასლან მიქელაძის ბიოგრაფია, ისტორია.

Abstract: Since ancient times, Ajara has been an integral part of Georgia, and its past has been organically combined with the general history of Georgia. However, in the history of Ajara, we have had horrifying centuries when this area was part of the Ottoman Empire.

Based on the sources, Ajara tried to free itself from Ottoman domination for many years, but without any success. The Georgian people, weakened by the battles with countless enemies, would not have the strength to free the oppressed Ajara. The struggle of the population of Georgia against the Ottoman Empire was not productive. In the 19th century, Russia appeared on the war arena, and with their intervention, Ajara was returned to Georgia in 1877–78, but Ajara was occupied first by the Ottomans and then by the British in 1914–1918. On March 18, 1921, a red flag was raised in the city of Batumi, which made it clear that Ajara was already part of Georgia.

The issue refers to historical stories preserved in archival material. In particular, how they encountered this historical fact in Upper Ajara and what obstacles did the representatives of the Soviet regime face in this region (material preserved in Aslan Mikeladze's family archive is attached to the paper, which will be handed over to the Ajara Archives fund).

Key words: *archival material, Upper Ajara, biography of Aslan Mikeladze, history.*

აჭარა, ოდიტგანვე წარმოადგენდა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სტრატეგიულ მხარეს. რასაც არაერთი ისტორიული ფაქტი მოწმობს. კერძოდ, ანდრია პირველნოდებულის მოგზაურობა დიდაჭარაში (მოსახლეობის გაქრისტიანება, პირველი ტაძრის მშენებლობა). მეთორმეტე საუკუნის ერისთავთ ერისმთავრების ღვანლი თამარ მეფის მეფობისას, ხიხანთა საერისთავოს როლი ქართულ პოლიტიკასა თუ რელიგიაში და სხვა მრავალი ფაქტი ადასტურებს თუ როდენ დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენდა აჭარა ზოგადქართულ სივრცეში.

აჭარის როლი რომ დიდი იყო საქართველოს აღორძინებაში, ამას არაერთი ისტორიული ფაქტი მოწმობს. თუმცა აჭარის ისტორიაში ავბედითი დღეები დაიწყო მაშინ, როცა თურქეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ (ოსმალეთის იმპერიამ) 1453 წელს საბოლოოდ აიღო კოსტანტინეპოლი. რვა წლის მერე საქართველოსკენ გამოილაშქრა, მაგრამ ამაოდ. რამდენიმე შეტევის შემდეგ ტრაპიზონი, მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს კი აფსარუსის (გონიოს) ციხე აიღო. 1504 წელს კლარჯეთიდან დიდი ჯარი შემოიყვანა, მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, მათ შეძლეს ნაწილი სოფლებისა დაეკავებინათ. დაუნდობელი იყო მათი პოლიტიკა. განსაკუთრებით რელიგიას ებრძოდნენ. „მარადიდში შეუთავაზებიათ, ვისაც ქრისტიანობის შენარჩუნება სურდათ ადიდებული ჭოროხი უნდა გადაეცურათ, თუ არა და ამოუხოცავდნენ ოჯახებს. სოფელ მარადიდში 50 კომლიდან ხუთი კომლი გადარჩენილა. მსგავს წინააღმდეგობას უწევდნენ მაჰმადიანობის გავრცელებას აჭარის ყველა სოფელში. მაგრამ საბოლოოდ მოსახლეობა, განცდიდა რა მორალურ, ეკონომიურ და ფიზიკურ ზემოქმედებას, იძულებული შეიქმნა მიეღო მუსლიმანური სარწმუნოება (მეგრელიძე, 1956 :11).

აჭარაში ერთობ რთული ეკონომიური მდგომარეობა შექმნილა, აქაური მოსახლეობა იძულებული გამხდარა გადასულიყო მაჰმადის რჯულზე. მას მტერმა სხვა გზა არ დაუტოვა. „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ წიგნში წერია თუ ოსმალს ბატონობის დროს, როგორი მძიმე გადასახადები ჰქონდა აჭარის მოსახლეობას, მაგ: „აჭარის მოსახლეობაზე უშურის სახით განერილი იყო გადასახადები ხორბალზე, ქერზე, ფეტვზე, ჭვავზე, ყურძნის წვენზე (შირე), ხილზე, ბოსტანზე...იმდენად, რამდენადაც უშურის გადასახადი აგრარული მეურნეობის ყველა დარგს მოიცავდა („აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, 2011:47). აქედან გამომდინრე, მათი ცხოვრება ერთობ ძნელი ყოფილა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ოსმალები განსაკუთრებული სისასტიკით ქრისტიან მოსახლეობას ექცეოდა. იძულებულს ხდიდა ისლამი მიეღოთ. ამავე ენიგნში ვკითხულობთ: „ოსმალუ-

რი საგადასახადო სისტემის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო ის, რომ ქრისტიანი გაცილებით მეტი რაოდენობის გადასახადს იხდიდა, ვიდრე მუსლიმანი(იგივე გვ. 50) და ბოლოს გაღატაკებული მოსახლეობა იძულებული გახდა ისლამი ელიარებინა. რაც შეეხება „აჭარის ლივის ვრცელი დავეთარი“ მასში სათითაოდაა წარმოდგენილი გადასახადის ოდენობა და მათი სოფლები. აღნიშნული სოფლის, სოფელ ნიგაზეულის გადასახადი კი იმ დროისათვის 7000 შეადგენდა(იგივე გვ.52).

ამას მოწმობს სხვა ისტორიული ფაქტებიც, რომელიც წარმოგვგენილია შამშე მეგრელიძის წიგნში „აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან“. კერძოდ, „მე-19 საუკუნის ფეოდალურმა თურქეთმა გააძლიერა თავისი ძალაუფლება აჭარაში. ადგილობრივ ბეგებს ჩამოართვეს ის ნომინალური უფლებები რაც მათ წინათ გააჩნდათ, გაადიდეს გადასახადები, განსაკუთრებით ომის წინა პერიოდში. 1876 წელს გადასახადები ერთი-ორად გაზარდეს წინა წლებთან შედარებით. გადასახადების ამკრეფნი ძალით ართმევდნენ ხალხს პირუტყვს, პროდუქტს, აჩანაგებდნენ ბალებს და სხვა. თურქთა მოხელეების თვითნებობას საზღვარი აღარ ჰქონდა (მეგრელიძე, 1956 :12). აჭარაში მომრავლად ნაეკლესიარი, ნასოფლარი, გაპარტახებული ადგილები და ტოპონიმები, რომლებიც აქაურთა გაუსაძლისს ხვედრზე საუბროდა.

„თურქებმა მიუხედავად იმისა, რომ შეძლეს მახმადიანური სარწმუნოების გავრცელება აჭარაში, აქ ხალხის გათურქების მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს: მათ ვერ მოახერხეს ადგილობრივი მოსახლეობის გადაგვარება. თურქების ბატონობის მთელი ხანა აჭარაში ხასიათდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყებებით. ეს აჯანყებანი მიმართული იყო ეროვნულ-კოლონიარული ჩაგვრის წინააღმდეგ. 1680,1731,1781,1815,1830,1845,1852,1875 წლები ცნობილია როგორც მნიშვნელოვანი აჯანყების წესი აჭარაში, ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ თვით აჭარლები, ადგილობრივი გამოჩენილი პირები, ქართველი ხალხის ისეთი თავდადებული შვილები, როგორიც იყვნენ: სელიმ ხიმშიაშვილი, სუ-

ლეიმან ნიბაძე, ახმედ კიკნაძე, ილია მელაძე და მრავალი სხვა. ყველა ამ აჯანყების ჩახრშობას თან სდევდა თურქ ასიმილაციონათა სასტიკი რეპრესიები“ (მეგრელიძე, 1956 :11).

თურქები ყველა ღონეს მიმართავდნენ, თუმცა ამაოდ „აჯანყებულთა დასჯის მიზნით აჭარიდან გაასახლეს, როგორც ცალკეული ოჯახები, ისე მთელი სოფლებიც, სიკვდილით სჯიდნენ ასობითა და ათასობით ქართველ პატრიოტებს, მცხოვრებთა დიდი ნაწილი გასახლებული იქნა: ჩაქვიდან, ბათუმიდან დ.ა.შ. (იქვე, 11).

დაუძლურებულ მოსახლეობას აიძულებდნენ მათ წესჩვეულებებზე გადასულიყვნენ, თუმცა ნაწილი მაინც ახერხებდა ახლომდებარე სოფლის მოსახლეობასთან ურთიერთობას და რიგ ტრადიციებს ინარჩუნებდა. „სოციალურ ეკონომიურად დაჩაგრული აჭარის მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევდა თურქ ასიმილაციონებს, აჭარლები ხსნას საქართველოსაგან მოელოდნენ. სწორედაც ამაზედ წერდნენ გაზეთ „ივერიაში“ „ქობულეთსა და გურიას ერთმანეთში დიდი მიმოსვლა აქვსო, საზღვრის ახლომდებარე სოფლები ქორწილს და ქელესს ისე არ გადახდიან რომ ერთმანეთ არ მოიწვიონ. ერთი სიტყვით, ჭირსა და ლხინში ერთობა აქვთ (გაზეთი „ივერია“, 1877 წელი, 14 ივლისი).

ჩვენდა საუბედუროდ, თურქოფილებს ხელს უწყობდნენ ადგილობრივი ფაშები. ამასთან დაკავშირებით, გაზეთ „დროებაში“ წერდნენ: „ნური ბეგმა გიორგი გურიელს აცნობა და დახმარება სთხოვა ქობულეთლების დასახსნელად. გაგზავნილმა ჯარებმა გზა მოუჭრა თურქ ჯარისკაცებს და მოსახლეობა დააბრუნა. თურქებმა უკან დახვევისას ვერ მოასწრეს გასასახლებელი ხალხის ციხისძირიდან გაყვანა, და როდესაც რუსეთის ჯარმა მოუსწრო, მათ დაინახეს, რომ ბავშვები ტიროდნენ, ქალები კიოდნენ, მათ უკითხავათ ჯარისკაცები ბარგს ყრიდნენ გემებში, შემდეგ თვით ხალხი შერეკეს და ბათუმისაკენ წაიყვანესო (გაზეთი „დროება“, 1878 წელი, ნომერი 90). ყველასათვის ცნობილია, ავასახსენებელი მუჰაჯირობა, რის შედეგადაც უამრავი ქართველი მომორდა მშობლიურ კერას და უცხო მიწაზე გადავიდა საც-

ხოვრებლად. ნაწილი გზაში დაიღუპა, ნაწილი უკან დაბრუნდა, თუმცა ბევრს ამის საშუალებაც აღარ ჰქონდა და იძულებულნი გახდნენ იქ დარჩენილიყვნენ.

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში ვკითხულობთ: „თურქეთში აჭარელი მოსახლეობის გასახლებას უდიდესი გულისტკივილით შეხვდნენ ყოველი კუთხის ქართველები. ქობულეთში სპეციალურად ჩავიდა გ. გურიელი. მან ინახულა ალი თავდგირიძე და თხოვა მას: „შენ თუ არ იშლი წასვლას, ნადი, ამ ხალხს კი დაანებე თავი. რა გინდა, რას ემართებო, კაცო, შენ რა მოგემატება ამათი აქედან აყრიო. ნუ აქეზებ მათ გასახლებლად (ჭიჭინაძე, 1911: 25) მაგრამ სამშობლოს მოღალატე თურქოფილებს ვერ აალებინეს ხელი თავიანთ ძრახვებზე. შედეგი კი სავალალო აღმოჩნდა დაგვრჩა ორად გაყოფილი სოფლები, მოსახლეობა, ოჯახები, ქართული დანაწევრებული სული. ისტორიულად, აჭარა „სამხედრო პოლიგონს წარმოადგენდა“, ყველაზე მეტად ვინც დაზარალდა, სწორედ აჭარელი მოსახლეობა იყო.

ისტორიულად, გვაქვს განსხვავებული წყაროები, რომლებიც მთლიანობაში გვაჩვენებს თუ რაოდენ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა აჭარის რეგიონი, როგორ იბრძოდნენ მის დასამორჩილებლად. განსაკუთრებით რთულ პირობებში მიმდინარეობდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება. პირველი მსოფლიო ომის დროს 1914-1918 წლებში აჭარა საბრძოლო მოქმედების ასპარეზი გახდა და ოკუპირებულ იქნა თურქების მიერ. შემდეგ კი ინგლისელების მიერ. ინგლისელებმა მაშინ სცადეს ბათუმის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოყენება, მაგრამ სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებით კოლონიურ ქვეყნებში და წითელი არმიის გამარჯვების შედეგად სამოქალაქო ომის ფრონტებზე, ინგლისელები იძლებულნი იყვნენ დაეტოვებინათ ბათუმი, მთლიანად აჭარა და იგი ქართველი მენშევიკებისათვის გადაეცათ(მეგრელიძე, 1956 :99).

ზემო აჭარაში სრული ანარქია სუფევდა, მთის მოსახლეობა არ ეგუებოდა მმართველის პოლიტიკას, ხშირი იყო გამოსვლებიც. ასლან მიქელაძის პირად არქივში ვკითხუ-

ლობთ: „1917 წელში გლეხთა აჯანყებაში მონაწილეობისათვის აჭარის გუბერნატორმა ხიჭაურში სახრჩობელაზე ჩამოახრჩო სოფ. ჩანჩხალის მცხოვრები შახვედ დიასამიძე – (აბდიოლლი) და სერდალ დარჩიძე (ქოჩოლლი) (მიქელაძე, 1977:2).

ამ ყველფერს ზედ დაერთო საქართველოში არსებული პოლიტიკა, საბჭოთა ხელისუფლების შემოსვლა საქართველოში და სხვა. „1921 წლის მარტში საქართველოს საბჭოთა ოკუპაცია დასრულდა აჭარის ოკუპაციით. 18 მარტს ბათუმი წითელმა არმიამ დაიკავა და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. მანამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებმა ბათუმისათვის ბრძოლაში დაამარცხეს თურქეთის ჯარი და ბათუმი და აჭარა საქართველოს შემადგენლობაში დატოვეს. 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებით დადგინდა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი. ყოფილი ბათუმის ოლქი საბჭოთა რუსეთმა და თურქეთმა გაიყვეს. აჭარა საქართველოს შემადგენლობაში დარჩა. ყარსის ხელშეკრულება საქართველოს სსრ-ს ავალდებულებდა აჭარისთვის ავტონომიის სტატუსი მიენიჭებინა. მაისში ჩატარდა აჭარის მეჯლისის არჩევნები. 16 ივლისს შეიქმნა აჭარის ასსრ. ხელისუფლება ცდილობდა მეჯლისის გაუქმებას. ამან გამოიწვია სექტემბერში შეიარაღებული ანტისაბჭოთა გამოსვლა. იმავე წლის ნოემბერში მეჯლისი დაშლილად გამოცხადდა <https://ka.wikipedia.org/wiki>

ჩვენდა საუბედუროდ, მტრები მერეც იბრძოდნენ აჭარის ხელში ჩასაგდებად, კერძოდ, „თურქეთის ემიგრანტები ჩვენს ქვეყანაში გზავნიდნენ ყოველგვარი რჯულის ჯაშუშებს. ანტიბროვოკაციის გასავრცელებლად და შავზნელ საქმეების გასაკეთებლად. მოსახლეობაში ჯერ კიდევ დარჩენილი კულაკების ანტისაბჭოთა ელემენტების ნაძირალები ზურგს უმაგრებდნენ თურქეთის შემოგზავნილ აგენტებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. საკოლმეურნეო წყობილების ჩასახშობად. 1934 წელში ხულოს რაიონის ღორჯუმის აგარაში, კულაკაგენტებმა ვერაგულად მოკლეს კომუნისტი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ახმედ შავაძე და

დანვეს ამავე კოლმეურნეობის პირუტყვის ფერმა. სოფელ ნენიაში მოკლეს კომკავშირის კომიტეტის მდივანი სტახანოველი, იგივე საბჭოს წევრი ახმედ მემედისძე ქამადაძე. მისი მკვლელობით სამუდამოდ დაიკეტა მისი ოჯახი“ (მიქელაძე, 1977:3). მრავალი მსგავსი უბედურება დატრიალებულა აჭარაში, თუმცა ჩვენამდე არაა მოღწეული.

ეს ხელნაწერი, წლებია ინახება იოსებ მიქელაძის, მამაჩემის ოჯახში. ამის დამწერი თავად მომსწრე და თვითმხილველია ამ უბედურებებისა, რაც ქვემოთ მოცემულ დოკუმენტში წერია. ასლან მიქელაძე წლების განმავლობაში მუშაობდა საპასუხისმგებლო სამუშაოებზე. აქ წარმოდგენილი მასალების დანერა, სწორედაც იმ ფაქტებმა აიძულა, რისი თვითმხილველიც თავად გახლდათ. წერილის ბოლოს წერს: „ინტერეს მოკლებული არ იქნება, რომ მკითხველს გავაცნო ჩემი ავტობიოგრაფია.

მე ასლან იუსუფის ძე მიქელაძე დავიბადე 1908 წელში, სოფელ ნენიაში ღარიბი გლეხის ოჯახში. 10 წლის ასაკის დავიწყე შრომითი საქმიანობა დაწყებითი განათლება მივიღე სოფელ ნენიაში. 1925 წელში შევედი კომკავშირის რიგებში. 1927-29 წლებში ვსწავლობდი აჭარის საბჭოთა პარტიულ სკოლაში. 1929-33 წლებში ვსწავლობდი საქართველოს ცენტრალურ პარტიულ სკოლაში. 1933-34 წლებში ვმუშაობდი აჭარის კომკავშირის საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილედ. 1934-35 წლებში ხულოს რაიპროფსაბჭოს თავმჯდომარეთ. 1935-28 წლებში ჯერ შუბნის სასოფლო საბჭოს, შემდეგ სხალთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. 1938-41 წელს ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების გამგედ. 1941-46 წლებში სხალთის სას. კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ. 1947-48 წლებში სოფელ ნენიის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. 1949-55 წლებში ჯერ ხულოს რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში საკოლმეურნეო ტყეების უფროსად, შემდეგ ამავე თანამდებობაზე გადამიყვანეს შუახევის რაიონის სოფლის მეურნეობს განყოფილებაში.

1955-1961 წელი შუახევის რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ. 1962-წლიდან პენსიაში (მოხუცი) პარტიის წევრი 1956 წლიდან.

სწორი– ა. მიქელაძე – ხელმოწერილია
18/3–1977 წ.

დაბოლოს, ჩვენი ქვეყნის ისტორია ერთობ მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია. ალბათ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ჩვენი თაობისათვის მსგავსი ისტორიები, რომლებიც ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენს ისტორიულ წარსულს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები**, ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს: ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, გამ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2011.
2. **გაზეთი „დროება“, 1878 წელი, ნომერი 90.**
3. **გაზეთი „ივერია“, 1877 წელი, 14 ივლისი.**
4. **მეგრელიძე, 1956:** მეგრელიძე შამშუ, „აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატობობისაგან“, სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი.,
5. **მიქელაძე, 1977:** მიქელაძე ასლან, „ინტერეს მოკლებული არ იქნება აჭარის ახალ თაობამ, იცოდეს აჭარის ისტორიიდან ზოგიერთი ეპიზოდები“, შუახევის რაიონი, სოფელი ნენია.
6. <https://ka.wikipedia.org/wiki>

დ ა ნ ა რ თ ი

ინტერესმოკლებული არ იქნება აჭარის ახალ თაობამ, იცოდეს აჭარის ისტორიიდან ზოგიერთი ეპიზოდები

ჯერ კიდევ გასულ საუკუნის შუა ხანებში რუსეთი ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო ევროპაში. აქ გვიან დაიწყო კაპიტალიზმის განვითარება, მაშინ რუსეთში არსებობდა ბატონყმური წეს-წყობილება, რომლის დროსაც გლეხის გაყიდვა, როგორც პირუტყვი, როგორც ნივთი.

1861 წელს ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სწრაფი ტემპით დაიწყო რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება, რამაც ძირეული ცვლილებანი შეიტანა მოსახლეობის კლასობრივ შემადგენლობაში.

მწარე იყო გლეხის ხვედრი. წარმოუდგენლად მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ მუშები და გლეხები. მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. ბევრ ხალხს ეკრძალებოდა დედანაზე ლაპარაკი, გაზეთების, წიგნების გამოცემა.

აჭარაში მემამულეები, ბეგები, კულაკური ელემენტები და მეფის მოხელეები უზომოდ ავიწროვებდნენ გლეხობას. აჭარელ გლეხს არ ჰქონდა უფლება ბეგის გარეშე თავისი გოგო შვილი გათხოვებისა. თუ ბეგი მივიდოდა გლეხთან შუამავლობით უცნობ გლეხის შვილზე გოგოს მითხოვებისათვის, გოგოს მშობლებს აღარ ჰქონდათ უფლება სხვაგან გათხოვებისა. ზოგჯერ ურჩებოდა გოგო გაუთხოვარი. თუ ბეგის გარეშე გათხოვდებოდა, გოგო ორივე მშობლებს სპობდნენ ფიზიკურად. იყო ასეთიც ვინც მეტ ფულს მიცემდა ბეგს, ის ითხოვდა გლეხის გოგოს.

რუსეთი ცარიზმის ბარბაროსულმა პოლიტიკამ გლეხობის უზომოდ ჩაგვრა გლეხობის ფართო მასები დააყენა რევოლუციური აღმავლობის გზაზე.

1917 წელში გლეხთა აჯანყებაში მონაწილეობისათვის აჭარის გუბერნატორმა ხიჭაურში სახრჩობელაზე ჩამოახრჩო სოფ. ჩანჩხალოს მცხოვრები შახვედ დიასამიძე – (აბდიოლლი) და სერდალ დარჩიძე (ქოჩოლლი).

მეფის მოხელეები ავრცელებდნენ ანტიპროვოკაციულ აგიტაციას იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები აოხრებენ აჭა-

რასო. შეშინებული გლეხობა ტოვებდნენ სახლ-კარს და დასამალად გარბოდნენ ტყეში. იყო ასეთი ცოცხალი ფაქტები: სოფ. ჩანჩხალო, ნიგზეულისა და ნენიის მოსახლეობამ დატია სახლ-კარი და ხიზნად თავშესაფრად გავიდნენ ტყეში, ნენიის თავში, სახელდობრ, ნაკანაფევეში.

სოფ. ნიგაზეული მცხოვრები ყოფილი მასწავლებელი ამჟამად პენსიონერი მუხამედ მეხდიალისძე კეკელიძე შეხიზვნის დროს დაიბადა სოფელ ნენიის ზემოდ ნაკანაფევეში, მისი მამა მეხდიალი კეკელიძე ცოლ-შვილით თავშესაფარავად იმალებოდა. ამ დროს ასევე სოფ. ჩანჩხალოს მოსახლეობაც იმალებოდ მახლობლად ტყეში.

სოფ. ნენიის მოსახლეობამ მოძრავი ქონება დამალეს სანთელი კლდის ძირში. დაანგრიეს ნენიის ხიდი, ვითომც ვერ გამოვიდოდნენ მდინარეში და გადარჩებოდნენ დალუპვისაგან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შედეგად რევოლუციური შეგნება შეიტანა აჭარის მშრომელთა ხალხშიც.

1921 წელს 18 მარტს აჭარაში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. განდევნილი იყვნენ ბეგები და ალები, დაიწყო ახალი სოციალისტური მშენებლობის პერიოდი.

მძიმე ინდუსტრიალიზაციის განვითარებასთან ერთად დიდი აღმავლობით ვითარდებოდა აჭარის სოფლის მეურნეობა, მტკიცდებოდა საკოლმეურნეო წყობილება. სოფლად კულაკური ელემენტები ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალათ საკოლმეურნეო წყობილება.

თურქეთის ემიგრანტები ჩვენს ქვეყანაში გზავნიდნენ ყოველგვარი რჯულის ჯაშუშებს. ანტიპროვოკაციის გასაფრცელებლად და შავზნელ საქმეების გასაკეთებლად. მოსახლეობაში ჯერ კიდევ დარჩენილი კულაკების ანტისაბჭოთა ელემენტების ნაძირალები ზურგს უმაგრებდნენ თურქეთის შემოგზავნილ აგენტებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. საკოლმეურნეო წყობილების ჩასახშობად. 1934 წელში ხულოს რაიონის ღორჯუმის აგარაში, კულაკაგენტებმა ვერაგულად მოკლეს კომუნისტი კოლმეურნეობის თავმჯდო-

მარე ამბ. ახმედ შავაძე და დაწვეს ამავე კოლმეურნეობის პირუტყვის ფერმა. სოფელ ნენიაში მოკლეს კომკავშირის კომიტეტის მდივანი სტახანოველი, იგივე საბჭოს წევრი ახმედ მემედისძე ქამადაძე. მისი მკვლელობით სამუდამოდ დაიკეტა მისი ოჯახი.

ამავე სოფლის მცხ. ეუბ სულეიმანისძე ქამადაძეს თავისი რძლის აჭარის ქალთა ყრილობაზე დელეგატად გაგზავნისათვის კულაკურმა ელემენტებმა დაუწვეს საცხოვრებელი სახლი.

1929 წელს ზემო აჭარაში, ხულოს რაიონში, ადგილი ჰქონდა ანტისაბჭოთა ელემენტების ავანტიურ გამოსვლებს.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ქალთა ჩადრის ახდის წინააღმდეგ გამოსვლას მეთაურობდა პირვანდელი თურქეთის აგენტი ალისულთან ბოლქვაძე. ბუნდოჩიკებმა ღორჯომში მოკლეს ღორჯომის ს-საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კომუნისტი ირემაძე და კომკავშირელი მილიციის მუშაკი, ბერიძე. ბუნდოჩიკები სწავდნენ სკოლებში სახელმძღვანელოებს, ამტვრევდნენ პარტებს, სწავდნენ ლოზუნგებს, აპატიმრებდნენ ჩამოსულ მასწავლებლებს, კრძალავდნენ ქართული ენის სწავლებას, გზას აძლევდნენ ხოჯებს არაბულ სწავლებაზე.

ბუნდოჩიკებმა დემურალ „ძამაიმაძემ“ და რესულ სურმანიძემ ყინჩაურის საბჭოში დააპატიმრეს სხალთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დურსუნ ხაშიმისძე მიქელაძე და კომუნისტები: ეუბ შაქირისძე მიქელაძე და ისაკ ინუსისძე ბერიძე, დაამწყვრიეს სოფ. ყინჩაურის წაბლანის მცხოვრებ მოქ. ისამალი შაინიძის (ყარაგოზოლის) სასტუმრო ოთახში, რომლებსაც უპირებდნენ დახვრეტას, ხოლო პატიმრებმა გაიქცნენ ფანჯრიდან, რომლებიც ამჟამად გარდაცვლილნი არიან.

გამოსვლებში მონაწილეობა არ მიუღია მხოლოდ სოფელ ნენიის მოსახლეობას. ბუნდოჩიკების წინააღმდეგ ბრძოლაში დაირაზმა სოფელ ნენიის კომკავშირის ორგანიზაცია, შეიქმნა მებრძოლთა ჯგუფები და დაიგზავნა სოფლის დასაცავად. 4 ადგილიდან ჩაიკეტა სოფელი. რითაც დაცული იქნა მთლიანად სოფლებში ბუნდოჩიკების შემოსვლი-

საგან. კომკავშირის ინიციატივას მხარი დაუჭირა მშრომელ მოსახლეობამ.

კომკავშირელთა შორის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ:

1. სანდრო ხაშიმისძე მიქელაძე,
2. ხულუს ზექერიასძე მიქელაძე,
3. გულა იუსუფისძე მიქელაძე,
4. ასლან იუსუფისძე მიქელაძე
5. ხულუს ეუბისძე ქამადაძე
6. ხუსეინ ეუბისძე ქამადაძე
7. ხუსეინ ისმაილისძე მიქელაძე და ასლან მემედისძე

მიქელაძე ამჟამად პენსიონერი და სხვები.

ბუნდოჩიკების ბატონობამ რაიონში გასტანა 25 დღეს. შემდეგ დაიწყო ჩვენი წითელი არმიის ნაწილების მიერ ბუნდოჩიკების განმეწაფა.

სოფელ ნენიაში, როგორც საიმედო დასაყრდენი შეიქმნა არმიის ცენტრალური შტაბი. რომელსაც მეთაურობდ სურგულაძე. ჩვენმა არმიამ მთლიანად განმეწაფა რაონის სოფლები ბუნდოჩიკებისგან.

ჩემი შუბნის სს. საბჭოში აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობის დროს 1935-1936 წლებში ადგილ ჰქონდა ასეთ ფაქტებს:

კულაკური ელემენტები და მათი ნაძირლების მიერ სოფელ დარჩიძეებს სკოლაში, სადაც გამგე მასწავლებლად მუშაობდა მამია ოსიძე. სკოლის კარზე გააკრეს ანტიპროვოკაციული განცხადება (მომყავს განცხადების შინაარსი):

„ხალხნო სამ დღეში თურქეთიდან მოდის ჯარი. კომუნისტებს და კომკავშირელებს მოჭრიან თავებს და დაასობენ ჯამიკარ, დაიშლება ქართული სკოლა და სწავლა იქნება თათრულად. იცოდეთ კარგად – ამას სწერს მთავრობის მტერი კაცი“.

ეს განცხადება სკოლის გამგესთან ერთად ჩამოხსნილი იქნა და ჩაბარდა კვესავრის ზასტავის უფროს ამხ. ალექსანდრე მსხილაძეს.

ამავე წლებში ანტისაბჭოთა ელემენტებმა ნაძირალე-ბის მიერ ჩირუხის მთაზე ვერაგულად მოკლეს სოფელ შუბ-ნის მცხოვრები კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კომუნის-ტი, სულეიმან ბერიძე. აგრეთვე დაწვეს პირუტყვის მთის ფერმები. ასეთი საბოტაჟის ადგილი ჰქონდა ხიხაძირისა და წყლისაყრის/საბჭოს კოლმეურნეობებში.

18/III-77-წ.

ა. მიქელაძე.

ინტერესმოკლებული არ იქნება, რომ მკითხველს გა-ვაცნო ჩემი ავტობიოგრაფია.

მე ასლან იუსუფის ძე მიქელაძე დავიბადე 1908 წელში, სოფელ ნენიაში ღარიბი გლეხის ოჯახში. 10 წლის ასაკის და-ვინყე შრომითი საქმიანობა დაწყებითი განათლება მივიღე სოფელ ნენიაში. 1925 წელში შევედი კომკავშირის რიგეში. 1927-29 წლებში ვსწავლობდი აჭარის საბჭოთა პარტიულ სკოლაში. 1929-33 წლებში ვსწავლობდი საქართველოს ცენ-ტრალურ პარტიულ სკოლაში. 1933-34 წლებში ვმუშაობდი აჭარის კომკავშირის საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპა-განდის განყოფილების გამგის მოადგილედ. 1934-35 წლებში ხულოს რაიპროფსაბჭოს თავმჯდომარეთ. 1935-28 წლებში ჯერ შუბნის სასოფლო საბჭოს, შემდეგ სხალთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. 1938-41 წელს ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების გამგედ. 1941-46 წლებში სხალთის სას. კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ. 1947-48 წლებში სოფელ ნენიის კოლმეურ-ნეობის თავმჯდომარედ. 1949-55 წლებში ჯერ ხულოს რაიო-ნის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში საკოლმეურნეო ტყეების უფროსად, შემდეგ ამავე თანამდებობაზე გადამიყ-ვანეს შუახევის რაიონის სოფლის მეურნეობს განყოფილე-ბაში.

1955-1961 წელი შუახევის რაისაბჭოს აღმასკომის სა-გეგმო კომისიის თავმჯდომარეთ. 1962-წლიდან პენსიაში (მო-ხუცი) პარტიის წევრი 1956 წლიდან.


18/3-1977 б.

18/3-1977 5.

20. 2013-2014-2015-2016-2017-2018-2019-2020-2021-2022-2023-2024-2025-2026-2027-2028-2029-2030-2031-2032-2033-2034-2035-2036-2037-2038-2039-2040-2041-2042-2043-2044-2045-2046-2047-2048-2049-2050-2051-2052-2053-2054-2055-2056-2057-2058-2059-2060-2061-2062-2063-2064-2065-2066-2067-2068-2069-2070-2071-2072-2073-2074-2075-2076-2077-2078-2079-2080-2081-2082-2083-2084-2085-2086-2087-2088-2089-2090-2091-2092-2093-2094-2095-2096-2097-2098-2099-2100-2101-2102-2103-2104-2105-2106-2107-2108-2109-2110-2111-2112-2113-2114-2115-2116-2117-2118-2119-2120-2121-2122-2123-2124-2125-2126-2127-2128-2129-2130-2131-2132-2133-2134-2135-2136-2137-2138-2139-2140-2141-2142-2143-2144-2145-2146-2147-2148-2149-2150-2151-2152-2153-2154-2155-2156-2157-2158-2159-2160-2161-2162-2163-2164-2165-2166-2167-2168-2169-2170-2171-2172-2173-2174-2175-2176-2177-2178-2179-2180-2181-2182-2183-2184-2185-2186-2187-2188-2189-2190-2191-2192-2193-2194-2195-2196-2197-2198-2199-2200-2201-2202-2203-2204-2205-2206-2207-2208-2209-2210-2211-2212-2213-2214-2215-2216-2217-2218-2219-2220-2221-2222-2223-2224-2225-2226-2227-2228-2229-2230-2231-2232-2233-2234-2235-2236-2237-2238-2239-2240-2241-2242-2243-2244-2245-2246-2247-2248-2249-2250-2251-2252-2253-2254-2255-2256-2257-2258-2259-2260-2261-2262-2263-2264-2265-2266-2267-2268-2269-2270-2271-2272-2273-2274-2275-2276-2277-2278-2279-2280-2281-2282-2283-2284-2285-2286-2287-2288-2289-2290-2291-2292-2293-2294-2295-2296-2297-2298-2299-2300-2301-2302-2303-2304-2305-2306-2307-2308-2309-2310-2311-2312-2313-2314-2315-2316-2317-2318-2319-2320-2321-2322-2323-2324-2325-2326-2327-2328-2329-2330-2331-2332-2333-2334-2335-2336-2337-2338-2339-2340-2341-2342-2343-2344-2345-2346-2347-2348-2349-2350-2351-2352-2353-2354-2355-2356-2357-2358-2359-2360-2361-2362-2363-2364-2365-2366-2367-2368-2369-2370-2371-2372-2373-2374-2375-2376-2377-2378-2379-2380-2381-2382-2383-2384-2385-2386-2387-2388-2389-2390-2391-2392-2393-2394-2395-2396-2397-2398-2399-2400-2401-2402-2403-2404-2405-2406-2407-2408-2409-2410-2411-2412-2413-2414-2415-2416-2417-2418-2419-2420-2421-2422-2423-2424-2425-2426-2427-2428-2429-2430-2431-2432-2433-2434-2435-2436-2437-2438-2439-2440-2441-2442-2443-2444-2445-2446-2447-2448-2449-2450-2451-2452-2453-2454-2455-2456-2457-2458-2459-2460-2461-2462-2463-2464-2465-2466-2467-2468-2469-2470-2471-2472-2473-2474-2475-2476-2477-2478-2479-2480-2481-2482-2483-2484-2485-2486-2487-2488-2489-2490-2491-2492-2493-2494-2495-2496-2497-2498-2499-2500-2501-2502-2503-2504-2505-2506-2507-2508-2509-2510-2511-2512-2513-2514-2515-2516-2517-2518-2519-2520-2521-2522-2523-2524-2525-2526-2527-2528-2529-2530-2531-2532-2533-2534-2535-2536-2537-2538-2539-2540-2541-2542-2543-2544-2545-2546-2547-2548-2549-2550-2551-2552-2553-2554-2555-2556-2557-2558-2559-2560-2561-2562-2563-2564-2565-2566-2567-2568-2569-2570-2571-2572-2573-2574-2575-2576-2577-2578-2579-2580-2581-2582-2583-2584-2585-2586-2587-2588-2589-2590-2591-2592-2593-2594-2595-2596-2597-2598-2599-2600-2601-2602-2603-2604-2605-2606-2607-2608-2609-2610-2611-2612-2613-2614-2615-2616-2617-2618-2619-2620-2621-2622-2623-2624-2625-2626-2627-2628-2629-2630-2631-2632-2633-2634-2635-2636-2637-2638-2639-2640-2641-2642-2643-2644-2645-2646-2647-2648-2649-2650-2651-2652-2653-2654-2655-2656-2657-2658-2659-2660-2661-2662-2663-2664-2665-2666-2667-2668-2669-2670-2671-2672-2673-2674-2675-2676-2677-2678-2679-2680-2681-2682-2683-2684-2685-2686-2687-2688-2689-2690-2691-2692-2693-2694-2695-2696-2697-2698-2699-2700-2701-2702-2703-2704-2705-2706-2707-2708-2709-2710-2711-2712-2713-2714-2715-2716-2717-2718-2719-2720-2721-2722-2723-2724-2725-2726-2727-2728-2729-2730-2731-2732-2733-2734-2735-2736-2737-2738-2739-2740-2741-2742-2743-2744-2745-2746-2747-2748-2749-2750-2751-2752-2753-2754-2755-2756-2757-2758-2759-2760-2761-2762-2763-2764-2765-2766-2767-2768-2769-2770-2771-2772-2773-2774-2775-2776-2777-2778-2779-2780-2781-2782-2783-2784-2785-2786-2787-2788-2789-2790-2791-2792-2793-2794-2795-2796-2797-2798-2799-2800-2801-2802-2803-2804-2805-2806-2807-2808-2809-2810-2811-2812-2813-2814-2815-2816-2817-2818-2819-2820-2821-2822-2823-2824-2825-2826-2827-2828-2829-2830-

၂၀၀၆ ခုနှစ်ကတည်းက အသက် ၁၀-၁၅ နှစ်

3. 0 0 1 3 7 0 0 3



გამოყენებული ლიტერატურა:

1. გომბრიხი, 2012. გომბრიხი ე., „ხელოვნების ამბავი,, თბილისი;
2. კუტლუროლოგია, 2009. კუტლუროლოგია, თბილისი;
3. Гращенко, 1975. Гращенко В., Гуманизм и портретное искусство раннего итальянского Возрождения. Москва
4. Виппер, 1976. Виппер Б. «Искусство Ренессанса». Москва;
5. Лазарев, 1966. Лазарев В., “Рьеро делла Франческа”, Москва.

ემზარ კახიძე
Emzar Kakhidze
თამარ შალიკაძე
Tamar Shalikadze

ახალი აღმოჩენები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (სო-
ფელი ზანაქიძეები, სატეხია)
New discoveries in Khelvachauri municipality
(Zanakidzebi village, Satekhia)

Abstract. Archaeological evidence found at the seaside part of Ajara provides important information on the relationships between Georgian and Classical worlds. From this point of view, since 1995 until today, the archaeological expedition studying the fort of Gonio-Apsarus has been carrying out fruitful work. In order to study acculturative processes, the archaeological works will start in 2009 in the surroundings of this fort.

After studying the Kapandibi and Makho cemeteries, Batumi Archaeological Museum team with the consultations of Amiran Kakhidze started to investigate the place, which is located at site of Satekhia, village of Zanakidzeebi in 2022.

The burial goods appeared in the head area, in the N corner of the grave. These are: a local clay jug, nearby, approx. 40 cm. a second, relatively small, also local jug was observed. Among them are glass and amber beads. A damaged bronze coin and iron oval-shaped ring, was cleaned here too. There are also fragments of an unknown bronze object.

According to preliminary investigations, these items belong to the late Classical – early Hellenistic period, which further increases our interest to site, since it is possible to observe a single tradition of offering the dead, which combines the two great periods of Antiquity, Hellenistic and Roman.

Key words: *Khelvachauri, Satekhia, Samarovan, new discoveries.*

საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკურ სამყაროსთან პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა თუ ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის, ყოფისა და კულტურის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი სამაროვნები, შენობა-ნაგებობები და იქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა. ამ თვალსაზრისით დღემდე ნაყოფიერ საველე სამუშაოებს აწარმოებს გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური ექსპედიცია (იხ. ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980: 8-10; კახიძე, მამულაძე, 2004: 4-107; 2016: 56-70; Mamuladze, Kakhidze, Khalvashi, 2001: 35-46; Kakhidze, 2008: 303-332; Karasiewicz-Szczypiorski, Kakhidze, 2015: 179-98).

სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი გვიანანტიკური ძეგლის შემოგარენთა შესწავლის მიზნით ბოლო ცამეტი წლის განმავლობაში ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები ხელვაჩაურის მნიციპალიტეტში.

2009 წ-დან ჩვენი ყურადღება მიიქცია მდ. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე, კერძოდ სოფ. კაპანდიბში შემთხვევით აღმოჩენილმა ორმოსამარხებმა. სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია თიხის ქოთნები, დოქები, კოჭობები, ჯამები, ვერცხლის სამაჯური, ბეჭედი, მძივები, მონეტა და ა.შ. ორივე სამარხი ახ.წ. II-III სს დათარიღებული (მამულაძე, ებრალიძე, თურმანიძე, 2010: 55-67).¹ ამავე პერიოდით თარიღდება აქვე აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის ნივთებისაგან შედგენილი განძიც (კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე, 2015: 53-62, კატ. 69-83).²

აღსანიშნავია, რომ ამავე სოფელში ბათუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია კარიერს. ამირან კახიძის დაკვირვებით აქ ჩამოთლილი კვადრები რომაელებს აფსაროსის ციხის მშენებლობისას უნდა გამოეყენებინათ. გამო-

¹ გამოფენილია ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ოქროს საგანძურის ოთახში.

² ეს ნივთები ასევე ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ოქროს საგანძურის ოთახშია გამოფენილი.

რიცხული არაა კარიერები სხვა ადგილებშიც ყოფილიყო, მაგალითად, ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სიმონეთსა და ჭარნალის მურვანეთში. საქართველო-პოლონეთის გონიო-აფსაროსის ერთობლივი ექსპედიციის თანახელმძღვანელის რადოსლავ კარასიევიჩ-შჩიპიორსკის დაკვირვებით მსგავსი კარიერი გონიოს მიდამოებშიაცაა. ეს ორი ჰიპოთეზა ურთიერთსანინაალმდეგოდ არ გვეჩვენება. შესაძლებელია, რომაელებმა გონიოში კარიერის მიგნებამდე სწორედ კაპანდიბიდან და ზემოთ ჩამოთვლილი სხვა პუნქტებიდან გადმოზიდეს სამშენებლო კვადრების ნაწილი, სავარაუდოდ, მდ. ჭოროხის გამოყენებით.

2010-2012 წლებში ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, სოფელ მახოში, გონიო-აფსაროსთან ახლოს გამოვლინდა ა.წ. III ს-ით დათარიღებული 10 სამარხი მრავალფეროვანი საიმპერატორული ინვენტარით (კახიძე, შალიკაძე, 2015:104-115).¹

აღსანიშნავია, რომ 1964 წ ამავე სოფელში ჩაის პლანტაციებისათვის მიწის დამუშავების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ადგილობრივად დამზადებული ახ.წ. I-II სს ოქროს ნივთები (იხ. ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980: 10, ტაბ. 53-54; კახიძე, შალიკაძე, 2015:104, ტაბ. 12; კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე, 2015: 90-93, კატ. 115-118).²

მდინარე ჭოროხის ამ სანაპიროს სხვა მონაპოვრებიდან აღსანიშნავია ადრიანეს (ახ.წ. 117-138 წწ.) სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა სოფელ მახვილაურიდან, რომელიც განსვენებულმა ნუმისმატმა ირაკლი იაშვილმა შეისწავლა (იხ. ინაიშვილი, 2007: 341).

კიდევ ერთი შემთხვევითი აღმოჩენა მომდინარეობს იქვე მდებარე სოფ. ზანაქიძეებიდან. მიკროუბან გორგოშაძეების გორაზე 1998 წ³საცალფეხო გზის გაფართოებისას

¹ გამოფენილია გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში.

² გამოფენილია სსიპ აჭარის მუზეუმის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ოქროს საგანძურის ოთახში.

³ ხალხური გადმოცემით ამ ადგილს კიბელები სირთსაც უწოდებენ. აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სატეხია, სადაც რამდენიმე არქეოლოგიური

გამოჩნდა შემდეგი ნივთები: ოქროს დიადემა, ადგილობრივი თიხის ქოთანი, იმპორტული კანთაროსისებრი ფიალა და მინისაგან დამზადებული სანელსაცხებლე ჭურჭელი, ორი ცალი მინისებური პასტის მძივი (კახიძე, მამულაძე, ფარტენაძე, 1999). ოქროს დიადემა დამზადებულია თხელი ფირფიტებისაგან. მასზე გადმოცემულია სამყაროს სამი დიდი განზომილების – ცის, დედამიწისა და ქვესკნელის სიმბოლური გამოსახულებანი (იხ. კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე, 2015: 94, კატ. 119). გამჭვირვალე ცისფერი მინისაგან დამზადებული სანელსაცხებლე თითქმის მთლიანადაა დაცული; თარიღდება ახ.წ. I-II სს; დამზადებულია აღმოსავლეთი ხმელთაშუაზღვისპირეთის სანარმოო ცენტრში (შალიკაძე, 2004: 52-54; კახიძე, შალიკაძე, 2009: 68, სურ. 13).

ჩვენი ყურადღება მიიქცია გასული საუკუნის 80-იან წლებში მომხდარმა შემთხვევითმა აღმოჩენამაც, რომელიც ასევე ზანაქიძეებში, ზემოთ ხსენებულ მიკროუბან სატეხიაში მოხდა. ზეზურ ცეცხლადის საკარმიდამო ნაკვეთში რომაული ეპოქის დარღვეული სამარხი რამდენიმე ნივთით, ხოლო ილო ქალბადაძის საკარმიდამო ნაკვეთში მარნის კონტურები დადასტურდა. სავარაუდოდ, სწორედ სამარხეული ინვენტარიდანაა დევიდ ბრაუნდთან ნახსენები მონოგრამიანი ამეთვისტოს და კრევეტისგამოსახულებანი სარდიონის ბეჭდი, რომლებიც ახ.წ. I ს ბოლოთი თარიღდება (ბრაუნდი, 2014: 267).

2021 წ გადამწყვეტთ გვენახა ადგილი, რომელიც მდებარეობს ზურაბ ცეცხლადის საკარმიდამო ნაკვეთში. ადგილი მთლიანად დაფარულია მოზრდილი ხეებითა და ბუჩქნა-


აღმოჩენა განხორციელდა, რაზეც ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ. დასავლეთითაა მახვილაური, განვითარებული ნეოლითური, გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და ანტიკური ხანის დასახლება, რომელიც მდ. ჭოროხის შესართავის მარცხენა სანაპიროს ძირითადი ცენტრია. ჩრდილოეთითაა ახალშენი და ხეყრუს უმოკლესი გადასასვლელებით ერგე-ჯოჭოსკენ. სამხრეთით მდებარეობს კახაბრის ველი. უზუცესების გადმოცემით, მდ. ჭოროხი აქაურ გორაკ-ბორცვოვან ზოლს საკმაოდ ახლოს ჩამოუდრიდა.

რით (სურ. 1). მცირემასშტაბიანი საველე სამუშაოები დავინ-
ყეთ 2022 წლის შემოდგომაზე.¹



თავდაპირველად შესასა-
ნავლი ტერიტორია გათავისუფ-
ლდა ბუჩქნარისა და ეკალ-ბარ-
დისაგან. ამის შემდეგ აიგეგმა NO
და SW სექტორების 4 კვადრატი
(ზომები: 2X2 სმ.). მცენარეული
საფარის შემდეგ მოიხსნა დაახ-
ლოებით 30 სმ-ის სისქის მოშავო

ქვიშნარი ფენა – ჰუმუსი, რომელსაც მოსდევს მკვერივი მო-
ნითალო გრუნტი. მალე, NO სექტორის 1-ელ კვადრატში,
რომელიც ნაწილობრივ გადადიოდა NW სექტორის 1 კვად-
რატში, გამოჩნდა ოთხკუთხა შემოწერილობის სამარხის
კონტურები. იგი დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთით, ზო-
მები: 1.75X1.30 სმ (სურ. 2-3).



ინვენტარი გამოჩნდა თავის არეში, სამარხის ჩრდილო-
ეთ კუთხეში, ესენია: ადგილობრივი თიხის დოქი, იქვე ახ-

¹ არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობდნენ ბამ-ის თანამშრომელი
იზოლდა დუმბაძე, ფერარას უნივერსიტეტის (იტალია) პროფესორი ლი-
ვიო ძერბინი, ხოლო ამირან კახიძე და კლაუდო დებიაზი ფასდაუდებელ
კონსულტაციებს გვანცდიდნენ.

ლოს, დაახლ. 40 სმ. მოშორებით დაფიქსირდა მეორე, შედარებით პატარა ზომის ასევე ადგილობრივი დოქი.¹ მათ შორის კი მინისა და ქარვის მძივები.² აქვე გაიწმინდა დაზიანებული ბრინჯაოს მონეტა და რკინის ოვალურფარაკიანი ბეჭედი. არის ბრინჯაოს გაურკვეველი ნივთის ნატეხებიც.³

საპრეპარაციო სამუშაოების შემდეგ, მოხდა სამარხის ჩახატვა და ფოტოფიქსაცია. სამუშაოები გაგრძელდა სამხრეთის მიმართულებით, მე-2 კვადრატშიც, აქ სამარხი აღარ დაფიქსირებულა.

წინასწარეული გამოკვლევებით ეს ნივთები გვიანკლასიკური ან ადრეელინისტური ხანისაა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ჩვენს ინტერესს აღნიშნული სამაროვნისადმი, ვინაიდან გამორიცხული არაა დაფიქსირდეს მიცვალებულთა მიბარების ერთიანი ტრადიცია, რომელიც ანტიკური ხანის მნიშვნელოვან მონაკვეთებს აერთიანებს.

¹ მოხერხდა მათი ნაწილობრივი აღდგენა. ორივე მათგანი ყავისფერკეცია-ნი, დამსკადარ-დამზრალია. აქვთ სხვადასხვა მინარევები. პირველი ჭურჭელი, რომელიც უკეთაა შენახული, სადაა, მომალლო პირით, რომელიც გარეთაქანაა გაფართოებული, მხრებისკენ ოდნავ გაშლილი ყელით. ტანი მომრგვალებულია, ძირი ბრტყელი. ოვალურგანივკვეთიანი ყურის ერთი ბოლო ყელზეა მიძერწილი.

² ეს ნახევრადძვირფასი ქვა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ფიჭვნარში ძვ.წ. V ს-დან ჩნდება როგორც ბერძნულ (იხ. თურმანიძე, 2005: 45-46, სურ. 1-4, ტაბ. I/1; კახიძე, ვიკერსი, 2014: 96, სურ. 36/2,8-9, 57/1), ისე კოლხურ (თურმანიძე, 2017: 25, ტაბ. I/1-3, II/4) სამაროვნებზე. თანადროული მასალა ვანშიც გვხვდება (გიგოლაშვილი, 1983: 98, 108, კატ. 450). ადრერკინის თუ ადრეანტიკური ხანით, ძირითადად, ძვ.წ. VII-VI სს დათარიღებული მასალა ნანახია ნიგვზიანში (Микеладзе, Барамидзе, 1977: 36), მუხურჩაში (Гогодзе, Панцхава, Дариспанашвили, 1977: 67-71, ტაბ. X/7-13), მერხეულში (ბარამიძე, 1977: 73-74), წითელ შუქურაზე (Трапш, 1969: 75), სიონსა (მენაბდე, კილურაძე, 1981: 98, სურ. 41/9) და ბრილში (იხ. თურმანიძე, 2017: 25). ელინისტურ ხანაში მათი რაოდენობა მკვეთრად იკლებს. ჯერჯერობით გვაქვს ვანში აღმოჩენილი ქარვის სამკაულის 8 ცალი ჩასართავი (კაჭარავა, მუჯანაძე, 1986: 31).

³ საჭიროა ამ ნივთების სათანადო ლაბორატორიული კვლევა, რათა უფრო კონკრეტული ინფორმაცია გვქონდეს მათ შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბარამიძე მ. 1977: მერხეულის სამაროვანი, თბილისი.
- ბრაუნდი დ. 2014: საქართველო ანტიკურ ხანაში, ბათუმი.
- გიგოლაშვილი ე. 1983: მძივსამკაული, ვანი, 7, თბილისი: 96-112.
- ინაიშვილი ნ. 2007: აჭარა ახ.წ. I-IV საუკუნეებში: სამეურნეო ყოფა და საგარეო კავშირები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), ტ. I, ბათუმი: 340-346.
- თურმანიძე მ. 2005: მძივსამკაული ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლიდან, ბამ-ის შრომები, III: 45-50.
- თურმანიძე მ. 2017: ქარვის მძივ-საკიდები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის სამარხებიდან, ბამ-ის შრომები, VII: 23-32.
- კაჭარავა დ., მუჯანაძე ზ. 1986: ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული არქეოლოგიური მუშაობის ანგარიში, ვანი, 8, თბილისი: 9-33
- კახიძე ა., ვიკერსი მ. 2014: კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (2003-2007 წწ), ბათუმი/ოქსფორდი.
- კახიძე ა., მამულაძე შ., 2004: სამხრეთ კარიბჭისა და აბანო-თუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები, გონიო-აფსაროსი, IV, ბათუმი: 4-107.
- კახიძე ა., მამულაძე შ. 2016: აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.
- კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე მ. , 1999: ახალი არქეოლოგიური მონაპოვრები სოფელ ზანაქიძეებიდან, გაზეთი „კახაბერი“, № 11.
- კახიძე, შალიკაძე, 2009: მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან, ბათუმი/ოქსფორდი.

- კახიძე ა., შალიკაძე თ. 2015: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. მახოს 2013 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, აჭარა: წარსული და თანამედროვეობა, 2: 104-131.
- კახიძე ა., შალიკაძე თ., ფარტენაძე თ. 2015: ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის საგანძური (კატალოგი), ბათუმი.
- ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ., 1980: გონიოს განძი, თბილისი.
- მენაბდე მ., კილურაძე თ. 1981: სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.
- შალიკაძე თ. 2004: გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირეთიდან, ბათუმი.
- Гогодзе Е.М., Панцхава Л.Н., Дариспанашвили М.В. 1977: Работы Носири-Мухурчской экспедиции, сб. V, Тбилиси: 70-71.
- Микеладзе Т.К., Барамидзе М.В. 1977: Колхский могильник VII-VI вв до н.э. в с. Нигвзиани, КСИА, Тбилиси: 33-39.
- Трапш М.М. 1969: Древний Сухуми, т. II, Тбилиси.
- Kakhidze E. 2008: Apsaros: A Roman fort in southwestern Georgia, Meetings of Cultures in the Black Sea Region: Between Conflict and Coexistence, Aarhus: 303-332.
- Karasiewicz-Szczypiorski, R., Kakhidze, E. 2015: Gonio (Apsarus) in Adjara – Excavations of Roman fort. First Polish-Georgian archaeological mission, Pro Georgia: Journal of Kartvelological Studies, 25: 179-198.
- Mamuladze S., Ebralidze T., Turmanidze M. 2010: Graves dated back to Roman Age along lower stream of river of Chorokhi (Kapandibi), Caucasus Journal of Social Sciences, 3/1: 56-68.
- Mamuladze S., Kakhidze E., Khalvashi M. 2001: Die Römer in Südwestgeorgien, Georgica 24: 35-46.

გურამ ჩხატარაშვილი
Guram Chkhatarashvili
ვალერი მანკო
Valery Manko
რეზო ტაკიძე
Rezo Takidze

*ქვის ინვენტარის ტექნოლოგიური და ტიპოლოგიური
ანალიზი ქობულეთის კულტურის ძეგლებიდან*

*Technological and typological analysis of stone industry
from Kobuleti culture sites*

Abstract. South-western Georgia (Ajara) is rich in archeological sites of different epochs. One of the prominent sites among them is the Early Holocene period sites. These are: Khutsubani, Kvirike, Kobuleti, Jikhanjuri, Sakhalvasho, Makhvilauri etc. In our opinions, Kobuleti, Khutsubani and Kvirike are sites which had unit stone industry, stone work technology and the typology of tools. That is why, we call them Kobuleti culture.

The first archeological investigations of Kobuleti culture sites is connected with famous archaeologists Nino Berdzenishvili and Lamara Nebieridze in 1961-1963 in Kobuleti and Khutsubani. Later, their in-depth research was successfully continued by archaeologist Sergo Gogitidze, who studied the Kobuleti 1973-1986. In addition, intelligence work continued in Khutsubani and Kvirike. 2010 archaeologist, dr. Tengiz Meshveliani visited the Kobuleti, where he made small-scale excavations.

We had an opportunity to resume the archaeological fieldwork (head of excavations Guram Chkhatarashvili) at the Kobuleti site in 2019-2022. The excavations were carried out in the central part of the hill, where we confirmed the following stratigraphic picture:

Layer I – humus – 0.2 m.

Layer II – brown 0.45 m, containing three deposits:

1. Blackish-brownish – 0.10 m.
2. Brown – 0.15 m.
3. Light brownish with small pebbles 0.20 m.

Layer III – yellow (sterile) – from 0.65 m. cultural layer was attested in the brownish layer, where we identified 3 deposits. It is clear that despite different colors, all three deposits belonged to the same period, namely to the Early Holocene period. In addition, during excavations we discovered 40 pits of various functions, in which we found numerous flint and obsidian artifacts. Bone and wood materials were not found because the soil is moist at the Kobuleti site.

Geographically, the sites is situated on the Colchis Plain, which occupies a part of the coastal territory. Currently, the Colchis Plain belongs to the subtropical climate zone. The palynological analysis enabled us to reconstruct with relative accuracy the paleoclimatic environment of the Early Holocene. The climatic conditions were warm. Attention should be paid to the discovery of the flax fibers, which provide the oldest evidence at Ajara stone age sites for the use of flax fibers for making cloth.

The technique of removing blanks is focused on obtaining blades and microblades by manually pressing from conic and pencil-like cores. There are only 225 specimens of cores in the finds. As for the tools, their number is 2,857 units. The largest group of them are the burins, most of which are made on blade. The collection has a small number of combined tools. The number of scrapers is three times less than burins. They were made on flakes. Among the tools there are also chisels. The next group in the tools are retouched blades and microblades. There are more than 100 units of microblades with abrupt retouch which were used to insert the arrowhead. Similar artifacts are known from other sites of the Early Holocene period: Kvachara, Mirnoe, Abuzova Balka etc.

The question of the origin of the Kobuleti industry cannot be solved as it is based only on the local materials. At the end of the Pleistocene, there was simply no single industry on the territory of South Caucasus that could have had a connection with the Kobuleti culture complex. When we compare the M'lefaat industry with the Kobuleti complex, we must refer to the materials of the earliest M'lefaatien sites. This is because the appearance of the Kobuleti industry was not accompanied by starting cattle breeding and agriculture. Meanwhile, traces of cattle breeding in the M'lefaat complexes can be traced back to the 9th millennium BC. Therefore,

only migrants during the very beginning of the Holocene could have brought the traditions of a hunting society. Because of this, it is essential for us to compare the materials of Kobuleti with the complexes of M'lefaat, Karim Shahir and the lower layers of Chaga Sefid. We can see a developed pressure technique in the materials of these sites. Based on the use of conical and bullet-shaped cores, we observe a combination of types of truncated blades and bladelets with abrupt-retouched edges. Other types of tools (burins, scrapers, notch tools) are also common within the Kobuleti industry. It is worth noting that the burins with bilateral forms are similar in both cultures. In addition, the Early M'lefaatian sites are undoubtedly older than Kobuleti, since almost all of the listed sites are dated as the Final Pleistocene. At the moment, we have only one absolute date for Kobuleti (8670 ± 100 BP). Thus, the industry of Kobuleti and the early M'lefaat have many similarities, so we can presume there was a migration of some of the M'lefaatian population to the territory of the South Caucasus. This migration was the first step in the spread of the pressing flaking techniques in South Caucasus and the South of Eastern Europe (Crimea, the Steppe zone of Ukraine and Moldova), where the Kukrek Culture with the same characteristics of the conical cores and tools developed from the first half of the Preboreal.

Key words: *Ajara, Georgia, Stone Age, Archaeological Museum*

შესავალი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) მდიდარია სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლებით. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ადრე პოლოცენის ხანით (ძვ.წ. X-VII ათასწლეული) დათარიღებული ღია ტიპის ნამოსახლარებს. ესენია: ხუცუბანი, კვირიკე, სოფ. ქობულეთი, ჯიხანჯური, მახვილაური (**ბერძენიშვილი, ნებიერიძე, 1964; გოგიტიძე, 1977; 2008**) და სხვ. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ქვის ხანის ფონდებში აქტიურად მიმდინარეობს არტეფაქტთა ელექტრონული პასპორტიზაციის პროცესი. ამასთან ერთად, უკანასკნელ პერიოდში ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით და

ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმის თანადგომით მეტად საინტერესო არქეოლოგიური კვლევა-ძიება მიმდინარეობს კინტრის ხეობის პრეისტორიული ხანის ძეგლებზე. ამან საშუალება მოგვცა ხელახლა გვემოუშავა სოფ. ქობულეთის, ხუცუბნის და კვირიკეს მრავალრიცხოვან კოლექციაზე. გაჩნდა მოსაზრება ქვის ინდუსტრიის წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით, რაზეც ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

აჭარის ქვის ხანის არქეოლოგიის განვითარების ისტორიაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მკვლევარ-არქეოლოგს სერგო გოგიტიძეს, რომელმაც არაერთი სამეცნიერო პუბლიკაცია მიუძღვნა აჭარის ქვის ხანის ნამოსახლარების შესწავლის საქმეს (**გოგიტიძე, 1977; 2008**). ბ-ონ სერგოს სახელს უკავშირდება აჭარის ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლების 2 ქრონოლოგიურ ჯგუფში გაერთიანება: უკერამიკო (ხუცუბანი, კვირიკე, სოფ. ქობულეთი, ჯიხანჯური, სახალვაშო) და კერამიკის ნეოლითის ხანის ძეგლები (მახვილაური). აღსანიშნავია, რომ ბ-ნმა სერგომ პირველმა გაითვალისწინა რა სოფ. ქობულეთის, ხუცუბნის, კვირიკეს, ჯიხანჯურის და ჩოლოქის ნამოსახლარების ერთმანეთთან მსგავსება და მართებულად უწოდებდა მათ „ქობულეთ-ხუცუბნის“ ტიპის ძეგლებს (**გოგიტიძე, 1977: 90-99**). ჩვენ ნაწილობრივ ვეთანხმებით ავტორს, რადგან მიგვაჩნია, რომ ზემოთჩამოთვლილ ძეგლთაგან ჯერჯერობით მხოლოდ სოფ. ქობულეთს, ხუცუბანს და კვირიკეს ქვის ინდუსტრია, ქვის დამუშავების ტექნოლოგია და იარაღთა ტიპოლოგია ერთმანეთის იდენტურია, რაც საფუძველს გვაძლევს მოვიაზროთ ისინი „ქობულეთის კულტურა“-ში¹.

არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორია. ქობულეთის კულტურის ძეგლების პირველი არქეოლოგიური კვლევა-ძიება დაკავშირებულია ცნობილ არქეოლოგებთან ნინო ბერძენიშვილთან და ლამარა ნებიერიძესთან, რომლებთან 1961 წ. დაზვერვითი სამუშაოები აწარმოეს ხუცუბანსა

¹ სახელწოდების დამკვიდრება დაკავშირებულია სოფ. ქობულეთის ნამოსახლართან, რომელიც წარმოადგენს ამ კულტურაში შემავალ ყველაზე დიდი კომპლექსის მქონე ძეგლს.

და სოფ. ქობულეთში. შემდგომში მათი სიღრმისეული კვლევა წარმატებით განაგრძო არქეოლოგმა სერგო გოგიტიძემ, რომელმაც 1973-1986 წწ. არაერთი საველე სეზონი ჩაატარა სოფ. ქობულეთში (**გოგიტიძე, 2008**). ამასთან ერთად, დაზვერვითი სამუშაოები გაგრძელდა სოფ. ქობულეთის მიდამოებში: ხუცუბანსა და კვირიკეში. მოპოვებულია დიდძალი არქეოლოგიური მასალა, რომელიც 31 ათასს აჭარბებს (ცხრილი 1). 2010 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგმა, დოქტ. თენგიზ მეშველიანმა სოფ. ქობულეთში მცირე მასშტაბის დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა (**მეშველიანი, 2013**).

2019-2022 წ. გაგრძელდა საველე არქეოლოგიური სამუშაოები სოფ. ქობულეთში. გათხრითი სამუშაოები წარმოებდა ბორცვის ცენტრალურ ნაწილში, სერგო გოგიტიძის მიერ შესწავლილი თხრილის ჩრდილოეთ მხარეს. სულ გაითხარა დაახლ. 100 მ² მიწა. უძრავი კულტურული ფენის ძიების მიზნით გაივლო რამდენიმე სადაზვერვო თხრილი. ფიქსირდება შემდეგი სტრატეგრაფიული სურათი:

I – ფენა – ჰუმუსი – 0-0,2 მ.;

II – ფენა – ყავისფერი – 0,45 მ. სიმძლავრის, შეიცავს სამ თხელ შრეს;

1. შრე მოშავო მოყავისფრო – 0,10 მ. სისქის;

2. შრე ყავისფერი – 0,15 მ. სისქის;

3. შრე ღია მოყავისფრო, წვრილი კენჭების ჩანართით 0,20 მ. სისქის.

III – ფენა – 0,65 მ-დან ყვითელი თიხნარი, სტერილურია.

კულტურული ფენა დაფიქსირდა ყავისფერ ფენაში, რომელშიც გამოიყო სამი შრე. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა შეფერილობის მიუხედავად სამივე შრე როგორც ტიპოლოგიურად, ისე სტრუქტურულად მიეკუთვნება ერთ პერიოდს – ადრე ჰოლოცენს (მეზოლითი/ეპიპალეოლითი). ამასთან ერთად, გათხრების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა დანიშნულების 40-მდე ორმო, რომელშიც დიდი რაოდენობით კაჟის და ობსიდიანის არტეფაქტები იყო.

არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად სულ აღმოჩნდა 4500 ერთ. მასალა (ცხრილი 1), მათგან 480 იარაღია. ძირითად ნედლეულად როგორც მოსალოდნელი იყო გამოიყენებოდა კაჟი და ობსიდიანი.

გეოგრაფიული მდებარეობა. ქობულეთის კულტურის ძეგლები მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კურორტ ქობულეთიდან 10-15 კმ-ის მანძილზე მდ. კინტრიშის ხეობაში არსებულ ამავე დასახელების სოფლებში. ტერიტორიულად ძეგლები მოქცეულია კოლხეთის დაბლობში, რომელიც შავ ზღვას აღმოსავლეთით ესაზღვრება და თითქმის მთლიანად მოიცავს დასავლეთ საქართველოს. გეოგრაფიულად აღნიშნულ ზონაში გავრცელებულია სუბტროპიკული კლიმატი, სადაც წარმოდგენილია ამ კლიმატისთვის დამახასიათებელი მცენარეების სახეობები. ამას მოწმობს 2019-2021 წ. სოფ. ქობულეთში ჩატარებული პალინოლოგიური კვლევებიც. კერძოდ, ადრეჰოლოცენის ხანით (ძვ.წ. VIII ათასწლეული) დათარიღებული კულტურული ფენებიდან აღებულია სინჯებმა ხე-მცენარეების ჯგუფში აჩვენა მტვრიანას მარცვლების 8 ტაქსონი. თითქმის ყველა მათგანი თბილ კლიმატსა და ტენიან ნიადაგში ხარობს. ესენია: რცხილა (*Corpinus betulus*), ცაცხვი (*Tilia*), ნეკერჩხალი (*Acer*), კაკალი (*Juglans regia*), თხილი (*Corylus*), ძელქვა (*Zelkova*) (**Chkhatarashvili et. al., 2020: 224**) და სხვ. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, იგი წარმოადგენს მესამეულ რელიქტს, რომელიც დღესაც კი ხარობს საქართველოში (ალაზნის ხეობა, კოლხეთის სანაპირო) თბილ ადგილებსა და დაბალ სიმაღლეზე (**Kvavadze, Conor, 2005**). მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ასეთივე კლიმატი უნდა ყოფილიყო ქობულეთის კულტურის სხვა ძეგლებშიც.

ქვის ინდუსტრია. ქვის ინვენტარის ტექნოლოგიური ანალიზიდან ჩანს, რომ ქობულეთის კულტურის ძეგლებში გავრცელებული იყო ქვის დამუშავების ხელის წნევეთი ტექნიკა, რომელიც გულისხმობდა კონუსისებრი და ფანქრისებ-

რი ნუკლეუსებიდან ხელის წნევის გამოყენებით ლამელები-სა და მიკროლამელების მიღებას. კოლექციაში ნუკლეუსების საერთო რაოდენობა 225 ერთეულს აღემატება. ამას გარდა, ინვენტარში წარმოდგენილია ნუკლეუსის მრგვალი ფირფიტები, რომელიც როგორც წესი, გამოიყენებოდა ნუკლეუსის სამუშაო მოედნის გასასწორებლად. წარმოების ნაშთებში დიდი ადგილი უჭირავს (8 962 ერთ.) ლამელებსა და მიკროლამელებს (სიგანე 1,2 სმ-მდე), რაც ლამელარული ტექნიკის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს. ანატკეცების და ქერცლისებრი ანატკეცებიც საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი.

რაც შეეხება იარაღებს მათი რაოდენობა 2 857 ერთეულია. მათგან ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენენ საჭრისები, რომელთა უმრავლესობა დამზადებულია ლამელებზე. გამოირჩევა გვერდულა, კუთხის და ორმაგი საჭრისები. კოლექციაში ცოტაა კომბინირებული იარაღების რაოდენობა. საფხეკების რაოდენობა საჭრისებთან შედარებით სამჯერ ნაკლებია. ძირითადად დამზადებულია ანატკეცებზე. უმეტესობა ბოლოკიდურა საფხეკებია. იარაღებს შორის გვხვდება ანატკეცზე დამზადებული სატეხებიც.

იარაღთა კატეგორიაში შემდეგ ჯგუფს ქმნიან რეტუშირებული ლამელები და მიკროლამელები. ბევრია გვერდამოღარული ლამელების რაოდენობაც. ამავე ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს გვერდრეტუშირებული ანატკეცები, რომლებიც, სავარაუდოდ, საფხეკების მოვალეობას ასრულებდნენ.

მონაპოვრებში 100-მდე ერთეულს აღემატება ნადირობასთან დაკავშირებული გვერდებდაბლაგვებული და ტრონკირებული მიკროლამელები, რომლებიც გამოიყენებოდა ისრისპირის ჩასართებად. მსგავსი არტეფაქტები ცნობილია ადრეჰოლოცენის ხანის სხვა ძეგლებიდან: ქვაჭარა (**Бадер, Тсеретели 1989**), მირნოე, აბუზოვა ბალკა (**Сапожников, Сапожникова 2011**) და სხვ.

ქვის ინვენტარის ტექნო-ტიპოლოგიური ანალიზის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ქობულეთის კულტურის ძეგლები წარმოადგენდნენ მონადირეთა სეზონურ ბანაკს,

სადაც დროებით ცხოვრობდნენ პირველყოფილი ადამიანები. ჩვენ აზრს ამყარებს სოფ. ქობულეთის ქვის ინვენტარზე ჩატარებული ტრასოლოგიური ანალიზის შედეგებიც (**Эсакия и др., 2020**). კვლევის მიხედვით გაირკვა, რომ იარაღთა უმეტესობას არ გააჩნდა ხანგრძლივი გამოყენების კვალი. იარაღებში ძირითადად წარმოდგენილი იყო დანები, სახოკები, საფხეკები და სხვ. მცირე რაოდენობით გვხვდება კომბინირებული იარაღებიც. რაც შეეხება პირველყოფილი ადამიანის ძირითად საქმიანობას. ძირითადად დომინირებდა ნანადირევი ხორცის დამუშავება. მნიშვნელოვანი ჯგუფით იყო წარმოდგენილი ძვლის/ხის და ტყავის დამუშავებისთვის საჭირო იარაღებიც (**Эсакия и др., 2020: 71-76**).

ქვის ინდუსტრიის წარმომავლობის საკითხისათვის. ქობულეთის ინდუსტრიის წარმომავლობის საკითხის შესახებ ბ-ონ სერგო გოგიტიძესთან კონკრეტულად არაფერია თქმული. მისი აზრით, აჭარის ტერიტორიაზე არსებული გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითური პერიოდის ძეგლები უნდა წარმოადგენდნენ გვიანპალეოლითში ჩასახული კულტურის გაგრძელებას. ჩვენ შევეცდებით უახლესი კვლევებისა და პუბლიკაციების გამოყენებით პასუხი გავცეთ ამ საკითხს (**Manko, 2013; Manko, Chkhatarashvili, 2020; Chkhatarashvili, Manko, 2020**). ჩვენი აზრით, აღნიშნულ საკითხზე პასუხის გაცემა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული ძეგლების მიხედვით შეუძლებელია, რადგან პლეისტოცენ-ჰოლოცენის ზღვარზე, ამიერკავკასიაში უბრალოდ არ არსებობდა ინდუსტრია, რომელიც შეიძლება როგორმე დავუკავშიროთ ქობულეთის კულტურის ძეგლებს.

ერთადერთი ინდუსტრია, სადაც ვხვდებით გვერდდაბლაგვებულ ლამელებსა და მიკროლამელებს არის ეპიგრავეტი (ფინალური ზედა პალეოლითი). თუმცა, დღემდე არ მოგვეპოვება მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ეპიგრავეტმა ამიერკავკასიაში იარსება ჰოლოცენის დაწყებამდე. ყველაზე ახალგაზრდა თარიღს ამასთან დაკავშირებით ვხვდებით ძუძუნას მღვიმის B ფენაში (ცხრილი 2, 4-6) (**Bar-Yosef, et. al., 2011**). ქრონოლოგიურად ძუძუნას ეპიგრავეტსა და

ქობულეთის ინდუსტრიას შორის დაახლ. 3 000 წლიანი ჰიატუსია, რაც ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ შეუძლებელი იყო ამდენ ხანს გაეძლო ამ ინდუსტრიას. მეორეც, კავკასიის გვიანპლეისტოცენური ხანის არც ერთ ძეგლზე არ ჩანს ხელის წნევითი ტექნიკის გამოყენება. ეს განსაკუთრებით ითქმის ჩრდ. კავკასიაში მდებარე კასოუსკაიას მღვიმის მიხედვით, რომელსაც გააჩნია ყველაზე ახალგაზრდა თარიღი (ცხრილი 2, 1-3). მესამეც, ქობულეთში ქვის ინდუსტრიას ჩვენ ვხედავთ უკვე სავსებით ჩამოყალიბებული სახით, რაც მანამდე არ შეინიშნება კავკასიის სხვა ძეგლებზე. აღნიშნული გარემოება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქობულეთის ინდუსტრია საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება დიდი მიგრაციის შედეგად¹. მიგრაციის საწყის პუნქტად ჩვენ განვიხილავთ თანამედროვე ირანისა და ერაყის ტერიტორიაზე მდებარე არქეოლოგიურ ძეგლებს, სადაც ადრეჰოლოცენის პერიოდში წარმოიშვა და განვითარდა მღე'ფაატური ინდუსტრია. ასეთ ძეგლებს მიეკუთვნება: მღეფაატი (**Dittermore, 1984**), კარიმ შაჰირი (**Howe, 1984**) და ჩაგა სეფიდი (**Hole, 1977**). ჩვენთვის საინტერესოა განსაკუთრებით მღე'ფაატური ინდუსტრიის ადრეული ეტაპის ძეგლები, რომლებიც ჯერ კიდევ მონადირე-შემგროვებლობის ბაზაზე იმყოფებიან. მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ფორმები მათში ჩნდება დაახლ. IX ათასწლეულში (**Zeder, 2008**). ამასთან ერთად, ზემოთხსენებულ არქეოლოგიურ ძეგლებში ჩვენ ვხვდებით განვითარებულ ხელის წნევით ტექნიკას, რომელიც გულისხმობდა კონუსური და ფანქრისებრი ნუკლეუსებიდან ლამელებსა და მიკროლამელების მიღებას. ამავე ძეგლებში გვხვდება ტრონკირებული მიკროლამელები და გვერდდაბლაგვებული ლამელები/მიკროლამელები. მსგავსება შეიმჩნევა იარაღთა სხვა ტიპებშიც (საფხეკები, საჭრისები, გვერდამოღარული ლამელები, სატეხები და სხვ.) (**Chkhatarashvili, Manko, 2020: 33**). დასასრულს, ჩვენს მოსაზრებას ამყარებს ასევე მღე'ფაატური კულტურის ადრე-


¹ ამასთან დაკავშირებით ვრცლად იხილეთ: Manko, 2013; Manko, Chkhatarashvili, 2020; Chkhatarashvili, Manko, 2020.

ული ძეგლების აბსოლუტური თარიღების სერია, რომლებიც გვიანპლესტოცენური (ცხრილი 2, 7-13) ხანისაა, მაშინ როდესაც სოფ. ქობულეთის თარიღი მიეკუთვნება ადრეპოლოცენს (ცხრილი 2, 14).

დასკვნა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პრეისტორიული ხანის ერთ-ერთ გამორჩეულ ძეგლებს წარმოადგენენ ქობულეთის კულტურის ძეგლები, რომელთა შესწავლა უკანასკნელ პერიოდებში ინტერდისციპლინური მეთოდების გამოყენებით დაიწყო. მიღებულმა შედეგებმა სამეცნიერო საზოგადოებას ძალიან საინტერესო ინფორმაცია მისცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეპოლოცენის ხანაში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების შესახებ. ეს განსაკუთრებით ითქმის ქვის ინდუსტრიის, მეურნეობის, პალეოგარემოს, უძველესი კონტაქტების და სხვ. შესახებ. ამასთან ერთად, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდში თავმოყრილია დიდძალი არქეოლოგიური მასალა, რომელთა ტექნო-ტიპოლოგიურმა ანალიზმა საინტერესო დასკვნების საშუალება მოგვცა. კერძოდ, ქობულეთის კულტურის ძეგლებისთვის დამახასიათებელია ერთნაირი ქვის ინდუსტრია, ქვის დამუშავების ტექნოლოგია და იარაღთა ტიპოლოგია, რომელთა წარმომავლობაც დაკავშირებულია ახლო და შუა აღმოსავლეთში (თანამედროვე ირან-ერაყის ტერიტორია) მდებარე ე.წ. მლე'ფაატურ კულტურასთან. ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელია ხელისნევეთი ტექნიკის არსებობა, იარაღთა სიაში გვერდდაბლაგვებული და ტრონკირებული ლამელების და მიკროლამელების არსებობა.

ჩვენი აზრით, ქობულეთის კულტურა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი ადრეული კულტურაა, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მლე'ფაატური კულტურის მიგრანტებთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამომავლოდ განხორციელებული ფართომასშტაბიანი საველე კვლევა-ძიებებისა და მუზეუმის ფონდებში არსებული კოლექციების კამერალური სამუშაოების შედეგად გაიზრდება ქობულეთის კულტურის არეალი და კიდევ უფრო და-

ზუსტდება „მლეფაატელი მიგრანტების“ გავლენის საკითხები.



დამოწმებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ნ., ნეპიერიძე ლ. 1964. ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბილისი, 7-16
2. გოგიტიძე ს. 1978. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი.
3. გოგიტიძე ს. 2008. კინტრიშის ხეობის ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები (ქობულეთის ადრენეოლითური ნამოსახლარი), ბათუმი.

4. **მეშველიანი თ. 2011.** დასავლეთ საქართველოს ნეოლითის წარმოშობის საკითხისათვის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, II (47-В), თბილისი, 6-19
5. **Бадер Н.О., Церетели Л.Д., 1989.** Мезолит Кавказа, *Мезолит СССР*, Москва, Издательство “Наука”, 93-105
6. **ГОЛОВАНОВА Л.В., ДОРОНИЧЕВ В.Б. 2012.** ИМЕРЕТИНСКАЯ КУЛЬТУРА В ВЕРХНЕМ ПАЛЕОЛИТЕ КАВКАЗА: ПРОШЛОЕ И НАСТОЯЩЕЕ, ПЕРВОБЫТНЫЕ ДРЕВНОСТИ ЕВРАЗИИ, К 60-летию Алексея Николаевича Сорокина, 59-102
7. **Манко В., 2015.** Похождения кукрецкой культуры, Наукови студии, вип. 8.
8. **Манько В. О., Чхатарашвили Г. Л. 2020.** Західна Грузія як транзитна територія на шляху міграцій протонеолітичного населення у Східну Європу, *АРХЕОЛОГІЯ І ДАВНЯ ІСТОРІЯ УКРАЇНИ*, Випуск 4 (37), 329-339
9. **Сапожников И.В., Сапожникова Г.В., 2011.** Каменный век, Северо-Западного Причерноморья, *Stratum plus*, No 1, Санкт-Петербург, Кишинев, Одесса, Бухарест.
10. **Эсакия К., Чхатарашвили Г., Кахидзе А. 2020.** Комплексный анализ каменного инвентаря раннеголоценовой стоянки Кобулет, *Tyragetia*, vol. XIV, nr. 1, Кешенев
11. **Bar-Yosef O. Belfer-Cohen A. Mesheviliani T. Jakeli N. Bar-Oz G. Boaretto E. Goldberg P. Kvavadze E. and Matskevich Z. 2011.** Dzudzuana: an Upper Palaeolithic cave site in the Caucasus foothills (Georgia). *Antiquity* 85, 331-349
12. **Braidwood, L.S., Braidwood, R.J., Howe, B., Reed, Ch.A., Watson, P.J. 1983.** Prehistoric Archeology along the Zagros Flanks, The University of Chicago Oriental Institute Publications 105, Chicago
13. **Bronk-Ramsey C. 2009.** Bayesian analysis of radiocarbon dates. *Radiocarbon* 51(1), 337-360.
14. **Chkhatarashvili G., Manko V., Kakhidze A., Esakiya K., Chichinadze M., Kulkova M., Streltsov M. 2020.** The South-East Black Sea coast in the Early Holocene period (according

- to interdisciplinary archaeological investigations at the Kobuleti site), *Sprawozdania Archeologiczne*, 72/2, 213-230
15. **Dittermore M. 1983.** The Soundings at M'lefaat. In L. S. Braidwood, R. J. Braidwood, B. Howe, C. A. Reed and P. J. Watson (eds), *Prehistoric archaeology along the Zagros flanks* (= *Oriental Institute Publication* 105). Chicago: Oriental Institute of the University of Chicago, 671-692.
 16. **Hole F. 1977.** *Studies in the archeological history of the Deh Luran plain. The Excavation of Chagha Sefid* (= *Memories of the Museum of Anthropology. University of Michigan* 9). Ann Arbor: Museum of Anthropology, University of Michigan.
 17. **Hole, F. 1987.** Chronologies in the Iranian Neolithic, In: Aurenche et al. (eds.), *Chronologies in the Near East: relative chronologies and absolute chronology 16.000-4.000 B.P. : C.N.R.S. International symposium, Lyon (France) 24-28 November 1986*, BAR International Series 379, Oxford, 353 – 379
 18. **Howe B. 1983.** Karim Shahr. In L. S. Braidwood, R. J. Braidwood, B. Howe, C. A. Reed and P. J. Watson (eds), *Prehistoric Archaeology along The Zagros Flanks* (= *Oriental Institute Publication* 105). Chicago: Oriental Institute of the University of Chicago, 23-154.
 19. **Kozłowski, S.K. 1994.** Radiocarbon Dates from Aceramic Iraq, *Radiocarbon* 36, 255 – 264
 20. **Kvavadze E. V. and Connor S. E. 2005.** *Zelkova carpiniifolia* (Pallas) K. Koch in Holocene sediments of Georgia – an indicator of climatic optima. *Review of Palaeobotany and Palynology*, 133, 69-89.
 21. **Reimer P., Bard E., Bayliss A., Beck J. W., Blackwell P. G., Ramsey C. B., Buck Caitlin E., Cheng Hai, Edwards R. L., Friedrich M., Grootes P. M., Guilderson T. P., Hafflidason H., Hajdas I., Hatté C., Heaton T. J., Hoffmann D. L., Hogg A. G., Hughen K. A., Kaiser K. F., Kromer B., Manning S. W., Niu M., Reimer R. W., Richards D. A., Scott M. E., Southon J. R., Staff R. A., Turney C. S. and Plicht J. 2013.** IntCal13 and Marine13 Radiocarbon Age Calibration Curves, 0-50,000 Years cal BP. *Radiocarbon* 55, 1869-1887.

22. **Zeder M. A. 2008.** Animal domestication in the Zagros: an update and directions for future research. In E. Vila, L. Gourichon, A. M. Choyke, and H. Buitenhuis (eds.), *Archaeozoology of the Near East VIII: proceedings of the 8th International Symposium on the Archaeozoology of Southwestern Asia and Adjacent Areas*. Maison de l'Orient et de la Méditerranée. Lyon: 243–278

ცხრილი 1. ქობულეთის კულტურის ძეგლთა არტეფაქტთა სტატისტიკური და ტიპოლოგიური მონაცემები

ტიპი	ქობულეთი	ხუცუბანი	კვირიკე
კაჭარი	22		
ნუკლეუსი	208	11	6
ანამტვრევი	5 923	167	44
ანატკეცი	11 388	263	120
ლამელა/მიკრო-ლამელა	8537	341	84
იარაღები:			
საჭრისი	1 471	89	13
საფხეკი	399	64	6
გვერამოლარუ-	138		3

ლი ლამელა			
რეტუშირებული ლამელა	365	3	15
გვერდდაბლაგ-ვებული და ტრონკირებული მიკროლამელა	63	4	2
სახვრეტი	70	5	1
ხოწისებრი ია-რალი	25		
დაკბილული ია-რალი	40	1	
შურდულის ქვა	67		
სხვა		3	10

ცხრილი 2. ტექსტში მოხსენიებულ ძეგლთა აბსოლუტური თარიღები¹

	ძეგლი	ლაბორატ. ინდექსი	Dates C ¹⁴ BP	Dates cal. BC (68.2 %)	Dates cal. BC (95.4%)	ლიტერატურა
1	კასოუკაია	Spb-129	14050 ± 100	15310-14956	15480-14765	Golovanova, Doronichev, 2012

¹ შედეგები გადაანგარიშდა კალენდარულ წლებად, Intcal13 მრუდის მიხედვით (Reimer et al. 2013) და Oxcal 4.2 პროგრამული უზრუნველყოფით (Bronk Ramsey, 2009).

2	კასოქ- კაია	Spb-128	11000 ± 150	11051- 10795	11199- 10728	Golovanova, Doronichev, 2012
3	კასოქ- კაია	Spb-130	10550 ±130	10737- 10432	10766- 10130	Golovanova, Doronichev, 2012
4	ძუძუა- ნა, B ფენა	RTT-3278	13860 ± 90	15011- 14675	15143- 14495	Bar-Yosef et al., 2011
5	ძუძუა- ნა, B ფენა	RTT-3821	13250 ± 70	14096- 13861	14213- 13756	Bar-Yosef et al., 2011
6	ძუძუა- ნა, B ფენა	RTT-3282	11500 ± 75	11476- 11331	11528- 11226	Bar-Yosef et al., 2011
7	ჯარმო	W-657	11240 ± 200	11341- 10935	11499- 10782	Braidwood et al. (eds.). 1983
8	ჯარმო	W-655	11200 ± 300	11354- 10811	11763- 10630	Braidwood et al. (eds.). 1983
9	მლეფა- ატი	Gd-6150	10890 ± 140	10993- 10744	11117- 10639	Kozłowski 1994
10	მლეფა- ატი	Gd-4465	10850 ± 200	11045- 10656	11225- 10428	Kozłowski 1994
11	მლეფა- ატი	Gd-6149	10290 ± 180	10469- 9805	10643-9442	Kozłowski 1994
12	ჩაგა სე- ფიდი	UCLA-310	11270 ± 90	11275- 11111	11371- 10996	Hole 1987
13	განი დერე	GAK-807	10400 ± 150	10582- 10101	10733-9806	Hole 1987
14	ქობუ- ლეთი	Spb-3084	8670± 100	7831-7584	7995-7534	Chkhatarashvili , Manko, 2020

სურათების აღწერილობა:

სურ. 1 – (ფოტოს ავტ. გ. ჩხატარაშვილი) ქვის ხანის ძეგლები აჭარის ტერიტორიაზე. 1 – ბეშუმის (ბულულას სერი); 2 – კვირიკე; 3 – ხუცუბანი; 4 – სოფ. ქობულეთი; 5 – ჯიხანჯური; 6 – მახვილაური; 7 – ხიხადირი; 8 – ჩაქვის ჩაისუბანი; 9 – კოხი; 10 – ჩოლოქი

სურ. 2 – (გოგიტიძე, 2008: 114) კაჟის და ობსიდიანის იარაღები ქობულეთის კულტურის ძეგლებში

I – სოფ. ქობულეთი: 1-2 ნუკლეუსი; 3 – ფირფიტა; 4-5 საჭრისი; 6-7 საფხეკი; 8-9 გვერდრეტუშირებული და გვერდამოღარული ლამელა; 10-13 ტრონკირებული მიკროლამელა

II – ხუცუბანი: 1-2 ნუკლეუსი; 3-4 საჭრისი; 5-6 საფხეკი; 7-10 გვერდრეტუშირებული და გვერდამოღარული ლამელა

III – კვირიკე: 1-2 ნუკლეუსი; 3-4, 8 საჭრისი; 5, 9-10 საფხეკი; 6-7, 11-15 გვერდრეტუშირებული და გვერდამოღარული ლამელა

სურ. 3 – (ფოტოს ავტ. გ. ჩხატარაშვილი) ხელის წნევეთი ტექნიკის და გვერდაბლაგვეებული მიკროლამელების გავრცელების რუკა. 1 – ალი კოში; 2 – ჩაგა სეფიდი; 3 – განი დერე; 4 – კარიმ შაჰირი; 5 – ჯარმო; 6 – მლეფაატი; 7 – ბავრა, ბავრა I, ბავრა II, ბავრა-აბლარი; 8 – ქობულეთის კულტურის ძეგლები; 9 – ანასეული I; 10 – დარკვეთის ეხი; 11 – სოსრუკო

სურ. 4 – (Dittermore, 1983) მლეფაატური კულტურის ძეგლებისთვის (მლეფაატი, კარიმ შაჰირი) დამახასიათებელი ქვის ინდუსტრია. 1-4 ნუკლეუსი; 5 – საფხეკი; 6-8 საჭრისი; 9-11 ტრონკირებული ლამელა; 12-14, 15 რეტუშირებული ლამელა/მიკროლამელა; 16-24 გვერდდაბლაგვეებული მიკროლამელა

ბეშუმის „ნაქალაქარი“ (ინტერდისციპლინური კვლევა)
The beshumi settlement-sites

Abstract. The settlement-sites is located in the coniferous forest north-east of Resort Beshumi (Khulo municipality). This area is referred to as a city-site by the local residents. The complex of the city-site is represented on four high hills arranged in a straight line and separated from each other by 100-150 meters. The complexes are linked with each other by a common road made over stone mound. The diameter of the layout of stone constructions of one of the hills is 50 m, while the height of the hill amounts to 5 m. The stone buildings are distributed around these hills so that the back wall of each room is fitted in the bedrock. The front wall normally has windows and doors. The rooms are mainly square or rectangular. The excavations conducted in 2018-2019 revealed rich and diverse artifacts. They are dated to the 11th -13th centuries AD.

Key words: *Ajara, Beshumi, archeology, archaeobotany, palynology.*

აბსტრაქტი. ბეშუმი მდებარეობს გოდერძის უღელტეხილიდან 7 კმ. მოშორებით მდ. ფოცხოვის მარცხენა შენაკად, ღელე ბეშუმის სათავეებთან. აქ ზღვის დონიდან 1850-1900 მეტრ სიმაღლეზე წინვოვან ტყეებში, განლაგებულია ძველი ნამოსახლარები: „ნაქალაქარი“, ვაშლობი, ლეკნარი, ყვერული, პანტნარი, ლოდიძირი და სხვ. მათგან ყველაზე უკეთ „ნაქალაქარისა“ და „ყვერულის“ ნამოსახლარებია შემონახული. საკუთრივ „ნაქალაქარი“ მდებარეობს კურორტ ბეშუმიდან 2-3 კილომეტრის დაშორებით ჩრდილო-აღმოსავლეთით წინვოვანი ტყის მასივში. ამ ტერიტორიას ადგილობრივი მოსახლეობა „მეზელულების“ სახელითაც მოიხსენიებს რადგანაც მათი ცნობით ძველად აქ სასაფლაოები ყოფილა განთავსებული. „ნაქალაქარმა“, ისევე, როგორც სხვა ნამო-

სახლარებმა მეცნიერთა ყურადღება XX ს-ის II ნახევრიდან მიიქცია, მაგრამ პირველი გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამუშაოები 2018-2019 წლებში განხორციელდა. არქეოლოგიური გათხრების პარალელურად ასევე პირველად მოხერხდა ძეგლის არქეობოტანიკური და პალინოლოგიური კვლევა, რომელიც მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაციის მომცემი აღმოჩნდა. ძეგლის ტერიტორიაზე წარმოებული ინტერდისციპლინური კვლევებით (არქეოლოგიური, არქეობოტანიკური, პალინოლოგიური) ირკვევა, რომ აქ დასახლება აქტიურად ფუნქციონირებდა განვითარებულ შუასაუკუნეებში (XI-XIII სს) და აქტიურ როლს ასრულებდა რეგიონის ცხოვრებაში. „ნაქალაქარი“ წარმოადგენდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, ხოლო მოსახლეობა აქტიურად მისდევდა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას.

საკვანძო სიტყვები: აჭარა, ბეშუმი, არქეოლოგია, არქეობოტანიკა, პალინოლოგია.

შესავალი ბეშუმი მდებარეობს გოდერძის უღელტეხილიდან 7 კმ. მოშორებით მდ. ფოცხოვის მარცხენა შენაკად, ლელე ბეშუმის სათავეებთან. აქ ზღვის დონიდან 1850-1900 მეტრ სიმაღლეზე წინვოვან ტყეებში, განლაგებულია ძველი ნამოსახლარები, რომლებმაც მეცნიერთა ყურადღება XX ს-ის II ნახევრიდან მიიქცია [ვრცლ.იხ. მგელაძე...,2019: 178-235]. ეს ნამოსახლარები მდინარისპირა ბორცვებზეა განლაგებული და სხვადასხვა ფორმისა და ზომის შენობათა კომპლექსს წარმოადგენს. ისინი ერთმანეთისაგან სხვადასხვა მანძილზე (1,5 კმ-დან 5 კმ-მდე) დაცილებულ დასახლებათა ჯგუფს ქმნიან (ბეშუმის „ნაქალაქარი“, ვაშლობის, ლეკნარის, ყვერულის, პანტნარის, ლოდიდირის და სხვ.). მათგან ყველაზე უკეთ „ნაქალაქარისა“ და „ყვერულის“ კომპლექსებია დაცული [ვრცლ. იხ. ინაიშვილი, 1974: 154-170; კახიძე, მამულაძე, 2016: 81; მგელაძე, ნარიმანაშვილი, 2002: 170; მგელაძე...,2019 ბ: 178-235].

„ნაქალაქარი“ კურორტ ბეშუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2-3 კმ-ის დაცილებით მიმდებარე წინვოვანი ტყის მასივშია განლაგებული. ამ ადგილს მოსახლეობა „მეზოლულებს“ უწოდებს. იგი წარმოადგენს საკმაოდ დიდ ნამოსახლარს, რომელსაც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ კვეთს ქვით მოგებული, კარგად მოწყობილი საურმე გზა. „ნაქალაქარის“ ტერიტორიას მდ. ბეშუმის შენაკადი ღელე – გაფენილი წყალი ჩამოუდის. კომპლექსი ერთ სწორ ხაზზე განლაგებულ ოთხ შემადგენელ გორაკად არის წარმოდგენილი. ისინი დაცილებულნი არიან 100-150 მ-ით და ერთმანეთთან აკავშირებს ერთი საერთო ქვაყრილიანი გზა. ნაქალაქარის ცენტრს ერთი მოზრდილი მოედანი წარმოადგენს, თუმცა არსებობს სხვა გორათა მოედნებიც, რომლებიც, „საუბნო“ ხასიათს ატარებდნენ. სწორედ მათ გარშემოა გამართული საცხოვრებელი კომპლექსები. ნამოსახლარების მკვიდრნი ნახევრადმინურ ბანიან და ერდო-გვირგვინით მომთავრებულ სახლებში ცხოვრობდა. სამოსახლოდ ბორცვის არჩევა მოსახლეობას საშუალებას აძლევდა, ფერდობების ვერტიკალურად ჩაჭრით ნახევრადმინურები მოეწყოთ, ხოლო შუაზე მოქცეული ბორცვის თხემი საერთო მოედნისთვის მოესწორებინათ [ვრცლ.იხ.მგელაძე, ნარიმანაშვილი, 2002: 170; მგელაძე..., 2019 ა: 317-321; მგელაძე..., 2019 ბ: 236-237].

ძირითადი ტექსტი. „ნაქალაქარის“ არქეოლოგიური შესწავლა პირველად 2018-2019 წლებში განხორციელდა და საინტერესო შედეგების მომტანი აღმოჩნდა. ძირითადი სამუშაოები მე-2 და მე-3 ბორცვებზე განხორციელდა. არქეოლოგიური სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა ძეგლის არქეობოტანიკური და პალინოლოგიური კვლევაც (2018 წელს არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა საგრანტო პროექტის „გოდერძის უღელტეხილის ისტორია და ეთნოარქეოლოგია ფარგლებში (პროექტის ხელმძღვანელი ნუგზარ მგელაძე, ექსპედიციის ხელმძღვანელი კახაბერ ქამადაძე), ხოლო 2019 წელს აჭარის კულტურული

მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით (ექსპედიციის ხელმძღვანელი (გოდრძი ნარიმანიშვილი).

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მეორე ბორცვი. აქ გაითხარა მცირე ზომის სენაკი (N 1) და სამეურნეო სათავსის ერთი მონაკვეთი. ორივე სათავსი დიდი კომპლექსის შემადგენელი ნაწილებია. საკუთრივ კომპლექსი ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ სექტორში მდებარეობს და ექვსი დიდი და მცირე სათავსოებისაგან შედგება. იგი მთლიანად მიწურია. გათხრილი N 1 სენაკი ყველაზე მცირე ზომისაა. იგი გამართული იყო კომპლექსის სიღრმეში და ბოლო სათავსს წარმოადგენდა. N 1 სენაკი მიწისქვეშა ნაგებობაა და ნაგებია სხვადასხვა ზომის ნახევრად დამუშავებული დიდი ზომის ქვებით. ნყოფა მშრალია. მისი სიმაღლე 2,70 სმ-ია. სენაკის კედლების ქვედა რიგი დიდი ქვებითაა ნაგები, ქვების ზომები ჭერისკენ თანდათან მცირდება. კედლების ქვედა რიგის ქვები კლდოვან დედაქანზეა განწყობილი, ყოველი ზედა რიგი შიდა სივრცისაკენაა ოდნავ შეწეული. ისე, რომ სენაკის სიგანე სახურავთან უფრო ვიწროა, ვიდრე იატაკთან. სენაკის იატაკი თიხატკეპნილია. შესასვლელი სამხრეთის მხრიდან ჰქონია. სენაკის ჩრდილოეთ კუთხეში გამართული ყოფილა კერა (ტაბ.I/1-2). იგი დაძვრნილი იყო იატაკზე. სენაკის შესასვლელთან აღმოჩნდა თონეც, რომელიც კერის მსგავსად გაკეთებულია უხეშად დამუშავებული კენჭნარევი თიხისაგან და ოვალური ფორმისაა (ტაბ.II/1-2). თონის წინ აღმოსავლეთ კედელთან დაფიქსირდა ვერტიკალური სვეტი, რომელიც მაგიდის ფუნქციას ასრულებდა [მგელაძე, 2019ა: 317-321; მგელაძე..., 2019 ბ: 238-242]. მსგავსი თონეები ფართოდაა გავრცელებული განვითარებული შუასაუკუნეების საქართველოში, ისინი ცნობილია: რუსთავიდან, თბილისიდან, დმანისიდან, ჯავახეთის ახალქალაქიდან, უფლისციხიდან, კვეთერის ციხიდან, ჭერემიდან, ქუთაისიდან, ჭვანის ციხიდან და არაერთი სხვა ძეგლიდან. მრავლადაა აღმოჩენილი სომხეთისა და აზერბაიჯანის შუა საუკუნეების ძეგლებზეც [ვრცლ. იხ. მგელაძე..., 2019 ბ: 243-244. ლიტ-რა აქვე].

არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა მესამე ბორცვის ნა-
მოსახლარი. მისი ერთ-ერთი შენობა მართკუთხა გეგმისაა.
შესასვლელი მოზრდილი ბრტყელი ქვებისაგანაა შედგენი-
ლი. შიდა სივრცეში დაფიქსირდა მართკუთხა ფორმის ორ-
თოსტატი. მსგავსი ქვები დაფიქსირებულია სხვა ნამოსახ-
ლარებზეც. ასეთი ქვები სავარაუდოდ სარკმელის როლს ას-
რულებდა. ისინი მშენებლობის დროს სათანადო სიმაღლეზე
კედელში ისმებოდა. ზემოდან კი გამწვდომი ქვის თალი ედ-
გმებოდა. კედლის წყობაში ამგვარად იქმნებოდა სარკმელი-
სათვის განკუთვნილი ცარიელი სივრცე. მისი გარეთა ნაწი-
ლი უფრო ფართე უნდა ყოფილიყო, რითაც ინტერიერში მე-
ტი სინათლე მიიღებოდა [მგელაძე, ნარიმანაშვილი, 2002:
170; მგელაძე..., 2019 ა: 317-321; მგელაძე..., 2019 ბ: 236-250].
იმავე ნამოსახლარის მეორე შენობა უფრო პატარა ზომისაა
და მრგვალი გეგმის. სხვა ნაგებობების მსგავსად ისიც ნა-
ხევრადმიწურია. 2018 წელს საკონტროლო საცდელი თხრი-
ლი გაივლო მესამე ბორცვის ერთ-ერთი ნაგებობის შიდასივ-
რცეშიც. იგი მდებარეობს მეორე ბორცვის ჩრდილო-აღმო-
სავლეთით. შენობა მართკუთხა გეგმისაა და საკმაოდ მოზ-
რდილია. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დაფიქსირდა
მეორე ბორცვზე აღმოჩენილი კერის მსგავსი ნაშთები [მგე-
ლაძე..., 2019 ა: 317-321; მგელაძე..., 2019 ბ: 236-250].

არქეოლოგიური მასალები. ნაქალაქარის ტერიტორია-
ზე არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული მასალების
აბსოლუტურ უმრავლესობას სამზარეულო კერამიკა წარმო-
ადგენს (ტაბ.III). კერძოდ, ესენია: კეცები, ქოთნები, ქვაბ-
ქოთნები, ბადიები, ჯამები, დოქები და აშ. მცირე რაოდენო-
ბით აღმოჩნდა სამეურნეო (დერგები, სადღვებლები) და სამ-
შენებლო კერამიკა (კრამიტი). კეცები მრავალრიცხოვანია.
ფორმებით ისინი ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდე-
ბა. ხასიათდებიან მომრგვალებული ბაკოთი სქელი და
ბრტყელი უქუსლო ძირით. უმრავლესობა სადაა მცირე ნაწი-
ლი – ორნამენტირებული. კეცები დიდი რაოდენობითაა გა-
მოვლენილი აღმოსავლეთ საქართველოს განვითარებული
შუა საუკუნების ძეგლებზე: თბილისში, დმანისში, ჯავახე-

თის ახალქალაქში, ფშავის არაგვის ხეობაში, ერწო-თიანეთში, უჯარმაში, კვეტერაში, თელავში, და სხვა. კეცები კარგადაა ცნობილი აჭარისწყლის ხეობის განითარებული შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლებიდანაც [ვრცლ.იხ. მგელაძე...,2019 ბ: 235-250, ლიტ-რა აქვე]. ქოთნები საშუალო ზომისაა. უმრავლესობა ყავისფერკეციანებია. წარმოდგენილია პირ-ყელის, ყურის და ძირის ნატეხების სახით. ნატეხების სახითაა შემორჩენილი ქვაბქოთნებიც. უმრავლესობა ცეცხლისაგან გაშავებულია. ქოთნების მსგავსად ხასიათდებიან გადაშლილი პირით, მომრგვალებული მუცელით და ბრტყელი ძირით. სამზარეულო კერამიკასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ხუფებიც. საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ჯამებიც. აქვთ ყავისფერი ან ჩალისფერი კეცი, გადაშლილი ან პირმოყრილი პირი, ნახევარსფეროსებრი კალთა, დაბალი ქუსლი და ბრტყელი ძირი. სამზარეულო კერამიკის ჯგუფს ქმნიან ბადიებიც. ახასიათებთ გამობერილი მუცელი, გადაშლილი პირი, მომრგვალებული ბაკო, ნიბოიანი გვერდი. ამ ფორმის ჭურჭელი ჩვენში საკმაოდ ადრე ჩნდება და განვითარებული შუასაუკუნეების ჩათვლით ფართოდაა გავრცელებული მთელს ამიერკავკასიაში [ვრცლ. იხ.მგელაძე...,2019: 245-250, ლიტ-რა აქვე]. სხვა სახის არქეოლოგიური არტეფაქტებიდან აღსანიშნავია: სამარილეები, დოქები, სასმისები, სადღვებელები, დერგები, მოჭიქული ჯამები და აშ. აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალას მოეპოვება დიდძალი პარალელი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლებზე და კარგად თარიღდებიან XI-XIII სს-ით [ვრცლ. იხ. მგელაძე...,2019ბ : 245-250, ლიტ-რა აქვე].

არქეოლოგიური გათხრების პარალელურად „ნაქალაქარის“ ტერიტორიიდან არქეობოტანიკური და პალინოლოგიური კვლევებისათვის აღებული იქნა სინჯებიც. *(სინჯები აიღო არქეოლოგებმა გ. ნარიმანიშვილმა და ნ. შანშაშვილმა)*

არქეობოტანიკური კვლევა. არქეობოტანიკური კვლევის ობიექტს ძირითადად მცენარეთა განამარხებული ნაყოფები და თესლები წარმოადგენდა *(კვლევა განახორციელა*

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ნ. რუსიშვილმა). კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა კულტურული სარეველა და ველური მცენარეები. კულტურული მცენარეებიდან აღსანიშნავია: რბილი ხორბალი (*Triticum aestivum*), კილიანმარცვლიანი ქერი (*Hordeum vulgare*), ფეტვი (*Panicum miliaceum*), ოსპი (*Lens culinaris*) და ბარდა (*Pisum sativum*). ველური მცენარეებიდან კი: ნაცარქათამა, ხვართქლა, სარეველა ჭვავი, ფხუნა და სხვ. არქეობოტანიკურმა კვლევამ დადასტურა, რომ ნამოსახლარზე განვითარებული იყო მინათმოქმედება, ითესებოდა რბილი ხორბალი და ქერი. ქერი და ხორბალი ნიმუშებში ერთად იყო დაფიქსირებული და ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით, ადგილი ჰქონია შერეულ თესვას. პარკოსანი მცენარეებიდან ნამოსახლარის ბინადარები ოსპსა და ბარდას მოიხმარდნენ. მინათმოქმედებას ადასტურებს, ასევე სარეველა ჭვავის და სარეველა მცენარეთა ფართო ასორტიმენტის გამოვლენა.

პალინოლოგიური კვლევა. პალინოლოგიური კვლევისათვის სინჯები აღებულ იქნა № 1 სენაკში აღმოჩენილი თონის მიმდებარე ტერიტორიიდან (*კვლევა განახორციელა საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ე. ყვავაძემ*). პალინოლოგიური მასალა საკმაოდ მდიდარი აღმოჩნდა და განისაზღვრა 30-მდე უმაღლესი მცენარის მტვერი და სპორები. მრავლადაა დაფიქსირდა არაპალინოლოგიური ხასიათის ნამარხებიც. პალინოლოგიურმა მონაცემებმა დაადასტურა, რომ ახ.წ. XI-XIII საუკუნეებში ადამიანი აქ საკმაოდ დიდი პერიოდის მანძილზე ცხოვრობდა. ამაზე მეტყველებს სპექტრში არსებული ისეთი სარეველე მცენარეთა მტვერი როგორებიცაა მრავალძარღვა, ავშანი, ვარდკაჭაჭა, ფარსმანდუკი, ასტრა და ბაია. ანთროპოგენური ფაქტორის, ანუ ადამიანის არსებობის და მისი მოღვაწეობის კარგი ინდიკატორია პალინოლოგიურ სპექტრში ნაპოვნი ხორბლისა და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი და ხორბლის ნათესების სარეველა მცენარეთა მტვრის მარცვლები. ამ შემთხვევაში ხორბლის ყანებში ისეთი სარეველა იზრდე-

ბოდა, როგორცაა მატიტელა, ნარი, ნაცარქათამა და ნარშავი. შენობის იატაკზე აღმოჩნდა სელისა და ბამბის ქსოვილის ბოჭკოს არც თუ ისე მცირე რაოდენობა. ესეც იმისი არგუმენტია, რომ ადამიანი აქ ხანგრძლივად ცხოვრობდა. მესაქონლეობის განვითარებაზე მეტყველებს სპექტრში იმ სოკოს სპორების აღმოჩენა, რომლებიც მცოხნელთა და ჩლიქოსნების ნაკელზე იზრდება. კერძოდ: ესენია სოკო სორდარია, პოდოსპორა, ცერკოპჰორა და ჰაეტომიუმი. არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთებს შორის უხვადა იყო კულტურული ხორბლეულის ჯიშების ფიტოლიტები და მათი სახამებელი. ხორბლის სახამებლის დიდი რაოდენობა კი ფქვილისა და მისგან დამზებულ პროდუქტის არსებობაზე მეტყველებს.

დასკვნა. ბეშუმის „ნაქალაქარის“ ტერიტორიაზე ნარმოებულმა ინტერდისციპლინურმა კვლევამ დაადგინა, რომ აქ დასახლება აქტიურად ფუნქციონირებდა განვითარებული შუასაუკუნეების პერიოდში (XI-XIII სს) და აქტიურ როლს ასრულებდა რეგიონის ცხოვრებაში. სწორედ „ნაქალაქარის“ ტერიტორიაზე გაივლიდა ერთ-ერთი მთავარი სატრანზიტო-საქარავნო გზა რომელითაც აჭარისწყლის ხეობის გავლით შავიზღვისპირეთის მოსახლეობას მტკვრის ხეობისა და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან აკავშირებდა.

ლიტერატურა:

1. **ინაიშვილი, 1974:** – ინაიშვილი ა., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წ მუშაობის შედეგები// *სტსძ IV*, თბილისი
2. **კახიძე, მამულაძე, 2016:** – კახიძე ა, მამულაძე შ., ანარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი
3. **მინდორაშვილი, 2010:** – მინდორაშვილი დ., კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა. თბილისი
4. **მგელაძე, ნარიმანაშვილი, 2002:** – მგელაძე ნ, ნარიმანაშვილი გ., გოდერძის უღელტეხილის ნამოსახლარები// *ჯავახეთი I*, ახალციხე

5. **მგელაძე...,2019ა:** – მგელაძე ნ, ნარიმანაშვილი გ, შანშაშვილი ნ, ქამადაძე კ, ტუნაძე თ., ხულოს მუნიციპალიტეტის არსიანის ქედზე, ბეშუმის ნამოსახლარების ტერიტორიაზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში// *2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული*, თბილისი
6. **მგელაძე...,2019 ბ:** – მგელაძე ნ, ნარიმანიშვილი გ, ხალვაში მ, ტუნაძე თ, შანშასვილი ნ, ქამადაძე კ, ოქროპირიძე ს., გოდერძის უღელტეხილის ისტორია და ეთნოარქეოლოგია, ბათუმი

I



1



2

II



1



2